

სვეტისხოველი

სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი

Svetitskhoveli

*Scientific Historical Journal*

ISSN: 1987 - 6874

N<sub>1</sub>, 2011



უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მის  
მაღალყოველადუსამღვდელოესობასთან, მანგლისისა და წალკის ეპარქიის მმართველთან, უურნალ  
"სკუტიც ხოველის" მთავარ რედაქტორთან, მიტროპოლიტ ანანიასთან (ჯაფარიძე) ერთად.



პატრიარქმა თანადგომის დღედ 1 ივლისი დააწესა: უწმიდესისა და უნეტარების, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან სულთმოფენობის დღესასწაულზე, ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი, 2008 წლის ივლისი

## "მოწყალების სამხე გადაარჩენს სრულიად საქართველოს" (თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწმენა)

არიან ადამიანები, რომელთა ზრუნვაც მარტოდენ საკუთარი თავით, ეგოსტერი სურვილებით შემოიფარგლება; მაგრამ, საბედნიეროდ, ასევე არიან ადამიანები, რომლებიც სხვებისათვის ცხოვრობენ, საკუთარ თავს სხვებს უძლვნიან. ქართველი ადამიანი ბუნებით სწორედ ამით გამოირჩევა: თუკი იგი ხედავს სხვა ადამიანის გაჭირვებას, აუცილებლად მიდის და ეხმარება მას. პავლე მოციქული ამბობს: "ურთიერთ სიმძიმე იტვირთეთ და ესრულ ადასრულეთ სჯული იგი ქრისტესი".

როგორ შეიძლება, ვიტვირთოთ სხვისი სიმძიმე, რით შეიძლება შევეწიოთ სხვა ადამიანებს? ზოგიერთი ფიქრობს, რომ არ შეუძლია სხვისი დახმარება, რადგან თვითონაც ხელმოკლედ ცხოვრობს. ყველა ადამიანს შეუძლია დაეხმაროს სხვას, თუნდაც არაფერი ებადოს გასაცემი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ დახმარება მრავალი სახისა არსებობს: არსებობს სულიერი დახმარება, არსებობს სიტყვიერი დახმარება და, რაღა თქმა უნდა, მატერიალურიც.

\*\*\*

დღეს ჩვენთან ბრძანდებიან საქართველოს საინჟინერო აკადემიისა და კომპანია "გე-დინესერვის" წარმომადგენლები, რომლებმაც შემოვთავაზეს, დაწესდეს "თანადგომის დღე". თანადგომა ეს იგივე დახმარებაა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს მოსახლეობას გაჭირვებული ადამიანების თანადგომის სურვილი აქვს. თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწმენა. სწორედ ამან გადაგვატანინა ის პრობლემები, რომლებიც ბოლო 18 წლის მანძილზე გვქონდა.

ღმერთმა დალოცოს ისინი, რადგან ზრუნავენ გლახაკებზე და ფიქრობენ, თუ რით შევეწიონ მათ. მინდა ყველას გისურვოთ: ამაზე ფიქრი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანის საზრუნავი.

\*\*\*

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან სულთმოფენობის დღესასწაულზე

ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი  
ივლისი 2008 წელი



საქართველოს საპატიონარებოს,  
საქართველოს საინიციატივო აკადემიისა და  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
თაორგანიზოვის სასწავლო - სამუშაოებო ცენტრის  
სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი

ეძღვნება უწმიდესსა და უნეტარესს,  
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის  
ილია მეორეს


მთავარი რედაქტორი: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

მთავარი რედაქტორის  
მოადგილები: ვლადიმერ დოლიძე  
მამუკა მაცაბერიძე

სარედაქციო საბჭო: ზურაბ გასიტაშვილი  
ივანე გორგიძე  
გახტანგ გურული  
შალვა ნაჭყებია  
გივი ღამბაშიძე  
არჩილ ფრანგიშვილი  
ტარიელ ფუტკარაძე  
გურამ ჯავახაძე

კომპიუტერული  
უზრუნველყოფა: ირმა ჯიშკარიანი  
ქეთევან მახაშვილი

ჟურნალის ვებ-გვერდი: <http://sveticxovelijournal.ge>



უურნალ  
„სვეტიცხოველის“,  
1917 წლის  
1 დეკემბრის,  
ყდის ფრაგმენტი

## სვეტიცხოველი მუდმივი მოცემულობაა საქართველოს სულიერი აღორძინების ფუნდამენტისათვის

XX საუკუნის დასაწყისში (1917 წელს) წმიდამღვდელმოწამე პატრიარქის კირიონ მეორის ხელ-დასმით მაშინდელმა „სრულიად საქართველოს საკათალიკოზოს საბჭომ“ დაიწყო უურნალ „სვეტიცხოველი“-ს გამოცემა, ეკლესიის ერთგულ შვილთა დარაზმვისათვის რათა დამოუკიდებელი საქართველოს სულიერი აღორძინებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენის მკვიდრი საფუძველი შექმნილიყო.

დღეს, XXI საუკუნეში, საქართველოს არანაკლები სირთულის ამოცანები აქვს გადასაწყვეტი და გამბაფრებული ბრძოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისათვის კვლავ მოითხოვს იმ სულიერი ორიენტირების და გავლენების ახლებურ გააზრებას, რამაც საქართველო ათასწლეულების განმავლობაში გამოატარა ისტორიის გაავებულ ოქანებში და წარმოდგენილი უურნალიც – საქართველოსათვის საკრალური სახელდებით – „სვეტიცხოველი“ ამგვარი მისის შესრულებას პირდება მკითხველს.

უსაზღვროა პასუხისმგებლობა, რასაც უურნალის საკრალური სახელდება და წმიდამღვდელმოწამე პატრიარქის კირიონ მეორის საუკუნის წინანდელი, უკვდავი ღვაწლი გვაკისრებს და დღევანდელი უურნალ „სვეტიცხოველის“ გამოცემა, მველი, კირიონისეული „სვეტიცხოველის“ აღდგენასაც გვინდა ნიშნავდეს, უფლის მეოხებით შევძლებთ აღნიშნულს.

მკითხველს ვთავაზობთ უფლის განმგებლობით და საქართველოს ეკლესიის საჭეთმცყრობელის 76-ე ბრძანებით საქართველოს საპატრიარქოსთან შექმნილი, საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნას და მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის საისტორიო გამოკვლევას საქართველოს წინაშე მდგომ ფუნდამეტურ პრობლემათაგან. აღნიშნული, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ფუძემდებლურია საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და საეკლესიო მთლიანობისათვის.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით უურნალი „სვეტიცხოველი“ ცოცხლობს მკითხველისათვის.

უურნალ სვეტიცხოველის რედაქცია



ს ა რ პ ვ ე ბ ი :

“გოლგალების საქმე ბადარჩენს სრულიად საქართველოს”

(თანადგომის დღე 1 03 2010 დაწესდა) —————— 4

უფლიდოსისა და უნიტარესის, სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-აათრიარქის 0401 II 76-ე ბრძანებით საქართველოს  
საპატრიარქოსთან შექმნილი, საქართველოს რეალური ისტორიის  
დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის უმნიშვნელოვანეს

ბამოკვლევათა მაცნე №1 —————— 11

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფო ბრიტი და  
საეკლესიო მთლიანობის საჭიროად მიმართული  
ე.წ. „ქართიზაციის“ თეორიის შესახებ —————— 13

მიტროკოლიტი ანანია ჯავარიძე  
საეკისპოკოსოსობი ლაზიკაშვილი —————— 30

თავი IV

ლაზიკის გეოგრაფიული აღწერა

ლაზიკა-ლადონი 31

კლარჯეთისა და ლაზიკის აღწერა მსგავსია

(კლარჯეთი ლაზიკის მსგავსად კლდოვანი

და უმოსავლო ქვეყანაა) 34

გურამ გრიგოლია ეგრის-ლაზიკის სამეფოს  
საისტორიო გეოგრაფიის პრობლემების შესახებ 38

გ. გრიგოლიას თვალსაზრისი ტაბულა პევტენგერიანას შესახებ — 46

არტაანი იბერიაში 50

კლარჯეთი- „ბერძენთა ქვეყანა“ – „საბერძნეთი“ 50

ლაზიკა – სომხეთის მოსაზღვრე ქვეყანა 51

მოვსეს ხორენაცი ლაზიკის შესახებ (ბაგრატიონები სპერში) 52

ლაზიკის ბაღები ანუ მოხირისის ძიება ვეიდენბაუმისა და

ყაზბეგის მიხედვით 53



თავი ღაზიკა —————	55
ძველი ღაზიკა-ქალდიის თემი („სოფელი მეგრელთა“) —————	56
რატომ „ქალდეა“? —————	57
ღაზიკა ფართო პოლიტიკური გაგებით —————	58
ჭანეთი (სისილისი/საისინი/,ზიგანა) —————	58
ხალდეა — ქალდეა — ხალიბი —————	59
ქალდეა — ქართეა —————	60
ჭანები —————	61
ხალტიქ — ხალდია (ქალდია) 950 წლისთვის —————	61
ტიბარენები და ჭანები ერთ მიწაზეა —————	62
პროვინცია არმენიაკონი —————	62
კლარჯეთი ანუ ღაზიკა —————	63
დ. ხოშტარიას წიგნის „კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები“ მიმოხილვა —————	67
<b>თავი V</b>	
სარაპანა და სპანდა	
სად მდებარეობდა სტრაბონისეული სარაპანა (შორაპანი) —————	70
იმერეთის სკანდე და შორაპანი „საქართველოს გეოგრაფიული ატლასის“ (1992) მიხედვით „სუბტროპიკების ზონაში“	
მდებარეობენ —————	71
ვენახის პლანტაციები შორაპანთან —————	72
სარაპანა და შორაპანი გ. გრიგოლიას მიხედვით —————	72
სარაპანები —————	73
სტრაბონი (XI, II, 17) სარაპანას შესახებ —————	74
სარაპანასთან ფაზისი სწრაფი და ხმაურაა, ხოლო	
შორაპანთან მდინარეები მდორე და უხმაუროა —————	75
სტრაბონის სარაპანიდან ოთხი დღის გზაა ფეხით იბერიამდე —————	76
სტრაბონი (XI, II, 18) მესხეთის სამ ნაწილად დაყოფის შესახებ —————	77
დასკვნა —————	77
სარაპანა — სარაპალი, არფალი —————	78
სკანდა —————	78
სკანდის ციხე-სიმაგრე საერთაშორისო მნიშვნელობის გზაზე —————	80
ექსპედიცია კანდრიდსა და ასკანში —————	81
შორაპანი და სკანდე მნახველის თვალით —————	85
<b>თავი VI</b>	
რიონის ჰარბები	
შავი ზღვის გეოლოგია —————	86
საქართველოს პლეისტოცენური ნალექები —————	88
1.კოლხეთის გეოლოგიური ისტორია პოლოცენურ პერიოდში —————	90
2. გ. მაისურაძე. კოლხეთის უახლესი ისტორიიდან (პალიასტომის ტბის წარმოშობა IX-X საუკუნეებში) —————	93



რიონის დაბლობის ჭაობები I-VI საუკუნეებში შავი ზღვის	
სანაპირო ზოლის მოხაზულობა შეიცვალა	94
ზღვის დონის აწევა I-II საუკუნეებში და მისი შედეგები	95
ჭაობი, მაღარია-ზორშაკი	
ქართული წყაროებით რიონის ბარი (ტერიტორია ფოთიდან სამტრედიამდე და ქუთაისამდე)	
საცხოვრებლად უვარგისი იყო	97
ნარიონალები	98
დასკვნა	99
„ტალახიანი ლაშქრობა“	99
მეზღვაური ტომი – ლაზები	100
ლეგენდა დასავლეთ საქართველოს შესახებ	101
დამალული ქართული წარწერები დასავლეთ საქართველოში	102

## თავი VII

ზაზისი – ვოთი – ზადისა – ზასიდი	
ფოთი (ფათისი) ლევონდის ცნობით	103
ფოთის არქეოლოგია	107
ფოთი და რიონის დაბლობი V-XV საუკუნეებში (გეოლოგიური მიმოხილვა)	111
ფოთის აკვატორია გეოლოგის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის გ. მაისურაძის თვალსაზრისით	113
ფასისელ აკადემიკოსთა თვალსაზრისი	115
ჭაობის პავა ფოთთან	117
პალიასტომის ღვთისმშობლის ხატი	118
ეპისკოპოსი ფაზისისა, ანუ ტრაპეზუნტისა	119
ფაზისის აკადემია	120
თერმოდონტი, თემისკირა, პეტრა, ფაზისი	123
მურიე და კალფოგლუ ფაზისისა და აკამფისის შესახებ	124
არა ფოთია საპორტო ქალაქი – არამედ „ხუფათი“	124
ფასისის ანუ ფასიანის ქვეყანა კონსტანტინე	
პორფიროგენეტის ცნობით	125

## ფოტოები

(ფოტოგრაფიული მონაცემები ფაზისის და ლაზიკის სახელდებასთან მიმართებაში)	126
---	-----

## ვალერიან ლომიძე

ეკლესიის ჭეშმარიტი მსახური	147
სალიტერატურო კრიტიკის ისტორიისათვის	
არაცნობიერისა და უმთავრესი საზრისის კვლევის პრობლემისათვის	



აპაპი ვასაძე 149

არაცნობიერის სტიქია და შემოქმედებითი ფანტაზია

გიორგი გიგაშვილი

განსაკუთრებული ნიშანი წერაქვულ დამწერლობაში  
(კრიპტოგრამები) 171

გამოსაცემი მასალის გაფორმების წესი 181



უფრიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის ილია II 76-ე ბრძანებით  
საქართველოს საკატრიარქოსთან შექმნილი,  
საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი  
მუდმივმარცხელი კომისიის უმნიშვნელოვანეს  
გამოკვლევათა მაცნე

№ 1



## ბრძანება № 76

სრულიად საქართველოს საპატირიარქოსადმი

10 გვერდი, 2009 წელი

XIX - XX სუკუნეებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და სახელმწიფო დამოუკიდებლობის გაუქმების პერიოდში მასნიძისარულზე ფლიტებითა და საქართველოს ისტორია და ენათმეცნიერების საუყოვლებელი.

ამსთან დაკავშირებით ვპრძნებ:

- I. საქართველოს საპატირიარქოსთან შეიქმნას საქართველოს ოკულური ისტორიის დამდენი მუდმივოქმედი კომისია მისი მღალეობისამღვდელობისთვის, მან გლოსისა და წალკის მიზრით დაინიშნა (კაფე არის) ხელმძღვანელობით;
- II. საქართველოს საპატირიარქოსთან შეიქმნას ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივოქმედი კომისია პროფესიონალური მნახა ტაბიდის ხელმძღვანელობით.

სრულიად საქართველოს  
ქართლიკოს-პატირიარქი



## საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფო ეპიკოგიკი და საეკლესიო მთლიანობის საზონააღმდებოდ მიმართული ე.შ. „ქართიზაციის“ თეორიის შესახებ

„XIX-XX საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების პერიოდში მიზანმიმართულად ყალბდებოდა საქართველოს ისტორია და ენათმეცნიერების საფუძვლები.“  
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 76-ე ბრძანებიდან სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი

„ევრე მტრისა არ მეშინის,  
რადგან ცხადად მაწყინარობს;  
მოყვარესა მტერსა კუფრთხი,  
მემოყვრება, მოცინარობს“...

რ უ ს თ ა ვ ე ლ ი

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 2006 წლის საშობაო ეპისტოლებში ბრძანებს, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში, XIX ს-ის ბოლოს შეიქმნა ანტიქართული ისტორიოგრაფიული თეორია, რომელსაც ამჟამად ეწოდება „ქართიზაციის თეორია“.

XIX-XX საუკუნეებში საქართველოს დაპყრობის ეპოქაში რუსეთმა იმპერიული დევიზის „გათიშე და იბატონე“-ს შესაბამისად შეაფერება ქართველი ერის ინტეგრაცია-კონსოლიდაციის პროცესი. მან ამ საქმისათვის გამოიყენა არა მხოლოდ სამხედრო ძალა, არამედ სამეცნიერო წრეები. როგორც რუსეთის იმპერიაში ასევე საბჭოთა კავშირში ისტორიოგრაფია გამოიყენებოდა, როგორც მძლავრი იდეოლოგიური იარაღი მცირერიცხოვანი ერების დასაშლელად და დასამორჩილებლად. რუსეთმა აღნიშნული იარაღი განსაკუთრებულად გამოიყენა საქართველოში, რადგანაც მას აქ დახვდა ზალხი ეროვნულ-სახელმწიფო-ბრივი ცნობიერებით და მაღალინტელექტუალური ელიტით. ქართველთა მხრიდან ამ წინააღმდევობის გადასაღასად რუსეთმა გამოიყენა სამცნიერო და საუნივერსიტეტო წრეები, რის შესახებაც წერდა ჯერ კიდევ თვით წმიდა ილია მართალი პუბლიცისტურ წერილებში. ცარიზმის დაკვითით პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართველი ერის მთლიანობის დანაწევრების მიზნით პროფესორმა ქ. პატკანოვმა და მისმა სამეცნიერო წრემ, (მათ შორის იყო ნიკო მარი) შექმნა ე.წ. „ქართიზაციის“ თეორია. ქეროფე პატკანოვის (ქეროფე პეტროსის ძე პატკანიანი) და ნიკო მარის მოსაზრებების, პატკანოვ-მარის „თეორიის“ საშიშროების შესახებ ჯერ კიდევ წმიდა ილია მართალი ბრძანებდა „ქათა დაღადში“ - "პროფესორი პატკანოვი, აწ გარდაცვალებული, მთელის თავისის მეცნიერების ზარბაზნებით მოგვესია და პლამის ზურგზე მტვრი აგვადინოს. ჯერ მოგვდგა და თავზე დაგვაფხრიწა ჩვენი "ქართლის ცხოვრება". ეს ვახტანგ VI დროს არის შეთითხნილიო და არავითარი ცნობა არ არის, რომ ვახტანგის წინად "ქართლის ცხოვრება" ყოფილიყოს. ერთადერთი წერილი "სომხური ქრონიკა" პქვიანო და თუ

<sup>1</sup> „სომებთა მეცნიერნი და ქვათა დაღადი“ ილია ჭავჭავაძის აუბლიცისტურ მემკვიდრეობას განეკუთვნება, რომელიც პირველად გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა 1899 წელს და იმავე წელს გამოიცა ცალკე წიგნად, მოგვიანებით კი რუსულ ენაზეც დაისტამბა.



რამ მასალაა ქართველების ისტორიისა, იქ თუ იპოვებაო. მართალია, ეს "ქრონიკა" ქართულიდამ ნათარგმნიაო, მაგრამ დედანი უნდა იყოს შეთხზული, ანუ შედგენილი, უსწავლელისა და უმეცარის სომხისაგან მეთორმეტე საუკუნეს, როდესაც ქართველებმა იგრძნეს ისტორიის საჭიროებაო" [1].

ღვაწლმოსილი ისტორიოგრაფი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი დიმიტრი ბაქრაძე<sup>2</sup> [2], აღნიშნავდა ამ პატკანოვის „ღვაწლს“ გამოკვლევაში - „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები“, სხვათა შორის, პატკანოვ-მარის<sup>3</sup> „ღვაწლზე“ მიუთითებდნენ ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილს მშობლები წერილებში: 1898 წლის 22 ოქტომბერს აფორიაქებული მამა სწერდა III კურსელ ივანე ჯავახიშვილს: "შვილო, როგორც მამა გირჩევ, შენი საკუთარი და ჭეშმარიტი კრიტიკულის თვალით შეხედო ყველაფერს და არა მიეპყრო მარის ქართულის საწინააღმდევო მიმართულებას" [3].

ჩვენ აღბათ აღარც დავინტერესდებოდით ამ ე.წ. „ქართიზაციის“ საკითხით, რომ საბჭოთა ხელისუ-ფლების დროს ეს თეორია არ გადაცეულიყო ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ოფიციალურ და ერთადერთ სამეცნიერო მიმართულებად.

თუ რა საშიშროებას წარმოადგენს აღნიშნული „ქართიზაციის თეორია“ ქართველი ერის მთლიანობისა და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოებისათვის ნათლად გვამცნობს უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: „ჯერ კიდევ წმიდა ილია მართალი თავის პეტლი-ცისტურ წერილებში ებრძოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნილ ანტიქართულ ისტორიოგრაფიულ თეორიას, რომლის მიხედვითაც ერთიანი ქართველი ერი წარმოდგენილი იყო განსხვავებული ტომების ხელოვნურ გაერთიანებად. აღნიშნული კამპანიის გაგრძელება იყო ის, რომ იმპერიულმა ძალებმა დაიწყეს მეგრულად და სვანურად საღვთისმსახურო წიგნების თარგმნა და სკადეს წირვა-ლოცვის ჩატარებაც, მაგრამ ამ კუთხის შვილებმა და მთელმა ქართულმა საზოგადოებამ მათ საკადრისი პასუხი გასცა“.<sup>4</sup>

XIX-XX სს-ში, ქართველთა ფსიქიაში განუწყვეტლივ ინერგებოდა თვალსაზრისი, რომ ქართველობას საერთო ისტორია არასდროს ჰქონია, მიმდინარეობდა საერთო ეროვნული თვითშემცნების ნგრევა-

<sup>2</sup> დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე (1826-1890). პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი და შემდგომ მოსევოვის სასულიერო აკადემია. 1851 წლიდან მოღვაწეობს საქართველოში. 1881 წელს შექმნა კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოება. 1879 წელს იჭავჭავაძესა და დ. ყიფიანთან ერთად დაარსა ქართველთა შორის წერა-კითხების გამაცერებელების საზოგადოება. 1889 წელს შექმნა ქართულ სიძეებითა თავმოყრისა და დაცვის მნიშვნელოვანი კერძა - თბილისის საეკლესიო მუზეუმი. დ. ბაქრაძის რედაქტორობით გამოქვეყნდა იოანე ბატონიშვილის "კალმასობა", ვახუშტის "საქართველოს ისტორია", ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის რუსული თარგმანი, 1889 წელს გამოქვეყნა ნაშრომი "ისტორია საქართველოსი" (უძველესი დროიდან X ს-ის დასასრულადე). XIX ს-ის 80-იან წლებში ებრძოდა ქეროფე პატკანოვს (პატკანიანს), რომელიც უარყოფდა "ქართლის ცხოვრების", როგორც საისტორიო წყაროს მნიშვნელობას. 1875 წელს შეადგინა ლექსიკონი "კავკასია ქრისტიანობის უძველეს ძეგლებში" (რუსულ ენაზე). 1884 წელს აღმოაჩინა მარიამისეული "ქართლის ცხოვრება". ივ. ჯავახიშვილის განმარტებით დ. ბაქრაძემ პირველმა შეაფასა "ქართლის ცხოვრების" საისტორიო ლიტერატურება, იგი ლევანტი მროველს მართებულად თვლიდა მემატიანებდა და არა უბრალო გადამწერად როგორადაც იგი შემდგომში თ. კორდანიამ ჩათვალა. დ. ბაქრაძემ საფუძველი ჩაუყარა ქართულ პალეოგრაფიას, რაც შემდგომში ივ. ჯავახიშვილმა განაცითარა. წყარო: ივანე ჯავახიშვილი. ენციკლოპედიური ლექსიკონი, თხუ-ს გამომცემობა 2002 წ. გვ. 182.

<sup>3</sup> 1. თაბა - აბააბიე ესაბაბიები 1. აბააბიე ესაბაბიე 2. აბააბიე ესაბაბიე 3. აბააბიე 4. აბააბიე 5. აბააბიე 6. აბააბიე 7. აბააბიე 8. აბააბიე 9. აბააბიე 10. აბააბიე 11. აბააბიე 12. აბააბიე 13. აბააბიე 14. აბააბიე 15. აბააბიე 16. აბააბიე 17. აბააბიე 18. აბააბიე 19. აბააბიე 20. აბააბიე 21. აბააბიე 22. აბააბიე 23. აბააბიე 24. აბააბიე 25. აბააბიე 26. აბააბიე 27. აბააბიე 28. აბააბიე 29. აბააბიე 30. აბააბიე 31. აბააბიე 32. აბააბიე 33. აბააბიე 34. აბააბიე 35. აბააბიე 36. აბააბიე 37. აბააბიე 38. აბააბიე 39. აბააბიე 40. აბააბიე 41. აბააბიე 42. აბააბიე 43. აბააბიე 44. აბააბიე 45. აბააბიე 46. აბააბიე 47. აბააბიე 48. აბააბიე 49. აბააბიე 50. აბააბიე 51. აბააბიე 52. აბააბიე 53. აბააბიე 54. აბააბიე 55. აბააბიე 56. აბააბიე 57. აბააბიე 58. აბააბიე 59. აბააბიე 60. აბააბიე 61. აბააბიე 62. აბააბიე 63. აბააბიე 64. აბააბიე 65. აბააბიე 66. აბააბიე 67. აბააბიე 68. აბააბიე 69. აბააბიე 70. აბააბიე 71. აბააბიე 72. აბააბიე 73. აბააბიე 74. აბააბიე 75. აბააბიე 76. აბააბიე 77. აბააბიე 78. აბააბიე 79. აბააბიე 80. აბააბიე 81. აბააბიე 82. აბააბიე 83. აბააბიე 84. აბააბიე 85. აბააბიე 86. აბააბიე 87. აბააბიე 88. აბააბიე 89. აბააბიე 90. აბააბიე 91. აბააბიე 92. აბააბიე 93. აბააბიე 94. აბააბიე 95. აბააბიე 96. აბააბიე 97. აბააბიე 98. აბააბიე 99. აბააბიე 100. აბააბიე 101. აბააბიე 102. აბააბიე 103. აბააბიე 104. აბააბიე 105. აბააბიე 106. აბააბიე 107. აბააბიე 108. აბააბიე 109. აბააბიე 110. აბააბიე 111. აბააბიე 112. აბააბიე 113. აბააბიე 114. აბააბიე 115. აბააბიე 116. აბააბიე 117. აბააბიე 118. აბააბიე 119. აბააბიე 120. აბააბიე 121. აბააბიე 122. აბააბიე 123. აბააბიე 124. აბააბიე 125. აბააბიე 126. აბააბიე 127. აბააბიე 128. აბააბიე 129. აბააბიე 130. აბააბიე 131. აბააბიე 132. აბააბიე 133. აბააბიე 134. აბააბიე 135. აბააბიე 136. აბააბიე 137. აბააბიე 138. აბააბიე 139. აბააბიე 140. აბააბიე 141. აბააბიე 142. აბააბიე 143. აბააბიე 144. აბააბიე 145. აბააბიე 146. აბააბიე 147. აბააბიე 148. აბააბიე 149. აბააბიე 150. აბააბიე 151. აბააბიე 152. აბააბიე 153. აბააბიე 154. აბააბიე 155. აბააბიე 156. აბააბიე 157. აბააბიე 158. აბააბიე 159. აბააბიე 160. აბააბიე 161. აბააბიე 162. აბააბიე 163. აბააბიე 164. აბააბიე 165. აბააბიე 166. აბააბიე 167. აბააბიე 168. აბააბიე 169. აბააბიე 170. აბააბიე 171. აბააბიე 172. აბააბიე 173. აბააბიე 174. აბააბიე 175. აბააბიე 176. აბააბიე 177. აბააბიე 178. აბააბიე 179. აბააბიე 180. აბააბიე 181. აბააბიე 182. აბააბიე 183. აბააბიე 184. აბააბიე 185. აბააბიე 186. აბააბიე 187. აბააბიე 188. აბააბიე 189. აბააბიე 190. აბააბიე 191. აბააბიე 192. აბააბიე 193. აბააბიე 194. აბააბიე 195. აბააბიე 196. აბააბიე 197. აბააბიე 198. აბააბიე 199. აბააბიე 200. აბააბიე 201. აბააბიე 202. აბააბიე 203. აბააბიე 204. აბააბიე 205. აბააბიე 206. აბააბიე 207. აბააბიე 208. აბააბიე 209. აბააბიე 210. აბააბიე 211. აბააბიე 212. აბააბიე 213. აბააბიე 214. აბააბიე 215. აბააბიე 216. აბააბიე 217. აბააბიე 218. აბააბიე 219. აბააბიე 220. აბააბიე 221. აბააბიე 222. აბააბიე 223. აბააბიე 224. აბააბიე 225. აბააბიე 226. აბააბიე 227. აბააბიე 228. აბააბიე 229. აბააბიე 230. აბააბიე 231. აბააბიე 232. აბააბიე 233. აბააბიე 234. აბააბიე 235. აბააბიე 236. აბააბიე 237. აბააბიე 238. აბააბიე 239. აბააბიე 240. აბააბიე 241. აბააბიე 242. აბააბიე 243. აბააბიე 244. აბააბიე 245. აბააბიე 246. აბააბიე 247. აბააბიე 248. აბააბიე 249. აბააბიე 250. აბააბიე 251. აბააბიე 252. აბააბიე 253. აბააბიე 254. აბააბიე 255. აბააბიე 256. აბააბიე 257. აბააბიე 258. აბააბიე 259. აბააბიე 260. აბააბიე 261. აბააბიე 262. აბააბიე 263. აბააბიე 264. აბააბიე 265. აბააბიე 266. აბააბიე 267. აბააბიე 268. აბააბიე 269. აბააბიე 270. აბააბიე 271. აბააბიე 272. აბააბიე 273. აბააბიე 274. აბააბიე 275. აბააბიე 276. აბააბიე 277. აბააბიე 278. აბააბიე 279. აბააბიე 280. აბააბიე 281. აბააბიე 282. აბააბიე 283. აბააბიე 284. აბააბიე 285. აბააბიე 286. აბააბიე 287. აბააბიე 288. აბააბიე 289. აბააბიე 290. აბააბიე 291. აბააბიე 292. აბააბიე 293. აბააბიე 294. აბააბიე 295. აბააბიე 296. აბააბიე 297. აბააბიე 298. აბააბიე 299. აბააბიე 300. აბააბიე 301. აბააბიე 302. აბააბიე 303. აბააბიე 304. აბააბიე 305. აბააბიე 306. აბააბიე 307. აბააბიე 308. აბააბიე 309. აბააბიე 310. აბააბიე 311. აბააბიე 312. აბააბიე 313. აბააბიე 314. აბააბიე 315. აბააბიე 316. აბააბიე 317. აბააბიე 318. აბააბიე 319. აბააბიე 320. აბააბიე 321. აბააბიე 322. აბააბიე 323. აბააბიე 324. აბააბიე 325. აბააბიე 326. აბააბიე 327. აბააბიე 328. აბააბიე 329. აბააბიე 330. აბააბიე 331. აბააბიე 332. აბააბიე 333. აბააბიე 334. აბააბიე 335. აბააბიე 336. აბააბიე 337. აბააბიე 338. აბააბიე 339. აბააბიე 340. აბააბიე 341. აბააბიე 342. აბააბიე 343. აბააბიე 344. აბააბიე 345. აბააბიე 346. აბააბიე 347. აბააბიე 348. აბააბიე 349. აბააბიე 350. აბააბიე 351. აბააბიე 352. აბააბიე 353. აბააბიე 354. აბააბიე 355. აბააბიე 356. აბააბიე 357. აბააბიე 358. აბააბიე 359. აბააბიე 360. აბააბიე 361. აბააბიე 362. აბააბიე 363. აბააბიე 364. აბააბიე 365. აბააბიე 366. აბააბიე 367. აბააბიე 368. აბააბიე 369. აბააბიე 370. აბააბიე 371. აბააბიე 372. აბააბიე 373. აბააბიე 374. აბააბიე 375. აბააბიე 376. აბააბიე 377. აბააბიე 378. აბააბიე 379. აბააბიე 380. აბააბიე 381. აბააბიე 382. აბააბიე 383. აბააბიე 384. აბააბიე 385. აბააბიე 386. აბააბიე 387. აბააბიე 388. აბააბიე 389. აბააბიე 390. აბააბიე 391. აბააბიე 392. აბააბიე 393. აბააბიე 394. აბააბიე 395. აბააბიე 396. აბააბიე 397. აბააბიე 398. აბააბიე 399. აბააბიე 400. აბააბიე 401. აბააბიე 402. აბააბიე 403. აბააბიე 404. აბააბიე 405. აბააბიე 406. აბააბიე 407. აბააბიე 408. აბააბიე 409. აბააბიე 410. აბააბიე 411. აბააბიე 412. აბააბიე 413. აბააბიე 414. აბააბიე 415. აბააბიე 416. აბააბიე 417. აბააბიე 418. აბააბიე 419. აბააბიე 420. აბააბიე 421. აბააბიე 422. აბააბიე 423. აბააბიე 424. აბააბიე 425. აბააბიე 426. აბააბიე 427. აბააბიე 428. აბააბიე 429. აბააბიე 430. აბააბიე 431. აბააბიე 432. აბააბიე 433. აბააბიე 434. აბააბიე 435. აბააბიე 436. აბააბიე 437. აბააბიე 438. აბააბიე 439. აბააბიე 440. აბააბიე 441. აბააბიე 442. აბააბიე 443. აბააბიე 444. აბააბიე 445. აბააბიე 446. აბააბიე 447. აბააბიე 448. აბააბიე 449. აბააბიე 450. აბააბიე 451. აბააბიე 452. აბააბიე 453. აბააბიე 454. აბააბიე 455. აბააბიე 456. აბააბიე 457. აბააბიე 458. აბააბიე 459. აბააბიე 460. აბააბიე 461. აბააბიე 462. აბააბიე 463. აბააბიე 464. აბააბიე 465. აბააბიე 466. აბააბიე 467. აბააბიე 468. აბააბიე 469. აბააბიე 470. აბააბიე 471. აბააბიე 472. აბააბიე 473. აბააბიე 474. აბააბიე 475. აბააბიე 476. აბააბიე 477. აბააბიე 478. აბააბიე 479. აბააბიე 480. აბააბიე 481. აბააბიე 482. აბააბიე 483. აბააბიე 484. აბააბიე 485. აბააბიე 486. აბააბიე 487. აბააბიე 488. აბააბიე 489. აბააბიე 490. აბააბიე 491. აბააბიე 492. აბააბიე 493. აბააბიე 494. აბააბიე 495. აბააბიე 496. აბააბიე 497. აბააბიე 498. აბააბიე 499. აბააბიე 500. აბააბიე 501. აბააბიე 502. აბააბიე 503. აბააბიე 504. აბააბიე 505. აბააბიე 506. აბააბიე 507. აბააბიე 508. აბააბიე 509. აბააბიე 510. აბააბიე 511. აბააბიე 512. აბააბიე 513. აბააბიე 514. აბააბიე 515. აბააბიე 516. აბააბიე 517. აბააბიე 518. აბააბიე 519. აბააბიე 520. აბააბიე 521. აბააბიე 522. აბააბიე 523. აბააბიე 524. აბააბიე 525. აბააბიე 526. აბააბიე 527. აბააბიე 528. აბააბიე 529. აბააბიე 530. აბააბიე 531. აბააბიე 532. აბააბიე 533. აბააბიე 534. აბააბიე 535. აბააბიე 536. აბააბიე 537. აბააბიე 538. აბააბიე 539. აბააბიე 540. აბააბიე 541. აბააბიე 542. აბააბიე 543. აბააბიე 544. აბააბიე 545. აბააბიე 546. აბააბიე 547. აბააბიე 548. აბააბიე 549. აბააბიე 550. აბააბიე 551. აბააბიე 552. აბააბიე 553. აბააბიე 554. აბააბიე 555. აბააბიე 556. აბააბიე 557. აბააბიე 558. აბააბიე 559. აბააბიე 560. აბააბიე 561. აბააბიე 562. აბააბიე 563. აბააბიე 564. აბააბიე 565. აბააბიე 566. აბააბიე 567. აბააბიე 568. აბააბიე 569. აბააბიე 570. აბააბიე 571. აბააბიე 572. აბააბიე 573. აბააბიე 574. აბააბიე 575. აბააბიე 576. აბააბიე 577. აბააბიე 578. აბააბიე 579. აბააბიე 580. აბააბიე 581. აბააბიე 582. აბააბიე 583. აბააბიე



შლა. წმიდა იღია მართალი წერდა: „არაფერი ისე არ აერთიანებს ერს, როგორც საერთო ისტორია“, საერთო სარწმუნოება. წმიდა იღია მართლის ეს თვალსაზრისი არის უშუალო გაგრძელება რუისურბისის კრების მაქების მტკიცებისა, რომ წმიდა ნინოს მიერ დაარსებული ეპლესია მოიცავდა სრულიად საქართველოს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ მხარეს, რომ ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა სახარება „ყოველსა ქვეყანასა საქართველოსასა“ (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 545), რომ ასევე წმიდა ნინომ „სარწმუნოებასა მიმართ მიიზიდა ყოველი სავსება ყოვლისა ქრონიკის ნათესავისა“ (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 546). მაშასადამე ქართველ ერს, როგორც ადასტურებენ „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაი ქართლისაი“, ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე აერთიანებდა საერთო სახელმწიფო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მომცველი, საერთო ენა და საერთო ეპლესია წმიდა მოციქულებისა და წმიდა ნინოს შემდეგ. საეკლესიო, ასევე კულტურისა და სახელმწიფო ენა ძველი ქართული ენა იყო, რადგანაც მთელ ამ არეალზე ცხოვრობდა ერთი ენის მქონე მოსახლეობა, როგორც მემატიანე წერს საქართველოში არა იზრახებოდა სხვა ენა თვინიერ ქართულისა. ამიტომაც წმიდა წერილის ზეპირი და წერილობითი თარგმნის ეპოქაში, II-IV სს-ში (1800-1600 წლის წინ) ძველქართულ ენაზე ითარგმნა წმიდა წერილი. საზოგადოდ, მოციქულთა ეპოქაში საეკლესიო წესების თანახმად წმიდა წერილი უნდა თარგმნილიყო ყველა ენაზე. აღნიშნავდა კიდეც პავლე მოციქული ფილიპელთა მიმართ თავის ეპისტოლეში: – „სახელისა მიმართ იესო ქრისტესისა ყოველი მუხლი მოდრეკეს და ყოველმან ენამან აღუაროს სადიდებელად დვთისა“ (ფილიპელთა მიმართ, თავი II, მუხლი V). ამ საეკლესიო წესიდან გამომდინარე, რადგანაც სრულიად საქართველოში იმუამად ძველი ქართული ენა წარმოადგენდა როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ყველასათვის გასაგებ საერთო ენას, ამიტომაც მხოლოდ ამ ენაზე ითარგმნა წმიდა წერილი. მიიჩნეოდა, რომ კუთხური მეტყველებანი წარმოადგენდა ძველი ქართული ენის დიალექტებს. მაშასადამე, მთელ ამ არეალზე ქართველ ერს აერთიანებდა საერთო ისტორია, საერთო სარწმუნოება, საერთო ენა.

XIX-XX სს-ში, როგორც აღინიშნა, განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ქართული შემეცნებიდან საერთო ენისა და საერთო ისტორიის ამომლა. და ამუამად სამწუხაროდ ფაქტიურად დაინერგა თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ თითოეული კუთხის მოსახლეობას გააჩნდა საკუთარი წარმომავლობა და საკუთარი ისტორია. მაგალითად, ასე წარმოაჩენენ კოლხეთის, ჰერეთის და სხვა კუთხების ისტორიას. ფაქტობრივად ამასვე იმეორებს რუსული პრესაც, რასაც სათანადო პასუხი უნდა გაეცეს.

XX საუკუნეში, ათეისტურ-ბოლშევიკური რეპრესიების შემდეგ, ისტორიოგრაფიაში ჭეშმარიტების ძიება წახალისებული არ ყოფილა, უფრო მეტიც, კულტივირებული იყო წყაროების გაყალბება ან მათი ინტერპეტირება ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი ჩაყენება მარქსისტული იდეოლოგიის სამსახურში. ქართიზაციის თეორია რომ საბჭოთა ეპოქაში გადაიქცა ქართული ისტორიოგრაფიის ოფიციალურ თეორიად, ჩანს ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდანაც, რომლის X ტომის სტატიაში „ქართველები“ ნათქვამია: „ქართის ტომმა“ შეძლო აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები „არაქართულ და არაქართველურ“ ტომებში შეღწევა-ინფილტრაცია და მათი ასიმილაციის შემდეგ IX-X სს-ში ჩამოყალიბდა „აღმოსავლურ-ქართული ეროვნება“ [4]. ამ სტატიის მიხედვით, ქართის ტომმა შეძლო „ჰერულ-ალბანური მოსახლეობის ქართიზაცია“ [4]. მაშასადამე, ოფიციალური თვალსაზრისით, ჰერები და ალბანელები ერთი ხალხია, ანდა ჰერულ-ალბანური მოსახლეობა ერთი ეთნოსია, რომელიც შემდგომ ქართიზებული იქნა და შეემატა „აღმოსავლურ-ქართულ ეროვნებას“. აქედანაც ჩანს, რომ ოფიციალური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით იყო დრო როდესაც ჰერები ქართველები არ იყვნენ.

ამავე თეორიით, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით, IX-X საუკუნეებში ჩამოყალიბებულა

<sup>4</sup> უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II, საშობაო ეპისტოლე, 2006 წ.



აღმოსავლურ-ქართული ეროვნება და მისი სახელი ყოფილა "ქართველები", ხოლო დასავლეთ საქართველოში ამავე თეორიით, თითქოსდა განსხვავებული ეთნოსი ცხოვრობდა.

იმავე ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის თანახმად, დასავლეთ საქართველოში თურმე ჩამოყალიბებულა სხვა დასავლურ-ქართული ეროვნება და ასეთი პროცესები განვითარებულა: დაიწყო დასავლეთ საქართველოს „ქართიზაცია“ ეპლესის მეოქებით - „IX საუგუნიდან მთელ დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესია გაბატონდა“, რის შემდეგადაც ტერმინმა „ქართველი“ კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა [4].

რუსი ინტერვენტების და სეპარატისტების მიერ გაჩაღებულ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების დროს, ასევე ოკუპანტების მიერ აფხაზეთის მიტაცების წინ ე.წ. „იდეოლოგიურ ომში“ ქართველთა დამარცხება უნდა აიხსნას „ახალი ქართული ისტორიოგრაფიის“ სისუსტითაც, რომელიც იქამდე ათეული წლების მანძილზე აცხადებდა, რომ თავდაპირველად, უძველეს ხანაშივე, კოლხეთის სამეფოს ეპოქაში, მთელი დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი დასახლებული იყო აფხაზურ-ადილეური ტომებით და შემდგომ დროს მათ ადვილზე ჩასახლდნენ ქართველური ტომები. არა მხოლოდ აფხაზეთში, სამაჩაბლოს კონფლიქტის დროს მხოლოდ ერთული ისტორიკოსები იცავდნენ ეროვნულ ინტერესებს. სამწუხაროდ, ოფიციალურმა, "ქართიზაციის" თეორიით ხელფეხშეკრულმა ისტორიოგრაფიამ, ვერ შეძლო სიმართლის წარმოჩენა, რადგანაც იქმდე მეცნიერულად ამტკიცებდა "ქართიზაციის" თეორიის შესაბამისად, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა, მათ შორის სამაჩაბლოში ისტორიულად მცხოვრები დვალები თითქოსდა ქართველები კი არ იყვნენ, არამედ – არაქართველები, რომელთა "ქართიზაცია – გაქართველება" მოხდა გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე. თითქოსდა, არა მარტო დვალები და სხვა მთიულები, გაქართველებული "ქართიზებული" ხალხი ყოფილან – ჰერ-კახები, ქვემო ქართლელები, ტაო-კლარჯელები, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, თანაც თურმე მათი ასიმილაციის პროცესში საქართველოს ეკლესიას დიდი წვლილი მიუძღვდა. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, სტატიაში "ქართველები", როგორც ითქვა, ასეთი ტერმინოლოგიით არის აღწერილი ეს პროცესი. რუსული "პრაგოსლავნაია ენციკლოპედიის" მიხედვით კი, თავდაპირველად დღვენდელი ინგილოები აღბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში იყვნენ. საინტერესოა, რომ თბილისიდან ამჟამად დაბეჯითებით უნერგავენ საინგილოს მოსახლეობას თვალსაზრისის, რომ ისინი ეთნიკური ჰერები არიან. თუმცა აქამდე ინგილოებმა თავიანთი ჰერობის შესახებ არაფერი იცოდნენ და ისინი თავიანთ თავს აღმოსავლეთ კახეთის მოსახლეობად მიიჩნევდნენ. ამჟამად კი თვალსაზრისი, რომ ინგილოები ჰერები არიან, ძალზე გავრცელდა. ამის პარალელურად, აზერბაიჯანელი ისტორიკოსები და მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ჰერები და ალბანელები ერთი ხალხი იყო და, ამასთანავე, ალბანელები აზერბაიჯანელი ხალხის წინაპრები იყვნენ, შესაბამისად, ჰერულ-ალბანური კულტურა აზერბაიჯანული კულტურის საკუთრებაა და შემდგომ ქართულმა ეკლესიამ ის მიისაცურა. მაშასადამე, ინგილოები თუ ჰერები არიან, ისინი ამის გამო აზერბაიჯანულ ტომად მოიაზრება. ყველაფერი ზემოთ აღნიშნული კი პატკანოვის სულისკვეთებით და ნიკო მარის „ნაღვაწითა“ გენერირებული: თანახმად დიდი ივანე ჯავახიშვილისა, ნ. მარი არა თუ აფხაზებს, არამედ მეგრელებს და სვანებსაც კი არაქართველებად თვლიდა. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „აკად. ნ. მარი მისაყვედურებს, რომ მეგრელებს, სვანებს და აფხაზებს მე ქართველებს ვუწოდებ და პონტოსა და ფრიგიის ერები თითქოს ქართველებადაც კი მიქცევია. აფხაზებს მე ქართველთა მონათესავედ ვთვლი, მაგრამ ქართველებს არ ვუწოდებ, რაც შეეხება მეგრელებს და სვანებს და დავუმატებ ჭანებსაც, მათ მართლაც ქართველ ტომებად ვთვლი“ [5].

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის არაქართველებად "გადაქცევის" შემდგომ, ნ. მარმა აღმოსავლეთ საქართველოსაც "მიხედა", მისი "თეორიის" თანახმად, ფშავ-ზევსურები ჩანსური ტომები ყოფილან



6. მარის თანახმად მთელი სამხრეთი საქართველო არა ქართველების, არამედ სომებთა მიწა-წყლად მიიჩნევა, ხოლო იქაური ქართველობა – გაქართველებულ სომხებად [7]. უთუოდ ესაა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი საქართველოს და ქართველი ერის მიმართ იმ ბიოლოგიური ზიზღისა რასაც სხვადასხვა კურის მომხვდურნი ავლენენ.

ნ. მარის მიმდევარ ქართველ ავტორთა აზრით, დასავლეთ საქართველოში იქამდე უკვე ჩამოყალიბებული იყო კოლხური ანუ მეგრულ-ჭანური ეთნოსი და შემდგომ დაიწყო მისი "ქართიზაცია" და ეს პროცესი ბრალდება ქართულ ეპლესის, რომელიც, თითქოსდა, იჭრებოდა სხვა უკხო ეპლესის, ამ შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოების იურის-დიქციის საზღვრებში (კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სტრუქტურების განთავსების ისტორიოგრაფია საქართველოს მიწა-წყალზე ცალკე განხილვის საგანს წამოადგენს და ამჯერად მხოლოდ პრობლემის აღნიშვნით შემოვიფარგლებით) და მათ მრევლს ითვისებდა. ცხადია, ესაა დადანაშაულება პროზელიტიზმი. პროზელიტიზმი კი დაგმობილია მოციქულთა დროიდანვე და სხვისი სამწესოს მისაკუთრება ეკლესისათვის სათაკილო ქმედებად ითვლებოდა ჯერ კიდევ I მსოფლიო კრებიდან. საქართველოს ეკლესისათვის ამ სათაკილო ეპითეტით, თანამედროვე ავტორებს, ჩანს, ერის წინაშე ჩვენი ეკლესის მნიშვნელობის „წარმოჩნდა“ სურთ, მაგალითად, 2005 წელს, საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის ოც საუკუნეს ეძღვნებოდა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სახელით წარდგენილი იქნა მოხსენება - "ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შეუ საუკუნეებში" [8], სადაც ნათქვამია: "ქართული ეკლესის კულტურული დეოლოგიური პროზელიტიზმი წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის".

ქართული სახელმწიფო ბრივი ცნობიერების დანგრევის მიზნით რუსულ სპეცსამსახურებში შექმნილი ე.წ. "ქართიზაციის" თეორიის – უახლესი ისტორიის ქართული სახელმწიფო ბრივი ცნობიერების მთავარი საფრთხის იდეოლოგიური საფუძვლის დასამკიდრებლად, XX ს-ის 20–30-იან წლებში, რუსულ-ბოლშევიკური სახელმწიფოს მიერ, ჩვენი ხალხის ძველი ისტორია "რეაქციულ თეორიად" გამოკვადდა, დაიწყო მის წინააღმდეგ "გადამწყვეტი ბრძოლა" უკვე „გამარქისტებული“ მეცნიერების მხრიდან. აღნიშნულის ტრადიტიშებს აძლიერებს ის ფაქტი, რომ "ქართიზაციის" თეორია ბოლშევიკების ხელში გადაიქცა არა მხოლოდ ბერკეტად საქართველოს ძველი ისტორიის დასანგრევად, არამედ მის ჩასანაცვლებლადაც. ამჟამად "ქართიზაციის" თეორია ერთადერთ უტყუარ სამეცნიერო მიმართულებადაა აღიარებული. ის აბსოლუტურადაა გაბატონებული XX და XXI საუკუნის დასაწყისის ქართულ ისტორიოგრაფიასა და ფილოლოგიაში. "ქართიზაციის" თეორიის გაცნობის შემდეგ, უცხოელთ ექმნებათ შთაბეჭდილება ქართველთა "იმპერიალიზმის" შესახებ, რომ, თითქოს, მათ პატარა "ერები" ჰყავთ დაპყრიბილია; ამგვარ შთაბეჭდილებას მხარს უმაგრებს ენათმეცნიერთა ნაწილის თეორიაკ ქართველთა ე.წ. სამი-ოთხი ენის შესახებ,



რომელთაგან ერთის - ქართულის - "აღზევებით" იჩაგრება სხვა ქართველური "ენები"; ეს ყოველივე კი მავანთათვის საფუძველს ქმნის არაქართველებად გამოაცხადონ ქართველთა ერთი ნაწილი, შესაბამისად, არაქართულად მიიჩნიონ მათი მეტყველება [9]. მაგალითად ნათელა ქუთელია ამასთან დაკავშირებით წერს: "ინტერნეტის ვებსაიტებზე მუსირებს თემა - მეგრელები და სვანები პატარა ერები ყოფილან და ქართველ "ოკუპანტებს დაუპყრიათ" და ახლა მათ ენებს განვითარების საშუალებას არ აძლევენ. არსებობს "დოქტრინა" - არ არსებობს ქართველი ერი, არსებობს ცალკეულ ტომთა კონგლომერატი" (ნ. ქუთელია, ქართული ენა, როგორც კულტურულ-ეროვნული და პოლიტიკური მთლიანობის საფუძველი; კრებულში: „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, IV, თბილისი, 2005, გვ. 273).

უთუოდ ეს უნდა იყოს ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ უწოდებდა საქართველოს „მცირე იმპერიას“ ცნობილი რესი მეცნიერი ა. სახაროვი.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი სახელმწიფოსა და ეკლესიის არაკეთილისმსურველებმა, განსაკუთრებით კი სეპარატისტმა იდეოლოგებმა, იმთავითვე აიტაცეს ჩვენი ისტორიოგრაფიის მიერ ლეგალიზებული "ქართიზაციის" თეორიის დასკვნები ჩვენი ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ თავიანთ სასარგებლოდ. ისინი ვრცელ სამეცნიერო ნაშრომებში (მათ შორის, რუსული „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“-ს სტატიებში) ამტკიცებენ, რომ საქართველოს ესა თუ ის კუთხი ისტორიულად არაქართული რეგიონია და, შესაბამისად, ქართველებს ისტორიული უფლება არა აქვთ ამ კუთხებზე.

შეუძლებელია, საქართველოს წმიდა ეკლესია პროზელიტური ყოფილიყო იმიტომ, რომ „პროზელიტური“ ისეთ ეკლესიას ეწოდება, რომელიც იჭრება სხვა ეკლესიის სამრევლოში მისი მისაკუთრების მიზნით. ასეთი ქმედება კი მსოფლიო საეკლესიო კანონებით მიუღებელი იყო და არის. მაგალითად, მოციქულთა 35-ე კანონი ბრძანებს: „ეპისკოპოსმა არ უნდა გაბედოს ხელდასხმა თავისი სამრევლოს გარეთ, ქალაქებსა და სოფლებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან მის ეკლესიას. ხოლო თუ იგი მხილებული იქნება უნდა განიკვეთოს ისიც და მის მიერ ხელდასხმულებიც“ („დიდი სკულისკანონი“, 1974, მოციქულთა კანონები).

მოციქულთა ამ კანონს კიდევ უფრო ამტკიცებს 381 წელს კონსტანტინოპოლში მოწვეული II მსოფლიო კრების მე-2 კანონი: "ეკლესიათა კეთილად განგებისა და მშვიდობისათვის არც ერთ ეპისკოპოს არა აქვს უფლება, გასცდეს თავისი ეკლესიის საზღვრებს და შეიჭრას სხვა ეკლესიის საზღვრებში, რათა არ მოახდინოს ეკლესიების აღრევა. კანონის თანახმად, აღექვსანდრიის ეპისკოპოსი უნდა განაგებდეს მხოლოდ ეგვიპტის ეკლესიებს... პონტოელი ეპისკოპოსნი უნდა მართავდნენ მხოლოდ პონტოს ეკლესიებს, ხოლო თრაკიის ეპისკოპოსნი - მხოლოდ თრაკიის ეკლესიებს. ეპისკოპოსი არ უნდა გავიდეს თავისი სამთავროს ეკლესიის ფარგლებიდან ხელდასხმისათვის" ("დიდი სკულისკანონი", 1974, მოციქულთა კანონები).

III მსოფლიო კრების მამებმა კიდევ უფრო დაბეჯითებით დამოძღვრეს ეკლესიათა მეთაურები, არ დაემორჩილებინათ სხვისი სამწყსო - "ნურც ერთი ეპისკოპოსი ნუ მიიტაცებს სხვა ეპარქიას, რომელიც თავიდანვე და ძველთაგანვე არ ემორჩილებოდა მას და არ იყო მის წინამორბედ საყდრისმპყრობელთა გამგებლობის ქვეშ, ხოლო თუ ვინმე მიიტაცებს სხვის ეპარქიას იმულებით, განთავისუფლებული უნდა იყოს იგი, რათა არ დაირღვეს მამათა კანონები" (III მსოფლიო კრების მე-8 კანონი). იმავეს წერს და აღნიშნავს სხვა საეკლესიო კანონებიც. თუ ქართული ეკლესია პროზელიტური იყო და მას ძველთაგანვე არ ემორჩილებოდა დასავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ საქართველოს ერთი ნაწილის, სამხრეთ საქართველოს სამწყსოები, ქართულმა ეკლესიამ კი მითოვისა ისინი, ამით დაურღვევია მსოფლიო საეკლესიო კანონები, კერძოდ, მოციქულთა 35-ე, II მსოფლიო კრების მე-2, III მსოფლიო კრების მე-8, კართაგენის 74-ე და სხვა კანონები, და განა კანონდამრღვევი ეკლესია შეიძლება ყოფილიყო მართალი



და მართლმადიდებლური, რომლითაც ამაყობდნენ საქართველოს ეკლესიის წმიდა მამები? ამის თაობაზე შესანიშნავად მიუთითებდა პროკოფი კესარიელი, "რომ ქართველები მართლმადიდებლობის წესებს ყველაზე უკეთ იცავდნენ". სომეხი იერარქები წერდნენ, რომ ქართველები ამაყობენ თავიანთი სარწმუნოებრივი სიწმიდით და თავიანთი საეკლესიო უპირატესობით.

საქართველოს ეკლესია კი თურმე, "ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" თანახმად, არღვევდა უმთავრეს საეკლესიო კანონებს და სხვის იურისდიქციაში იჭრებოდა: - „დასავლეთ საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დასავლეთ საქართველოში „ქართიზაციის“ პროცესს“ [10].

ქართული ეკლესიის "გაბატონებამდე" დასავლეთ საქართველოში, ჩვენი ისტორიკოსების მტკიცებით, თურმე არსებობდა უგრიისისა და აფხაზეთის ეკლესიები, რომლებიც იმყოფებოდნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში, ისინი შემდგომ გაერთიანებულან კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაშივე, მაგრამ IX ს-ში მცხეთის საკათალიკოსოს თითქოსდა "გაბატონების" შედეგად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაუკარგავს მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი ეს მნიშვნელოვანი სამიტროპოლიტოები და საეპისკოპოსოები. საბჭოთა ისტორიკოსი წერს: "ეს საეკლესიო გამოყოფა, როგორც ვთქვით, ერთბაშად არ მოშხდარა. ჯერ ხორციელდება უგრის-აფხაზეთის ეკლესიების გაერთიანება, როგორც კონსტანტინოპოლის სამწყსოში შემავალი ეპარქიისა, რომელსაც სათავეში აფხაზთა კათალიკოსი ედგა (VIII ს-ის ბოლო ან IX ს-ის დასაწყისი); შემდეგ IX ს-ის მანძილზე (საფირებელია, უფრო მის პირველ ნახევარშივე) დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოყოფილი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და მცხეთის ტახტს უერთდება, ხოლო აფხაზთა კათალიკოსი სრულიად საქართველოს კათალიკოსს ექვემდებარება. კონსტანტინოპოლიდან გამოყოფის შემდეგ იწყება ბერძნული კათედრების მოშლა და მათ საპირისპიროდ ქართული საეპისკოპოსო ცენტრების დაარსება". ეს საეკლესიო რეფორმა, ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, საბოლოოდ X ს-ში სრულდება [11].

თუ როგორი რეაქციული იყო ქართული ეკლესიის ეს "პროზელიტიზმი" ანუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შეჭრა — ამის შესახებ ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფია წერს: "ქართველები აქედან სდევნიან ბერძნულ ენას, ბერძნულ ვიწრო ეროვნულ კულტურას, შემოაქვთ და ავრცელებენ საკუთარ, ქართულ ენას, ქართულ ღვთისმსახურებას და ქართულ საეკლესიო-სამონასტრო წესებს. ქართულ კულტურას თან მოჰკონდა ქართული პოლიტიკური შეგნება და იდეალი, ასე რომ მცხეთა ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ელემენტებზე დაყრდნობით) შეიჭრა ლიხთ-იმერეთში, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, ეს საინტერესო ფორმულა წამოაყნა თავისი ორგანიზაციული გაბატონების დასაუმნებლად - "ქართლია" იქ, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზე (მხოლოდ "კვირიელებისონი" შეიძლება ბერძნულად). მირონის კურთხევა "ქართლს" განეწევება. მაშასადამე, ქართლს ნაკურთხი მირონი სავალდებულოა ყველა იმ ეკლესიისათვის, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზე. ცხადია, მცხეთის საკათალიკოსოს მხრივ ეს არის კანონიკური საფუძვლების დაცვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით" [12].

საბჭოთა კავშირის საზღვრების ჩაკეტილობის გამო ბერძნულ სამყაროში და, მათ შორის, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოშიც XX საუკუნის ბოლოსაც არ იცნობდნენ იქამდე სრულიად ახალ საბჭოთა "საისტორიო თეორიას" ქართული ეკლესიის პროზელიტიზმისა და "მისი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის შესახებ" (საბჭოთა ისტორიკოსების სიტყვებია). ცნობილი ბერძენი კანონისტის - მიტროპოლიტ მაქსიმეს 1966 წელს გამოცემული წიგნი "საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია" არ შეიცავს ცნობებს აღნიშნულთან დაკავშირებით. შეიძლება დაისვას კითხვა, რა პრობლემები შეექმნება საქართველოს ეკლესიას სამომავლოდ, თუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ან



უცხოთის რომელიმე ეკლესია ოფიციალურად აღიარებს აღნიშნულ თეორიას, ქართული ეკლესიის შეჭრის შესახებ იქამდე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფ დასავლეთ საქართველოში, ეს თეორია ხომ არ შეუქმნით მათ მყარ სამართლებრივ საფუძველს, რათა ცნონ და აღიარონ სეპარატისტული ეკლესიები აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხებში. მეორე მხრივ ეს თეორია იძლევა კარგ საშუალებას და მასზე დაყრდნობით უკვე აქტებენ ამ კუთხეთა სეპარატისტ მოაზროვნებს, რათა დედაეკლესიად აღიარონ არა საქართველოს წმიდა ეკლესია, არამედ კონსტანტინოპოლის საპატირიარქო. აღნიშნული "საეკლესიო თეორია" ყველაზე უფრო მეტად გაიტანა და გაავრცელა მთელ მსოფლიოში რუსულმა "პრავოსლავნაია ენციკლოპედიამ".

არასოდეს, არც ერთ საუკუნეში, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არ გამოუთქვამს არავითარი თვალსაზრისი ან შენიშვნაც კი „დასავლეთ საქართველოს მის ეპარქიებში“ ქართული ეკლესიის შეჭრის შესახებ. ეს რომ ასე ყოფილიყო, ქართულ-ბერძნული ათასწლოვანი საეკლესიო ურთიერთობების დროს ამის შესახებ ერთხელ მაინც გამოითქმებოდა თუნდაც მცირე შენიშვნა. საქმე ის არის, რომ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ფაზისის სამიტროპოლიტო და მისი ოთხი საეპისკოპოსო, რომელიც მომდევიც თითქოსდა ქართული ეკლესიის მიერ იყვნენ გაუქმებულნი, სინამდვილეში მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველი ერის უძველეს ქვეყანაში, რომელსაც ტრაპიზონის ოლქი ეწოდა. იქამდე კი მას ერქვა "ქალდეა", "სოფელი მეგრელთა". იქ ტრაპიზონის ოლქში მდებარე ჭოროხის ანუ ფასისის მარცხნა სანაპიროზე მდებარეობდნენ ფასისის სამიტროპოლიტო და მისი საეპისკოპოსოები - როდოპოლისისა, საისინისა, პეტრონისა და ზიგანის, როგორც ეს კარგად არის გარკვეული 6. ადონცის მიერ. ეს სამიტროპოლიტო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა, ხოლო მის ჩრდილოეთი მოქცეული მიწა-წყალი ჭოროხიდან ვიდრე მდინარე ეგრისწყლამდე (ვახტანგ გორგასალის შემდგომ მდინარე კლიოსურამდე) - წმიდა ნინოს დროიდანვე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა. ასე რომ, ჩვენი ძველი საეკლესიო მატიანების ცნობებით, დასავლეთ საქართველოში ძველთაგნევე საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა. სხვა საეკლესიო წყაროებთან ერთად ამის შესახებ ხაზგასმით მიუთითებდა "რუის-ურბნისის" საკანონმდებლო კრების ძეგლისწერა - "ანდრია პირველწოდებულმა სახარება იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოსისასა", ხოლო წმიდა ნინომ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია "ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა".

რუის-ურბნისის საკანონმდებლო კრების მონაწილე წმიდა მამების თვალსაზრისით, დასავლეთ საქართველო მუდამ ისტორიული საქართველო იყო, რომლის მოსახლეობა, აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად, მოაქცია წმიდა ნინომ. მაშასადამე, დასავლეთ საქართველოში საეკლესიო იურისდიქცია იმთავითვე მცხეთის ხელში იყო და არა კონსტანტინოპოლისა. დასავლეთ საქართველო ეკლესიურად როდესმე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში რომ ყოფილიყო, ამის შესახებ უთუოდ შემორჩებოდა პირდაპირი ან ირიბი ცნობები თვით ბერძნულ წყაროებშივე, ან რაიმე საყვედურნარევი მინიშნება მაინც იქნებოდა ბერძნი იერარქებისა, ასეთი კი არ არსებობს. მაგალითად, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი ძალზე თბილ და მეგობრულ წერილებს წერდა აფხაზთა მეფეს გიორგი II-ს, X საუკუნის შეს წლებში, როცა საბჭოთა ისტორიკოსების აზრით, მის სამეფოში "ბრძოლა იყო გაჩაღებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ", ასე რომ ყოფილიყო, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი როგორმე მოახერხებდა პროტესტის გაცხადებას აფხაზთა მეფის - გიორგი მეორისადმი (922-957 წწ.), [პატრიარქ მისტიკოსის წერილები გიორგი II-სადმი; გეორგიკა, 1952 წ. IV, ნაკვეთი III]; ერთი სიტყვით, წყაროები არ ადასტურებენ საბჭოურ თვალსაზრისს.

აღმოსავლეთში, ზოგი ქართველი ისტორიკოსის თვალსაზრისით, თვით წმიდა ნინოს საქმიანობა თითქოსდა მიმართული იყო იქითკენ, რომ პერეთში მცხოვრები არაქართული მოსახლეობა (აღბანელე-



ბი) გაექართველებინა. ჩვენი აზრით, ასეთი წარმოდგენა წმიდა ნინოსი ძალზე უცნაურია. ეს ქართველი მეცნიერი წერს: ბოლბე, სუჯეთისა და კამბეჩოვანის საზღვარზე, მეფე მირიანის დროს ახლადშემოერთებული ქვეყანა იყო, აյ "ალბანელებიც (ჰერები) ცხოვრობდნენ ... მათი საბოლოო ასიმილაცია დროის ამბავი იყო". "ჩანს, მირიან მეფის და წმიდა ნინოს ინტენსიური კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მიმართული იყო ჰერეთში ქართული ქრისტიანობის გავრცელებისაკენ... რომელიც წინააღმდეგობას აწყებოდა არა მხოლოდ ალბანელთაგან, არამედ სომხებისგანაც" [13]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წმიდა ნინო "აქართველებდა" არა მარტო ჰერ-ალბანელებს, არამედ, სომხებსაც; ჩვენი მეცნიერის ამ მოსაზრების საპირისპიროდ, მოვსეს ხორენაც მთელი მოსახლეობა "კლარჯეთიდან მასქუთებამდე" (ანუ კასპიის ზღვისპირეთში მცხოვრებ ტომ მასქუთებამდე) - ეთნიკურ ქართველებად მიაჩნია (სადაც იქადაგა წმიდა ნინომ) და არა სომხებად, ანდა ალბანელებად (ჰერებად), როგორც წარმოადგინა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. სომხეური საისტორიო მწერლობის მამა, სომებთა ჰეროლოტედ წოდებული, მოვსეს ხორენაც წერს: "სანატრელი ნუნე წავიდა იქედან (ე.ი. მცხოვრიდან), რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა. გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა. მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე აღანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გვაუწყებს" (მოვსეს ხორენაცი. "სომხეთის ისტორია"; 1984; გვ. 172).

წმიდა ნინოს სომხები, ანდა თუნდაც ალბანელები (ჩვენი მეცნიერის აზრით - იგივე ჰერები) რომ გაექართველებინა, როგორმე ხორენაცი მიუთითებდა ამის შესახებ, მაგრამ ის სულ სხვა რამეს გვაუწყებს, კერძოდ, საზღვრავს ქართველების ეთნიკურ განსახლებას - ესაა კლარჯეთი, ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე (ე.ი. დარიალამდე) და ვიდრე მასქუთთა საზღვრამდე - ამ საზღვრებში ქართველები სახლობენ, მათ უქადაგა წმიდა ნინომ; ასე რომ, დარიალის კარამდე მცხოვრები დვალები გაქართველებული ვაინახები არ იყვნენ, როგორც წარმოუდგენია საბჭოური ეპოქის ისტორიოგრაფიას, არამედ - ქართველები, ასევე მასქუთების ქვეყნამდე, ანუ აღნიშნულ მტკვარ-არაქსის შესართავამდე მცხოვრები ჰერები მ. ხორენაც ეთნიკურ ქართველებად მიაჩნია და არა ალბანელებად. მისგან განსხვავებით ქართველი მეცნიერი ფიქრობს, რომ წმიდა ნინოს "პროზელიტიზმის სიმბოლო" აღუმართავს ახლადშემოერთებულ ალბანურ ქალაქ ბოლისში (ე.ი. სადღაც უჯარმა - ბოლდებში) და წერს - "მგონია ასე უნდა გავიგოთ წმიდა ნინოს გადაწყვეტილება, რომ ჯვარი - ქრისტიანული პროზელიტიზმის სიმბოლო - დროებით "ალიმართოს იგი უჯარმას ქალაქება და დაბა ბოლისი არა წინ აღუდგეს ქალაქება მას მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მუნ" [დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, 2003, გვ. 38.], ასე იქცა ჩვენი მეცნიერის სიტყვით, "ორი ფაქტობრივად ეთნიკურად ერთმანეთისაგან განსხვავებული ქვეყანა ერთ კულტურულ ერთეულად". აქედან ჩანს, რომ საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსების აზრით, წმიდა ნინო ქართლის გარდა, ალბანეთშიც მოღვაწეობდა და მან ალბანეთის ქვეყნის ერთი ნაწილი ქართულ ეკლესიას შემოუერთა. ბოლბის მიჩნევა არა ქართლის, არამედ ალბანეთის ქალაქად, ქართულ წყაროებს ეწინააღმდეგება; წმიდა ნინო, ქართველთა განმანათლებელია და არა ალბანელებისა. ჯვარი არ არის პროზელიტიზმის სიმბოლო, საქართველოს ეკლესიას ჯვარი პროზელიტური მიზნით არასოდეს გამოუყენებია, მით უმეტეს, არაქართული ტომების "ასიმილაცია-გაქართველების" მიზნით; ასეთი მოსაზრება უსაფუძვლოა, იგი არ ეყრდნობა წყაროებს.

იღვა მართლის სიტყვით - „პატკანოვის შეგირდი“, "ქართიზაციის" ყალბი თეორიის ერთ-ერთი ავტორი, ნ. მარი "მეცნიერულად ასაბუთებდა" ერთიანი ქართველი ერის არარსებობას. მან ქართველი ერის სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს "იაფეტური" ხალხები დაარქვა, ხოლო ქართველურ და მის მონათესავე ენებს - "იაფეტური" და "თუბალ--კაინური". ნ. მარმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა



"დაესაბუთებინა", რომ თითქოსდა მეგრელები არ იყენებ ქართველები. ერთი წევაროს არასწორი კომენტირებით მან ქართველ მეცნიერებს მიაღებინა დოგმა თითქოსდა "ქართების" ტომმა კულტურულ-ეკლესიური ზემოქმედების საშუალებით მეგრელი "ხალხი" "გააქართველა" IX-X საუკუნეებში. ივნე ჯავახიშვილმა პასუხი გასცა ამ ყალბ თეორიას და დაასაბუთა, რომ ქართული ენა არათუ IX-X საუკუნეებში იქცა დასავლეთ საქართველოში კულტმსახურების ენად, არამედ თვით წარმართობის დროსაც კი დასავლეთ საქართველოში – სამეგრელოსა და სვანეთში, წარმართული კულტმსახურება ქართულ ენაზე აღსრულებოდა [14]. მიუხედავად პატეკანოვ-მარის "ნაღვაწიდან" გენერირებული სიყალის მხილებისა ივანე ჯავახიშვილის მიერ, აღნიშნული "თეორია" დღესაც განაგრძობს დამანვრეველ მოქმედებას ქართული ეროვნულ-სახელმწიფო ობიექტებისა ცნობიერებისა.

ე.წ. "ქართიზაციის" თეორიის გაცნობის შემდეგ თვით ქართველები ივიწყებ ნაციონალურ ინტერესებს და კუთხეურობის აპოლოგეტები ხდებიან. ამის ერთი კარგი მაგალითია 1994 წელს გამოცემული წიგნი "სვანურ-ქართული ლექსიკონი, ჩოლორული კილო". ამ წიგნის შესავალში წერია: "აღმოსავლეთ საქართველოში იბერების მოქმედებით განადგურდა სვანური მოსახლეობა" (ა. ლიპარტელიანი. სვანურ-ქართული ლექსიკონი, ჩოლორული კილო. 1994, გვ. X),<sup>5</sup> სხვა მსგავსი ციტატები ამ წიგნიდან: "მირიანმა სასტიკად დასაჯა ეს ... ჰერი-წანარი-სვანები, ვინც ულეტას გადაურჩა, აყარა და დაასახლა ახლანდელი სვანეთის ტერიტორიაზე, რბევას გადარჩა აღბანეთის მოსაზღვრე ტერიტორია" (იქვე, გვ. XI). ამ, კიდევ ამონარიდები ამ წიგნიდან: "ჰერების კულტურულ-ეთნიკური შერწყმა ქართულ ტომებთან, ჰერების ასიმილირება დაიწყო ძვ.წ. II-I სს. მიჯნაზე" (საქ. ისტ. ნარკ. ტ. II, გვ. 402). "აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მის იბერიზაციამდე სვანური მოსახლეობა იყო" (ა. ლიპარტელიანი, "სვანურ-ქართული ლექსიკონი, ჩოლორული კილო". 1994, გვ. XIII). ეს ქართველი მეცნიერი თავის წიგნშივე უთითებს მისი აზრების წყაროს - ესაა ნიკო მარი და იმოწმებს ნ. მარის რუსულენოვან წიგნებს - ნიკო მარი, "მოგზაურობა სვანეთში" (1911-1912 წწ.) და ნ. მარი, "ზე - მცენარეულობის იაფეტური სახელები" (1913 წ.).

ამგვარადვე, ფაზისის აკადემიის ერთი ქართველი წევრი წერს: „523 წელს კი სპარსეთმა ბოლო მოუღო იბერიის მმართველობას, იბერიის მეფე გურგენი თავისი მრავალრიცხოვანი ამაღლით ბიზანტიაში გადაიხვეწა, ხოლო სპარსეთის ვერაგული გეგმის თანახმად სახელმწიფოს მართვის სათავეში მოდიან ქართები, მაგრამ სახელმწიფო სუვერენიტეტის გაწირვის ფასად და იმსანად ქართების მმართველთა ქმედება ხელისუფლებაში მოსასვლელად არაკანონზომიერი და მოღალატური იყო“ [კ. ფიფა, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი, „უნდა ითქვას სიმართლე“, ურნალი ცოტნებიდელი, ტ. II, 2005-08 წწ.].

თუ ჩვენი ზოგი ისტორიკოსი ყველა ქართულ თემსა და ტომსა საკუთარ წინაპარს გამოუქმებნის - მაგალითად, ინგილოგებსა და კახელებს - ჰერ-ალბანელებს, ფშავ-ხევსურებს - ვაინახებს, ქვემო ქართლელებს - სომხებს, დასავლელ ქართველებს - ადიღე-ჩერქეზებს და ა.შ. თუ განაცხადებენ, რომ დასავლეთ საქართველოში სხვა ეთნოსი ჩამოყალიბდა, რომელიც შემდეგ "ქართიზებულ" იქნა - ერი და სახელმწიფო დაიყოფა. მთო უმეტეს, რომ წყაროები, თუ მათ კარგად და სწორად წავიკითხავთ, მიკერძოების გარეშე, არ იძლევა ამის უფლებას, პირიქით, ჩვენი წყაროები: "მოქცევაი ქართლისაი" თუ "ქართლის ცხოვრება" ღაღადებენ, რომ ქრისტეს შობამდე შექმნილი ერთიანი საქართველოს - "ქართლის სამეფოს" მოსახლეობა იმთავითვე იყო ქართველი ხალხი და ამ სახელმწიფოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. ეგრისწყალზე გადობდა აზონისა და ფარნავაზის დროს; თუ რას ნიშნავს წყაროს ეს მითითება, გვიხსნის წმიდა ამბორის ხელაია: "ჯერ კიდევ არაქარისტიანი ქართული ტომის მოდგმება შექმნეს პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით - ერთადერთი მატარებელი წინა აზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული



ჰუმანიზმისა". მაშასადამე, კათოლიკოს - პატრიარქ წმიდა ამბროსი ხელაიას და ზოგადად საქართველოს წმიდა ეკლესიის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ გაქრისტიანებამდე I-IV საუკუნეებამდე, ქართველთა მოღვამა შექმნა დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მომცველი ერთიანი სახელმწიფო, მატარებელი ერთიანი ქართული კულტურისა.

რუსულ იმპერიას ჩვენი ისტორიოგრაფებისათვის თავისუფალი მუშაობის საშუალება რომ მიეცა, საჭირო არ იქნებოდა ჩვენი მოსაზრებების გამოთქმა და არც წმიდა ეკლესია განაჩენდა შემდეგს: "დაუშვებელია ისტორიის გაყალბება - მეგრელებისა და სვანების მწიგნობრობისა და ქრისტიანული კულტურის არმქონებად გამოცხადება და ამ კუთხის შვილებისათვის XXI საუკუნეში ბიბლიის თარგმნა, რაც უპირველეს ყოვლისა მიზნად ისახავს ერის გათიშვას და ქვეყნის მთლიანობის დარღვევის მცდელობას" [15].

ამჟამად გარკვეული ქართული წრეები ისე წარმოადგენებ საქმეს, თითქოსდა რუსულ "პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში" მხოლოდ ტაო-კლარჯეთის ეთნიკური და კულტურული სახე იყოს დამანიჩვებული. სინამდვილეში აქ საქართველოს ყოველი კუთხის და, საერთოდ, ქართველი ერის ისტორიაა გაყალბებული. როგორც თანდართული ლიტერატურის ჩამონათვალიდან ჩანს, სტატიების ავტორები ქართულ ოფიციალურ ისტორიოგრაფიას ეყრდნობოდნენ. "პრავოსლავნაია ენციკლოპედიას" მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველო, კერძოდ კახეთის და მცხეთის აღმოსავლეთით მდებარე შარეები, ისტორიული აღბანეთის მიწა-წყლადაა გამოცხადებული, აღბანელები კი აზერბაიჯანელი ერის წინაპრებად მიიჩნევა, ჰერები - აღბანელი ხალხის ერთ-ერთ ჯგუფადაა წარმოდგენილი. ბოდბე, გურჯაანი, საინგილო და მახლობელი მხარეები - აღბანელების ანუ აზერბაიჯანელების წინაპრების ისტორიულ საცხოვრისად მოიაზრება. საქმე ისაა, რომ ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ეკლესიის ისტორიის გაყალბება, წყაროებზე ჟერლა და მისი მონაცემების თვითნებური ინტერპრეტირებით ყალბი დასკვნების მიღება, ჯერ თვით საქართველოს მეცნიერთა მიერ და შემდგომ მათი დამოწმებით უცხოელ ავტორთა მხრიდან. კერძოდ, "პრავოსლავნაია ენციკლოპედიას" სტატია "აღბანეთის საკათალიკოსოს" რუკის მიხედვით, მცხეთის აღმოსავლეთით მდებარე მიწა-წყალი (ქვემო კახეთი) - აღბანეთის საკათალიკოსოს ოურისდიქციაში შემავალ ტერიტორიად მიიჩნევა.

რუსულ "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" სტატიაში: "აღანის სამიტროპოლიტო" აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, კერძოდ ახალგორის, ყაზბეგის და მიმდებარე მიწა-წყალი წარმოდგენილია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ აღანის სამიტროპოლიტოს იურისდიქციაში, მრავალი ქართული ეკლესია-მონასტერი და, რაც მთავარია, მიწა-წყალი აღანურ-კონსტანტინოპოლურადა გამოცხადებული. (2008 წლის აგვისტოს შემდეგ ცხადი გახდა რისთვის დაიწერა რუსულ "პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში" ამდენი იყვალბე საქართველოს შესახებ).

დასავლეთ საქართველოში ამავე "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" სტატიის "აფხაზეთის საკათალიკოსო"-ს მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა არაბების დროს გადასახლდა იქ და შეიტანა ქართული ენა და კულტურა". ეს თითქოსდა იმის შედეგად მოხდა, რომ იქამდე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფ დასავლეთ საქართველოში შეიტრა მცხეთა და იქ გაბატონდა. აფხაზი სეპარატისტებიც ამ თვალსაზრისს არიან ჩაჭიდებულნი; 2005 წელს გამოიცა "აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მოქლე ნარკვევი" მღვდელ-მონაზონ დოროთე დბარის ავტორობით, სადაც დამოწმებულია რუსული "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" აღნიშნული სტატია - ქართველების დასავ-

5 თავისთავად, სადაცა ის ფაქტი, რომ ლექსიკონს თარგმნითის კვალიფიკაცია აქვს მინიჭებული და არა განმარტებითისა (რადგან სინამდვილეში სვანური ლექსიკა ქართული სალიტერატურო ენით განიმარტება და არა ითარგმნება, როგორც ეს იქნებოდა უცხო ენასთან მიმართებაში).



ლეთ საქართველოში გადასახლების შესახებ VIII-X სს-ში. ავტორი ეჭვმიუტანელ ფაქტად მიიჩნევს თვალსაზრისის, რომ დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა და იქ დავთისმსახურებისათვის ეკლესიებში არა მხოლოდ ბერძნული, არამედ აფხაზური ენაც გამოიყენებოდა, ხოლო შემდეგ თითქოსდა ეს "ეკლესია და აფხაზური სახელმწიფო ქართველმა აგრესორებმა ქართული ეკლესის წინამდლოლობით დაიპყრეს და აფხაზური ეკლესია ჩაკლეს" [16].

მაშასადამე, ჩვენში ისტორიულად ორი თვალსაზრისი ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს იურის-დიქციის შესახებ. პირველის მიხედვით დასავლეთ საქართველო IV საუკუნიდანვე უწყვეტად საქართველოს ეკლესიის წიაღში იმყოფებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ასახა რუის-ურბნისის კრებამ, ამჟამად ეს თვალსაზრისი უარყოფილია და საყოველთაოდაა აღიარებული მეორე თვალსაზრისი, რომ IX-X სს-მდე დასავლეთ საქართველო ბერძნული ეკლესიის წიაღში იმყოფებოდა.

სამწუხაროდ, 2007 წელს, გამოცემული „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“-ს მე-13 ტომში ერთადერთ ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებადა გამოცხადებული ზემოთ აღნიშნული მეორე თვალსაზრისი, რომ დასავლეთ საქართველო IX-X სს-ში ბერძნული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა. შესაბამისად უარყოფილია ძველი ქართული საეკლესიო თვალსაზრისი. უკვე ნახსენები რუსული ენციკლოპედიის მე-13 ტომში სტატიის ავტორის სიტყვით – წმიდა ნინო მხოლოდ ქართლის, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს განმანათლებლადაა წარმოდგენილი და ისეა მიწოდებული მკითხველისადმი, თითქოსდა ის ერთადერთი თვალსაზრისი იყოს, მაშინ როცა ივანე ჯავახიშვილის სიტყვით: „ქართველებს იმთავითვე წმიდა ნინო ერთიანი ქვეყნის, ერთიანი საქართველოს განმანათლებლად მიუწევიათ და არა მისი ერთი რომელიმე ნაწილისა“. მართალია „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“-ს მე-13 ტომის ავტორები მიუთითებენ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქციის წყაროთა სიმწირის შესახებ, მაგრამ ძალზე სამწუხაროა, რომ დუმან და ოზნაც მინიშნებასაც კი არ აკეთებენ იმის შესახებ, რომ ამ საკითხს თავისი განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რუის-ურბნისის კრებამ და მიიღო შესაბამისი განსაზღვრება, როგორც ჩანს რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“-ს ქართველ ავტორებს არ მიაჩნიათ წყაროდ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქციის კვლევის საქმეში.

ჩვენი თვითმიზანი არ არის „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“-ში გამოთქმული თვალსაზრისის კრიტიკული განხილვა, ჩვენ ამ საკითხით საერთოდ არც დავინტერესდებოდით, ის რომ არ ეხებოდეს საქართველოს ეკლესიის და საერთოდ ქართველი ერის მთლიანობის საკითხს. საბერინეროდ, ჩვენზე გაცილებით ადრე ივ. ჯავახიშვილი შეეხო სწორედ ამ თემას, გამოწვლილვით განიხილა და მოგვცა დიდებული დასკვნა. ნიშანდობლივია რომ „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“-ს ავტორებმა არ გაითვალისწინეს ივ. ჯავახიშვილის ეს დასკვნა და შეფასება.

XV ს-ში საქართველოს დაშლა-დანაწევრების შამს ჩამოვიდა ანტიოქიის პატრიარქი მიხეილი, რომელმაც ივ. ჯავახიშვილის სიტყვით „შეთხზა თეორია საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დასარღვევად, ქართველი ერის საუკეთესო შვილთა საუკუნოვანი ბრძოლით მიღწეული მონაპოვრის, საქართველოს ეკლესიის თავისუფლების მოსასპობად, მისი მთლიანობის დასარღვევად“ [ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. III, 1982, გვ. 340].

მაინც რა თეორია შეთხზა უცხოელმა იერარქმა? ეს თეორია, რომელიც თითქოსდა ხელახლა გაცოცხლდა აღნიშნული ენციკლოპედიის ფურცლებზე, შემდეგში მდგომარეობს: ანდრია მოციქული არაა განმანათლებელი სრულიად საქართველოსი, ასევე წმიდა ნინო მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილის განმანათლებელია. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „გიორგი მთაწმიდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელი და ნიკოლოზ კათალიკოსი ამტკიცებენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“, ხოლო შემდგომ



ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმიდა ნინომ, რომლის სასწაულომოქმედებამ და ქადაგებამ „მიზიდა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“, ნიკოლოზ კათალიკოსიც, წმიდა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად თვლიდა „ჩვენ ქართველთაისა“ („სასწაული სვეტიცხოვლისა“). ერთი სიტყვით ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი. „საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღწოდნენ. ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი, სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულ შემეცნებას სპობდა“ [ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, გვ. III, გვ. 340].

სამწუხაროა, რომ ძველ ქართულ სახელოვან მეცნიერთა (ივ. ჯავახიშვილის შეფასება) მიერ ბოძებულ შემეცნებას სპობს ზოგიერთი ახალი ქართველი მეცნიერი, თანაც ისეთი უმაღლესი საერთაშორისო საეკლესიო ორგანოდან როგორიცაა „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“.

მაგალითად, ძველი ქართული წყაროების საწინააღმდეგოდ „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“-ს მე-13 ტომის ავტორები (გვ. 200) ნოტიციებზე – ბიზანტიურ კათედრათა ნუსხებზე დაყრდნობით მიიჩნევენ, რომ დასავლეთ საქართველოში VI-IX სს-ში არსებული საეპისკოპოსოები კონსტანტინოპოლის იურის-დიქტიაში იმყოფებოდნენ. თითქოსდა „ეგრისის სამეფოში I ნოტიციის მიხედვით არსებობდა ლაზიკის ეპარქია, რომლის ცენტრი იყო ფაზისის (ფოთის) სამიტროპოლიტო ოთხი საეპისკოპოსო კათედრით – როდოპოლისი (ვარციხე), საისინი (ცაიში), პეტრა (ციხისძირი), ზიგანა (ზიგანისი, გუდავა), და აბაზგის ეპარქიის სებასტოპოლის (ცხუმის) ავტოკეფალური საეპისკოპოსო კათედრა (გვ. 200). თითქოსდა შემდგომ ისინი ქართულმა ეკლესიამ კონსტანტინოპოლს ჩამოაშორა. ვშიშობთ, რომ ეს არასწორი თეორია, გავრცელებული მთელ მსოფლიოში "პრავოსლავნაია ენციკლოპედია" მიერ, დიდ საფრთხეს შეუქმნის სამომავლოდ საქართველოს ტერიტორიულ და საეკლესიო მთლიანობას.

რუსულ "პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში", დასავლეთ საქართველოს მსგავსად, სამხრეთ საქართველოც არაქართულ ქვეყნადაა გამოცხადებული, სადაც, თითქოსდა, ქართული ეკლესიის გაბატონების შემდეგ მოხდა მკიდრი "სომხების" გაქართველება. "სომხების" გაქართველების "თვალსაზრისი" იმდენადაა გავრცელებული, რომ მან უკვე ქართულ საეკლესიო გამოცემებშიც შეაღწია. მაგალითად, ცნობილი ავტორები წერენ: კათალიკოსმა კირილ I ქვემო ქართლში "არაქართული მოსახლეობის გასაქართველებლად მარჯვედ გამოიყენა პოლიტიკური ვითარება" [17].

სომეხი ავტორები და არა მხოლოდ ისინი, ასეთ, სტატიებს საფუძვლად უდებენ თეორიას, რომ ქვემო ქართლი და საერთოდ სამხრეთ საქართველო სომხური ქვეყნა იყო, რომელიც ეკლესიის მიერ "გაქართველდა". ესაა ე.წ. "ქართიზაციის" თეორია, რომელიც ქართული საბჭოთა ოფიციალური ისტორიოგრაფიისათვის უეჭველ დოგმად იქცა და ეს უკანასკნელი მას ავითარებდა მთელი XX საუკუნის განმავლობაში, აღნიშნული ტენდენცია კი XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში რუსული სოკუპაციით რეჟიმების დამყარებით წარმოჩნდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში.

ერთი სიტყვით რუსულ "პრავოსლავნაია ენციკლოპედიას" სხვადასხვა ტომში გამოქვეყნებული სტატიები ქართული თანამედროვე ისტორიოგრაფიის ნაკლსა და მარცხს წარმოადგენს. მოსალოდნელი იყო, რომ სამეცნიერო წრეები ამ საკითხის განსახილველად გამართავდნენ მსჯელობას და მოხდებოდა სამეცნიერო აზრის ურთიერთგაცვლა, მაგრამ არავინ დანტერესებულა ამ პრობლემის განხილვით.

საქმე ისაა, რომ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელიც ეყრდნობა "ქართიზაცია - გაქართველების" ყალბ თეორიას (რაც თითქოს ეკლესიის წინამდლოლობით ქართის ტომმა VIII-X სს-ში მოახდინა), არ შეუძლია ამჟამად საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა.



აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა უკანასკნელ ხანს (2008 წლის აგვისტო) მომხდარი, მორიგი რუსული აგრესია და ანექსია საქართველოს წინააღმდევ - რაც მზადდებოდა დიდი ხნით ადრე და გარდა მილიტარისტულისა შედგებოდა ინტელექტუალური დივერსიის მდგრელისაგან, რომელიც ცხადია დაფუძნებულია "ქართიზაციის თეორიაზე";

ქართული ისტორიოგრაფია, საქართველოსათვის დამდგარი შედეგების გათვალისწინებით, აღნიშნული ეროვნულ-სახელმწიფო ობიექტი და საეკლესიო მთლიანობის პრობლემის გადაჭრას შეძლებს, თუ ის გაიზიარებს ძველი ქართველი ისტორიკოსების თვალსაზრისს, რომ ქართველი ხალხი ჩამოყალიბდა არა VIII-X სს-ში ეკლესიის მეოხებით მეზობელი ტომების ქართიზაციის შედეგად, არამედ ისტორიაში გამოჩენის დროს ქართველი ხალხი წარმოადგენდა ეთნიკურად მთლიან, ერთ ხალხს, ერთი ენითა და კულტურით, რომლის საცხოვრისი მოიცავდა დასავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს, რომ იმთავითვე ქართველები იყვნენ არა მხოლოდ შიდა ქართლის მოსახლეობა, არამედ - ეგრისელები, სვანები, კახელები და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა, რომ მათ ჰქონდათ ერთი ენა (სუსტად დიფერენცირებული ფუძექართული ენა), რომელსაც დაეყრდნო საღვთისმეტყველო ლიტურგიკული ენა (ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ), რომ მხოლოდ შემდგომ დაიწყო ამ ერთიანი ენის შიგნით დიალექტების წარმოქმნა. ასეთი ვითარება არ არის უპრეცენტო (მაგალითად, ერთი სლავი ხალხი იქამდე ერთიანი ენის მქონე მხოლოდ გაქრისტიანების შემდეგ დაიყო სხვადასხვა დიდ ენობრივ ჯგუფებად).

ერთი ენისა, მმართველობისა და ერთი ეკლესიის არსებობის შესახებ მოგონებები დაუცავს ჩვენი ხალხის ისტორიულ მეხსიერებასაც კი. მაგალითად, ცნობილი საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხი ისმალეთის საქართველოდან დაბრუნების შემდეგ გაოცებული იყო ლაზთა შორის შემორჩენილი ისტორიული მახსოვრობით, რომ მათ ოდესლაც თავდაპირველად, დანარჩენ სხვა ქართველებთან ერთად ჰქონიათ საერთო ენა, ერთიანი სახელმწიფო (მმართველობა) და ერთი სარწმუნოება. ის თავის წერილში „ოსმალეთის საქართველო“ წერდა: „იმათ ახსოვთ, რომ ჩვენი თანამოძმენი არიან, რომ ერთ დროს საზოგადო ისტორიული ცხოვრებით გვიცხოვრია ერთს ბედსა და უბედურების ქვეშ ვყოფილვართ, ერთი მეფები გვყოლია, ერთი მმართველობა და ერთი ენა, სარწმუნოება გვქონა“.

კიდევ უფრო ადრე იმავეს წერდა წმიდა დიმიტრი ყიფიანი როცა რუსული ხელისუფლება შეეცადა სამეგრელოს სკოლებიდან და ეკლესიებიდან ქართული ენის განდევნას – „მოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკლესიო და საკულტო ენა სამეგრელოში და იქ ეს ენა ყველას ესმის, ამჟამად კი ახალ კულტურას ნერგავენ. მეგრულ ენას ასწავლიან სხვა ანბანის საშუალებით“ [18].

ფაქტი ერთიანი ქართველი ხალხის ქრისტიესმობამდე არსებობის შესახებ დაფიქსირებულია ძველ ქართულ წყაროებში, მაგალითად, როცა "მოქცევაი ქართლისა" აღნიშნავს, რომ აზონი დაადგინეს მეფედ მთელი ისტორიული საქართველოს, რომ მისი პირველი, ერთიანი "ქართლის სამეფოს", დასავლეთ საზღვარი გადიოდა ძირიანე ეგრისწყალზე, ცხადია, იგულისხმება, რომ ეგრისწყალთან მდებარე ეგრისი ქართლია, ქართლის სამეფოს ნაწილია, და მისი მოსახლეობა ქართველი ერის ნაწილია, რადგანაც აზონის ეპოქაში, ქრისტიესმობამდე IV-III საუკუნეებში, პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს საზღვრები "მოქცევაი ქართლისა"-ის მიხედვით ასეთი იყო: "საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხეთი და მთა ცროლისა" [19]. ამავე თვალსაზრისს ატარებს "ქართლის ცხოვრება". ყველა მეფე, უკლებლივ, ფარნაგაზიდან ვახტანგ ვორგასალმდე, ფლობს დასავლეთ საქართველოს, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა უბჟველად ქართული იყო (ჩვენი საეკლესიო წყაროების ცნობით) და ამ მოსახლეობას არ ესაჭიროება არავითარი "ქართიზაცია – გაქართველება". როგორც აღინიშნა, ამავე თვალსაზრისს გამოთქვამს რუსიურბნისის კრების ძეგლისწერაც, სადაც ანდრია პირველწოდებული მთელი საქართველოს მომაქცევლად, ხოლო წმიდა ნინო მთელი ქართველი ერის გამაქრისტიანებლად იწოდება.



თუ ოფიციალური ისტორიოგრაფია არ გაიზიარებს ძველ ისტორიკოსთა თვალსაზრისს, ცხადია, ვერ შეძლებს რუსული ვერც "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" და ვერც ეწ. სეპარატისტთა (სინამდვილეში - მეზობელი იმპერიის მქონეურთა) მიზნების ჯეროვან შეფასებას და ქვეყნის დაცვას დეზინტეგრაციის და ტერიტორიული რღვევის, გარედან ინიცირებული პროცესებისაგან.

### დასპვნა

ქართველი ერის მთლიანობის დასარღვევად პატკანოვის მიერ შემუშავებული თეორია, მართალია, დაძლეული იქნა წმიდა ილია მართლის მიერ, მაგრამ საბჭოთა რეჟიმის დროს ის აღორძინდა ეწ. „ქართიზაციის“ თეორიის სახით და XX ს-ის 30-იანი წლებიდან გადაიქცა ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთადერთ მიმართულებად. ამ თეორიას იზიარებს და ეყრდნობა თითქმის ყველა ნაბეჭდი საისტორიო ნაშრომი. ამ სახით პატკანოვ-მარის საისტორიო თეორია, ამჟამად, უკვე დამკვიდრდა ერთადერთად და შეუცვლელად. ეს თეორია კი საშიშია ქართული სახელმწიფოებრიობისათვის, ძირს უთხრის ქართველი ერისა და ეკლესიის მთლიანობას. მას, ვითარცა ერთადერთ ჭეშმარიტ საისტორიო თეორიას ასწავლიან ყველა საერო სასწავლო დაწესებულებაში. ჩვენ იმდი გვქონდა, რომ სასულიერო სასწავლებლებში მაინც თავს აარიდებდნენ „ქართიზაციის“ თეორიას, მაგრამ სასწავლო პროგრამებიდან ჩანს, რომ მან სასულიერო სასწავლებლებშიც შეაღწია, რაც ძლიერ საშიშია საეკლესიო მთლიანობისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და საეკლესიო მთლიანობისათვის გადაუდებელ აუცილებლობად მიგვაჩნია აღდგეს საღვთისმოსავო მადლით მოსილი ავტორიტეტი ძველი ქართული საისტორიო წყაროებისა და რუის-ურბნისის კრების მამების "ძეგლისწერისა", დიდი ილია მართალის (ჭავჭავაძის) და დიმიტრი ბაქრაძის სამეცნიერო მიმართულებისა ისტორიოგრაფიასა და ენათმეცნიერებაში.

**საქართველოს საპატრიარქოსთან შექმნილი, საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია**



ଲୋକପାତ୍ରାବ୍ଦୀ

1. ილია ჭავჭავაძე. ქვათა დაღადი. გამოცემის რედაქტორი: თენგიზ სანიკიძე; გამომცემლები: დ. გვიჩიანი, მ. მხეიძე, ბ. კუდავა. თბილისი 1994 წ. <http://www.nplg.gov.ge/frames.php>

2. დიმიტრი ბაქრაძე. პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები. დროება; 1884., 1-5 მაისი; 94-98. // დიმიტრი ბაქრაძე. პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები. თხზულება დიმიტრი ბაქრაძისა - თბილისი: ზ. ჭიჭინაძის გამოც., 1884: ექვთ. ხელაძის სტ.; დაცულია: სპე; პალატა; საქ. მუზ.; გრიშაშვილი; არქივი; ქუთაისის საჯარო; ქუთაისის უნ-ტი; რუსეთის ეროვნული ბიბ-კა [სპბ]; რუსეთის მეცნ. აკად. ბიბ-კა [სპბ].

3. ს. ჯორბენაძე. ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, 1984 წ. გვ. 48.

4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი X, გვ. 458, 460. თბილისი 1986 წ.

5. ივ. ჯავახიშვილი. თხზ. ტ. I., გვ. 152.

6. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე. დედაეკლესია. გამომც. „განათლება“ 1996 წ., გვ. 191-193.

7. იქვე, გვ. 208-209.

8. დ. მუსხელიშვილი. ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, II საერთაშორისო სიმპოზიუმი, 24-26 ნოემბერი, 2005.

9. ტ. ფუტკარაძე. ქართველები. გამომცემლობა: "ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი", 2005, გვ. 42-77.

10. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. „საქ. სსრ“, 1981 წ. გვ. 61.

11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბილისი 1973, გვ. 427.

12. თ. პაპუაშვილი. ადრეფეოდალური ხანის ქართული ლიტერატურა და საისტორიო მწერლობა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, თბილისი, 1973, გვ. 574-601.

13. დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, 2003, გვ.38.

14. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. გამომცემლობა "მერანი" 1998 წ., ტომი მეორე, გვ. 269-270.

15. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომის ოქმი, 23, 2005, საპატრიარქოს უწყებანი, 45, გვ. 7.

16. Èåðîíàð Äîðîôåé (Äáàð). "Èåðòèèé î÷åðêèñòîðèè Äáðàçñêé Íðàâî ñëàâîîé Öåðêâè", Íîâûé Äôîí, 2005 ა.

17. "საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები", თბილისი 2000 წ., გვ. 28.

18. ა. ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, 2003, ტ. III, გვ. 72.

19. "მოქადაგი ქართლისაი", ძეგლ. I, 1964 წ., გვ. 81.



## საღვდელოთა განვითარების ღგაწლის 30 წელი



1981 წლის 17 მარტი.  
არქიმანი ანანია ჯაფარიძის  
ქადაგისად მეტობები  
უმცირესი და უნიკალური  
იდია II-ის მიერ

სამშა ათეულმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც 1981 წლის 15 მარტს, სვეტიცხოვლის ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა იღლია II-მ ეპისკოპოსად აკურთხა ქართული მართმადიდებლური ეკლესიის გამორჩეული მსახური, წმინდა სინოდის წევრი, მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ანანია ჯაფარიძე.

მეუფე ანანიას მიერ განვლილი გზა დედაეკლესიისადმი თავდადებული მსახურების ნათელი მაგალითია. მისი ბრძოლა მესხეთში ქართული ეკლესიისა და ქართველი მრევლის ერთიანობისათვის – გმირობის ტოლფასია. მღვდელმთავრად მეუფე ანანიას მოღვაწეობის წლებში აღსდგა ღვთისმსახურება ათეისტების ბატონობის დროს გაუქმდებულ ზარზმის, ვარძიის და საფარას მონასტრებში, სოფლების: ივლიტას, ხვილიშას, ახალდაბის, სადგერის ეკლესიებში, გაიხსნა ეკლესიები აბასთუმანში, ბორჯომში, ალგეთში, კოდასა და სხვაგან. მისი მზრუნველობით, ახალციხეში დაარსდა სასულიერო სასწავლებელი. მეუფეს ყოველი ქადაგება მოწოდებაა ქრისტიანული რწმენის, სულიერი სიწმინდის, ურთიერთსიყვარულისა და მიმტევებლობის, მაღალი ზნეობისა და ერთსულოვნების დასაცავად.

მეუფე ანანიამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა, როგორც საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარმა. ხანგრძლივი მეცნიერული მოღვაწეობით მან საფუძველი ჩაუყარა სრულიად ახალ მიმართულებას – საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის კვლევას. მისი ოთხტომეული “საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია” განცვიფრებას იწვევს განსახილველი საკითხების ორიგინალურად დასმით, მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზით, მკვლევარის არაჩვეულებრივი აღღოთი, ურთულესი პრობლემების გადაჭრის გზების მიებით და, რაც მთავარია, დასაბუთებული დასკვნებით.



ქართველი ერისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი შენაძებია მეუფის ავტორობით გამოცემული სამტომეული “საქართველოს საეკლესიო კრებები”, როგორც ქართული საეკლესიო სამართლის ისტორიის შესანიშნავი ძეგლი. მონოგრაფიები “ქართველთა ბიბლიური ისტორია ადამიადან იესომდე”, “საინგილო”, “მესხეთი”, “დედალვითისმშობელი – შემწე ქართული ენისა”, “ქართველთა დენაციონალიზაცია XVII – XX საუკუნეებში”, შრომები: “ქრისტიანობა საქართველოში ანდრია პირველწოდებულიდან წმინდა ნინომდე”, “საქართველოს საპატრიარქოს ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიხში”, “აფხაზების საცხოვრებელი ადგილი ჩრდილო კავკასიაში”, “დედაეკლესია” და სხვა, სამაგიდო წიგნებია ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოსა და ჩვენი ეკლესის ისტორიით დაინტერესებული მრევლისთვის. ახალგაზრდობა, აკადემიური წრები და მთელი საზოგადოება უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ მეუფის ინიციატივით სამეცნიერო-საისტორიო ჟურნალის “სვეტიცხოველის” აღდგენას, რომელიც წმინდა კირიონ II-მ დააარსა 100 წლის წინათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეუფის ბიოგრაფიის ის პერიოდი, როდესაც უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 2001 წელს, ევროპისა და მსოფლიოს გამორჩეული უმაღლესი სასწავლებლების დარად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საფუძველი ჩაეყარა თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს, რომელმაც ღირსეული ადგილი დამკვიდრა ეროვნულ საგანმანათლებლო სივრცეში, როგორც მეცნიერებასა და სარწმუნობას შორის გადებულმა სიბრძნის ხიდმა. სწორედ ამავე წლის 15 ნოემბერს საქართველოს ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის მანვლისის უძველეს ტამარ-ში მეუფე ანანია პატრიარქის მიერ აღვლენილ იქნა მიტროპოლიტის რანგში, ხოლო შემდგომ კი ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი საბჭოს გადაწყვეტილებით მას, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორის წოდება მიენიჭა.

განვლილი ათი წლის განმავლობაში 35000-ზე მეტი სტუდენტი დაუფლა თეოლოგიური განათლების საფუძვლებს. სულ უფრო იზრდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე თეოლოგიის სექციების მონაწილეთა რიცხვი. ყოველწლიურად ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა რაზმები აქტიურად მონაწილეობენ ეკლესია-მონასტრების აღდგენისა და მშენებლობის საქმეში.

მეუფის დიდი დამსახურებაა ის, რომ სასწავლო პროცესთან ერთად, რომელსაც უძალლესი იერარქიის სამღვდელოების წარმომადგენლები და ცნობილი თეოლოგები წარმართავენ, სასწავლო-სამეცნიერო ცენტრში ინტენსიური სამეცნიერო საქმიანობაა გაშლილი. 2004 წლის ოქტომბერში ჩატარებული დისკიპლინათაშორისი რესპუბლიკური კონფერენცია “ეროვნული და სარწმუნეობრივი იდენტობა” მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ტექნიკური უნივერსიტეტის ცხოვრებაში. 2005 წლის მაისში ჩატარდა პირველი საერთაშორისო კონფერენცია “მეცნიერება და რელიგია”, რომელიც ორგანიზებულ იყო საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, გაეროსთან არსებული ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, მართვის პრობლემების ინსტიტუტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და მეცნიერების ისტორიის, საქართველოს საზოგადოების ერთიანი ძალისხმევით. იგი იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველი გაბედული ნაბიჯი მეცნიერებისა და რელიგიის გაერთიანების ურთულეს გზაზე. ამ პროცესის დირსეულ გაგრძელებას წარმოადგენდა 2006 წელს ჩატარებული კონფერენცია “მეცნიერება და რელიგია”, რომელიც აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის ხსოვნას მიეძღვნა. 2007 წელს მეუფე ანანიას ხელმძღვანელობით გაიმართა თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დაარსების 5 წლისთავისადმი მიძღვნილი საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია, სადაც უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა იღია II-მ მაღალი შეფასება მისცა მიტროპოლიტ ანანიას საეკლესიო, საგანმანათლებლო და სამეცნიერო მოღვაწეობას. მსოფლიო მართლმადიდებლური სამყარო მეუფე ანანიას იცნობს, პატრიარქის სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც “ფართო ერუდიციისა და ღრმა აზროვნების პიროვნებას, რომელიც მთელ თავის სულიერებას, ნიჭებს და უნარს ქრისტიანული მართლ-



მადიდებლური რწმენის საყოველთაო განმტკიცებასა და გაძლიერებას ახმარს". მეუფე ანანიას საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი დაჯილდოებულია ალექსანდრიის საპატრიარქოს წმინდა მარკის ორდენით, აგრეთვე ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ჯილდოებით. მეუფე ანანია ბრძანდება საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი.

მიტროპოლიტ ანანიას მაღალ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 2009 წლის 10 ივლისის ბრძანებით საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის ხელმძღვანელად იქნა დანიშნული. საქართველოს რეალური ისტორიის დადგენის გადაუდებელი აუცილებლობა განპირობებულია ქვეყნის გარედან მოქმედი იმპერიული პრინციპის "დაყავი და იბატონე" 200-წლიანი ზემოქმედების შედეგების აღმოსაფხვრელად, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში და ენათმეცნიერებაში ხელოვნურად ჩანერგილი უამრავი სიყალბითაა გარემოცული. საპატრიარქოს რეალური ისტორიის დამდგენმა კომისიამ 2009 წელს წარმოადგინა დასკვნა ე.წ. "ქართიზაციის თეორიის" შესახებ, რაც არის საქართველოს სახელმწიფო ბრძანებითა და საეკლესიო მთლიანობის დასარღვევად შექმნილი ტექნოლოგია და რისი გადაუდებელი განეიტრალებაც ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება.

ძალიან ძნელია ერთ წერილში აღწერილ იქნეს მისი მაღალყოვლად-უსამღვდელოების, მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტის ანანია ჯაფარიძის ღვაწლი ქართული დედაეკლესიის, მისი მრავალრიცხვანი მრევლის – ახალგაზრდობის სულიერი აღზრდისა და ამაღლების ეროვნული საქმისათვის. მისადმი უდიდესი მოწიწებითაა გამსჭვალული მთელი ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესურა და სტუდენტი ახალგაზრდობა. მეუფის ყოველი შემობრძანება უნივერსიტეტში, ჰეშმარიტად, უდიდესი მადლი და იმედია.

მადლიერების წრფელი სულისკვეთებით გამოვხატავთ ჩვენს უღრმეს პატივისცემას მიტროპოლიტ ანანიასადმი და მას ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს უფლის სამსახურში, წმინდა ილია მართლის სიტყვებით რომ ვთქვათ, "გამეცნიერებული სარწმუნობისა და გასარწმუნოებული მეცნიერებისათვის".

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი  
საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი  
პროფესორი  
არჩილ ფრანგიშვილი





## რედაქტორის სვეტი

“ქართული საეკლესიო გალოგ” - საქართველოს  
სამოციურო მაჟირლეგიდებულები პიტოპეფელები  
ეკლესიის ისტორიის ზარიყოფელი ნებილი

ქართული სამგალობლო ხელოვნების კვლევის არქიაქტუალობის მთავარი საზრისი საქართველოს ეკლესიის ისტორიის და ქართული საეკლესიო გალობის ერთიან სისტემურ კვლევაში უნდა ვეძიოთ; ამ მიზნით უპრიანია საქართველოში, სასულიერო პროფილის სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებთან ჩამოყალიბდეს ქართული საეკლესიო სამგალობლო სკოლის კვლევისა და განვითარების ფუნქციური ჯგუფი, ქართული საეკლესიო სამგალობლო სკოლის ცნობილ წარმომადგენლოთა ორგანიზებით. უდავოა, რომ აღნიშვნული სისტემა სასიკეთოდ წაადგება, ეკლესიის ისტორიის, სწორედ იმ მნიშვნელოვანი კვლევის ერთეულით ფლანგის გამაგრებას, რომლის ყოვლისმომცველ შესწავლას აწარმოებს საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის მიერ გაცემულ კურთხვევათა და ბრძანებათა შინაარსი როგორც ქართულ საგალობელთა ასევე საქართველოს ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით.

უმწვერვალესია ღვაწლი და უზარმაზარია გავლენა საქართველოს ეკლესიის გამორჩეული საჭეთმპყრობლის, წმიდა მღვდელმოწამე პატრიარქის კირიონ II-ის ფუძემდებლური მოსაზრებებისა და დასკვნებისა ქართული საეკლესიო გალობის შესახებ, რაც წმიდა მღვდელმოწამის სამეცნიერო მემკვიდრეობაშია, და რასაც “წერილები და სტატიები” ქვია.

სტატიაში “ქართული საეკლესიო გალობა” პატრიარქი კირიონ II წერს:

“ქართული საეკლესიო გალობა ყვაოდა როგორც ჩვენს სამეფოში, აგრეთვე მის გარეშე მრავალ ქართულ მონასტრებშიაც. გალობას ქრისტიანობა მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წირვა-ლოცვაში და, საზოგადოდ, ღვთისმსახურებაში. ამით აიხსნება ის დიდი პატივისცემა, რომელშიაც ყვადათ მგალობლები ჩვენს წინაპართ, ისინი მუდამ იყვნენ სასურველნი პირნი ჭირსა და ლხინში, და ღვთიური პანგებით უღვიძებდნენ ხალხს სარწმუნოების თბილ გრძნობას, ყველა ხალხს არა აქვს ნიჭი, შექმნას საკუთარი ნაციონალური გალობა. ძოგმა ვოკალური გალობა რომ ვერ შექმნა, მიპართა ინსტრუმენტულ მუსიკას (კათოლიკენი). უ. უ. რუსო თავის მსჯელობაში მუსიკაზედ ამბობს: “საღმრთო საგალობელნი არ უნდა იყვნენ გამომხატველნი ვნების მღელვარებისა, არამედ მხოლოდ მისი დიდებულებისა, რომელსაც მიეწერებიან და ემსახურებიან.

გალობაში არის ერთგვარი ფასდაუდებელი სიმდიდრე, რომელიც მნელი მისაწვდომია და რომელ-საც იწვევს ხმის ამაღლება დადაბლება და გაგრძელება.

ზოგი ქრისტიანეთაგანი ცდილობს, შემოიღოს ეკლესიაში საზოგადო გალობა. აზრი ამ რეფორმისა არის ქრისტიანობრივ სარწმუნოების გაცხოველება ხალხში, მაგრამ ჩვენ ამას ვთვლით უსაფუძვლო საქმედ და უსარგებლო წყლის ნაყვად, რადგანაც პრაქტიკაშ სულ სხვა გვაჩვენა: ამან ვერ უშველა მწვალებლების გავრცელებას ხალხში, და ხალხი ისევ გარეგნულ ქრისტიანედ დარჩა.

საზოგადოდ ახალი რაიმეს შემოღება ეკლესიაში უნდა დიდის აწონ-დაწონვით ხდებოდეს. აქ საჭიროა, შევნიშნოთ, რომ ქართულმა ეკლესიამ, მუდამ მბაძავმა და მიმდევარმა ძველი ქრისტიანული წესებისა, არ იცის საზოგადო გალობა, რომელიც ეკლესიაში დაშლილია XV მუხლით ლაოდიკის საეკლესიო კრებისა.

ქართული საეკლესიო მდიდარი მელოდიები წარმოგვიდგენენ არათუ მხოლოდ საზოგადო საგალობლებს, არამედ ცალკე ფრაზების აზრს და სიტყვებსაც კი. ამ მხრივ ჩვენი მელოდიები შეუდარე-



ბელნი არიან, და უნდა ვმადლობდეთ გამჩენს, რომ ასეთი დიდი საუნჯე მოუნიჭებია ჩვენთვის, ჩვენი მორწმუნე ერისთვის.

ფრიად დიდი მნიშვნელობა გალობისა ცხადად ჩანს იქიდან, რომ იგი ხორცული სხმულ ჰყოფს, პმოსავს მთელ საგალობელს თვისი რბილი და ჰაეროვანი ფორმით: არომატით ავსებს მას, თავს დასტრიალებს, და, როგორც ანდამატი, იზიდავს კაცს გრძნეულ სამეფოში კეთილისა და მშვენიერებისა. ყველა ეს აუარებელი მუსიკალური სიმღიდრე შექმნა შრომისაგან წელში გაღუნულმა უკვდავმა და მაღლიანმა ქართველმა გლეხმა.

ჩვენი გალობის დასაწყისი უძველეს დროს ეკუთვნის, როდესაც ჩვენი წინაპარნი, ქალდეველნი, ჯერ კიდევ წარმართნი იყვნენ. ჩვენს სიმღერა-გალობას ოთხი-ხუთი ათასი წლის ისტორია აქვს. ახლანდელ ჩვენს ხალხურ სიმღერას უწინ რელიგიური ხასიათი ჰქონდა და საკერპოებში გალობდნენ. ჩვენში შემოტანილმა ქრისტიანობამ ძველი სიმღერა მხოლოდ გააქრისტიანა, მისცა მას რელიგიური ხასიათი, ახლაც ხალხარი სიმღერა და საეკლესიო გალობა ძალიან წააგვანან ერთმანეთს. შორიდან რომ მოისმინო სიმღერა ხალხისა, ვერც კი გაარჩევ, გალობენ თუ მღერიან; ასეთი მცირე გარჩევაა მათში.

ათასწლობით ატკბობს ქართული გალობა ჩვენს სმენას. გალობა იმთავითვე გვქონდა სამხმიანი და არა უნისონური, როგორც აქვთ ბერძნებსა და სომხებს. ჩვენი გალობის ზეგავლენა ეტყობა ბევრ ხალხს, განსაკუთრებით სლავიანებს, რომელთაც გულუხვად ისარგებლეს ბევრი ქართული კილოთი. ბერძნებითგან ქრისტიანობა მიიღეს, მაგრამ მათი გალობით კი ვერ ისარგებლებდნენ სლავიანები, რადგანაც თვით ბერძნებს არ ჰქონდათ ჰარმონიული მრავალხმოვანი გალობა.

ეპლესიაში გალობის დროს ქართველი კაცი თავის თავს ზეცაში გრძნობს, ქვეყნიურ ზრუნვას სტოვებს და ლმობიერი სულითა და მგრძნობიარე გულით შემოქმედის წინ დგას და ელის მისგან წყალობას. აქ უქარვდება მას ვარამი ქვეყნისა, და გულში ენერგება იმედი უკეთესი მომავლისა. ამით სულდგმულობდა პატარა საქართველო, წილზდომილი დედისა ღმრთისა, და იმედიც არ უცრუვდებოდა. ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს საეკლესიო გალობას წარსულში.

საქართველოში გალობას ასწავლიდნენ როგორც ზეპირთქმულობით, აგრეთვე ნოტებითაც, ძველი ქართული ნოტების ნიმუშები ჩვენამდე მოვიდა (იხილე “საუნჯე” მოსე ჯანაშვილისა).

ეჭვგარეშეა, რომ ძველად ჩვენში სახარებისა და სამოციქულოს კითხვის ნოტებიც იყო. ეს ნოტები იწერებოდა სიტყვების თავზედ და სიტყვების ქვეშ. ჩვენამდე მოაღწია ერთმა ხელნაწერმა, რომელშიაც არის ნოტური ნიშნები ასოების თავზედ და მათ ქვეშ. ამით აიხსნება, რომ კილოები სახარება-სამოციქულოს კითხვისა კარგად არის დაცული ჩვენში.

ჩვენი გალობა დასცეს მაჲმადიანებმა, რომელთაც საგალობლის ბუდე-მონასტრები გაანადგურეს. არაერთხელ ჩააქრეს მათ კერა ჩვენი ტკბილი საეკლესიო გალობისა. იავარ-ჰევეს ჩვენი საეკლესიო კულტურული ცენტრები, მათ ფანატიზმს საზღვარი არ ჰქონდა. ანადგურებდნენ ყველა იმას, რასაც კი ნიშანწყალი ჰქონდა ქრისტიანობისა: ამოაგდეს ჩვენში ბერიბა, და ბევრგან, სადაც უწინ ქრისტიანობა ჰყვაოდა ძირიან-ფესვიანად ამოაგდეს იგი. უნდოდათ, მთელი საქართველო წაელექნათ მაჲმადიანთა ოკეანეში, მაგრამ ღმერთი შეგვეწია და ღვთისმშობელმა დაგვითარა, კურთხეულ იყოს სახელი უფლისა.

მონასტრების მონხრების შემდეგ გალობას ვეღარსად სწავლობდნენ და იგი ეცემოდა, ჰქონდა და იკარგებოდა. შედეგი ამისა იყო ის, რომ ხალხმა გული აიცრუა ეკლესიებზედ, სადაც ძველებური მელოდიური გალობა აღარ გაისმოდა. ერთი ღიაკონი რა რელიგიურ გრძნობას აღუძრავდა ხალხს? ქართული საეკლესიო გალობის მცოდნენი, ღვთის მაღლით, კიდევ მოგვეპოვებიან და, სრული იმედი გვაქვს, რომ ქართული გალობის აღდგენა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, ღმერთო შენით.”

ივანე ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ თუ უფრო ადრე არა, IX საუკუნიდან მოყოლებული მაინც, საქართველოში ყოფილა გალობის სწავლების მოძღვრება. საზოგადოებაში დახელოვნებული მომღ-



ერლებიც იყვნენ და მგალობელნიც.

ივ. ჯავახიშვილი წყაროებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ XII ს. დამდეგისათვის საგალობლების პრობლემაზე რამოდენიმე სპეციალობა ემსახურებოდა, ამ დროისათვის საქართველოს უკვე ჰყოლია ისეთი პირები, რომლებიც მხოლოდ ჰანგსა თხზავდნენ. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ სიტყვიერი შემოქმედების ნაწარმოებისათვის ჰანგის შეთხზვას “ ხმისა დადებაი ” ეწოდებოდა. ასეთი სამუშაოს დაწყებას “ ხმის დადებისა ხელყოფა ” რქმევია. საყურადღებოა, რომ ასეთ ხმის დამდებთა (კომპოზიტორთა) შორის ყველაზე დამსახურებული თანამდებობის პირი ხელოვანთმთავრის სახელს ატარებდა.

ივ. ჯავახიშვილი მიმოიხილავს საგალობო ნიშნებს, მან ყურადღება მიაქცია, რომ მუსიკის წელოვნებისა და ისტორიის ქართველი მკვლევარების გარდა, ამ საკითხს სათანადო ყურადღება დაუთმო ლათინური და ბერძნული საგალობო ნიშნების ცნობილმა მკვლევარმა აბატმა ჟ.ბ. ტიბომ, რომელმაც აღნიშნა, რომ “ ქართული ძირითადი საგალობო ნიშნების გარეგნული გამოყვანილობა უახლოესს ანალოგიას წარმოადგენს დასავლეთის, ლათინთა, ეკლესიის ნევმური ნიშნებისას ”. მისივე დაკვირვებით, ქართული საგალობო ნიშნების სისტემა 10 ძირითად ნიშანს შეიცავდა, რომელიც მდებარეობის მიხედვით შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს (ხუთი ნიშანი სტრიქონს ზევით იწერება, ხუთი - ქვევით).

ივ. ჯავახიშვილმა ლიტერატურული წყაროების ღრმად შესწავლის საფუძველზე ბევრი საგულისხმო დასკვნა მოგვცა საგალობო ნიშნების შესახებ. იგი ამ საკითხს საბოლოოდ გადაჭრილად არ თვლიდა, მაგრამ მისი გარკვევის გზებს აშკარად იძლეოდა. საერთოდ, ივ. ჯავახიშვილის მიერ მოცემული დებულებები მუსიკის ხელოვნების ორგანიზაციისა და მოძღვრების შესახებ ძველ საქართველოში, ფასდაუდებელია.



შურნალი აგრძელებს კუბლიკაციას მიზროპოლიტ ანალია ჯაფარიძის  
ბამოკვლევის ცალკეული ნაკვეთებისა ბამოკვლევიდან  
„სამართლის სამსახურის ლაზიკაშვილი“

## მიზროპოლიტი ანალი ჯაფარიძე

# სამართლის სამსახურის ლაზიკაშვილი

### მიზროპოლიტი ანალი ჯაფარიძე

შველა უფლება დაცულია. ამ ნაშრომის არცერთი ნაწილი არანაირი უორმით და საშუალებით (იქნება მს ელექტრონული თუ მმანიშვრი), არ გეიძლება ბამობენებულ იქნას ნებართვის ბარები



## თავი VIII

### ე ბ რ ი ს ი

#### § 1. სამხრეთ ეპოქი

##### 1. საქართველოს ეპოქისი და ჩანახული ეპოქი

ქართული წყაროების მიხედვით ეგრისი ერქვა დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს, რომელიც შედიოდა ქართლის სახელმწიფოს შემადგენლობაში მეუე ფარნავაზიდან ვიდრე ვახტანგ გორგასლის შვილებამდე, აღმოჩნდა, რომ არსებობდა ასევე მეორე ეგრისიც, რომელიც ჩვენში შედარებით ნაკლებ იყო ცნობილი, თუმცა მის შესახებაც მოიპოვებოდა ცნობები. მაგალითად, ტრაპეზუნტის სანახებს ჩვენს ძველ წყაროებში X ს. ბოლოსა და XI ს. დასაწყისში ერქვა „სოფელი მეგრელთა“, „სამეგრელო“, ვახტანგი ჭოროხის შესართავთან მდებარე მხარეს რამდენჯერმე „ეგრი“ უწოდებს.

VII ს. „სომხური გეოგრაფია“ „ეგრივს“ უწოდებს ტრაპეზუნტის სანახებს ჭოროხის შესართავამდე და მისთვის უცნობია რიონისპირა ეგრისი. სომხური წყაროს მიხედვით ეგერთა ქვეყნა ოთხ ნაწილად იყოფოდა. ესენი იყენება: მანრალია, ეგრივი, ლაზივი და ჭანიკი (მანრალი, ეგრევიკი, ლაზივი, ჭანეთი)

სად მდებარეობდნენ ეს ქვეყნები? სწორედ მათი მდებარეობის განსაზღვრით მივღებთ სწორ სურათს, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ეპოქის ქართული ისტორიოგრაფია ამ სომხური წყაროს მიერ აღნიშნულ ეგრივის შემადგენელ ოლქებს არ საზღვრავდა სისწორით, ამიტომაც უშვებდა უმძიმეს შეცდომებს, რომელ-მაც არასწორი გზით წარმართა საქართველოს ისტორიის კვლევა. კერძოდ მიიჩნევდნენ რომ მანრალია თითქოს იყო არგვეთი. არასწორად საზღვრავდნენ მის(მანრალის) ადგილს და იღებდნენ არასწორ სურათს.

სამხრეთის ეგრისის ე. ეგრივის დიდი ნაწილი მდებარეობდა არა ზღვის პირზე, არამედ თეოდოსიოპ-ოლის ანუ არზრუქის მიმართულებით და მოიცავდა კრცელ რეგიონს, კერძოდ, ნ. აღონცი, რომელიც უკეთ იცნობდა სომხურ წყაროებს და სომხეთის მიმდებარე ოლქებს, წერდა, რომ მარდალია და მანრალია მდებარეობდნენ ზიგანა-ბიზანტის მხარეებისაკენ, მაშასადამე არზრუქის ოლქის სიღრმეებში.

ბერძნები, რომლებიც შავიზღვისპირის კოლონიზაციას ეწეოდნენ სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმა-რთულებით, ცხადია პირველ რიგში გაცენენ არა ჩრდილოეთ ეგრისს (ე. რიონისპირეთს), არამედ სამხრეთ ეგრისს (ტრაპეზუნტ-ჭოროხის რეგიონს), უფრო მეტიც, იკვეთება, რომ ბერძნული მითები და ამბები კოლხიდის შესახებ ეხება ასევე სამხრეთ ეგრესს.

სამხრეთ ეგრისი იყო ის კოლხიდა, რომელსაც იცნობდა და უმღეროდა ბერძნული პოეზია. „ჩქარი და მშფოთვარე ფასისი“ არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მდინარეებს ერქვა, სამხრეთ ეგრისის ერთ-ერთ რეგიონში დიდი მდინარე გაედინებოდა ასევე ფასისის სახელით ცნობილი, ეს იყო არაქსი, აღსანიშნავია, რომ არაქს ასევე ერქვა – ეგრი(ე. არაქს ერქვა ფაზისი და ეგრი). სახელწოდება და ტოპონიმი ეგრი არაქსის ხეობაში გვიანობამდე დარჩა.

არაქსთან ახლოს მდებარეობდა მანრალია და მარდალია - ეგრის ანუ სამხრეთ ეგრისის ოლქები სომხური გეოგრაფიის მიხედვით.

სამხრეთის ეგრისი მდებარეობდა იმ საერთაშორისო გზაზე, რომელიც ტრაპეზუნტის საკარსეთთან აერთვებდა. ამ გზაზე მდებარეობდა სამხრეთის ეგრისის რეგიონი ჭანეთი(ქალდეა), ასევე აღნიშნული მანრალია და



მარდალია. სამხრეთის ეს რაიონები, ისტორიული იბერიის პროვინციების ხორძნას, პარიადრეს ან გუგარქის ნაწილი უნდა ყოფილიყო. ისინი სტრაბონის ცნობით არმენიამ ჩამოაჭრა იბერიას. მათ უკან დასაბრუნებლად ამ მხარეებისაკენ იღაშქრა ფარნავაზმა, ვახტანგ გორგასალმა, დავით კურაპალატმა, გიორგი I-მა. ამ რეგიონის ერთი ნაწილი შემდეგ შედიოდა სამცხე-საათაბაგოში, ნაწილი კი გურიაში.

როგორც ითქვა, სამხრეთის ეგრისი მოიცავდა არზრუმის სამხრეთით მდებარე მხარეებს ვიდრე ტრაპეზუნტაშვილებდე და ჭოროხის შესახვევამდე. ამ მიწა-წყალს ვახუშტი მიიჩნევდა „ზემო ქართლის“ ნაწილად და ათავსებდა კლარჯეთში.

ვახუშტი, როგორც აღინიშნა, კლარჯეთს უწოდებდა არა მიწა-წყალს არტანუჯ-ლიგანისას, არამედ უფრო სამხრეთით მდებარე მხარეებს თორთომიდან - გურჯი ბოლაზამდე, ტრაპეზუნტაშვილებდე და ჭოროხის შესართავამდე, ისპირისა და ჭანეთის ჩათვლით. ასე, რომ „ზემო ქართლის“ ნაწილი ვახუშტისეული კლარჯეთი იგივე სამხრეთ ეგრისია, კლარჯეთი ვახუშტის მიერვე მიიჩნეოდა აზონის მამისეულ ქვეწად ანუ არიან-ქართლის ნაწილად. არიან-ქართლი - იგივე მეორე ქართლია, ასე, რომ როგორც იყო ორი გეოგრაფიული ქართლი, ერთი მცხეთის ქართლი, მეორე კი არიან-ქართლი, ასევე იყო ორი გეოგრაფიული ეგრისი = რიონის ეგრისი და მეორე - სამხრეთის ანუ ტრაპეზუნტის ეგრისი. „სამხრეთის ეგრისის“ საჭირო ახალი ცნების შემოტანა - სიახლეს შეიტანს საქართველოს ნამდვილი ისტორიის დაწერის საქმეში.

მაშასადამე ვახუშტის კლარჯეთი იგივე სამხრეთ ეგრისია, სულ სხვა გზით იგივეს ამბობდა ნ. მარი. მისი აზრით კლარჯეთის თავდაპირველი მოსახლეობა იყო მეგრელ-ჭანური (თუბალ-კაინური), რომელიც თითქოსდა გასომხდა.

სომხური გეოგრაფიის ეგრევის (ანუ ეგრივს) ასევე ლაზიკას უწოდებდნენ, სადაც განლაგებული იყო ზიგანასა და ლაზთა სხვა საეპისკოპოსოები შემდეგდომინდელი გიუმუშხანეს მხარეს.

## 2. „ქველი სომხეთი გეოგრაფიული მემკვიდრეობის უკანასკნელი უკანასკნელი სომხეთი“

### „ქველი სომხეთის“ კონკრეტული მემკვიდრეობის უკანასკნელი სომხეთი

„ეგრის ქვეყნის“ ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს „მველი სომხური გეოგრაფიიდან“ ერთი ადგილის სწორად თარგმნას. კერძოდ, სომხური გეოგრაფიის შესაბამის ადგილს სხვადასხვაგვარად თარგმნიან ცნობილი მეცნიერები - პ. ინგოროვა, ს. ჯანაშია, დ. მუსხელიშვილი და ბოლოს ნ. ადონცი..

VII საუკუნით დათარიღებული სომხური გეოგრაფიის რამდენიმე რედაქცია არსებობს.

1. სომხური გეოგრაფიის „მოკლე რედაქციაში“ დ. მუსხელიშვილის სიტყვით შემდეგს ვკითხულობთ - „კოლხეთი არის იგივე ეგრისი... შეიცავს ეგრისი ოთხ მცირე ქვეყანას: მანრილი, ეგრევიკა, ლაზიკი, ჭანეთი, რომელიც არიან ხალდები“.

ვრცელი რედაქცია ამავე წყაროსი უფრო დაწვრილებით ცნობებს იძლევა. ისიც ჩამოთვლის ზემოხსენებულ პროვინციებს:

„მანგილი (ვარიანტი - მანრილი), ეგრევიკი ანუ საკუთრივ ეგრისი, რომლის კიდეზე არის მდ. ფაზისი, თანამოსახელე ქალაქითურთ და ჭანივი, იგივე ხალდები... აქვს ხუთი ქალაქი: იანი, კოტა, როდოპოლისი, ათინა და რიზონი და სხვა ბევრი ემპორიონები, ანუ ზღვისპირა დაბა-ქალაქები, რომელთა შორისაა ტრაპიზონი“ - ასე თარგმნის დ. მუსხელიშვილი სომხურ გეოგრაფიას VII საუკუნისა, რომელიც თავის მხრივ რუსულად უთარგმნა და გამოუცია პ. პატკანოვს 1877 წელს (დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, 2003, გვ. 101).

დ. მუსხელიშვილი მიიჩნევს, რომ სომხური გეოგრაფიის მანრილი „უნდა ნიშნავდეს ქართულ მარგვის



- არგვეთს, ხოლო ეგრევიკი საკუთრივ ეგრისს — ანუ ქართული წყაროების „შიდა ეგრისს“ (იქვე, გვ. 102). აქედან ჩანს, რომ დ. მუსხელიშვილი არაა დარწმუნებული, რომ „მანრილი“ არის არგვეთი, და წერს
- „უნდა ნიშნავდეს“, მიუხედავად ამისა, შემდგომში ის დაბეჯითებით ავითარებს აზრს, რომ თითქოსდა სომხური გეოგრაფიის ეგრი — დასავლეთ საქართველოა.

2. პინგოროვა დარწმუნებულია ამ საკითხში და ის შესაბამისად თარგმნის კიდეც აღნიშნულ აღვილს:

„კოლხეთი, ე.ი. ეგრი არის ქვეყანა აზისა და მდებარეობს პონტოს ზღვიდან სარმატიამდე და მდინარე დრაკონიდან ვიდრე კავკასიის მთამდე და მის შტოებამდე, რომელიც ჰყოფს მას ივერიიდან... და იგი განიყოფა ოთხ მცირე ქვეყნად: ა) მარგელი-ვი, ბ) ეგრევიკი, რომელ არს საკუთრივ ეგრი, ფასისის მდინარის მოსაზღვრედ, ამავე სახელწოდების (ფასისის) ქალაქი-თურთ, გ) ლაზივი, დ) ჭანივი, რომელიც არის ხალტეთი (ხალდია), აქვეა ხუთი ქალაქი, იანი, კოტა, როდოპოლისი, ათინა, რიზონი და სხვა მრავალი ნაგსაღვურნი, ე.ი. ზღვის სანაპირო დაბა-ქალაქი, რომელთა შორის არის ტრაქეზუნტი“ (პ. ინგოროვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 212).

პ. ინგოროვამ მიუთითა 1881 წელს გამოცემული სომხური გეოგრაფია.

აქედან ჩანს, რომ პ. ინგოროვამ თავისებურად გაიგო წყაროს „მანრილი“ და უწოდა მას „მარგველივი“, რისთვისაც მას დასჭირდა სიტყვა „მანრილში“ ერთი ასოს — „გ“ — განის ჩამატება და „ნ“-ს ამოშლა, რის შედეგადაც მანრილი იქცა მარგველივად ანუ მარგვეთად. ამ მეთოდით გასაგები ხდება, თუ რატომ უწოდა მანრილს პ. ინგოროვამ მარგვეთი, ვფიქრობ დ. მუსხელიშვილმა გაიმურა პ. ინგოროვას თვალსაზრისით, თუმცა ის არ ხსნის, თუ რატომაა წყაროს მანრალი არგვეთი.

3. სხვაგვარია 6. ადონცის განმარტება იმისა, თუ სინაძვილეში სად მდებარეობდა „ეგრის ქვეყნის მხარე მანრალია“.

მანრალია 6. ადონცის სიტყვით, მდებარეობდა მდ. ჭოროხის სამხრეთით და მოიცავდა ზღვისპირეთს და მთან ნაწილებს, მდ. ჭოროხის სათავის მხარეს.

ადონცის თვალსაზრისით სრულიად განსხვავდება ქართველი მეცნიერების მოსაზრებისაგან, ამასთანავე, უნდა ითქვას ის, რომ საქმე ეხება სომხურ წყაროს, რომელსაც უკეთ იცნობდა 6. ადონცი, აღიარებული მეცნიერი სწორედ ისტორიული გეოგრაფიის სფეროში, მით უმეტეს შავიზღვისპირეთისა.

4. ამ ზემოთმოცვანილ ორ თარგმანთან შედარებით, ვფიქრობ, უფრო რეალისტურია ს. ჯანაშიას თარგმანი აღნიშნული ადგილისა —

„კოლხეთი, ე.ი. ეგერი, იმყოფება პონტოს ზღვის აღმოსავლეთით, სარმატის ახლოს, და ივერიისა და დიდი სომხეთის თანამოსაზღვრეა. ეგერი ოთხ პროვინციად იყოფა: მანრილი, ეგრევიკი, ლაზივი, ჭანეთი, ე.ი. ხალდები“ (ს. ჯანაშია, ისტორიული სიმართლის დამახინჯება, 1946, გვ. 22).

აქედან ჩანს, რომ სომხურ გეოგრაფიაში აღნიშნულ მხარეს ერქვა მანრილი და არა მარგველივი, ასევე სომხურ გეოგრაფიაში განხილულ მხარეს ერქვა ეგრი და არა ეგრისი, მის ერთხელ კუთხეს ერქვა ეგრევიკი და არა შიდა ეგრისი.

6. ადონცი დაბეჯითებით წერს, რომ ეგრი მდებარეობდა ჭოროხის შესართავთან, და მოიცავდა ჭოროხის მარცხენა სანაპიროს მხარეს.

რადგანაც, მისი მსჯელობიდან გამიმდინარე-სომხური გეოგრაფიის „ფაზისი“ ჭოროხია.

ასევე, ექვთიმე მთაწმიდელი და სხვა ძველი მატები „ფაზისი“ ჭოროხის უწოდებდნენ

ამ წყაროში (ძველი სომხური გეოგრაფია) „სარმატის“ ქვეშ იგულისხმება დასავლეთ საქართველო, ხოლო მისი „კავკასიის მთა“ — კარჩხალის მთანეთია (ისტორიულ ოლქ - „საკავკასიმეოსთან“ ახლოს), რომლისაგან გამოსული არსიანის ქედი „ეგერიას გამოყოფდა იბერიისაგან.“ ამ წყაროში იბერია კოლა-არტანთან იწყებოდა ეს წყარო კლარჯეთს ეგერიაში ათავსებდა, ხოლო არტაანს იბერიაში,



მათ (ე. გერიასა და იბერიას) ერთმანეთისაგან მართლაც ჰყოფს კარჩხალის მთიანეთისაგან გამოსული არსიანის ქედი.

როგორც აღინიშნა, ნ. ადონციმ მანრალია მდებარეობდა ჭანეთის მახლობლად, კერძოდ, კარინიდან, იგივე კარნუ-ქალაქიდან 40 კმ დაშორებით.

მისი აზრით, სომხურ გეოგრაფიაში ქვეყანა ეგრი მოიცავდა ვრცელ მხარეს მდ. ჭოროხის შესართავის სამხრეთით მდებარეს ქ. ტრაპეზუნტის ჩათვლით. ამ მხარეს ეკუთხოლა ჭანეთი, ოფლოსიობოლისის მხარეები, ანუ ეს იყო ერთიანი შეკრული მხარე, ანუ საზოგადოდ არსებობდა ორი ისტორიული მხარე – ერთს ერქვა ეგრისი, მეორეს კი ეგრი. ეგრისი დასავლეთ საქართველოში, ხოლო ეგრი – ტრაპეზუნტიან მდებარეობდა. თუმცა ეგრსაც ეგრისსაც უწოდებდნენ, ისაა სამხრეთის ეგრისი.

**სად მდებარეობდა კოლხეთი აზიაში თუ ევროპაში?**

ძველი შეხედულებით, კერძოდ სტრაბონის ცნობით, აზიასა და ევროპას ერთმანეთისაგან ჰყოფდა მდ. ფაზისი- მის მარჯვენა სანაპირო მხარეს ერქვა-ევროპა, ხოლო მარცხენა სანაპირო მხარეს – აზია.

კითხვა ასე დგას-კოლხეთი ფაზისის მარჯვენა მხარეს მდებარეობდა თუ მარცხენა მხარეს?

ამ კითხვის პასუხს გვაძლევს აღნიშნული VII ს.-ის სომხური გეოგრაფია სადაც ნათქვამია- „კოლხეთი ე.ი. ეგრი არის ქვეყანა აზიასა მდ. ფაზისის ნაპირზე“.

მაშასადამე კოლხეთი ფაზისის მარცხენა სანაპიროს, „აზიას ქვეყანა“ იყო, აზია კი ფაზისის მარცხენა სანაპიროდან იწყებოდა.

თუ ფაზისი რიონი იყო მაშინ ზღვისპირა კოლხეთი ანუ ეგრი თანამედროვე გურია ყოფილა, ხოლო თუ ჭოროხი, მაშინ მისი მარცხენა სანაპიროს ქვეყანა ტრაპეზუნტის მიმართულებით.

ვახუშტის ცნობით, ეგრი ერქვა მხარეს ჭოროხის შესართავთან. მაშასადამე კოლხეთი ერქვა „სამხრეთ ეგრისის“ ქვეყანას ჭოროხიდან ტრაპეზონის მიმართულებით.

სომხური გეოგრაფია, როგორც ითქვა წერს-„კოლხეთი, ე.ი. ეგრი არის ქვეყანა აზიასა და მდებარეობს პონტოს ზღვიდან სარმატიამდე და მდინარე დრაკონიდან ვიდრე კავკასიის მთამდე და მის შტოებამდე, რომელიც ჰყოფს მას ივერიიდან“.

აქ გასაგებადაა აღნიშნული, რომ აზიას ქვეყანა კოლხეთი(ეგრი) სამხრეთიდან შემოსაზღვრულია მდ. დრაკონით, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კავკასიის მთით, რომლის განშტოების იქითაც იბერია მდებარეობს, მის დასავლეთით პონტოს ზღვაა, ჩრდილოეთით სარმატია.

ინტერნეტით გავრცელდა ბ. არუთიუნიანის რუსულენოვანი რუკა, - „სომხეთი „აშხარაცონიც“-ისა და სხვა წყაროთა მიხედვით“ (კარტოგრაფი ვ. მხიტარიანი, ინტერნეტვერსია-რ. მაჩკალიანისა). ესაა სომხური გეოგრაფიის მიხედვით შექმნილი რუკა, მაგრამ, თუ უფრო ზუსტი ვიქენებით, -ქართიზაციის თეორიის გამოყენებით. კერძოდ, ავტორის მიერ სიხარულითაა გაზიარებული

თვალსაზრისი, რომ „მარლინ კი“ (ე.ი. მანრილი, მარლინი) არგვეთი იმერეთია, რომ მდ. დრაკონი მდ. ენგურია, შესაბამისად ძალზე ჩრდილოეთით გადმოწია რუკის ავტორმა ისტორიული სომხეთის საზღვრები. ამ რუკაზე სომხეთი მოიცავს აჭარას, შავშეთს, სამცხეს, ჯავახეთს, თრიალეთს- მანგლისის ხათვლით, ზედ თბილისამდე.

მაგრამ თუკი გაზიარებული იქნება ჩემი თვალსაზრისი (სინამდვილეში კი ის ცნობები, რაც მოცემულია სომხურ გეოგრაფიაში), მაშინ სომხეთის საზღვრები საკმაოდ მცირდება, მის დასავლეთით კი აღმოჩნდება სამხრეთ ეგრისის ვრცელი ქართული ქვეყნა, რომელიც რუკის ავტორმა სომხეთს მიაკუთვნა ისე, რომ სიტყვა „ეგრისი“ არც კი უხსენებია.

ვფიქრობ „ქართიზაციის თეორია“ ძვირფასი საფუძველი აღმოჩნდა სომეხ მეცნიერთა ხელში ისტორიული სომხეთის საზღვრებში საქართველოს კუთხეთა მოსაქცევად.

მაგალითად „გეოგრაფიის“ მიხედვით მდ. დრაკონი მდებარეობდა ეგრის ქვეყნის სამხრეთით



და არა ჩრდილიეთით. მართლაც ამავე რუკაზე ჩანს ქალაქი დრაკონისი, ის მდებარეობს სამხრეთით, ტრაბზონის სამხრეთ-დასავლეთით. ქალაქი დრაკონისი მდებარეობდა ზიგანას უღელტეხილის ახლოს მდებარე ციხე-სიმაგრე არგიოკასტორის დასავლეთით. ამ ქალაქთან გაედინებოდა ერთერთი შენაკადი მდ. გაილკეტისა. აი. ეს შენაკადი უნდა იყოს „გეოგრაფიის“ მდ. დრაკონი. მის მახლობლად (სამხრეთით) მდებარეობდა ქალაქი „ეგარ“ ფუძის მქონე-„ეგეგარიჩი“. ამავე რუკის მიხედვით. ამ რეგიონში მრავალი ტოპონიმია „ეგრ“ ფუძის მქონე. ამ სამხრეთის მდ. დრაკონიდან ჭოროხამდე და არსიანამდე იყო განვრცობილი სამხრეთის ეგრისი. მდ. ჭოროხიდან ეგრისწყალამდე (კლისურამდე) აღწევდა ჩრდილო ეგრისი (თავდაპირველად ფუბანამდე) და არა ენგურამდე.

რატომ უწოდებს სომხური გეოგრაფია ჩრდილო ეგრესი (მდ. ჭოროხის შესართავის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანას) - სარმატიას?

საქეთ ისაა, რომ ვახტანგ გორგასლის შემდეგ აზოვისპირა ჩრდილოური ტომები ბიზანტიამ დაძრა ლაზიკისაკენ, რათა მათ ებრძოლათ სპარსელებთან VI საუკუნესა და VII საუკუნის დასაწყისში. წყაროთა ცნობით ეს ტომები იყვნენ ალანები, საბირები და ასევე სარმატულად მიჩნეული სხვა ტომები. ბიზანტიის დახმარებით მათ ზელში ჩაიგდეს დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი სიმაგრეები, ებრძოლენენ დასავლეთ საქართველოს ქართულ ტომებს (მისიმიელებსა და სხვებს). ამიტომაც ჩანს ეს წყარო ამ საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს სარმატიას უწოდებდა.

არაბთა შემდეგ ბიზანტიის დასუსტებამ ჩრდილო კაგკასიაში ასპარეზი გაუხსნა ხაზარებს, რომელიც ალანებს მტრობლენენ. მათი ზეწოლის შედეგად ალანებმა მიატოვეს დასავლეთ საქართველოს სიმაგრეები VII ს. ბოლოს.

ეგრს პქონდა ზუთი ქალაქი, იანი, კოტა, როდოპოლისი, ათინა, რიზონი, მრავალი ნავსადგური, ე. ი. ზღვის სანაპირო დაბა-ქალაქი, რომელთა შორის იყო ტრაპეზუნტი. ეგრს ეკუთვნოდა ქ. ფაზისი, მდებარე მდ. ფაზისის (ჭოროხის) შესართავთან მის მარცხენა სანაპიროზე.

ყველა ეს ქალაქი თუ ნავსდგური ფაზისის ანუ ჭოროხის მარცხენა სანაპიროს მხარეს მდებარეობდა, რადგანაც ეგრი აზის ქვეყანა იყო, „ეგერი ოთხ პროვინციად იყოფა: მანრილი, ეგრევიკი, ლაზივი, ჭანეთი, ე. ი. ხალდები“ (ს. ჯანაშია, ისტორიული სიმართლის დამახინჯება, 1946, გვ. 22).

მაშასადამე მანრილი, ეგრევიკი, ჭანეთი და ლაზივი ჭოროხის მარცხენა სანაპიროს ქვეყნები იყვნენ. სად მდებარეობდნენ ისინი?

ჭანეთის ადგილმდებარეობას თვითონ გვამცნობს წყარო-ჭანები ზალდები (ქალდები) ყოფილან. ქალდეა ზიგანასა და სხვა მეზობელ კუთხეებს მოიცავდა რიზე-ტრაბზონის სამხრეთის მთიანეთის რეგიონში.

ეგრის (ეგერის) ნაწილი იყო მანრილი. როგორც ითქვა, ის მდებარეობდა ამ მთიანეთსა და თეოდოსიოპოლისს (არზოუმს) შორის.

ეგრი-ეგერის ყველაზე ჩრდილო ნაწილი იყო ეგრევიკი, უშუალოდ ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე.

სად მებარეობდა ლაზივი-ლაზიკა? - რადგანაც ტრაბზონიც ეგრის ქალაქი იყო, ჩანს ზღვისპირი ტრაბზონიდან ეგრევიკამდე ლაზივად იწოდებოდა (საფიქრებელია ზუფათამდე, რადგანაც ის იუსტინიანეს მეფობის ერთ პერიოდში სასაზღვრო პუნქტი იყო).

ყველა ეს პატარა მხარე (მანრილი, ლაზივი, ჭანიკა-ჭანეთი და ეგრევიკი) ქმნიდა ერთ დიდ ქვეყანას ეგრს ანუ ეგერ-კოლხეთს. ეს მხარეები ერთმანეთის გვერდიგვერდ მდებარეობდნენ ჭოროხის მარცხენა სანაპიროდან ტრაპეზუნტის ჩათვლით.

3. მანქანის დაგენერირების 6. დოკუმენტის აღმართვის

„თავის საცხოვრებელ გარემოში ვითარდება ყოველი ეროვნება, ამიტომ გარემო მისი ცხოვრების ისტორიული პროცესის განძავითარებელი ერთერთი ფაქტორია, მასში ყალიბდება ხალხის ინდივიდუალური სახე და ისაზღვრება თავისებურება მის მიერ განვილილი გზისა. ამის გამო გარემოს ანალიზი წინ უნდა უძლოდეს ყველა სახის კვლევას ისტორიისა“ – წერს ნ. ადონცი (ნ. ადონცი, არმენია იუსტიციანეს ეპოქაში, გვ. 1).

„სასაზღვრო ხაზი ბიზანტიურ (რომაულ) და სპარსულ არმენიას შორის გადიოდა თეოდოსიოპოლისის (არზრუმის) ჩრდილოეთით და ნიზიბინის სამხრეთით (თეოდოსოპოლისა რომაულ არმენიაში, ხოლო ნიზიბინი სპარსულში იყო მოკურელი).“

ნიზიბინის ახლოს, ჩრდილო მხარეს, ბიზანტიურ ნაწილში მოქცეული იყო ქალაქი დარა, იმპერატორ ანასტასის დროიდან გამავრებული ციხე-ქალაქი (მას ეწოდებოდა კიდევ ანასტასიოპოლისი, დაბა ნიზიბინიდან 98 სტადიონით იყო დაშორებული), ბიზანტია-სპარსეთის საზღვარზე მდ. ნიმფაზე მდებარეობდა მარტიროპოლისი – ის მდებარეობდა სოფანენაში (იგივე არქსინა), ამიდის ჩრდილოეთით „ერთი დღის გზაზე, რაც უდრის 210 სტადიონს“. დაახლ. 36-37 ქ.

„ხოსრომ გაიარა დარადან არმენიაში და შევიდა ვასპურაკანის ქვეყანაში“ (გვ. 8). პროკოფის აღწერით, მარტიროპლისთან იყო ადგილი ფერის სოფანენაში (არმენია), ნახევარი დღის გზაზე (ე.რ. 210/2) – დაახლოებით 8 მილზე – იქ გაუვალი ქედები ერთმანეთს უახლოვდებიან და ქმნიან ორ უღელტეხილს, რომელიც ერთმანეთან ახლოს არიან და იწოდებიან კლეისურებად. თუ კაცი მიემართება პერსარმენი-იდან სოფანენაში, ამ გადასასვლელებით უნდა ისარგებლოს. ერთერთს უწოდებენ ილირისს, მეორეს საფხ-აჲს“ (Aed, III, გვ. 250). თუსტინიანებ გაამაგრა ფერის და კლეისურები.

ევფრატის გაცემები თეოდოსიოპოლისის შხარეს სპარსულ-ბაზანტიური ოლქები ხორძიანას ემიგრანტოდა, მდ. გაილთან (ახლანდელი კეგი). ხორძიანა იყო მეოთხე არმენის ჩრდილო-აღმოსავლეთ შხარეში. ხორძიანას დასაკლეულით პალნაზუნი მდებარეობდა. მის სამხრეთით იყო ბალახვიტი ტეივროსის სათავეებში.

ხორძიანის მეზობლად მდებარეობდნენ კანტონები მარდალიქი და მანალიქი, რომელთა სახელები თავისი შემადგენლობით უახლოვდება არტალიქ-არტალის-არტალესონს, ( ე.ი.მარდალიქიდან-არტალესონი,მანალიქიდან-მანარილ-შანრალია).

მარდალია – განვენილი იყო კარიბამდე. მახლობლად იღებს სათავეს არაქსი, რომელსაც ამჟამად უარი ანუ არაზი ჰქონდა და იქნა მანრალია. (ნ. ათონევიარმნია იუსტინიანის უღესშე ა. 20).

[მაშასადამე, არაქვეს ერქვა ფაზისი, შემდეგ ეგრი, იქ იყო ლაზიკის ეპარქიაც, ტრაპეზუნტიდან ვანის ჭბამზა]

„მარდალიას ხალხალის ქედი ჰყოფდა პერსარმენიისგან. ხალხალის ქედს კუთხით ეს-აზოვრბოდა დასაკლიტის მხრიდან – მანრალია“ (ნ. აონონგარმენია იუსტინიანის უპლაში. 23, 20).



ამ ოლქს შორისაა ქედი „მეგედუგხი“ ადონცის ცნობით მანრაღიასა და მარდაღიას შორის მოთავსებულ ქედს, ადონცის ცნობით ებრჯინებოდა ოლქი ხორძიანა, მართლაც ამ რუკაზე ქედი „მეგედუგხი“ ერთმანეთისაგან ყოფს ხორძიანას, მანანაღიას და მარდაღის ილქებს. მაშასადამე მარდაღია არის ამ რუკის ოლქი მარდაღი (მარდაგი), ხოლო მანრაღია ამ რუკის მანანაღი (მანანაგი), რომლებიც ესაზღვრებიან ხორძიანას, სამივე ეს ილქი, როგორც ითქვა, ებრჯინება მეგედუგხის ანუ ხალხალის მთებს, რომელსაც თურქულ რუკაზე „კარაგიოლის მთები“ ეწოდება, ერზრუმის სამხრეთით.

აღსანიშნავია, რომ ბ. არუთუნიანის რუკაზე „მანრილკი“ ჰქვია მხარეს ქვემო იმერთში, შორაპანთან, „არგუელკის (მარგუელკის)“ ქვემოთ (იგულისხმება არგვეთი). რუკაზე ისინი დატანილია ქართველი ისტორიკოსების გავლენით, მათ (რუკის ავტორებს) ამით სომხეთის ტერიტორიის გაზრდის საშუალება მიეცათ. ამავე დროს რუკის ლეგნდაში „არგუელკ“ (არგვეთი) გამოცხადებულია, როგორც „სატომო კავშირი“ („პლემენიე სოიუზ“), მაშინ, როცასინამდვილეში არგვეთი ქრისტეშობამდე მესამე საუკუნიდან იბერიის სამეფოს ნაწილს შეადგენდა.

„არტალესონი (ხორძიანაში) იხსენიება ხოსროს 576 წლის ლაშქრობის გზაზე, როცა მან არმენიაში ბასიანი გაიარა და რომის საზღვრებში შეიჭრა თეოდოსიოპოლისის მხრიდან (მენანდრე). არტალესონთან ახლოს მდებარეობდა კიტარიზომი“ (ნ. ადონცი, არმენია, გვ. 21).

542 წლის ხოსროს ლაშქრობს ნ. ადონცი უწოდებს ტარიელე – დვინის ლაშქრობა (ნ. ადონცი, არმენია გვ. 21). ამ წელს რომელი ჯარი იდგა კიტარიზში, ხორძიანში (არტალესში) და მესამე – ფისში.

კიტარიზი უნდა ყოფილიყო სირიასა და არმენიას შორის. ჩრდილოეთით სასაზღვრო ხაზი ბიზანტია-სპარსეთს შორის გადიოდა მარდაღიის იქით თეოდოსიოპოლისის რაიონში, მიჰყებოდა ქედს, გადაჭიმულს თეოდოსიოპოლისიდან ჭოროხამდე. ეს ქედი ჯერ ერზრუმის მარჯვენიდან მიემართება ჩრდილოეთით და ვაბიუნსკიადან, შემდეგ კარგაბაზრის მთებში, რომელიც დასავლეთისაკენ გადაიხრება და უერთდება დუმლის ქედს. კარგაბაზრის ქედის მწვერვალი კანდილი (10230 ფუტი) – ყველაზე მაღალი წერტილია მთათა ამ ჯაჭვისა (ნ. ადონცი, გვ. 22).

დუმლის ქედი ერზრუმის ქვემოთა გადაჭიმული და მიემართება ჭოროხის სანაპიროსკენ სპერის მაღლა. ამ სასაზღვრო ხაზზე ბასიანი და ტაიქი (თავისი კანტონებით ბუხა და ოკალით) სპარსულ ნაწილში შედიოდა, რომაულში კი კარინი და შალაგომი იყო. ზედ საზღვარზე, კარინსა და ბასიანს შუა, იყო სოფელი დუ (იქვე, გვ. 23). ასევე აქვე იყო სოფელი ვარდიშენი – ბასიანთან და კარინთან (გვ. 23).

სოფელი დუ ერზრუმიდან ახლოს ახლაცაა. ეს იმითა საინტერესო, რომ სოფელი დუ დაგით და ტირიჭანის ცხოვრების ადგილია.

ახლა ამ სოფელს ტურა ეწოდება.

კანდილის მწვერვალთან, ზედ საზღვარზე იყო სოფელი ცაგია, უფრო მაღლა, მდ. თორთომის ვაკეზეა სოფელი გეგიყი და ვარდიშენი, აქ იყო რომაული კანტონი შალაგომი – კარინსა და სპერის შუა. საპირისპირო სპარსულ მხარეს ბასიანში, თეოდოსიოპოლისთან, იყო ბოლის ციხე ვალაშვერტის ახლოს (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, გვ. 24). ვარდიშენი ხომ არ იყო ცნობილი როდოპოლისი, რომელიც ნ. ადონცის იქვე ახლოს პაიპერტონ ეცულებოდა.

## 5. მანქალი — ლაზი

სომხერი გეოგრაფია, როგორც ითქვა, წერს – „კოლხეთი, ე. ი. ეგერი იმყოფება პონტოს ზღვის აღმოსავლეთით, სარმატიის ახლოს და ივერიისა და დიდი სომხეთის თანამოსაზღვრეა. ეგერი თოხ პროვინციად იყოფა: მანრილი, ეგრევიკი, ლაზივი და ჭანეთი, ე. ი. ხალდები“ (ს. ჯანაშია, ისტ. სიმართლის დამახინჯება, 1946, გვ. 222).

ნ. ადონცის მიხედვით, მანრაღია მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ხალხალის მთასთან, ძველი ტრაპეზუნტისა და თეოდოსიოპოლის (არზრუმს) შორის. მარდაღიის გვერდით მართალია



მანრალის ადგილმებარეობის განსაზღვრა ძნელია, მაგრამ ის მარდალიასთან მდებარეობდა, მარდალის ადგილმდებარეობა კი ცნობილია-ის თეოდოსიოპოლიან ახლოს იყო, ხალხალის მთასთან.

ნ. ადონცი წერს „არზრუმიდან 40 კმ-ის დაშორებით აღმართულია ხალხალის მთა, რომელიც საზღვრავს ხორძიანას ჩრდილოეთიდან.

ხორძიანადან გაედინება მდ. გაილი. ხორძიანა, სომხური გეოგრაფიის ცნობით, შედიოდა ე.წ. IV არმენის ჩრდილო-აღმოსავლეთში.

ხალხალის მთა, ამასთანავე, წარმოადგენდა საზღვარს სპარსულ არმენიასა და მარდალიას შორის. ამავე ხალხალს ებჯინებოდა დასავლეთიდან მანრალია. ნ. ადონცის სიტყვით, ხორძიანას ნაწილს, რომელიც მანრალიასთან მდებარეობდა, ძველად არტალია ერქვა, ციხე-სიმაგრე არტალესონის თანამოსახელე (ნ. ადონცი, სომხეთი იუსტინიანეს ეპოქაში, გვ. 20) (იხ. პროკოფი, „შენობათა შესახებ“, 2006, გვ. 101).

ასე რომ, „მანრალია“ და ქართული ეგრისი სულ სხვადასხვა ქვეყნებია. სომხური გეოგრაფიის ცნობით, კოლხეთი ანუ ეგერი (ანუ ლაზიკა) მდებარეობდა ტრაპეზუნტსა და არზრუმს შორის (მასში შედიოდა თანამედროვე გიუმიშხანე, ბათბერდი, კელკიტი, აშკალე, მაშასადამე, ქვეყნა მოქცეული თანამედროვე ტრაპეზონია, არზრუმისა, ისპირსა და ერზინჯანს შორის. აღსანიშნავია, რომ აქ იყვნენ განლაგებულნი ნოტიციების „ლაზიკის“ ქვეყნის ეპარქიები, ნ. ადონცის ცნობით.

აღსანიშნავია, რომ ორი განსხვავებული წყარო – „სომხური გეოგრაფია“ და ბერძნული „ნოტიციები“ თანხვდებილია ლაზიკის გეოგრაფიის საკითხში.

Ї ѣ. ე.წ. სომხურ-ქალკედონური ეპარქიების უმეტესობაც ამ რეგიონშია მითითებული.

სომხური გეოგრაფიის „სარმატია“ არის დასავლეთ საქართველო. ის არის „ლაზიკის“ ერთი საზღვარი, მეორეა – ივრია, მესამე – „დიდი სომხეთი“. სომხური გეოგრაფიით „დიდი სომხეთი“ ეწოდებოდა ე.წ. სპარსულ არმენიას. ის ესაზღვრებოდა ე.წ. დასავლეთ არმენიას, ანუ ბიზანტიურ არმენიას. მაშასადამე, ლაზეთი მოიაზრება არმენიის ქვეყნად, რომელიც აღნიშნულ საზღვრებშია.

## 6. ეზიტ და მანქლია

მდ. არაქს ასევე ერქვა სხვა სახელებიც, ფაზისი, ეგრი და არაზი. ცხადია, იგულისხმება არაქსის ზემოწელი, ამ არალში მდინარის სახელწოდება ეგრი ნიშნეულია იმით, რომ იქვე ოლქები მანრალია და მარდალია. მარდალიას ეჭირა ოლქი მდინებს არაზს, ლიჩიკსა და ტუზლას შორის ხალხალის ქედთან, ხოლო „მანრალიას“ ოლქი, ასევე, ემიჯნებოდა ხალხალის ქედს. იქვე იყო ხორძიანის ოლქი, ნ. ადონცის აზრით, ისინი ძველად არტალიის, არტალესონის სახელით იხსენიებოდნენ დასავლეთ ანუ ბიზანტიურ არმენიაში, პერსარმენიასთან ახლოს (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, გვ. 20).

როგორც ითქვა, კანდილის (შდრ. სკანდა) მთის ჩრდილოეთით მდ. თორთუმის ხეობაში იყვნენ სოფელი ვარდიშენი და გეგიკი (ვარდიშენი იგივეა, რაც ბერძნული როდოპოლისი) – კარინს და სპერს შუა.

ხოლო თეოდოსიოპოლისი ბასიანის ოლქშია.

ჰუნები ფარანგია, სადაც ოქრო მოიპოვებოდა, იყო ჭანიკის საზღვართან, სადაც იღებს სათავეს მდ. ბოა (კოა), ესაა მდ. ჭოროხის ზემო დინება (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში გვ. 25).

აღნიშნული ფარანგიონი – სპერშია (სისპირისში).

ჭანიკას ასევე ქალდეა (ხალდეა) ერქვა. ის იყო ხალდების (ჭანების) ქვეყნა (იქვე, ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, გვ. 26) – პარხარის ქედზე, ჭოროხის ხეობაში. ჭანიკა ტაოს ესაზღვრებოდა ფარანგიონ-ისპირიდან თუხარისამდე (ამჟამინდელი ხერესი) (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში გვ. 26). გუგარენას კანტონამდე (გვ. 26) და კლარჯეთამდე.

ემდეგ მდ. ჭოროხი შედიოდა ევრ-ევრიაში, როგორც წერს სომხური გეოგრაფია (ნ. ადონცი,



არმენია იუსტინიანეს ეპოქაში გვ. 26). ჯერ ჭოროხი გაივლიდა კანტონებს ნიგალს, მრულს და მრიტს და შედიოდა ზღვაში.

6. ადონცის აზრით, სახელწოდება ეგერი, ეგერია ამჟამად შემონახულია ფორმით აჭარა (აჭარია) – ხორხისმიერი „გ“-ს პალატურ „ჭ“-ში გადასვლის გამო (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, გვ. 26). ჭოროხის აღმოსავლეთი სანაპირო – ტაო და კლარჯეთი სპარსელებს ეჭირათ.

ჭანეთს ეგერთან ერთად გარკვეული თავისუფლება ჰქონდა, თუმცა „რომაულ მიწად“ იწოდებოდა, მაგრამ მხოლოდ იუსტინიანეს დროს იქნებ დაპყრობილნი და ვალდებულნი გახდნენ ეცნოთ იმპერატორის ხელისუფლება, რომელმაც ააგო პეტრას ციხე ლაზიკის ბოლოში, ზღვისპირზე, ჭოროხის შესართავთან (გვ. 27). პეტრა – იყო იმპერიის ბოლო, იმპერიის საზღვარი იუსტინიანეს ეპოქაში (გვ. 27).

ე.ი. ნიზიბინიდან ჭოროხამდე, რომაულთა თვალსაზრისით, სომხური მიწები ორად – დასავლეთად და აღმოსავლეთად, რომაულ სომხეთად და პერსარმენიად იყვნენ გაყოფილნი (გვ. იყ., 27). ხოლო ლაზიკის უკიდურესი ჩრდილოეთი პეტრას ციხე იმპერიის ბოლო იყო.

## 7. ეგერ-ეგილი

ზაქარია რიტორი თავისი შრომის ბოლო თავში, ნ. ადონცის სიტყვით, წერს იმ 5 მორწმუნე ხალხის ქვეყნების შესახებ, რომლებიც „ჩრდილოეთში“ ცხოვრობდნენ. მათ შორისაა „ქვეყანა გურზანი“. ნ. ადონცი განმარტავს – „გურზანი, ე.ი. იბერია. არანი, ე.ი. ალბანია“ (І. პეტრი, პეტრი, 1908, გვ. 219).

ადონცი წერს ჭოროხის შესართავის მიმდებარე მხარის სახელის შესახებ – „შემდეგ მდინარე ჭოროხი შედის ეგერში, ეგერიაში, როგორც აღწერს სომხური გეოგრაფია, რომელიც იქამდე გაივლის ნიგალის, მრულისა და მრიტის კანტონებში და ჩაედინება ზღვაში“ (იქვე, გვ. 26). ასევე წერს – „ნიგალის სახელი შემოინახა, როგორც გვეჩვენება, მდ. მურღულის სახელმა, რომელიც ჭოროხის მარცხნიდან უერთდება ართვინის ქვემოთ. ერთერთ შენაკადს მდ. აჭარისა ეწოდება მარატი, მსგავსი მრუტისა, ხოლო მრული შეიძლება შევადაროთ იმერ-ხევს – „მერული“ (იქვე, გვ. 26). მაშასადამე, „გვ-ერის“ ოლქი ერქვა ჭოროხის შესართავთან მდებარე მხარეს.

6. ადონცის სიტყვით, სახელწოდება „ეგერი, ეგერია“ შემონახულია ამჟამად „აჭარის“ ფორმით, რადგანაც ხორხისმიერი „გ“ პალატურ „ჭ“-ში გადაიზარდა.

ტერმინი „ეგერია“ სომხურ გეოგრაფიაში უფრო ფართო აზრით გამოიყენება და აღნიშნავს მთელი შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ სანაპიროს აფხაზეთიდან – ტრაპეზუნტამდე, ჭანეთის ჩათვლით.

VI ს.-ში, ჭოროხის აღმოსავლეთი სანაპირო, ე.ი. ტაო და კლარჯეთი, იყო სპარსელების ხელში – წერს ნ. ადონცი (І. პეტრი, პეტრი, 1908, გვ. 27) და შემდეგ განაგრძობს – „ჭანიკა და მთელი ეგერია, აღნიშნული ფართო აზრით რომ ვთქვათ, შედარებით თავისთავადი იყო“ (იქვე, გვ. 27); ე.ი. სპარსელთა და რომაელთა მიერ ქვეყნების გადანაწილების დროს შედარებით თავისთავადობით სარგებლობდნენ (ჭანიკა და ეგერია).

ე.ი. ჭოროხის შესართავს, ნ. ადონცი ეგერიას უწოდებს, მაგრამ ის შედიოდა ლაზიკაში, კერძოდ, მისი აზრით, პეტრა – ლაზიკის სანაპიროზე იყო აშენებული (І. პეტრი, პეტრი, 1908, გვ. 27).

პეტრა, ნ. ადონცის აზრით, ლაზიკის ჩრდილოეთით, ჭოროხის შესართავთან მდებარეობდა (და არა ლაზიკის სამხრეთით – როგორც ამჟამადაა მიღებული). ამასთანავე, პეტრა იმპერიის საზღვარს წარმოადგენდა (І. პეტრი, პეტრი, 1908, გვ. 27), ანუ აქ ეხებოდა ერთმანეთს ბიზანტიის იმპერატორისა და სპარსეთის შაპების გავლენის სფეროთა ხაზები, მთელი



საუკუნის მანძილზე ისინი ებრძოდნენ ერთმანეთს ამ მხარის დასაუფლებლად.

როგორც ავღნიშნეთ, ტრაპეზუნტის მხარეს ქართველები „სოფელი მეგრელთა“ სახელს უწოდებდნენ, ხოლო ქართველი მემატიანებისთვის ეგრისი ერქვა საქართველოს ზღვის სანაპიროს.

## 8. ეჩემია 6. ჯონცის მიხდვით

„ჭანიკა ანუ ზალდია“ – ჭანიკის ანუ ზალდის ქვეყანას ეჭირა მთანი მხარე, რომელსაც ქმნის პარხალის ქედი მდ. ჭოროხსა და შავი ზღვის სანაპირო ზოლს შორის ტრაპეზუნტამდე.

ჭოროხის ბარში ჭანიკას ესაზღვრებოდა ტაო – ფარანგიონისპირიდან თუხარისის ციხე-სიმაგრემდე, შემდეგ ჭანიკა ესაზღვრებოდა გუგარენას ცანტონს და კლარჯეთს მდ. არტანუჯზე

„შემდეგ მდ. ჭოროხი შედის ეგერში – ეგერიაში, როგორც „სომხური გეოგრაფია აღწერს“, იქამდე კი გაივლის ნიგალის და მრულის (მრილის) კანტონებს და ჩაედინება ზღვაში“-წერს 6. ადონცი (6.ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 26).

ნიგალის სახელი, 6.ადონცის აზრით, შეინარჩუნა მდინარე მურდულმა, რომელიც ჭოროხს უერთდება ართვინის ქვემოთ მარცხნიან მხრიდან.

ერთერთ შენაკადს მდ. აჭარისას ჰქვია მარატი, ეთანადება მრუტს. მრული შეიძლება არის იმერ-ზევი, მერ-ული. იმერზევიდან ზღვამდე ეს კანტონები ადგენდნენ ოლქ ეგერს. დასახელება ეგერ, ეგერია ამჟამად შენახულია ფორმით აჭარა, ჩვეულებრივი გადასვლით ხორხისმიერი გ-დან პალატურ ჭ-ში.

VI ს.-ში, როგორც ითქვა, ჭოროხის აღმოსავლეთი მხარე, -კლარჯეთი და ტაო, ეკუთვნოდა სკარსელებს, ხოლო ჭანიკა და, საერთოდ, ეგერია, თუმცა რომაულ მიწებზე მდებარეობდნენ, სარგებლობდნენ თავისუფლებით. მათ მხოლოდ იუსტინიანეს ეპოქაში აღიარეს საიმპერატორო ხელისუფლება. იუსტინიანემ ლაზიკის ბოლოში ააგო პეტრას ციხე, ზღვისპირას, ჭოროხის ჩრდილო შესართავთან.

6.ადონცი წერს,, VI ს.-ში, პეტრა შეიძლება ჩავთვალოთ იმპერიის საზღვრად, რომელიც აცალკევებდა იმპერატორისა და სკარს მეფეთა გავლენას. სინამდვილეში, მათ შორის ომი იყო გაჩაღებული ამ მხარის დაუფლებისთვის მთელი 100 წლის მანძილზე“.

მაშასადამე, „სომხური გეოგრაფიის „მხარეები-მანრილი, ეგრევიკი, ლაზიკი და ჭანეთი მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ტრაპეზუნტის მხარეს ჭოროხამდე (6. ადონცი, სომხეთი იუსტინიანეს ეპოქაში, გვ. 26-27).

## 9. ექვემდებარებულის მიხდვით

ერგე, ანუ ეგრი, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, ერქვა მიწაწყვალს ჭოროხის შესართავთან. მას მოიხსენიებს VII საუკუნის სომხური გეოგრაფია, ასევე ბატონიშვილი ვახუშტი.

ვახუშტის ცნობიდნ შეიძლება გავიგოთ, რომ ერგე მდებარეობდა ჭოროხის შესართავთან იმ ადგილთან ახლოს, სადაც ჭოროხს უერთდება აჭარისწყვალი.

ჭოროხი „დის ფრიად ჩქარად, ქვიანსა, კლდიანსა და ხრამოვანსა შინა, სასმისად შემრგო, გემოიანი, სხვებრ ურგები, ვინაიდგან არა რაი კეთდების ანუ ირწყვის თვინიერ ერგეს, გონიას და ბათომს, არამედ ვინაითგან აღვსწერენით ბათომი, გონია და ერგე გურიასა ზედა, აწ ერგეს ზეიდამ ვიწყებთ, აჭარისწყლის შესართავიდამ“ (ვახუშტი, ქც. IV, გვ. 676). არიანეს, სტრაბონის, პროკოფიას და სხვა ავტორთა ცნობით მდ. ფაზისი ასევე იყო სასმელად ვარგისი და გემმრიელი, ის მიედინებიდა კლდეთა შორის დიდი სიჩქარით ხმოვანებით. იმავეს წერს ვახუშტი ჭოროხის შესახებ, რაც შეეხება მდ. რიონს ის ქუთაისიდან ზღვამდე არა კლდეთა შორის, არამედ ვაკეზე მიედინებოდა დაუსრულებელ ჭაობებში, ამიტომაც, როგორც ცხვა ყველა ჭაობის უვარესი იყო სასმელად.

ვახუშტი წერს „ლიგნის ხეობისათვის“: „ართვინის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე ჭოროხის



ხეობის იმიერი და ამიერი იწოდების ლიგნის ხეობად და არს ეს ლიგნის ხეობა თვინიერ სივიწროვისა ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმონით, ზეთისხილით, ბროწეულით, ლელვით, ვენახით, ხილით შემკობილი და ქებულნი ბუნებურნი ყოველივე. მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებს“ (ქ.ც, IV, გვ. 680).

ვახუშტი ასევე წერს:-

„გურიისათვის“... „ზღვის შესართავზედ და ჭოროხის ჩრდილოეთ კიდურზედ არს ბათომი... ამას ზეით, ჭოროხის ჩრდილოსავე კიდესას ზედა არს ერგე“ (იქვე, გვ. 792).

„და ბათომს, გონიას და ერგეს ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროწეული მრავალი და ზღვის კიდესაცა“ (იქვე, 793). ერგე და ლიგანია ის ყიველმხრივ ნაყოფიერი მოხირისი, რომლის შესახებაც წერდა პროკოფი.

სომხურ გეოგრაფიაში (VII ს. ჭოროხის შესართავს ეწოდება „ეგრი“, ვახუშტისთან „ერგე“.

„ერგე“ ეტიმოლოგიურად ახლოა სიტყვებთან „არგვეთი“, „მარგალი“ და სხვა. „ეგრი“ კი სიტყვებთან „ეგრისი“, „გურია“ და სხვა.

როგორც ითქვა, გახუშტის „ლიგნის ხეობა“ თავისი უხვნაყოფიერებით წააგავს პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილ ქვეყანა „მოხირისს“.

ვახუშტის ჭოროხი, სიჩქარით და გემოიანობით მიაგავს პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილ მდ. ფასისს. პროკოფის კლდოვანი ლაზიკა უნდა იყოს კლარჯეთი, ხოლო მოხირისი – ერგე-ლიგანი.

## 10. პრატი — ჰომიოსის ხეობა 03. ჯავახიშვილის მოხადვის

აჭარაში, ბათუმთან ახლოს, მდ. ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე ამჟამადაც არის პუნქტი „ერგე“ (იქვეა სოფლებია – მახო და აჭარისწყალი). ეს უკანასკნელი ჭოროხისა და მდ. აჭარისწყლის შეერთების ადგილასაა, ოლონდ მარჯვენა სანაპიროზე, ოდესლაც VI საუკუნეში აჭარისწყლისა (დოკონისისა) და ჭოროხის (ფასისი) შეერთების ადგილას ყოფილა პუნქტი „ნესოსი“.

ივ. ჯავახიშვილი წერს – „რაკი ქართულ წყაროებში სრულებით გარკვევით წერია, რომ კლარჯეთი ზღვამდის აღწევდა, ამიტომ ისე გამოდის, რომ „ხევი ნიგალისა“ (სუმბატის უწყება), ანუ „ნიგალი“ (მატინე ქართლისა) კლარჯეთის ერთი ნაწილთაგანია“ (ივ. ჯავახიშვილი, ტ II, გვ. 63). მაშასადამე, ისტორიულად, ლიგანი (ლივანა) იყო ნაწილი კლარჯეთისა.

ეტიმოლოგიურად ახლოა არტაანში მდებარე სოფელი „მგლოვანი“ და ნიგალი. იყო ასევე სოფელი „მგლინავი“, ხოლო შავშეთში სოფელი „ნორგიალი“ ამავე ფუძისას სტრაბონის მდგლავრისი, ფაზისის შენაკადი.

კლარჯეთის ნაწილი ყოფილა ასევე ნიგალსა და ზღვას შეუ მდებარე „ეგრი“, ანუ „ერგე“. ვახუშტის დროსაც აქ იყო „ერგე“.

ივ. ჯავახიშვილი წერს – „სომხური უსახელო გეოგრაფიიდან ჩანს, რომ კლარჯეთის გვერდით „ეგრი“ მდებარეობდა. ეგრზე მიმდინარეობდა ჭოროხი (იქვე, გვ. 63).

შეუ საუკუნეებში ბათუმსა და ნიგალს ანუ ლიგანს აქეთ მდებარე სანაპირო გურიად იწოდებოდა (ქვემო გურია), ეტიმოლოგიურად „ეგრი“, „ერგე“ და გურია ახლოა ერთმანეთთან და ერთი ფუძე „გრ“ და „რგ“ აქვთ.

## 11. ლიხიძის ლოკალური ძველი პრატიონის მოხადვის

„სომხური გეოგრაფიის“ ჭანიკა და ლაზიკა ტრაპეზუნტან მდებარე ერთიანი ქვეყნის ნაწილებია, ერთმანეთს ზოგჯერ ფარავენ კიდეც. ისინი და იქვე, ტრაპეზუნტის ოლქში მდებარე ეგრია – კოლხიდის ნაწილებია.

ქვეყანა ეგრი განიყოფა ლაზიკად და ჭანიკად და ის ტრაპეზუნტან მდებარეობს – ასე იკითხება „სომხური გეოგრაფია“ VII-IX საუკუნეებისა, ასევე იგებს მას ი. მანანდიანიც – „À À ði yí ñ ë é

ääñäðàôèè“ Äæäíèê, Ò.Å. ñòðàáíà öäñíâ, èëè ÷òî ðî æå \_ Èäçí â, íåñí äèåøéñý à ðäéííà Ìðäii åçóíðñéï é î áæàñòè, áûë ñíñòàâñé -àñòüþ Áääðèè \_ Èí ëõèäú“ (ß. Íàíàíäýí, Íàðóðòóù íåðñèäñéë ïîñí äíâ Èííå ðàòðà Èðàéèëý, Äèçàíðèèñéé Äåñòðèè, Ò. III, 1950, ñòð. 148).

სომხური გეოგრაფიით ჭანიკა, ლაზიკა და კოლხიდა ტრაპეზუნტის ოლქში მდებარეობდნენ და მათ ყველას ერთად ეგერია ეწოდებოდათ -მანანდიანის კვლევით.

მთაწმიდიდან გამოსული წყაროს ცნობით – ჰერაკლე „მიღწია ტრაპეზუნტედ, სანახებთა მათ სამეგრელოსათა“ (გორგია, IV, ნაწ. II, გვ. 208, 422).

მაშასადამე, ტრაპიზონზე — სამეგრელოა, სომხური წყაროს — ევერია.

ამასვე წერს ექვთიმე მთაწმიდელის ეპოქის წმანდრიას ცხოვრება – წმ. მოციქული მივიდა „ტრაპეზუნტში სოფელსა შინა მიგრალთასა“.

მაშვისაკადამი, ტრაპეზული - მუნიცილობა ქვეყნას, სამუნიცილოა, ანუ უკირია.

როგორც ორი იყო ქართლი (არიან-ქართლი და მცხეთის ქართლი), ისე ორი იყო უგრისი (უგერი) – დასავლეთ ქართლის უგრისი და ბიზანტიის. ანუ ჭრაპეზუნების უგრი, უგრია.

12 ପାଇଁତୋରେକିମ୍ବାନୀ କ୍ଷେତ୍ରରେ କଥାକଣ୍ଠରେ “ଶୁଣିବାକୁହିଁ”

ჩვენი მემატიანები ტრაპიზონის შემოგარენს ძირითადად მოიხსენიებდნენ ორგვარად – „ხალდია“ და „სოფელი მეგრულთა“, კერძოდ, „მატიანე ქართლისა“ წერს – ბასილი II-მ „დაიზამთრა ქუეყნასა ხალდისასა, მახოლბლად ქალაქსა ჭრაპიზონთასა“ (ქ. 1, 23, 285).

ხოლო ლეონტი მროველი წერს – „მოვიდა ანდრია ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრულთა“ (ქ.ც. I, გვ. 39). მაშასადამე, „ქალდეა“ და „სოფელი მეგრულთა“ ქართული აზროვნებისთვის სინონიმებია. მართლაც, „ქალდეა“ ეთანადება შემდეგდროინდელ ჭანების. აյ აღსანიშნავა ის, რომ სიტყვა „ქალდ“ ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით, ის ფუძეა, რომელისგანაც წარმოიშვა სიტყვა „ქართლი“ და „ქართული“. მაშასადამე, სიტყვა ქალდ საერთო ქართული ერთობის (ქართველურ ენათა დაშლამდე, ანუ ზანურ-ქართული ენობრივი ერთობის) დროინდელი ფუძეა.

„ქურარესუნთის გზით“ შემდლო თრიალურში შესვლა.

### 13. კოლეგია და პრეზენტაცია

ქული ავტორები, როგორც წესი, ძალზე ხშირად ერთად ახსენებენ კოლხეთსა და არმენიას.

ქსენოფონტეს ცნობით, ტირიბაზი იყო დასავლეთ არმენიის მმართველი და ამავე დროს ლაშქრობის დროს ფასიანებისა და ესპერიტების უფროსი (IV,1,4), აქედანაც ჩანს, რომ ფასიანები, კოლხების უშუალო მეზობლები, არმენიის გვერდით ცხოვრობდნენ, ანუ ერთ რეგიონში.

. მითოდატე ევპატორმა მცირე არმენიას, კოლხეთსა და სოფენაში ააგო 75 ციხესიმაგრე, სტრაბონის სიტყვით, რადგანაც მცირე არმენია და სოფენა კოლხეთთან ერთად იხსენიება, აქედან ჩანს, რომ კოლხეთი მათი მომიჯნავე ოლქი იყო.

ეგრისი, როგორც აღინიშნა, ერქვა არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს, არამედ ტრაპეზუნტის მიმდებარე მხარეებსაც, ასე რომ, არსებობდა სამხრეთი და ჩრდილო ეგრისი. სამხრეთ ეგრისი აღწევდა ჭოროხის შესართავამდე, ხოლო ჩრდილო ეგრისი აქტან (ჭოროხის შესართავიდან) იწყობოდა.

სამხრეთ უგრისს, ანუ კოლხეთს ესაზღვრებოდა არმენია და ის ზოგჯერ შედიოდა კიდეც „რომაულ არმენიაში“, ხოლო ჩრდილო კარისი იბერიაში.

სამხრეთ გერისი არმქიდისაკენ მდებარეობდა, შესაბამისად, კოლხეთი ესაზღვრებოდა მესხეთს. პ.



ბერძნიშვილის სიტყვით, როცა 456 წელს ომაბეჭდმა „დაიწყეს ომი ლაზებთან“, ბიზანტიის იმპერატორის კარზე ბჭობდნენ მოში გასამარჯვებლად არმენიის გზით შესეოდნენ კოლხეთს, თუ ტრადიციული გზით ეომათ (მ. ბერძნიშვილი, ქ. ფაზისის ისტორიისთვის, გვ. 80-81). გუბაზ I-ის კოლხეთში ერთერთი გზა არმენიიდან შედიოდა, რადგანაც არმენიის მეზობლად მდებარეობდა.

პონტო-კოლხეთის დედოფლის პითადორიდას ვაჟი, სტრაბონის სიტყვით, დიდი არმენიის მეფედ დაადგინეს. მისი მეორე ვაჟიც გამეფედა არმენიაში არტაქს III-ის სახელით, კოლხეთის ეს ქვერივი დედოფლი იყო მეუღლე პონტოს მეფისა პოლემონის. მისი ვაჟები, როგორც აღინიშნა, არმენიის მეფებად დაადგინა რომმა ახ.წ. დასაწყისში. (მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 134). აქედან ჩანს, კოლხეთ-პონტო-არმენიის ურთიერთ-მეზობლობა.

თეოფანე ჟამთააღმწერელის სიტყვით – „არმენიელები შეიჭრნენ ლაზიკაში“ არაბობის დროს (მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ გვ. 187), რადგანაც ე.წ. დასავლეთ არმენიას კოლხეთი, ანუ ჭოროხის, ტრაპეზუნტის ოლქები ესაზღვრებოდა.

ამიტომაც წერდა VII საუკუნეში „პასქალური ქრონიკას“ ავტორი „არმენიის ქალაქი კოლხისი“ (მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ იქვე, გვ. 183). მისი გამონათქვამი და ასევე VII საუკუნის სომხური გეოგრაფიის თვალსაზრისი „ეგრის“ ქვეყნის მდგბარეობის შესახებ ერთმანეთის მსგავსია.

#### 14. სპოლია და მემკებელი

კოლხეთის ბოლო პუნქტად სკილეს კარიანდელთან, სკიმნოს ქიოსელთან და დიონისიოს პერიეგეტან მიჩნეულია აფსაროსი, რომელიც კოლხეთის ჩრდილოეთი წერტილი იყო შავ ზღვაზე. მის შემდეგ უკვე მოდიოდა სკვითია, ანუ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი(ბერძნი მწერლები საქართველოს შესახებ, I, 1967. გვ.43).

დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთსა და კოლხეთს შორისაა მათი გამყოფი პუნქტი აფსაროსი. როგორც ცნობილია აფსაროსი ხოფასთან ახლოს, ჭოროხის მარცხნა სანაპიროზე მდებარეობდა.

ამ ავტორების ცნობით აფსაროსის სამხრეთით მდებარე მიწაწყალს კოლხეთი ერქვა, ჩრდილიერით მდებარე ტერიტორიას(ე.ი. დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთს) კი „სკვითია“.

თანამედროვე დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში ცხოვრობდნენ „სკვითური ტომები“ აქელები, კერკეტები და გელონები (ბერძნი მწერლები საქართველოს შესახებ, I, 1967. გვ.46).

ხერსონესის აქეთ, ტავრების კონცხის „შემდეგ ისევ სკვითები არიან, მათ ქვეყნაში შემდეგი ელინური ქალაქებია – თეოდოსია, კუტაისა და ნუმფარა“ (იქვე, გვ. 44).

ეს ავტორები მუდამ აღინიშნავნ, რომ ამ სკვითების გვერდით უშუალო მეზობლად იბერია (იხ. ბერძნი მწერლები საქართველოს შესახებ, I, 1967. გვ.43).

ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთ საქართველოში მცხოვრები აქელებბი, კერკეტები და გელონები იყნენ არა სკვითური არამედ ქართული ტომები.

კერკეტები საბჭოთა ისტორიკოსების მიერ უსაფუძვლოდ ჩერქეზების წინაპრებად იქნა მიჩნეული, თუმცა ეტიმოლოგიურად კერკეტი – გერგეტთან ანუ გეორგიასთან უფროა ახლო (კერკეტი – გერგეტი) (გერგ-გეორგ).

ორივე სატომო სახელის(გელონი, კერკეტი) ფუძე-ძირები თითქმის იდენტურია(გელ-გერ, კერკ-გერგ) – გერ-გერგ, რომელთაგანაც შესაძლოა მივიღოთ სახელები -ეგრისი, გურია, არგვეთი.

რატომ იყვნენ ეს ტომები მიჩნეული სკვითებად?, ბერძნული თეორიით მსოფლიოს კიდეები განსახლებული იყო ოთხი ხალხით – ჩრდილოეთის ყველა ხალხი სკვითებად იწოდებოდა, ამიტომაც მათთვის ჩრდილოეთით მცხოვრებ ქართულ ტომებსაც ზოგჯერ სკვითებს უწოდებენ.

აქელების, კერკეტების და გელონების შესახებ სხვა მონაცემები არ არსებობს, ამიტომ ეტიმოლოგიური დაკვირვებით უნდა დაკმაყოფილდეთ. სიტყვა გელონის ფუძ-ძირი უნდა იყოს „გელ“, იგივე „გერ“, რომლიდანაც



ალბათ შესაძლებელია სიტყვა ეგერ-ევრისის მიღება(გელონები-გელ-ეგრ-ეგრ), სიტყვა „კერკეტის“ ფუქე-ძირი უნდა იყოს „კერკ“, „იგივე „გერგ“, რომლიდანაც ალბათ შესაძლებელია სიტყვა -გეორგ-გეორგის მიღება(კერკეტი-კერკ-გერგ-გეორგ)

## 15. ტოპონიმები

თეოდოსიობოლიდან (არზრუმიდან) აღმოსავლეთით განფენილ ვრცელ მიწა-წყალზე, თითქმის ვიდრე ვანის ტბადე გვხვდება მრავალი ტოპონიმი თუ ჰიდრონიმი, რომელიც მეორდებან დასავლეთ საქართველოში. კრძოდ აქ გაედინება მდინარე ფაზისი (არაქესა და ვეჯრატეს ზემო წელში ასევე ფაზისი ერქვა), არის შესაბამისი სახელის მქონე ქალაქიც, ას რეგიონში, პროკოფი კესარიელის ცნობით მდებარეობდნენ „კლისურები“ (ან „კლისურა“), ასევე ადგილი სახელწოდებით „საფხაზი“, ამავე რეგიონში გაედინებოდა მდინარე ური, ამჟამადაც კი ერთერთ ქალაქს „აგრი“ ჰქვას. ამავე რეგიონის მომცველ ქვეყნას, ბიზანტიის იმპერიამ ერთ დროს უწოდა „იბერიის თემი“.

საქართველოს კუთხეებსა და ლაზიკეში, როგორც ითქვა, მრავალი ერთნაირი ტოპონიმი და ჰიდრონიმი იყო. მაგალითად, ეგრისწყალი (აფხაზეთში (ბედიასთან) და „ეგრეს-სუ“ ანუ ეგრისწყალი ტრაპიზონის მხარეს (ივ. ჯავახიშვილი, 1983, ტ. II, გვ. 123), კლისურა (ცხუმთან) და „კლასური“ (ტრაპიზონისაკენ) (იქვე, გვ. 23). „პიტა“ – „ტრაპიზონთან“, „პიტიუნტი“ ცხუმთან, სებასტოპოლისი, ტრაპიზონის ოლქში და აბაზიაში. „ზეგანა“ („ზეგანთა სოფელი“) XI ს-ში შიდა ქართლში (თ. უორდანია, ქრონიკები, II, გვ. 33) და „ზიგნა“ ქალდიაში (ტრაპიზონის მხარე), ასევე ზიგინევი (აფხაზეთში), ზეგანი სოფ. კლდეეთთან, ზესტაფონში. ქ. ფაზარი (იგივე ფაზისი), (ძველი ათინა ტრაპიზონთან) (გეორგიკა II, 1965, გვ. 102) და ფაზისი. „ბოასი“ ერქვა ჭოროხს ან მის შენაკადს პროკოფი კესარიელის მიხედვით, ასევე როგორც ზოგიერთი ფიქრობს მდ. ყვირილასაც. ფაზისი ერქვა ჭოროხსაც და ასევე რიონსაც. მაგალითად, პროკოფი კესარიელი ლაზიკას ასე აღწერს – „ლაზიკე ყოველგან, მდინარე ფაზისის როგორც აქთა, ისე იქთა მხარეზე გაუვალია. ქვეყნის ორსავე მხარეს უზარმაზარი კლდეებია რომლებიც იქ ვიწრობებს ქმნიან, ასეთ გზებს რომაელები „კლისურებს“ უწოდებენ“ (გეორგიკა II, 1965, გვ. 102). მდ. რიონთან დასავლეთ საქართველოს ბარში კლდეები არსადაა, ის არის ჭოროხის სანაპიროებზე, ისტორიულ ლაზიკეში. პროკოფი გარკვევით წერს – „მდ. ბოასი გამოდის ჭანეთის საზღვრის მახლობლად არმენიელთა ადგილებში, რომლებიც ფარანგიონის გარშემო ცხოვრობენ. თავში ის კარგა მანძილზე მარჯვნივ მიმდინარეობს. თხელია ... ვიდრე იმ ადგილამდე, სადაც მარჯვნივ იბერთა საზღვრები არის, ხოლო პირისპირ კავკასიის მთა თავდება, მის შემდეგ რაც ეს მდინარე მიაღწევს იმ ადგილს, სადაც კავკასიისა და იბერიის საზღვრებია, აქ, რადგან მას ბევრი სხვა წყალიც ემატება, ის იზრდება ძალიან და ნაცვლად ბოასისა, ამიერიდან ფაზისად წოდებული, განაგრძობს მდინარებას ნაოსნობისათვის გამოსადეგი, ვიდრე ევქსინად წოდებულ ზღვამდე, სადაც მისი შესართავია და მის ორივე მხრით ლაზიკე არის“ (გეორგიკა, II, გვ. 100). ჭანეთის მახლობლად ჭოროხი გამოედინება. მას ერქვა სათავეში „ბოასი“ (ნადონცის კვლევითაც). ბოასი ანუ ჭოროხი სათავეში, მართლაც თხელია ანუ წყალმცირეა. ვიდრე კარჩხალის მთებამდე (აქ პროკოფის აზრით კავკასიის მთა თავდებოდა და აქვე იყო კოლა-არტაანის ანუ იბერიის საზღვრები), კარჩხალთან მართლაც ჭოროხს რამდენიმე მდინარე ემატება, მათ შორის წყალუხვი იმერხევი, აქ ბოასი სახელიც ეცვლებოდა, უკვე „ფაზისად“ იწოდებოდა და მისი სანაპიროს ქვეყნას „ლაზიკა“ ერქვა.

ასე, რომ ლაზიკა რამდენიმე მრავეს ერქვა ტრაპეზურტის რეგიონში, ასევე ფაზისი ანუ ეგრი ერქვა არანაკლებ წყალუხვ და ცნობილ მდინარეს იქვე მაღლა ზეგანზე გამდინარეს-არაქსს.

არაქსის ეგრი ერქვა იმის გამო, რომ მისი სათავე ისტორიული ეგრის ქვეყნაში გაედინებოდა მანრალია-ჭანეთ-ქალდეგასთან ახლოს.



## 16. ოქტო გვერდი

მ. ბერძნიშვილის კვლევით, „პირველი ცნობა კოლხებზე ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეებიდან გვხვდება. შემდეგ ცნობები წყდება რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.

„ძვ. წ. IV საუკუნე და მისი მოძღვანო ხანა ოდნავადაც არაა აღბეჭდილი ისტორიაში“ (მ. ბერძნიშვილი, ფასისის ისტორიისათვის. გვ. 69).

ძველი წელთაღრიცხვის IV ს-დან I საუკუნემდე ისტორიაში კოლხების შესახებ ცნობები არ მოიპოვება (იქვე, გვ. 71).

რომთან მეომარი მითრიდატეს დროს ცნობები კოლხეთის შესახებ ახლდება. მითრიდატე VI ევპატორის ეპოქაში (120-63) კოლხეთი სამეფო არ იყო.

კოლხეთი „სკაპტუხიებად“ იყო დანაწილებული. სკაპტუხია დაახლოებით ქართულ სამთავროს, საერისთავოს მსგავსი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულია და, ჩანს, კოლხეთი პონტოს მეფები დაიმორჩილა. ცნობილია, რომ ქრისტემობამდე 89 წელს მითრიდატე უკვე ფლობდა კოლხეთს (იქვე, მ. ბერძნიშვილი, ფასისის ისტორია გვ. 71) და მას მართავდა თავისი მოადგილების მეშვეობით. ერთი, მაგალითად, იყო მითრიდატეს მეფობარი მოაფრენი (სტრაბონის დევის მს), მეორე კი მითრიდატეს შვილი, ასევე მითრიდატეს სახელის მქონე. მას პონტოს მეფები „მეფის პატივი უწყალობა. ცხადია, ის არაა ნამდვილი მეფე, არამედ მხოლოდ სახელის მქონე. მითრიდატეს კოლხეთი აინტერესებდა საზღვაო საქმიანობისთვის, აქედან, მისდიოდა გემბის ეკიპაჟი და გემთსაშენი მასალა“ (მ. ბერძნიშვილი, ფასისის ისტორია გვ. 73). რომთან 85 წელს დამარცხებულ მითრიდატეს კოლხები განუდგნენ თავისი შვილი მაშინ დაუდგინა „მეფედ“ კოლხებს, რომელსაც შემდეგ ჯერ ოქროს ბორკილები დაადო, შემდეგ კი სიკვდილით დასაჯა.

სტრაბონის სტეფით, მცირე არმენიასა, სოფენენესა და კოლხეთში მითრიდატემ 75 ციხე-სიმაგრე ააგო და თავისი ქონების დიდი ნაწილი ამამი ჩაყარა მ. ბერძნიშვილი, ფასისის ისტორია (იქვე, გვ. 74). აღნიშნული ოლქები, ცხადია, ერთმანეთს ემეზობლებოდნენ, საერთო საზღვრები ჰქონდათ. მითრიდატეს დამარცხების შემდეგ პომპეუსი აკონტროლებდა კოლხეთს, მეფე ოროზის და სკაპტუხოს ოლთაკეს შემდეგ იქ დაადგინა არისტრახოსი. საკვლევია ის „ბოსფორელების და კოლხების მეფედ“, თუ მხოლოდ „კოლხეთის მეფედ“ იწოდებოდა. ცხადია, არისტრახოსი არ იყო სუვერენული მმართველი, არამედ რომაელთა მიერ დადგენილი.

48 წლისათვის ბოსფორის მეფე ფარნაკმა (მითრიდატეს ვაჟმა) კოლხეთი და მთელი არმენია დამორჩილა (იქვე, მ. ბერძნიშვილი, ფასისის ისტორია გვ. 77). მაგრამ 47 წელს ის აგუსტოს კეისარმა დაამარცხა.

ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის ბოლო წლებში კოლხეთს ფლობდა პონტოს მმართველი პოლომენი. მისი სიკვდილის შემდეგ (ახალი წელთაღრიცხვის 14 წელს) – პონტოს „სამეფო“ ტახტზე ავიდა მისი ქვრივი პითოდორიდა, რომელიც კოლხეთს 38 წლამდე მართავდა. მისი შვილები არმენიის მეფეები გახდნენ.

იმპერატორ ტრაიანეს (92-117) დროს კოლხეთი რომის ქვეშევრდომი იყო. შესაძლოა, მის მმართველს „მეფის“ ტიტული ჰქონდა. ამის შემდეგ წყდება კოლხეთის შესახებ ცნობები კვლავ რამდენიმე საუკუნის მანძილზე.

IV ს. მეორე ნახევრიდან კვლავ ჩნდება ბუნდოვანი ცნობები (იქვე, გვ. 79), მათგან ზოგიერთში კოლხები რომს ხარკის ყოველწლიურად გადახდას პირდებიან (იქვე, გვ. 80).

ეპისკოპოს თეოდორიცხვეს (390-457) სხვა ამბავთან დაკავშირებით, მაგალითის სახით მოჰყავს ამბავი, რომ „ლაზები, საბები და აბაზები და სხვა ბარბაროსები თუმცა რომაელთა ბატონობას ემორჩილებიან, მაგრამ ერთმანეთში არ სდებენ ხელშეკრულებას რომაული კანონების თანახმად“ (იქვე, მ. ბერძნიშვილი, ფასისის ისტორია გვ. 80).



ვფიქრობ, ყოველივე ზემოთაღწერილი არ ეწინააღმდეგება ქართული წყაროების მონაცემებს, ქრისტეშობამდე VI-V საუკუნეებში კოლხეთს მეფე არ ჰქონდა და, ჩანს, ტერიტორიულად ის არ მდებარეობდა დასავლეთ საქართველოში, არამედ — ტრაპეზუნტის მხარეს.

ე.წ. „კოლხეთის სამეფო“ მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენდა პონტოს მეფე მითრიდატეს ვრცელი სამფლობელოსი, და ჩანს, მას მითრიდატიანები მართავდნენ კიდეც, აქ უნდა გავიხსენოთ მოვსეს ხორენაცი, რომ პონტოსპირა იბერებს მიჰრდატიანები მართავდნენ.

მითრიდატიანები, ანუ მირჰდატის შთამომავლები, ხორენაცის თქმით, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქიდან მართავდნენ პონტოსპირა იბერებს, ანუ იმ ხალხს, რომელიც ნაბუქოლონოსორმა პონტოს ზღვის პირას გადასახლდა. პონტოსზღვისპირეთიდან შემდეგ ეს ხალხი გამრავლების გზით დასახლდა თანამედროვე საქართველოში და მათ შორის გუგარქშიც, ასეთია ხორენაცის ცნობა.

ბერძნულ-რომაული წყაროებითაც კოლხეთში მითრიდატე თავის შვილს ნიშნავს „მეფედ“. ეს სამეფო შემდეგ უმეტესად რომის ქვეშევრდომია, ანუ ის მხოლოდ სახელს ატარებს სამეფოსას და, ჩანს, ის მდებარეობდა ჭოროხის აუზში. სამხრეთ ევრისად ჩვენს მიერ წოდებულ ერგე-ლიგან-ჭანეთ-კლარჯეთს ვახუშტის სიტყვით მართავდნენ მირდატიანები.

. ამ ქვეყნას სომხური გეოგრაფია VII ს-ისა „ეგერს“ უწოდებს, ვახუშტი „ერგეს“ მართლაც უწოდებს ჭოროხის შესართავის მიწა-წყალს. ამავე ვახუშტის მიხედვით, ჭოროხის ხეობის და მისი სათავეების ზოგადი სახელია „კლარჯეთი“. მდინარე ჭოროხის აღწერისას თავის თხრობას ვახუშტი ასე იწყებს — „ხოლო აწ ვიწყებთ კლარჯეთს და ამ ქვეყნასა შინა უდიდესი მდინარე არს ჭოროხი, რომელი გამოდის ირიჯლუს მთასა და დის სამხრიდან ჩრდილოთ... ხვარამზეს ხიდამდე... მიერთვის ბათომს ქვევით შავს ზღვასა... დის ფრიად ჩქარად ქვანსა, კლდიანსა და ხრამოვნსა შინა... სასმისად შემრგო... ირწყვის ერგეს, გონისა და ბათომს“ (ქ.ც. IV, გვ. 676). სად იყო ერგე? ჩანს, გურიასა და ლიგანის ხეობას შორის — „ართვინის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე ჭოროხის ხეობის იმერი და ამერი იწოდების ლიგნის ხეობად და არს ეს ლიგნის ხეობა, თვინიერ სივიწროვისა ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმნით, ზეთისხილით, ბროწეულით, ლელვით, ვენახით, ხილით შემყობილი და ქებული ბუნებით ყოველივე“ (იქვე, გვ. 680). ასევე, ნაყოფიერია ერგეც, ამიტომაც კლდოვან კლარჯეთში ერგე და ლიგანი მოგვაგონებს პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილ მსგავსად ნაყოფიერ მოხორისს კლდოვან ლაზიკაში.

ბათუმს ზევით, ვახუშტის აღწერით, „ჭოროხის ჩრდილოსვე კიდესა ზედა არს ერგე“ (ქ.ც. IV, გვ. 792).

კლარჯეთი მოიცავდა ერგეს გარდა მთელ ისტორიულ სამხრეთ საქართველოს ოძრახოსისა და ჯავახოსის წილის გარდა (იქვე, გვ. 691) ესაა ქვეყნა ერგედან და იმიერ ტაოდან სპერისა და ჭანეთის ჩათვლით.

სომხური გეოგრაფიითაც ეგრის ქვეყნა მოიცავდა ჭანეთს, საკუთრივ ეგრის, მანრალიასა და მარდალიას. ასე რომ, სომხური ეგრი და ვახუშტის მიერ აღწერილი კლარჯეთი ერთსა და იმავე რეგიონებს მოიცავდნენ.

პროკოფის მიერ აღწერილი ლაზიკა — კლარჯეთის მსგავსია თავისი კლდოვანობით, სწრაფი მდინარით, რომელიც გემრიელია.

სომხური წყაროების ეგრი, ქართული კლარჯეთი (ჭანეთთან ერთად) და ბერძნული ლაზიკე ერთი და იგივე უნდა იყოს. ესაა ჩვენს მიერ სამხრეთ ეგრისად წოდებული ქვეყნა, სხვა იყო ჩრდილო ეგრისი — დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი. მისი მთავარი მდინარე რიონი გავაკების შემდეგ არ არის ისე ჩქარი, როგორც აღწერს პროკოფი ფაზისს, არამედ ნელი და ძღვის, სასმელად უვარესი, შლამიანი, უგემური. ფაზისი კი ჩქარი მთის მდინარეა და აჩქარებული ერთვის ზღვას, ხოლო რიონი პირიქით, ვრცელ ვაკეზე დამდორებული.

არქანჯელო ლამბერტის სიტყვით, „რიონი წყნარად შეერთვის ზღვას სებასტოპოლის მახლობლად,



რომელიც ძველად წარჩინებულ ქალაქს წარმოადგენდა, დღეს კი წყალშია ჩანთქმული“ (მ. ბერძნიშვილი, ფაზისის ისტორიისათვის, გვ. 180).

შარდენიც ეძებდა ფოთოთან „ქალაქ სებასტიის ნიშან-კვალს“, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობდა, „ვე-რაფერი იპოვა“ (იქვე, გვ. 180).

მაშასადამე, ფაქტია, რომ არსებობდა ჩრდილეოთისა და სამხრეთის ორი ეგრისი, ერთი მდებარეობდა ბერძნულ-რომაული და სომხური გავლენის სფეროში, მეორემ კი, ჩრდილო ეგრისმა, საფუძველი დაუდო ძველი ქართული კულტურის ჩამოყალიბებას, ვითარცა ზოგად ქართული ქვეყნის ერთერთმა რეგიონმა.

## 17. ვახტანგ გორგასალმა ისტორიულ საქანიერო იგნაციელ მონაცემები საქანიერო ეზოისში

ვახტანგ გორგასალმა ილაშქრა ისტორიული სამხრეთ იბერიის მიწა-წყალზე (იგულისხმება სამხრეთ ეგრისი), მსგავსად ფარნაგაზისა. ჩანს, ვახტანგის მიზანი იყო იბერიისათვის დაებრუნებინა ის მიწა-წყალი, რომელიც სტრაბონის ცნობით ძვ.წ. II საუკუნეში არმენიამ ჩამოაცალა იბერიას (გოგარენა, ხორმენე და პარიადრეს კალთები). ქართლის ცხოვრების ცნობით ფარნავაზმა ქრისტემობამდე III საუკუნეში ილაშქრა „აზონის მამულ“ კლარჯეთში. ვახტანგის ცნობით, როგორც ითქვა, კლარჯეთი მოიცავდა არა მხოლოდ ერთ მხარეს, არამედ უვრცელეს რეგიონს ქალდეა-ტრაპეზუნტიდან ჭოროხამდე. მემატიანე საბერძნეთთან იბერიის საზღვარის ათავსებს ანძიანძორასთან (იგივე ანძორეთთან) – „წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა და ეპლეცით შემოიქცა“ (ქ. ც. I. გვ. 23).

სად მდებარეობდა ანძიანძორა? გ. მელიქიშვილი ამასთან დაკავშირებით წერს – „ქართლის სამეფოს ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეოთით განვცობას ეთანხმება წყაროს ცნობა ფარნავაზის მიერ მცირეაზიული ოლქების ანძიანძორისა და ეპელეცის (ანტიკ. წყაროების აკილესენა, სოფენას ჩრდილოეთით ევფრატზე მდებარე ოლქი) დალაშქერაზე (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, 1970, გვ. 455). მაშასადამე, წყაროს ცნობით ფარნავაზის დროს იბერიის (ქართლის სამეფოს) საზღვარი გადიოდა ანძიანძორასთან, ისტორიულ ხორძენესთან, ამით ჩვენი წყარო (ქ.ც.) ამართლებს სტრაბონის ცნობას, რომ ძვ.წ. II საუკუნემდე იბერიაში (ე.ი. ფარნავაზის სამეფოში) შედიოდა ხორძენე, გოგარენა და პარიადრეს კალთები. ფარნავაზის შემდგომ მაღვევე იბერიის სამეფოს დაუკარგავს ეს ტერიტორიები, მაგრამ მათ დასაბრუნებლად ბრძოლა გრძელდებოდა. ამას მიუთითებს ვახტანგ გორგასლის ლაშქრობა იქ., წარემართა ვახტანგ შესვლად საბერძნეთად და მიიწივნეს სომხითს და მოერთნეს... ერისთავი სომხითისანი... ტაროვნელი ამაზასპ გრიგოლის შენებულისა ქალაქისაგან, თრდატ ნათესავისაგან, დიდისა თრდატის. და მოადგეს ციხე-ქალაქება, რომელსა ერქვა კარახპოლა, ხოლო აწ ეწოდების კარნუ-ქალაქი... წარვიდა ვახტანგ პონტოს და მოაოხრნა გზასა ქალაქი სამნი: ანძორეთი, ეკლეცი და სტერი და მოადგეს ლაშქრი პონტოსა ქალაქისა დღისა ზღვის კიდესა“ (ქ. ც. I. გვ. 160).

ტექსტიდან ჩანს, რომ ვახტანგის დროს აღნიშნული ადგილები უკვე სომხეთსა და პონტოშია, მაშინ როცა ფარნავაზის დროს ქართლის სამეფოს „საზღვარი“, „საბერძნეთთან“ ანძიანძორასთან გადიოდა. მაშასადამე ეს ტერიტორიები იბერიას დიდი ხნის დაკარგული პქონდა ვახტანგის დროს, მაგრამ იქურ (ე.ი. ხორძენესა და პარიადრეს კალთების) მოსახლეობას ქართული ეთნოიდენტობა და ქართული ენის ცოდნა ჯერ კიდევ შენარჩუნებული რომ პქონდა სხვა გამოკვლევებიდან ჩანს.

VII ს. სომხეთის რუკაზე ოლქი სახელწოდებით „ხორძიანა“ (ეს უნდა იყოს „ხორძენე“) მდებარეობდა კარინთან (კარახპოლ-კარნუქალაქ-არზრუმთან), მის სამხრეთ-დასავლეოთით დაახლოებოთ 70 კმ. დაშორებით.



ხორძიანასა და კარინს შუა მდებარეობდა მანანალის (მანრალის) ოლქი მარდალის (მარდალის) გვერდით.

ხორძიანასთან ახლოს, მის სამხრეთ დასავლეთით დაახლოებით 40 კმ.-ში მდებარეობდა ოლქი სახელ-წოდებით-ანძიტი (ანდზიტ). ეს უნდა იყოს ქართული ანძორეთი-ანძიანძორა (სადაც იღაშერეს ფარნავაზმა და ვახტანგმა). პროვინცია ანძიტში ცოკის ტბასთან ახლოს იყო ციხე-სიმაგრე ეგელი(ეგრი). ამავე სახელის ქალაქი ეგეგი (ეგრი) კარინ-არზრუმთანაც იყო. ამ ქალაქის სახელი (ეგეგი) ეგრისის სახელს უნდა ირკვლავდეს.

ოლქ ხორძიანაში გაედინებოდა ამავე „ეგრ“ სახელის მქონე მდინარე „ეგეგიკი“ (მოუს გაილი). ხორძიანაში იყო ცნობილი პუნქტი – არტალესი.

აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელ თურქეთში ძველი ოლქის ანძიტის ადგილას მდებარეობს ადმინისტრაციული ოლქი-ელაზიგი. ეს სახელი ელაზიგი არ არის შემთხვევითი. სიტყვაში „ელაზიგი (ელაზილი)“ ვფიქრობ შესაძლებელია გამოიყოს ფუშე-ძრიკ „ლაზი“. სახელი „ლაზი“, ამ მხარეებისათვის უცხო არ იყო. კინსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია XI ს.დასაწყისში ამ მხარეებსაც მოიცავდა. აქ ახლოს იყო კერჩინისის, ხახის, ბიზანასა და სხვა საეპისკოპოსო კათედრები.

ბიზანასა და არზრუმს შორის მდებარეობდა ოლქი მანანალი ანუ მანრალია (მანარალი), მას ამ რუკაზე მარდალის (მარდალის) ოლქისაგან ყოფს „მეგედუხვის მთები“, ამ მთებს ნ. ადონცი ხალხალის მთებს უწოდებს, რომელიც მანრალიასა და მარდალიას ერთმანეთისაგან ჰყოფდა.

როგორც ჩანს ამ მხარეებში ეგულებოდა ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ავტორს „საფლავი დიდი მოძღვრისა გრიგოლისა“, აღნიშნულ რუკაზე ბიზანას ოლქს ეწოდება – „ეკეგიაცი“, ეს უნდა იყოს ვახტანგის ცხოვრების ეკლესი. ამ ოლქში რუკაზე მონიშნულია ეკლესია სახელწოდებით – „სურბ გრიგორ“, აღბათ აქ ეგულებოდა ავტორს საფლავი წმ. გრიგორისა. რომელი იყო ეს წმიდანი გრიგოლ განმანათლებელი თუ გრიგოლ ნაზიანზელი?

ხორძენა, როგორც თქვა, სტრაბონს იბერიის ისტორიულ ნაწილად მაჩნდა, რომელიც არმენიამ მთიტაცა. მართალია ან მხარეში მცხოვრები მკვიდრი იბერების არმენიზაციას ხელი განსაკუთრებით შეუწყო ამ მხარეში სომხერი ეკლესიის გაძლიერებად. საბერინიეროდ ვახტანგის დროს ქართული თვითშემცენება ჯერ კიდევ ძლიერი ყოფილა ამ მხარის სასულიერო პირთა შორისაც კი, რაც კარგად ჩანს ვახტანგის ცხოვრებაში. სხვათა შორის, ხორძნაცის ისტორიაშიც არის გარკვეული მინიშნება იმისა, რომ ხორძენასა და ტარონის სამღვდელოებამ იცოდა ქართული ენა-მაგალითად მოვსეს ხორძენაცი წერს – „რაც შეეხება მესროპს, იგი წავიდა ქართველთა ქვეყანაში და მაღლის ზეგარდამო მინიჭებით მათაც შეუქმნა ანბანი ვინმე ჯალასთან ერთად, რომელიც ბერძნული და სომხური ენებიდან თარგმნიდა. ხელს უწყობდნენ იმათი მეფე ბაკური და მოსე ეპისკოპოსი. მან შეარჩია ბავშვები, გაპყო ისინი ორ ჯგუფად და მოძღვრებად დაუტოვა თავისი ორი მოწაფეთაგანი – ტერ ხორძენაცი და მუშე ტარონაცი“ (მოვსეს ხორძენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 224). მაშასადამე, ქართველი ბავშვები დაცუეს ორ ჯგუფად, რათა მათ შეესწავლათ ქართული ანბანი ქართული წმიდა წერილის საკითხავად. მათ ქართული ენის მცოდნე მასწავლებლები ესჭიროებოდათ, ასეთნი კი ყოფილან ხორძენელი მღვდელი (ტერ ხორძენაცი) და ტარონელი მუშე.

ხორძენე-ტარონის ახლო მხარეებში ქართული ენის ცოდნას ისც მოუთითებს, რომ ვაგონილაძის კვლევით იქვე, არც თუ დაშორებით, ქ. ედესა-ურკაში ყოფილა დიდი ქართული კოლონია თავისი საგანმანათლებლო კერებით. აღნიშნულ რუკაზე ქალაქი ედესა-ურკა მდებარეობს ოლქ ანდზიტთან ახლოს, მის სამხრეთით 70-80 კმ. დაშორებით. საბოლოოდ უნდა ვთქვათ, რომ არმენის მიერ მიტაცებულ მხარეებში დიდხანს დარჩა ქართული ენის ცოდნა და ქართული ტოპონიმები (ეგრი-ეგრისი, იბერია და სხვა).



## § 2. ჩრდილო ეპოქი

1. „ქაშთლის ცხოვრიშის“ ცხოვრიში ეპიდომა დაკავშირდებო  
(წყაროს მიმღები — „ქაშთლის ცხოვრიში“, 1955, ტ. I.)

„დასავლეთის ერისთავები“, „დასავლეთ ქართლისა“, ეგრისი — „ქვემო ქვეყანა“, „ზემო და ქვემო ქვეყანანი“, „ნათესავი ჩუენი“, ამ და სხვა ტერმინებს დასავლეთ საქართველოსთან დაკავშირებით მრავლად იყენებენ „ქართლის ცხოვრების“ მემატიანები I ათასწლეულში, კერძოდ ქრისტეშობამდე III საუკუნედან ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის IX-X საუკუნეებამდე და და შემდგომ საუკუნეებში განვიხილავთ ამ და სხვა ტერმინებს საუკუნეების შესაბამისად:

## 2. ეპიდომი ქაშთლის ფარგლენი სამეცნი სახლში

„განძლიერდა ალექსანდრე  
და დაიპყრა კოველი ქუჯანა  
და აღმოვიდა ქუჯანასა ქართლისასა

და პოვნა ციხე-ქალაქი ესე ძლიერნი შუა ქართლ: წუნდა, ხერთვისი, მტკურისა, ოძრხე (მოკიდებული კლდესა ღალოსსა), თუხარისი (მდინარესა ზედა სერისასა, რომელსა პეტრი ჭოროხი), ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა (და უბანნი მისნი), სარკინე, ციხედიდი და ზანავი (უბანი ურიათა) და რუსთავი და დჯა-ციხე, სამშვილდე და მტუერის ციხე (რომელ არს ხუნანი)

და კახეთისა ქალაქი“ (ქც., I, გვ. 18).

„და დაიპყრა ქართლისა ზედა გვრისიცა“ (ქც., I, გვ. 19).

ამ ტექსტში ნახსენებია „ქართლის ქვეყნის“ ორი პროვინციის - „შუა ქართლისა“ და „კახეთის“ ქალაქები. იქვეა ნახსენები „ქართლის ქვეყნის“ მესამე პროვინციის სახელი-ეგრისი.

„ქართლის ქვეყნის“ მეოთხე პროვინცია კლარჯეთი აზონის მამული იყო „ამიტომაც აზონმა სხვა პროვინციები „დაიპყრო“, ხოლო კლარჯეთი არ „დაუპყრია“. და პირუკუ-ფარნავაზის მამული ქართლი იყო და ამიტომ აზონთან გამარჯვების შემდეგ მან „დაიპყრო კლარჯეთი“ (ქც. 23), ამის შედეგად ქართლის ქვეყნის ყველა ნაწილი ერთი ხელისუფლების ქვეშ აღმოჩნდა და „ყოველი ქართლი“ ერთ სახელმწიფოდ იქცა.

ჩვენი მემატიანების სიტყვით, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში, როგორც ითქვა, „ქართლის“ ისტორიული გეოგრაფია ასეთი იყო: „ქართლი“ შედებოდა სამი ქვეყნისაგან. პირველი იყო მისი ცენტრალური ნაწილი „შუა ქართლი“, მეორე ნაწილი — კახეთი, ხოლო მესამე ნაწილი იყო — ეგრისი. კლარჯეთი იმჟამად არა ქართლისა, არამედ „არიან-ქართლის“ ნაწილად მიიჩნეოდა.

ჩვენი მემატიანები, როგორც წესი, გამოწვლილვით აღწერენ ქართლის ცენტრალურ ნაწილს ანუ „შუა ქართლს“, ხოლო კახეთსა და ეგრისს შედარებით ნაკლებად ეხებიან. ამ აღნიშნულ ნაწილებს წყაროებში ეწოდება „ხევები“, ანუ ქართლის ხევებია — „შუა ქართლი“, კახეთი და ეგრისი. დასამტკიცებლად ზემოთ უკვე მოვიყვანეთ „ქართლის ცხოვრების“ მემატიანის აღწერა — ალექსანდრე მაკედონელმა ქართლში შემოსვლის შემდეგ ჯერ შემუსრა „შუა ქართლის“ ქალაქები, შემდეგ კახეთის ქალაქები და შემდეგ აზონმა „დაიპყრა ქართლისა ზედა ეგრისიცა“ (ქც. I, გვ. 14).

როგორც აღინიშნა, მემატიანე წერს „შუა ქართლის“ მესახებ — „განძლიერდა ალექსანდრე და აღმოვიდა ქუჯანასა ქართლისასა და პოვნა ციხე ქალაქი ესე ძლიერნი შუა ქართლ: წუნდა, ხერთვისი



მტკუარისა, ოძრხე, მოკიდებული კლდესა დადოსა, თუხარისი, მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვიან ჭოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურიათა და რუსთავი და დედა-ციხე სამშვილდე და მტუერის ციხე, რომელ არს ხუნანი“. მხოლოდ ამის, ანუ „შუა ქართლის ციხე-ქალაქების“ შემდეგ „ნახა“ კახეთისა ქალაქი (ქ. I, გვ. 18).

როგორც ითქვა-ალექსანდრებ თავდაპირველად ნახა შუა ქართლისა და კახეთის ციხეები, „შუა ქართლის“ ციხეებია – თუხარისი, წუნდა, ოძრხე, ურბნისი, კასპი, უფლისციხე, მცხეთა, რუსთავი, სამშვილდე და ხუნანი.

მაშასადამე, მემატიანის სიტყვით, ხუნანიდან თუხარისამდე მიწა-წყალს ეწოდებოდა „შუა ქართლი“. მის გარდა ალექსანდრეს ასევე დაუპყრია კახეთი, ხოლო ეგრისი სამართავად გადაუცია თავისი მოხელისავის აზონისათვის (აღსანიშნავია, რომ მეფე ფარნავაზმა თავისი ადმინისტრაციული რეფორმის შემდეგ შუა ქართლში რამდენიმე საერისთავო დაარსა(ისე, როგორც სხვა პროვინციებში). შუა ქართლის ერთ ოლქში, რომელსაც „შიდა ქართლი“ ერქვა სასპასპეტო დაარსა, მასასადამე სხვაა „შუა ქართლი“ და სხვა „შიდა ქართლი“.

ალექსანდრეს დაუპყრია ქართლის ყველა ნაწილი – კახეთი, ეგრისი და შუა ქართლი. ყველა ეს ქვეყნა ერთად იწოდებოდა ასე: „ყოველი ქართლი“. ხოლო „შუა ქართლი“ მისი ცენტრალური, ყველაზე უფრო ძლიერი ნაწილი იყო, აქ იყო თავმოყრილი დედაქალაქ მცხეთისა და სხვა ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქების ციხეები, თუმცა კახეთისა და ეგრისშიც არსებობდნენ ძლიერი ციხეები.

„ქართლის ცხოვრებაზე“ უფრო ძველი წყაროს - „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობით, ალექსანდრე მაკედონელმა „ყოველი ქართლის“ პატრიკოს – აზონის სამართავად გადასცა ქართლის ქვეყნა – „ეგრისწყლიდან“ ვიდრე სომხეთ-ალბანეთამდე. მდ. ეგრისწყალი იყო ქართლის სამეფოს საზღვარი ჩრდილოდასავლეთით. მდ. ეგრისწყალი – ეგრისის ქვეყნის ერთერთი მნიშვნელოვანი მდინარე იყო. აქ, ამ მდინარის პირას აუგია ეგრისელთა ეთნარქს – ეგრისს დედაქალაქი „ეგრისი“ – „ხოლო ამან ეგრის აღაშენა ქალაქი და ეწოდა სახელი თვისი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქვიან ბედია“ (ქ. I, გვ. 5). ეგრისწყალზე კი ქართლის სამეფოს საზღვარი გადიოდა. ეგრისწყალი, როგორც ქართლის სამეფოს საზღვარი ნახსენებია მეორე უძველეს საისტორიო წყაროში-ესაა „მოქცევაი ქართლისაი“, მის შატბერდულ რედაქციაში ნათქვამია-, და თანა ჰყანადა ალექსანდრეს მეფესა აზო, მე არიან-ქართლისა მეფისაიდა მას მიუბოდა მცხეთი დამ ას მიუბოდა მცხეთი საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხითი და მთა ცროლისა და წარვიდა“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურეს ძეგლები, I, 1964, გვ. 81).

მდინარე ეგრისწყალი თუ ქალაქ „ეგრისთან“ ანუ ბედიასთან გაედინებოდა. მაშინ ის იქნება თანამედროვე „დალიძგა“. აქედან იწყებოდა „ქართლის სამეფოს“ საზღვარი აზონის დროს. აქვე დადებულა ფარნავაზ მეფის „ქართლის სამეფოს“ საზღვარი. ე.ი. ეგრისი ქართლის სამეფოს ანუ ქართლის ნაწილი იყო კახეთთან ერთად.

წყარო სახელმწიფო საზღვრებთან დაკავშირებით რამდენჯერმე ახსენებს სიტყვას „საზღვარი საბერძნეთისა“ პირველად შავიზღვისპირზე ჩრდილო-დასავლეთით (შემდგომ აფხაზეთში), მეორედ სამხრეთ-დასავლეთით (ქალდეა-ეკელეცთან), ამ სასაზღვრო ხაზთა შუა მდებარეობდა ქართლის სამეფოს დასავლეთი ნაწილი. ამასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია-, წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანბანბორა და ეკელეცით შემოიქცა. მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი“ (ქ. I, გვ. 23).

რაც შეეხება მდ. ეგრისწყალს, აქ ალექსანდრეს ქართლის სამეფოს საზღვარი რომ დაუდია, ამას აღნიშნავლენ საუკუნეთა მანძილზე, V საუკუნეში ქ. ც. -ს ცნობით ბიზანტიის იმპერატორს გამოუკითხავს თუ სად გადიოდა საზღვარი ქართლის სამეფოსა და ბიზარტიის შორის, მისთვის მოუხსენებიათ, რომ საზღვრად დადგენილი იყო მდ. ეგრისწყალი ალექსანდრე მაკედონელის დროიდან- „და გამოიკითხა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა... და რქეა ესრეთ- „ეგრისწყლითგან ვიდრე მდინარემდე მცირისა



საზარეთისა-ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან...“ (ქ.ც. I.გვ.177).

იმპერატორის დაინტერესება ქართლის სამეფოს საზღვრით,იმან გამოიწვია რომ ვახტანგგ გორგასალმა მდ. ეგრისწყალსა და მდ.ეუბანს შორის მოქალაქელი ტერიტორია გაათავისუფლა ბიზანტიელთაგან და იქ განიმტკიცა ხელისუფლება.ეს ტერიტორია კი ბიზანტიელებს თავიანთოვის ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნდათ,ამიტომაც ვახტანგ გორგასალთან საზავო მოლაპარაკების დროს გაიცვალა ტერიტორიები,ერთოდ ბიზანტიელებმა მათ მიერ დაპყრობილი კლარჯეთი დაუბრუნეს ვახტანგს რის სანაცვლოდაც, უკან მიიღეს ტერიტორია ეგრისწყალსა და ყუბანს შორის.ამავე დროს,ქ.ც.-ს ცნობით,ვახტანგს შერთეს კეისრის ქალიშვილი,რომელსაც მზითვად გამოატანეს ტერიტორია ეგრისწყალსა დამ დ.კლისურას შორის.ამის შედეგად ქართლის სამეფოს საზღვარმა გადაიწია მდ.ეგრისწყლიდან მდ.კლისურაზე,,და დაუწერა ეგრისწყალსა და კლისურას შუა ქუეყანა ზითვად“ (ქ.ც. I.გვ.177).

ფარნავაზის დროს საზღვარი საბერძნეთთან,როგორც ითქვა,მდ.ეგრისწყალთან გადიოდა-,„ეგრისწყალს ქვემოთ დარჩა ბერძენთა,რამეთუ მკვიდრთ მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა“ (ქ.ც. I.გვ.24).

### 3. ეზოეულუბი — ნაიშავი ქართველები

საერთოდ, ქართლის ცხოვრების „ფარნავაზის ცხოვრება“, იყო ის უძველესი ეროვნული საისტორიო წყარო, რომელიც, „მოქაევა ქართლისა ს“ — შესაბამისი ნაწილს ეთანადებოდა. ჩვენ გვაინტერესებს არა ის, ნამდვილად იყო თუ არა ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში,არამედ „ქართლის ცხოვრებაში“ გადმოცემული სავადასახვა თვალსაზრისის ანალიზი,მაგალითად მისი მოსაზრება ქართველთა ეთნოიდენტობის შესახებ.

მემატიანეს სიტყვით ქართლში მცხოვრები სხვადასხვა ერები ალექსანდრე ამოუხოცავს — „მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყვევა... დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი და დაუტევნა მათ ზედა პატრიკად აზონ“ (ქ.ც. I.გვ. 18). ამ აზონმა „დაიპყრა ქართლისა ზედა ეგრისიცა“ (ქ.ც. I.გვ. 19). გარკვეული ხნის შედეგ აზონმა გამოსცა ბრძანება — „ყოველმან ქართველთაგანმან, რომელმან პოვოს საჭურველი, მოკალით იგი... და იყო ჭირი დიდი ნათესავსა ზედა ქართველთასა“ (ქ.ც. I. გვ. 20). ცხადია, „ყოველთა ქართველთასა“ და „ნათესავთა ქართველთასას“ ქვეშ ეგრისელებიც იგულისხმებიან, რადგანაც აზონი შუა ქართლის, კახეთისა და ეგრისის, ანუ „ყოველი ქართლის“ მპყრობელი იყო, საიდანაც უცხოელი გაძევებული იყენებდა და ქართლში, ანუ მემატიანის სიტყვით მდ. ეგრისწყლიდან სომხეთ-ალბანეთამდე („ქართლის სამეფოში“) მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. ეს კიდევ უფრო კარგად ჩანს „ფარნავაზის ცხოვრებიდან“.

ეგრისელებიც რომ „ნათესავით ქართველინი“ და „ყოველთა ქართველთა“ ნაწილნი არიან, კარგად ჩანს ფარნავაზისადმი ეგრისელი ქუჯის პასუხითაც — „აღდეგ და მოვედ ჩემთანა და ნუ შეურობ ხუსტაგსა შენსა და ხუსტაგითა შენითა განგიმრავლნე სპანი შენნი, ვიდრე გამოვჩნდეთ მტრად აზონისა, მაშინ განისარონ ყოველთა ქართველთა აწყვედილთა მისგან და მიწყვედილთა. და ვგონებ, რომც პრომთა მათგანნიცა გამოგვიერთნენ, რამეთუ ურიცხვი აწყვედილ არიან მათგანნიცა აზონისაგან“ (ქ.ც. I. გვ. 22).

ქუჯის პასუხიდან ნათლად ჩანს, რომ ის თავს მოიაზრებს „ყოველთა ქართველთაში“, კონკრეტულად ეს ჩანს როცა საუბრობს „პრომთა“ შესახებ — ამბობს პირველ პირში „ვგონებ პრომთა მათგანნიცა გამოგვიერთდნენ“, ანუ ახალი ქართულით მისი პასუხი ასეთია — „მოდი ჩემთან, ნუ დაიშურებ შენს საგანმურს, დაგიქირავებ ჯარს, როცა აზონის მიმართ მტრობას გავამულავნებთ, მაშინ მისგან ამოწყვეტილთა ახლობლები გაიხარებენ და ვფიქრობ, ზოგიერთი რომაელიც შემოგვიერთდება, რადგანაც მათგან აზონმა ურიცხვი გაწყვიტა“.

„ქართლის ცხოვრებაში“ გასაგებადა საუბარი: არსებობს ორი ძირითადი მხარე — ქართველნი და



აზონი. ქუჯი — ყოველთა ქართველთა ნაწილია თავისი ხალხით, ამ მხარეს ქუჯის ფიქრით „რომაელთა“ არამცირედი, აზონისაგან დასჯილი ნაწილიც შემოუერთდებოდა — „გამოგვიერთნენ“ — ამბობს ის. ანუ „ყოველ ქართველობას“ რომაელი ჯარისკაცებიც შემოუერთდებიან, როგორც მკითხველისთვის ცნობილია, ამ შემთხვევაში „პრომნის“ სახელით მემატიანე მოიხსენიებს იმ 100 ათას მეტროლს, რომელიც მისი თქმით, ალექსანდრე მაკედონელმა შემოიყვანა ქართლში მაკედონიდან და გადასცა აზონს. აზონს ქართველთა გარდა ამ „რომაელების“ „ქმნულ კეთილი და ასაკოვნი“, ანუ კარგი აღნაგობის, მაღალი მეომრების არამცირედი რაოდნობა გაუწყვეტია.

ქუჯის ასეთი პასუხის შემდეგ ფარნავაზი გადავიდა ეგრისში და მოისმინა ქუჯის საოცარი სიტყვები — „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, შენ გმართებს უფლობა ჩემი... შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“ (ქ.ც. I, გვ. 22).

ამ სიტყვებიდან ჩანს არა პირადი ურთიერთობის ასახვა, არამედ „ერთნათესაობის“, ერთი გენეტიკური წარმომავლობის სურათი, კერძოდ, ურთიერთობა არა მხოლოდ ორ პირს, არამედ კუთხეების მოსახლეობათა შორისაც, ამ უკანასკნელს უნდა მიუთითობდეს მისი სიტყვები — „შენ ხარ უფალი ჩვენი“ (ესე იგი მოელი ეგრისის მოსახლეობისა) პირადულადაც გამოხატავს ურთიერთობას და ამბობს: „მე ვარ მონა შენი“. ამ ურთიერთობებში უნდა ჩანდეს დინასტიური უფროს-უმცროსობითი ვალდებულებითი დამოკიდებულების ასახვა, რასაც ეხება სტრაბონი იბერიის აღწერისას. მაშასადამე, ქუჯის პასუხი ასახავს როგორც ეგრისის მოსახლეობის, ასევე პირადად მისი დამოკიდებულების სურათს „ყოველთა ქართველთადი“ და მისი ცენტრალიზებული მმართველობითი სისტემისადმი.

ქუჯი თვითვე ხსნის, თუ რა უდევს მის პასუხის საფუძვლად: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა“... ამიტომ, „შენ ხარ უფალი ჩვენი“. ანუ ქართველობა ერთი გენეტიკური წარმოშობის ხალხია, მის „თავთა შვილია“ ფარნავაზი, ამიტომ მას უნდა დაემორჩილოს „ყოველი ქართველი“, მათ შორის ეგრისელებიც, რადგანაც ის არის ზოგად ქართველთა ე.ი. „მათი უფალი“-ც. ქართლის „თავთა შვილობის“ გამო „ყოველი ქართლის“ მოსახლეობა, მათ შორის ეგრისელებიც თავიანთ თავს ივალდებულებენ ერთ სამეფო ცენტრს დაექვემდებარონ.

(ამ პასუხიდან კარგად ჩანს ის, რის დამალვასაც ასე საგულდაგულოდ ცდილობს არმენოფილი რედაქტორი, ანუ „ქართლის ცხოვრების“ შესავლის ავტორი, რომ მის მიერ წარმოდგენილ ფიგურალურ გენეტიკურ სქემას ეწინაღმდეგება მის მიერვე აღწერილი ამბავი, კერძოდ, ფარავაზისა და ქუჯის წინაპრები ცნობილი ქართლოსი და ეგროსი ( ქუჯის პასუხიდან გამომდინარე), არიან არა ძმები, არამედ მამა-შვილი, კერძოდ, ეგროსი ქართლოსის ძეა ქუჯის პასუხის მიხედვით, რადგანაც თუ „ქართლოსია“ ის „ქართლის თავი“, რომელზეც ქუჯი ლაპარაკობს, მისადმი დამორჩილება ეგრისელებისა იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ ქართლოსი მამაა, ხოლო ეგროსი შვილი. სწორედ მამას ეწოდება „უფალი“, „უფროსი და თავი“ (მისი შვილებისათვის), რომელსაც უნდა დამორჩილდნენ შვილები. დინასტიურად, ქუჯის პასუხიდან გამომდინარე, ქართლოსის ძეთა გენეალოგია შეიძლება ასეთი იყოს:

მემატიანის გადმოცემულ ქართლოსის შვილების სახელებს — „მცხეთოს, გარდაბოს, კახოს, კუხოს, გაჩიოს“ (ქ.ც. I, გვ. 8) შეიძლება დაემატოს „ეგროს“.

ეგროსი ქართლოსის შვილი თუ არ არის, რატომ უნდა დაემორჩილოს „ქართლის თავთა შვილს“ ეგროსის შთამომავალი? რატომა ფარნავაზი „უფალი“, რატომ მართებს მის მიმართ მორჩილება ეგროსის შთამომავლებს, სხვა შემთხვევაში ასეთი ურთიერთობა შეუძლებელია. მხოლოდ მაშინ მართლდება ქუჯის პასუხი, თუკი ეგროსი ქართლოსის ძეა, ისევე, როგორც კახოსი, კუხოსი და გარდაბოსი.

ასე რომ, „ქართლის ცხოვრებაში“ არსებული ძველი გენეალოგიური სქემა შემდეგ იქნა დამახინჯებული არმენოფილების მიერ, რადგანაც ეს სქემა არმენოფილურ შესავალშია. მაშასადამე, „ფარნავაზის ცხოვრებას“ მაინც შემოუნახავს უფრო ძველი წყაროებიდან მომდინარე ინფორმაციული მასალა).



#### 4. „მზარდის შეკრიბის უზირცხვის სპანი“

ქუჯიმ ფარნავაზის საგანმურთო ეგრისში დაქირავა დიდი ჯარი – „ეგრისით შეკრბეს ურიცხვნი სპანი“ (ქ. 1, გვ. 23) და „მაშინ ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს“ (იქვე, გვ. 23).

სპა , ფარნავაზის ჯარი შეკრიბა ეგრისში ანუ ჯარისკაცები ეგრისელები არიან, მემატიანის ცნობა, რომ მაშინ „ყოველნი ქართველნი“ განუდგეს აზონს – იმას ნიშნავს, რომ იმუმინდელი საქართველოს ანუ „ყოველი ქართლის“ მოსახლეობა განუდგა აზონს, მათ შორის, პირველ რიგში სწორედ ეგრისელები, რადგანაც მცხეთაში და შიდა ქართლში არც კი დაწყებულა აზონის საწინააღმდეგო მოძრაობა, არც კახეთში, არც კუხეთში, არც ფიქრობდნენ თუ იყო შესაძლებელი აზონის წინააღმდეგ ბრძოლა. აჯანყების კერა – სამეცრელოა, იქვე შეკრიბა ჯარი, იქიდანვე შეებრძოლნენ აზონს, ასე, რომ ამ შემთხვევაში იმ „ყოველთა ქართველთა“ ბუდე, რომელიც განუდგა აზონს, უგრისელები თვითვე არიან „ყოველთა ქართველთა“ წევრები, ანუ ეს იყო საქმით აღსრულება ქუჯის ზემოთ მოყვანილი სიტყვებისა.

„ეგრისით შეკრბეს ურიცხვნი სპანი და მომართეს აზონს“ (ქ. 1. გვ. 23)

ეგრისში ჯარის შეკრების შემდეგ მემატიანე წერს, შეიძლება ითქვას, საკვანძო სიტყვებს, რომელიც კიდევ უფრო კარგად წარმოაჩენს დაფარულ გენეალოგიურ სქემას, როგორც ითქვა, ჯარი ეგრისში შეკრიბა, – „განემრავლნეს მხედარნი ქართლისანი“ (ქ. 1. გვ. 23). „მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და გვურსა ზედა და განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანი“ (ქ. 1. გვ. 24) , მეორე წელს წერს მემატიანე – ერთი მხრივ დადგა „მხედარნი ქართლოსიანი“, რომელთაც მიეშველნენ მეზობელი ხალხებიც, მეორე მხრეს კი აზონის ჯარი. შეებრძოლნენ ქ. არტანისაში და დამარცხდა აზონი.

ფარნავაზმა განამტკიცა „ქართლის სამეფო“ ის „მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და გვურსა ზედა და განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტნი... ქუჯი იყო ერისთავი ეგრისისა (ქ. 1, გვ. 24), ცხადია, „მხედარნი ქართლოსიანი“, ანუ ქართველთა ჯარი, რომლის ძირითადი ბირთვი თავიდანვე ეგრისში იყო შეკრებილი, მათ ეწოდათ „როგორც აღინიშნა „მხედარნი ქართლოსიანი““.

#### 5. მხედარების მზარდისი

ფარნავაზი მისი სახელმწიფოს ყოველ კუთხეში ცხოვრობდა სეზონურად. ყოველ კუთხეს სტუმრობდა „უამითო ფამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს და მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი და განაგის ყოველი საქმე დაშლილი“ (ქ. 1, გვ. 25).

როგორც ვთქვით, მაკედონიიდან ჩამოყვანილი ე.წ. „პრომი“, ათასი მხედარნი, რომელიც მიემხრნენ ფარნავაზს, უხვად დაასახუქრა და „ყოველ ქართლში“, ანუ მთელ საქართველოში დაასახლა, ცხადია, მდ. ეგრისწყალიდან ვიდრე სომხეთ-ალბანეთამდე – სახლვრებს შეგნით. მათ „აზნაურები“ ეწოდათ აზონის სახელის მიხედვით. სამეცნიეროში მათ იგივე სახელი „ზინო-სკუა“, ანუ აზნაურიშვილი ერქვათ. აქედან ჩანს, რომ „აზნაურები“ ეგრისშიც ცხოვრობდნენ – „ხოლო პრომი ათასი მხედარნი, რომელი აზონის აგან მოერთეს ფარნავაზს, რომელი ზემოთ ვახსენეთ, იგინი განცყვა ხევთა და ქვეყანათა შინა, იპყრია იგინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა მას აზონისასა მხნედ იყვნეს და უწოდა მათ სახელად აზნაურნი“ (ქ. 1. გვ. 25).

#### 6. სახელმწიფო და ქულტურის ქან მზარდისი

ფარნავაზმა განახორციელა იმ ეპოქისათვის ალბათ დიდი საქმე – შემოიღო სახელმწიფო ენა, რომელიც ამავე დროს ერთადერთი კულტურისა და ურთიერთობის ენაც იყო მის სამეფოში ეგრისწყლი-იდან სომხეთ-ალბანეთამდე – „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა, თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (ქ. 1, გვ. 26).



ჩანს, ასეთი ენობრივი რეფორმები წარსულში შესაძლებელი იყო, მაგალითად, ხორენაცი აღწერს, თუ როგორ დაავალდებულა არმენიის მეფემ მის ხელქვეშ მოქცეული არასომხური მოსახლეობა ესაუბრათ მხოლოდ სომხური ენით.

შემდგომში (VI ს-ში) საპარაგო უკრძალავდა მის ხელქვეშ მოქცეულ სომხებს ბერძნულენოვან საუბარს, აკრძალა ბერძნულენოვანი წიგნები და ღვთისმსახურება.

რაც შექმნა „ყოველ ქართლს“, აქ იმავე მემატიანის სიტყვით, არ ცხოვრიბდა უცხო მოსახლეობა, ანუ „ყოველ ქართლში“ მხოლოდ და მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ სასაზღვრო მდინარე ეგრისწყლიდან – სომხეთ-ალბანეთამდე, „ეგრისელები“ იყვნენ არა უცხო ნათესავნი, არამედ ეწ. „ჩვენ ჯგუფის“ წევრები, იდენტობით ქართველები. მათი ქართული ცნობიერება ქუჯიშ კარგად გამოხატა ზემოთ აღნიშნული სიტყვებით. ფარნავაზმა გამოსცა ბრძანება რომ მის სამეფოში ესაუბრათ მხოლოდ ქართულად მხოლოდ „ქართულად ეზრახათ“, ანუ ქართულად ესაუბრათ, ამის გამო აღარც გაისმოდა სხვა ენაზე მეტყველება – „არღა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“. ამავე დროს კი ეგრისი – ქართლის სამეფოს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, ანუ „ყოველი ქართლის“ უმთავრესთაგანი ნაწილი იყო, თავისთვის გვიძინებს ვიფიქროთ, რომ ეგრისის მოსახლეობის ენა ფარნავაზის ეპოქაში ქართული იყო. მართლაც, ეგრისელთა ენა განსხვავებული რომ ყოფილიყო, ფარნავაზი ვერ განახორციელებდა თავის ძალზე მნიშვნელოვან რეფორმას, მას წინააღმდეგობა შეხვდებოდა ეგრისში და სხვა კუთხებშიც. მაგრამ ფაქტი იმისა, რომ ნამდვილად, ათასწლეულთა მანძილზე, ეგრისსა, კახეთსა თუ კლარჯეთში ერთადერთი კულტურისა, მწიგნობრობის, ღვთისმსახურების, ადმინისტრაციული და სახელმწიფო ენა იყო ქართული და არასდროს ადგილობრივი ღიალექტები აღნიშნული მიზნებით გამოყენებული არ ყოფილა, გაფიქრებინებს, რომ ფარნავაზის ეპოქაში ჯერ კიდევ არ იყო გაღრმავებული ფუძე ქართული ენის დიფერენციაციის პროცესი, ფუძე ქართული ენა – მშობლიური იყო როგორც ეგრისში, ისე კლარჯეთში, კახეთსა და შიდა ქართლში. ფუძე ქართული აღბათ „ძველი ქართული“ იყო.

ფარნავაზისეული ბრძანება – ქართული ენის საყოველთაობის შესახებ – რეალურად აღსასრულებელი აღმოჩნდა ქვეყნის ყველა კუთხეში, მათ შორის ეგრისშიც. ამიტომაც ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ადგილობრივი მრევლის საეკლესიო ენა ქართული იყო ეგრისში, სვანეთსა თუ აფხაზეთში, ესაა ფაქტი. აღიარება ესაჭიროება იმ ფაქტსაც, რომ მას თავისი ათასწლოვანი საფუძველი ჰქონდა.

სვანეთსა, ეგრისსა და სხვა კუთხებში ქართული ენა ბუნებრივი და მშობლიური ენა უნდა ყოფილიყო უძველესი ხანიდანვე, წინააღმდეგ შემთხვევაში – თუკი იქ ქართული ენა განივრცო მოგვიანებით VIII-X საუკუნეებში, უნდა აიხსნას, და დამაჯერებელი გახდეს ეს ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა.

საქმე ისაა, რომ VIII-X საუკუნეებში საქართველო არ იყო ერთიანი სახელმწიფო, უფრო მეტიც, აღმოსავლეთი საქართველო დაყოფილი იყო ურთიერთმებრძოლ მხარეებად, რომელიც არაბთა მიერ იყო დაპყრობილი. არაბებმა საქართველოს გული თბილისი დაიპყრეს და ქართული კულტურის ძველი აკვანი თბილისი-სამშვილდე უცხო (არაბი) საამიროს ტერიტორიად აქციეს და იქ მონოფიზიტები გააბატონეს.

ქართული მიწა-წყალი -ტაო და ნაწილობრივ კლარჯეთიც იქამდე სომხური ეკლესიის იურისდიქციაში იყო მოქცეული, ასევე ჰერეთიც. ქართველებს გააჩნდათ ერთმანეთისაგან ურთიერთდაშორებული ტერიტორიებით – ქვეყანა იყო სრულიად დაშლილ-დანაწევრებული. უფრო მეტიც, არათუ ცენტრალური ხელისუფლება აღარ არსებობდა (ვახტანგის შთამომავლობას არაბები დევნიდნენ), არამედ კუთხებში საერო ხელისუფლებაც კი არ იყო ჩამოყალიბებული, მხოლოდ IX საუკუნისთვის, არაბთა ძალების დასუსტების შემდეგ გახდა შესაძლებელი კუთხებში ქართული სახელმწიფო წარმონაქმნის ჩამოყალიბება, კახეთის საქორეპისკოპოსოს გვერდით გაჩნდა ტაო-კლარჯეთის, აფხაზეთის და ჰერეთის სამეფო-სამთავროები ქართული სახელმწიფო და საეკლესიო ენით, ერთიანი ქართული კულტურით. იმის კითხვა,



თუკი პერები არ იყვნენ იმთავითვე ქართული იდენტობის მატარებელნი, თუკი ტაო არ იყო იმთავითვე ქართული იდენტობის მატარებელი, თუკი სვანეთი, ევრისი და აფხაზეთი არ იყვნენ ქართული ეროვნული იდენტობის მატარებელი, რა ძალამ გახადა შესაძლებელი სამხრეთ კავკასიის ამ უზარმაზარ, დაპყრობილ, დაშლილ-დანაწევრებულ ურთიერთმიუდგომელ ქვეყნებში ქართული სახელმწიფოების ჩამოყალიბება? გასათვალისწინებელია ისეც, რომ არაბებმა სახელმწიფოებრივად და კულუტრულად დაიმორჩილეს ისეთი დღიდი კულტუროსანი ერები, როგორებიც იყვნენ სირიელები და სპარსელები. ჩაკლეს სირიელი ქრისტიანული კულტურა. სპარსეთის სახელმწიფოებრიობის მოსპობის შემდეგ თითქმის ათასი წელი დასჭირდა მის მკვიდრ მოსახლეობას ეროვნული სახელმწიფოებრიობის ასაღორძინებლად.

ქართველობას, განადგურებულს VII ს-ში პერაკლე კეისრის ლაშქრობებით, შემდეგ კი არაბთა 300-წლოვანი ბატონობით, ისეთი პოლიტიკური ძალა არ გააჩნდა, რომ ქართული ენა გაევრცელებინა პერებში, ტაოში, ეგრისში, სვანეთსა, აფხაზეთსა და ვინ მოთვლის, კიდევ რომელ მხარეებში, ისინი იმთავითვე ქართული იდენტობის მატარებელი რეგიონები რომ არ ყოფილიყვნენ.

ჩვენი XXს-ის მეცნიერები შეეცადნენ ეს პროცესი აეხსნათ ეწ. ქართიზაციით, თითქოსდა „პროზელიტური“ (მათი ტერმინია) ქართული ეკლესია იჭრებოდა სხვის მიწა-წყალზე და ავრცელებდა იქ ქართულ ენასა და კულტურას. ასეთი მოსაზრება საეჭვოა, როგორ შეეძლო ორი-სამი ბერით თუნდაც ისეთ წმიდანს, როგორიც იყო გრიგოლ ხანძთელი, მშობლიური ენა დაევიწყებინა ტაოელი ან კლარჯი არაქართველებისთვის, ადგილობრივი მოსახლეობა თვითონ რომ არ ყოფილიყო ქართული იდენტობის მქონე, ანუ ეთნიკურად წარმოშობით ქართველი, რომელთაც სწყუროდათ ქართველი მამების სიტყვა და ქადაგება, ანუ მშობლიური ხმის გაგონება.

ასე რომ, თვით ხალხმარევიონების მოსახლეობამ ტაოსა თუ კლარჯეთში შემოინახა ქართული ენა და ამიტომაც მათთვის ქართულენოვანი მოძღვრები სავსებით მისაღები და სასურველი იყვნენ.

ასევე ითქმის პერეთის შესახებაც. ეს მხარე ქართული ენის ისტორიის შესწავლისათვის ძალზე მნიშვნელოვანა. საქმე ისაა, რომ, ჩვენი მემატიანების სიტყვით, პერეთი X საუკუნებდე მონოფიზიტური იყო. ამის გამო ეკლესიებში წირვა-ლოცვა სომხურენოვანი იქნებოდა, მაგრამ ხალხი ქართულენოვანი ყოფილა. ეს იქიდან ჩანს, რომ იქ თავდაპირველად პერეთის ქართული სახელმწიფო ჩამოყალიბდა (სახელმწიფო ქართული ენით), შემდეგ კი დინარა დედოფლის წყალობით ხალხმა გადაიგდო სომხური ეკლესის იურისდიქციის უღელი და დაუბრუნდა მართლმადიდებლობას, ეკლესიებში კი აღსდგა მშობლიური ქართულენოვება.

## 7. ეგიპტის (ჩვეჩიეთის) გოსახლეობა უხტანესის 20ხდვის

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამ კუთხით აფხაზეთი – XX საუკუნის მეცნიერების სიტყვით, VII ს-ის შემდეგ დასავლეთ საქართველოში მასიურად გადმოსახლდა აღმოსავლეთ საქართველოდან მოსახლეობა და ამის გამო აფხაზეთში არ არსებობდა, მემატიანებს არ გამორჩებოდათ ეს პროცესი და აღწერდნენ კიდეც. გვაქვს თუ არა რაიმე ცნობა ქართულ ან უცხოურ წყაროებში VIII-X საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში მასიური მიგრაციის შესახებ? არავითარი მსგავსი ცნობა არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში არ არსებობს, თუმცა კი გვაქვს ცნობა პირიქითა მოძრაობის შესახებ, ე.ი. დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთში მოსახლეობის მასიური მიგრაციის შესახებ, ეს ცნობები დაცული აქვთ მსოფლიო მნიშვნელობის ისეთ დიდ სომებს ისტორიკოსებს, როგორებიც იყვნენ მოვსეს ხორენაცი და უხტანესი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია X ს-ის მეცნიერის უხტანესის ცნობა იმით, რომ ის ქრისტიანოგიური თვალსაზრისით ყველაზე უფრო ახლოს იყო განსახილველ VIII-X საუკუნეების პროცესთან. უხტანესი იკვლევ-

ნამდვილად ასე იყო? თუკი დასავლეთ საქართველოში მასიურად გადასახლდა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა, მემატიანებს არ გამორჩებოდათ ეს პროცესი და აღწერდნენ კიდეც. გვაქვს თუ არა რაიმე ცნობა ქართულ ან უცხოურ წყაროებში VIII-X საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში მასიური მიგრაციის შესახებ? არავითარი მსგავსი ცნობა არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში არ არსებობს, თუმცა კი გვაქვს ცნობა პირიქითა მოძრაობის შესახებ, ე.ი. დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთში მოსახლეობის მასიური მიგრაციის შესახებ, ეს ცნობები დაცული აქვთ მსოფლიო მნიშვნელობის ისეთ დიდ სომებს ისტორიკოსებს, როგორებიც იყვნენ მოვსეს ხორენაცი და უხტანესი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია X ს-ის მეცნიერის უხტანესის ცნობა იმით, რომ ის ქრისტიანოგიური თვალსაზრისით ყველაზე უფრო ახლოს იყო განსახილველ VIII-X საუკუნეების პროცესთან. უხტანესი იკვლევ-



და ქართულ-სომხურ საეკლესიო ურთიერთობებს, შეისწავლა უამრავი წყარო და თვითვე აკვირდებოდა მის ეპოქაში საქართველოში მიმდინარე პროცესებს, შედეგად დაწერა თავისი დროისთვის გრანდიოზული სიდიდის წიგნი, რომელიც, ვითარცა ერთ-ერთი წყარო VII-X საუკუნეებისა, შეისწავლება საყოველთაოდ. უხტანესის დროს უკვე არსებობდა „აფხაზეთის სამეფო“, როგორც კავკასიაში ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო და ასევე ცნობილი იყო ამ სამეფოს, ანუ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაც. აფხაზეთის ხალხს უხტანესი ნაბუქოდონისორის დროინდელ ივერებს უწოდებს. მნიშვნელოვანი ისაა, თუ ვინაა მისი აზრით ეთნიკურ-ეროვნული წარმოშობით აფხაზეთის მოსახლეობა, საიდან მოხვდნენ, საიდან ჩამოსახლდნენ ისინი დასავლეთ საქართველოში და რა სახისაა მათი მიგრაცია VIII-X საუკუნეებში.

აფხაზები, უხტანესის აზრით, არიან ის ქართველები, ანუ „ივერიელები“, რომლებმაც ნაბუქოდონისორმა აყარა ძველი სამშობლოდან, ძველი ივერიიდან და გადმოასახლა დასავლეთ საქართველოში, ანუ პონტოს ზღვისპირზე, შემდეგში კი ეს ივერიელები, ანუ „აფხაზები“, თანდათანობით, გამრავლების შედეგად განივრცნენ ვრცელ ტერიტორიაზე („ის პირიახში ყოფილა მირდატ, დარეპის ნახარარის ჩამომავალი, როგორც გვაუწყებს მოსე, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა მოიყვანა და მთავრად დატოვაო ტყვე ივერიელთა ტომებზე, რომლებიც მოიყვანა ნაბუქოდონისორმა ლიბიელთა ჯარის ძალით, დააქცია და დაიმორჩილა. მათი ნაწილი პონტოს ზღვის მარჯვენა ნაპირს წაასხა და დაასახლაო, ამბობს ისტორიკოსი, ის ვერია კი არის დასავლეთის ქვეყნის კიდე. ხოლო პონტოს ნაპირზე რომ დაბანაკდა ის ტომი აღორძინდა, გამრავლდა ზღვის პირას აქეთ-იქით, მოედო იმ მხარეს და გაგრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე, შეიქმნა ფრიად მრავალი ხალხი და ამ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება. ურიცხვია სახელი თვითოვეული გავარისა, რომლებიც მის გარშემოა, და სხვა გავარებისა ქალაქ თბილისის გარშემო, რომელთაც ეწოდებათ: წანარეთი, ჯავახეთი, თრიალეთი. ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ვერიას უწოდებდნენ, აქ კი ქართველი ეწოდებათ (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, 1975, გვ. 67) უხტანესი იქვე, იმავე წინადაღებაში ახსენებს ცურტავს, ამთ მიუთითებს რომ ისიც ქართულ გავარში ძღვებარებს და სინაზულით აღ ნიშნავს, რომ ქართველები-, ტომითაც, ენითაც, დამწერლობითაც, მამამთავრობითაც და მეფობითაც განმტკიცდნენ, ხოლო გამოჰყო, გამოაცალკევა და განაშორა ჩვენგან კირონ სკუტრე ლმა“ (იქვე გვ. 67).

ქართველები, უხტანესის აზრით, ასე განივრცნენ ვიდრე სომხეთამდე და ასე დაასახლეს მათ გუგარები (ე. ი. აღმოსავლეთ საქართველო).

დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო უხტანესი აფხაზების ქართულენოვნებაში, მათ ეთნიკურ ქართველობაში, ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ დაუკავშირებდა ნაბუქოდონისორის მიერ გადმოსახლებულ ივერიელებსა და აფხაზებს ერთმანეთს.

„აფხაზები“ ანუ დასავლეთ საქართველოს ხალხი კი X ს-ში იყვნენ ეგრისელებიც, სვანებიცა და სხვა ქართული ტომებიც (არგვეთელები, თაკვერები, გურულები).

## 8. სტანდონის ცნობით სტანდი 0გენერალური აქიან, ხოლო დასავლეთი საქართველოს 0გენერალური ნაწილის ნაწილი

არა მხოლოდ სომეხი ავტორები, ბერძენი ავტორებიც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას იბერიელებს უწოდებენ. მაგალითად, სტრაბონი წერს სვანების შესახებ – „მათ ზოგიერთები იბერებს უწოდებენ“, რუსულ თარგმანში ეს ასე უდერს-„ნეკოტორიე ნაზივაიუტ ის ტაკუე იბერიცამი“ (სტრაბონ, იზდატელსტვო, „ნაუკა“, 1964, ს. 473). (ეს ცნობა XX ს. ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ მიჩქმალა. ამ თემას ქვემოთ შევხებით).

სტრაბონი ასევე წერს, რომ „შუა იბერიაში გადის სამხრეთისაკენ მიმართული კავკასიონის



ის ქედი, რომელიც უერთდება სომხეთის და მოსხის მთებს, სკიდისესა და პარიადრეს“ (სტრაბონი, XI, II, 15). რომელია ასეთი ქედი? ერთადერთი ქედი, რომელიც გამოდის კავკასიის მთიდან და უერთდება მესხეთის ქედს, არის ლიხის ანუ სურამის ქედი. ის კი, სტრაბონის ცნობით, „შუა იბერიაში“ გადიოდა, ანუ დასავლეთი საქართველოც იბერიად იწოდებოდა სტრაბონის მიერ; ეს ძალზე საჭირო ცნობაა, ასევე მიჩქმალული. აღსანიშნავია, რომ სტრაბონი ისევე, როგორც ძველი ქართველი მემატიანები ხმარობენ ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ტერმინს: „შუა იბერია“ (სტრაბონი), „შუა ქართლი“ (მროველი).

სოფელ ბორსა და კლდეეთში იბერიული კულტურის (არქეოლოგიური) საგანძურის აღმოჩენის შემდეგ ჩვენი მეცნიერებიც ტერიტორიას ვიდრე სკანდა-შორაპნამდე იბერიად მიიჩნევენ. ასე რომ, სტრაბონის ცნობა, რომ სურამის ქედი შუა იბერიაში გადიოდა, არქეოლოგიურადაც დადასტურდა. თუმცა სტრაბონი უფრო დასავლეთით სწევდა იბერიის საზღვარს, ხოლო არიანეს დროს ძიდრიტების ტომი ფარსმანს ემორჩილებოდა თანამედროვე აჭარის სამხრეთით. იბერია ზღვისკენ ვრცლად იყო გადაჭიმული.

ჩვენი მემატიანის მტკიცებით, ეგრისი იბერიაში შედიოდა, ის ქართლის სამეცნის შემადგენელი, ორგანული ნაწილი იყო. ეგრისის ერისთავი ჭუჯი ქართლის მერვე ერისთავი იყო – ფარნავაზის დის ქმარი.

## 9. „ნათესავი ჩვენი“

ფარნავაზის გარდაცვალების შედეგ სამეცნიერო ტახტის მემკვიდრის საურმავის წინააღმდეგ ქართლის ერისთავებს აჯანყება მოუწყვიათ. ფარნავაზამდე, მემატიანის სიტყვით, ქართველი დიდებულები ემორჩილებოდნენ მხოლოდ დიდი ძალის მქონე უცხოელ დამპყრობელს, მას აღიარებდნენ მეფედ და „ემსახურებოდნენ“. თავიანთი თვისტომის მეფედ აღიარება, მემატიანის სიტყვით, გაუჭირდათ – „ზრახვა ყვეს ერისთავთა ქართლისათა და თქვეს – „არა კეთილ არს ჩვენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩვენსა, არამედ ვიყოთ ერთად, და მოკლათ ჩვენ საურმაგ და ვიყვნეთ ჩვენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ“ (ქ.ც. I, გვ. 26).

აქ საინტერესოა, რომ ქართველობას, მემატიანის სიტყვით, აქვთ ეროვნული თვითშემცნება და ამბობენ „ნათესავი ჩვენი“ („არა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩვენსა“), ანუ ყველა საერისთაოს მეთაურმა იცის, რომ ერთი ერის შვილები არიან-, „ნათესავინი“ არიან. ამ „ნათესავში“ შედის ცხადია ეგრისის ერისთავიც.

ნათესაური, ანუ ეროვნული კავშირის ძიებისას ჩვენ შეიძლება მივუბრუნდეთ ჭუჯის სიტყვებს ფარნავაზისადმი – „შენ გმართებს უფლობა ჩემი“, სიტყვა „უფალი“ გარდა მისი გამომხატველობისა, აგრეთვე უდერდა ეთნარქ ქართლოსის ერთ-ერთი შთამომავლის სახელშიც – „უფლოსი“. უფლოსი იყო ქართლოსის შვილიშვილი, ძე მცხეთოსისა (ქართლოსის ძეებია – მცხეთოსი, გარდაბოსი, კახოსი, კუხოსი, გაჩიოსი, ხოლო მცხეთოსის ძეებია – უფლოს, ოძრხოს, ჯავახოს). ქართლოსის მემკვიდრედ მხოლოდ მცხეთოსი გამოცხადდა („მცხეთოს უგმირე იყო მმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა“); მცხეთოსის შედეგ „ქართლოსიანთა“ ანუ ქართველთა უფროსად გამოცხადდა უფლოსი – „დატევებულ იყო საყდართა ქართლოსისათა, რამეთუ მამისა მისისაგან მიცემულ იყო უფლობა ქართლოსიანთა“ (ქ.ც. I, გვ. 10). „ხოლო ვინცა იყვის მცხეთას, რეცა თავადი იყვის ყოველთა მათ სხვათა ზედა და არცა სახელ-ედებოდათ მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ და იგი იყო მაზავებელ და ბჭე სხვათა ქართლოსიანთა“ (გვ. 11).

ფარნავაზი იყო ქართლოსიანთა მამასახლისის ოჯახის წევრი, ანუ შთამომავალი უფლოსისა, „ქართლოსის საყდრის“ მემკვიდრე, ანუ „ქართლოსიანთა უფალი“, ამიტომ ეგროსის სიტყვები „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, შენ გმართებს უფლობა ჩემი... შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი“ (ქ.ც. I, გვ. 22), მოუთითებს, რომ ჭუჯი ქართლოსიანია, ანუ ქართლოსის შთამომავალია, და ამიტომაც წესის შესაბამისად ქართლოსიანთა უფალს უნდა დაემორჩილოს, ისევე, როგორც სხვა ყველა ქართლოსიანი.



თუ ქუჯი ქართლოსიანია, ეგრისის მოსახლეობაც ქართლოსიანია, ანუ ქართლოსის შთამომავალია (ქუჯი სწორედ ეგრისის მოსახლეობის პიროვნული გამოხატულებაა). მაშინ, კიდევ ერთხელ შეიძლება ვთქვათ, რომ ეგროსი არა თარგამოსის ძე იყო, არამედ ქართლოსისა – როგორც ჩანს, ასე იყო კიდევ გადმოცემული ეთნარქთა გენეალოგიის თავდაპირველ ვარიანტში, რომელიც შემდგომ ახალ რედაქტორს გაუსწორებია, თუმცა კი თავისი ნაკვალევი მთელ ნაშრომში ვერ აღმოუფხვრია და ამის ნაშთია ქუჯის აღნიშნული პასუხი ფარნავაზისადმი.

## 10. პირველი „ქართველის“ იდენტუაჟის ცნება

„ფარნავაზ პირველი მეფე ქართლის შინა ქართლოსის ნათესავთაგანი“ (ქ.ც. I. გვ. 26), ავთდა სამეფო ტახტზე.

ეს მოვლენა, როგორც ითქვა, ანუ „ქართლოსის ნათესავის“ გამეფება მიუღებელი ყოფილა ქართლის ქვეყნის ერისთავებისათვის, იქმდე ისინი ხარკს უხდიდნენ იმ უცხოელ მონარქებს, რომლებიც მათზე იმარჯვებდნენ. ეს ნორმალურ მოვლენად მიაჩნდათ, ახლა კი მათი თანაფარდი, მათივე თვისტომი გადაიქცა მათ მეფედ, მისი მსახურება კი სათაკილო საქმედ მიიჩნიეს.

„ფარნავაზი პირველი მეფე იყო ქართლის შინა“, არა რიგითობით, არამედ პირველი მეფე იყო, ვითარცა „ქართლოსისა ნათესავთაგანი“. ეს მოვლენა, როგორც აღინიშნა, მიუღებელი როცა იყო ზოგიერთი დღიებულისათვის, ამიტომაც მემატიზის ცნობით ფარნავაზის გარდაცვალებისთანავე, როცა სამეფო ტახტზე ავიდა მისი ძე საურმაგი - მოაწყეს აჯანყება –

„ზრახვა ყვეს ერისთავთა ქართლისათა და თქებეს; „არა კეთილ არს ჩვენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩვენსა, არამედ ვიყოთ ერთად და მოვკლათ ჩვენ საურმაგ, და ვიყვნეთ ჩვენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ, და მივსცემდეთ ხარკსა ვინცავინ გამოჩნდეს მძღე“ (ქ.ც. I, გვ. 26).

იქმდე, როგორც ითქვა, ქართლის ერისთავები ხარკს აძლევდნენ არა „მათ ნათესავს“ არამედ უცხო „მძღე“, გამარჯვებულ დამპყრობელს, ახლა კი თავის ნათესავისადმი ანუ თვისტომისადმი დამორჩილება მიიჩნიეს უკეთურებად „არა კეთილ არს ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩვენსა“ რამეთუ უამისოდ, „უფრო განვისუენებთო“.

საურმაგმა ქართლის ერისთავების დასამარცხებლად შემოიყვანა ჩრდილო კავკასიელები და დაასახლა ისინი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთიანეთში – დასხნა მთიუელეთს, დიდოეთითგან ვიღრე ეგრისამდე, რომელ არს სვანეთი (ქ.ც. I. გვ. 27). მემატიანის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ქართლის ერისთავთა ჯგუფში შედიან ეგრის-სვანეთის ერისთავებიც (მათ საერისთავოებშიც, მათსავე დასასჯელად ჩამოასახლეს კავკასიელები).

აქედან გამომდინარე, ქართლის იმ ერისთავთა ჯგუფში, რომელიც თავიანთი „ნათესავის“ გამეფების გამო აჯანყდნენ შედიოდნენ ეგრის-სვანეთის ერისთავებიც, მამასადამე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საერისთავოების ხალხი ერთი ერთი „ნათესავი ჩვენი“ იყო.

## 11. ეპისტოლის ეპისტოლის ეპოქა 1900-1930 ეპისტოლის ეპიზოდი

ფარნავაზის ძემ საურმაგმა – „ერთი ასული მისცა ძესა ქუჯისასა, მამის დისტულს თვისსა“ (ქ.ც. I, გვ. 27).

ფარნავაზის დაი ქუჯის მეუღლე იყო, ახლა ქუჯის ძეს ფარნავაზის ვაჟმა თავისი ასული მიათხოვა. მათგან იშვა ქართამი, ქუჯის პირდაპირი შთამომავალი, მაგრამ რადგანაც დედის მხრიდან ფარნავაზის



სისხლი ჰქონდა – ფარნავაზიანად იწოდებოდა. მემატიანე წერს, რომ ქართლის მეშვიდე მეფეს „ბარტომ მეფესა არა ესვა ძე, არამედ ასული ერთი და სიცოცხლესავე მისა მოეყვანა ეგრისით ძისწული ქუჯისი, სახელით ქართამ, რომელსა შესდგამდა ფარნავაზიანობა, ფარნავაზის დისა ქუჯის ცოლისაგან და დედისა მისისა საურმავის ასულის ქუჯის ძის ცოლისაგან და ამის ქართამისად ეგრისით მიეცა ასული თვისი ცოლად ბარტომ მეფესა და აღელო ესე შეიძლად“ (ქ.ც. I, გვ. 30).

ამ ქართამ ეგრისელის ძეს უწოდეს სახელად ადერკი. ის გახდა ქართლის მეფე – „ამნ ადერკი დაიპყრა ყოველი ქვეყნა ქართლი და ეგრისი“ (ქ.ც. I, გვ. 35). მის დროს იშვა ჩვენი უფალი იესო ქრისტე და საქართველოში შემოვიდნენ წმიდა მოციქულები. მის დროს წავიდნენ მცხ-ეთიდან ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი და იერუსალიმიდან ჩამოასვენეს წმიდა კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. მემატიანის ცნობით, კვართი თავისი თვალით იხილა და მას ადერკი მეფე ხელითაც შეეხო და დიდი საუფლო მადლე მიიღო.

„ამავე ადერკის მეფობასა შინა მოვიდეს ათორმეტთა წმიდათა მოციქულთაგანი ანდრია და სვიმონ კანანელი აფხაზეთს და უგრისს და მუნ ადესრულა წმიდა სვიმონ კანანელი ქალაქსა ნიკოლისისასა, საზღვარსა ბერძენთასა. ხოლო ანდრია მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა“ (ქ.ც. I, გვ. 38).

„ხოლო ვითარცა ესმა მეფესა ადერკის მეგრელთაგან სჯულისა დატევება, განუწყრა და წარავლინა ერისთავი მისი და იძულებით კვალადევ მოაქცივნა მეგრელნი და დამალნეს ხატნი და ჯვარნი, და შერისხა ადერკი ერისთავსა კლარჯეთისასა, რომელ შემვიდობით განუტევა ანდრია მოციქული“ (ქ.ც. I, გვ. 42). რადგანაც თავიანთი ძველი ეროვნული სარწმუნეობის დაცვა უდიდეს საქმედ მიაჩნდათ და ამბობდნენ: „სჯულისა დატევებისათვის მოპკლევნ მამანი შვილთა და მმანი მმათა და არა იძიების სისხლი სჯულისა დატევებისათვის მოპკლულთა“ (ქ.ც. I, გვ. 31).

## 12. მეზე ჩრდილი ეზოსელის უკრძალვა ყოველი ქანითლის დაყოფა

„ქართლის სამეფო“, ანუ საქართელო მეფე ადერკის, როგორც ითქვა, თავისი შვილებისათვის დაუნაწილებია, ისევე, როგორც 1500 წლის შემდეგ მეფე ალექსანდრემ დაუნაწილა თავის შვილებს.

მიუხედავად ამ დანაწილებისა, უგრისი მაინც ქართლის ერთერთი სამეფოს შემადგენლობაში დარჩა.

მემატიანის სიტყვით, მეფე ადერკის თავისი სამეფო ორად გაუყვია და თავისი ორი ვაჟისთვის გადაუცა. ერთი სამეფოს დედაქალაქი იყო მცხეთა, ხოლო მეორისა – არმაზი (ქ.ც. I, გვ. 43).

## 13. ეზოსელის ანუ „დასაგლეთის ეპისთავები“

ქართლის ცხოვრების პირველ საუკუნეთა აღწერებიდან ჩანს, რომ ქართლის სამეფოს ერისთავები ორ ჯგუფად განიყოფოდა გეოგრაფიული განლაგების მიხედვით, ესენი იყვნენ „დასაგლეთის ერისთავები“ და, შესაბამისად, – „აღმოსავლეთის ერისთავები“.

დასაგლეთის ერისთავთა ჯგუფი აერთიანებდა 5 საერისთავოს. ესენი იყვნენ – ეგრისის ორი ერისთავი, ასევე ერისთავები ოძრხის, კლარჯეთისა და წუნდისა. წყაროში ნათქვამდა ერთ ამბავთან დაკავშირებით – „მაშინ განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი: ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრხისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა“ (ქ.ც. I, გვ. 57).

ეგრისის ორი ერისთავის ქვეშ იგულისხმება არგვეთის ერისთავი და თვით ეგრისის ერისთავი. აქედან გამომდინარე, დასავლეთის ერისთავთა ჯგუფში შედიოდნენ – არგვეთის, ეგრისის, ოძრხის, კლარჯეთისა და წუნდის ერისთავები.

აღმოსავლეთის ერისთავთა ჯგუფში შესაბამისად უნდა შესულიყვნებ – კახეთის, ხუნანის, სამშვილდის



ერისთავები და შიდა ქართლის სპასპეტი. ასე ყოფილაქვეყანა ადმინისტრაციულად დაყოფილი ფარნაგაზის პირველი ერთიანი სამეფოს დროიდან. მას დაუდგენია ორი ერისთავი ისტორიულ ეგრისში — არგვეთისა და საკუთრივ ეგრისისა. ამაზე ნათქვამია — „უამითი ჟამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს და მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი“ (ქ.ც. I, გვ. 25). ფარნაგაზს დაუდგენია ერისთავები კუთხეთა მმართველებად და ლაშქრის მეთაურებად, მათი საერთო რიცხვი რვა ყოფილა და ყველას ერთად ეწოდებოდა „ერისთავი ქართლისანი“ — მთელი ფარნაგაზის სახელმწიფოს, ანუ „ქართლის სამეფოს“ ხალხი „ერთი ნათესავია“ ანუ ეთნიკურად ერთია, თუმცა საერისთავოთა მცხოვრებთ კუთხური სახელებიც ჰქონდათ. „ქართლის სამეფოს“, ანუ რვა საერისთავოს მოსახლეობა ერთი ეროვნება, ერთი ხალხი რომიყო, ჩანს, მატანის შემდეგი მონათხრობიდან — ფარნაგაზის შემდეგ მის ძეს საურმაგს აუჯანყდნენ „ქართლის ერისთავები“, ანუ აუჯანყდა აღნიშნული რვა ერისთავი, მათ განაცხადეს: ფარნაგაზამდე ჩვენ არ ვემორჩილებოდით ჩვენსავე თანასწორს, ჩვენი ერისგან გამოსულ ადამიანს, თუმცა იძულებულნი ვიყავით დავმორჩილებოდით რომელიმე ძლიერი უცხო სახელმწიფოს მეთაურს, ამჟამად ვითარება შეიცვალა. ჩვენივე თანასწორმა, ჩვენი ერის შვილმა დაგვიმორჩილა, ეს კი სათაკილო საქმეა.

— საურმაგის „უამსა შინა ზრახვა ყვეს ერისთავთა ქართლისათა და თქვეს: „არა კეთილ არს ჩვენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩვენსა, არამედ ვიყოთ ერთად, და მოვკლათ ჩვენ საურმაგ და ვიყვნეთ ჩვენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ, და მივსცემდით ხარკსა, ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლე, რამეთუ ესრეთ ყოფითა უფრო განვისვენებთ“, განამტკიცეს განზრახვა და მოკლა საურმაგისი“ (ქ.ც. I, გვ. 26).

აქ ნახსენებია ეროვნული იდენტობის დამადასტურებელი სიტყვები — „ნათესავსა ჩვენსა“ -საურმაგ მეფე, მათი სიტყვით, „ჩვენი ნათესავის მეფეა, ანუ ეგრისის საერისთავოს ხალხი სხვა საერისთავოთა ხალხთან ერთად ერთი ნათესავია, ერთი ერია.“

ქართლის რვა ერისთავის განცხადებით საკუთარი ერის შვილის მათზე მაღლა აღზევება და მისთვის სამსახური სამარცხვინო იყო, ეს მათ „თავისუფლებას“ ზღუდავდა და „განსვენების“ საშუალებას უკარგავდა. საბერძნებოდ, საურმაგი გადარჩა, უცხო ძალით შეებრძოლა მათ — „წარმომართა ქართველთა ზედა“ (იქვე, გვ. 27). მამასადამე, სახელი იმ ერისა, რომელსაც ქმნიდა რვა საერისთავი იყო „ქართველი“. როგორც ითქვა, ამ „ქართველებს“ ჩრდილო კავკასიური ლაშქრით შეებრძოლა ფარნაგაზის ძე საურმაგი. მან გაიმარჯვა და „დაიპყრა ქართლი“, ე.რ. თავისი მამის სამეფო დაბრუნა. ჩრდილოკავკასიელები კი ჩამოასახლა მთიან აღვილებში, „დასხა მთიულეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სვანეთი“ (იქვე, გვ. 27). თავისი ასული კი მიათხოვა „ძესა ქუჯისა, მამის დისწულსა თვისსა“ (იქვე, გვ. 27).

„ქართლის ერისთავები“ ტერმინის სახით ხშირად იხსენიება ქრისტეშობამდელ ამბებში. მათში ასევე იგულისხმებოდა „დასავლეთის ხუთი ერისთავი“, მათ შორის იყო, როგორც ითქვა, ორი ერისთავი ეგრისიდან. მოხდა ისე, რომ ქართლის მეფე ბარტომი უაღრესად დაუახლოვდა საქართველოს გარეთ არსებულ წრებს, ის ტახტს იმაგრებდა სპარსულ-სომხური ძალებით. მას უსათუოდ ესაჭიროდა ქვეყნის შიგნით მოსახლეობის გულის მოგება, ამის გამო გადაწყვიტა ტახტის მემკვიდრედ გამოეცხადებინა და ეშვილებინა ეგრისელი უფლისწული, რადგანაც მას არ ჰყავდა საკუთარი ძე. ეგრისიდან ჩამოყანილი უფლისწულის სახელი იყო ქართამი, გვარად ფარნაგაზიანი. როგორც ითქვა, ბარტომებია ის იშვილა თავისი ქვეყნის მოსახლეობის გულის მოსაგებად. მემატიანე წერს — „ესე ქართველთა სათნოებისთვის ექმნა ბარტომ მეფესა და აღვდო ესე შვილად, რამეთუ ქართველთა დიდი სათნოება აქუნდა ფარნაგაზიანთა მიმართ“ (ქ.ც. I, გვ. 32).

თვითონ ბარტომ მეფე არშაკუნიანი ყოფილა. ქართამ ფარნაგაზიანი იყო ქუჯის ძის შთამომავალი. ქუჯისა და მის ძესაც ფარნაგაზიანი ცოლები ჰყავდათ.

შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ეგრისელი უფლისწული ქართამი, მამითა და პაპით ეგრისის ერისთავების შთამომავალი, ქუჯის შვილიშვილი, თვითონაც გვარად ფარნაგაზიანი იყო. ისევე, როგორც დედა და ბებია. იბერიის სამეფო სახლში, სამეფო საგვარეულოში, უახლოეს ნათესავთა შორის ქორწინება დასაშვები



ყოფილა ქრისტიანობის გავრცელებამდე, ამის შესახებ უცხოურ წყაროთა გარდა მიუთითებს დაკვირვებაც ჩვენს წყაროებზე. ქართამი ეგრისელის ძის ქართლის მეფე ადერკის ეპოქაში „პირველსავე წელსა მეფობისა მისისასა იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე“ (ქ.ც. I, გვ. 35), ადერკის შესახებ ნათქვამია: „ამან ადერკი დაიპყრა ყოველი ქვეყანა: ქართლი და ეგრისი“ (იქვე, გვ. 35). თუმცა კი მთელ სახელმწიფოს ერქვა „ყოველი ქართლი“, ის გეოგრაფიულად ორი ნაწილისგან – საკუთრივ ქართლისა და ეგრისისგან შედგებოდა, სამხედრო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით კი დასავლეთისა და აღმოსავლეთის საერისთავოებად. როგორც ითქვა, ეგრისი დასავლეთის საერისთავოთა ხუთეულში შედიოდა, მათ ყველას „ყოველი ერისთავი ქართლისანი“ ერქვათ. ადერკის წინა ქართლის მეფესაც თავის გარშემო შემოუკრებია – „ყოველი ერისთავი ქართლისანი“ (იქვე, გვ. 33).

ადერკ მეფის დროს შემობრძანებულ წმიდა მოციქულ ანდრიას მოუვლია ქართლის სამეფოს დასავლეთ საერისთავოთა მიწა-წყალი, კერძოდ კი, ეგრისი და კლარჯეთი, რის გამოც მეგრელებსა და კლარჯებს მიუღიათ ქრისტიანობა, ამის გამო, წერს მემატიანე – „ვითარცა ესმა მეფესა ადერკის მეგრელთაგან სკულისა დატევება, განუწყრა და წარავლინნა ერისთავნი მისნი, და იძულებით კვალადვე მიაქციონა მეგრელნი და დამალნეს ხატნი და ჯვარნი და შერისხა მეფე ადერკი ერისთავსა კლარჯეთისასა, რომელ მშვიდობით განუტევა ანდრია მოციქული“ (იქვე, გვ. 42).

უნდა ვიფიქროთ, რომ რადგანაც ქვეყანა ორ გეოგრაფიულ ნაწილად, საკუთრივ ქართლად და ეგრისად იყო გაყოფილი, ხოლო სამხედრო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით ასევე ორ – დასავლეთისა და აღმოსავლეთის საერისთავოებად, შესაძლოა დასავლეთის საერისთავოების მიწა-წყალს საერთოდ ეგრისი ერქვა, ანუ კლარჯეთი, ოძრხე, წუნდა და არგვეთი – მთლიანობაში გეოგრაფიულ ეგრის შეადგენდნენ, ხოლო კახეთის, ხუნძის, სამშვილდის და შიდა ქართლის საერისთავოები შეადგენდნენ საკუთრივ ქართლს, მთლიანობაში კი ეს ორივე ერთეული — დასავლეთისა და აღმოსავლეთის საერისთავოები ქმნიდნენ „ყოველ ქართლს“.

ასეთი ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული წყობა ყოფილა მეფე ადერკამდე, მას კი ის შეუცვლია და ახალი შემოუღია, კერძოდ, მას თავისი ორი ძისთვის გაუყვია თავისი სამეფო ორ ნაწილად. კერძოდ, ასეთი სახით: ოძრხისა და წუნდის საერისთავოები შეუყვანია ქართლის იმ ნაწილში, რომელიც მტკვრის მარჯვენა სანაპიროებს მოიცავდა და ის უბოძებია თავისი ერთი ძისთვის (ქართამ II), ხოლო საკუთრივ ეგრისი, კლარჯეთი, არგვეთი და მტკვრის დასავლეთი სანაპირო მიუცია მეორე ძის – ბარტომისათვის. მაშასადამე, ახლა ეგრისი ბარტომის მცხეთის სამეფოში შედიოდა. ქართამ მეფის სატახტო არმაზი იყო. მის ძეებს არმაზელი მეფები დაურქვათ (შეიძლება შევნიშნოთ, რომ „არმაზის“ ქვეყანა შემდგომში არაბებმა დაიპყრეს და მის ცალკეულ ოლქებთან ხელშექრულებები დადეს). ხოლო ბარტომ მეფეს სატახტო „შიდა ქართლში“, ანუ მცხეთაში ჰქონია. არმაზელი მეფები სომხეთის გავლენის სფეროში შესულან. ამის გამო სომხებს მიუტაცნია მათგან წუნდა და არტაანი, ოძრხელები ებრძოდნენ ქვეყნის დამპყრობ სომხებს და მათ „შეეწოდეს მეგრელი“ (იქვე, გვ. 48), მცხეთის სამეფოს ხელისუფალი ებრძოდა სომხეთს – „იგი აგნებდის საზღვართა სომხითისათა ქვეყნასა პარხლისასა, რომელ არს ტაო. ვერვინ შევიდოდა მავნე კლარჯეთს, რამეთუ შეუვალი და მაგარი იყო ტყითა და კლდითა და მკვიდრნი კლარჯეთისანი იყვნენ კაცნი მკვირცხლნი და მედგარნიც“ (ქ.ც. I, გვ. 48). შემდგომ საუკუნეში მცხეთელი მეფე მირდატი და არმაზელი მეფე ფარსმან ქველი ერთმანეთს მტრობდნენ. ამ შიდა დაპირისპირების დროს „მეგრნი დადგეს ერთგულობასა ფარსმანის ძისასა“ (იქვე, გვ. 53). მაშასადამე, „ყოველი ქართლის“ სამეფო, მართალია, ორად გაიყო, მაგრამ ეგრისი მის ერთ ნაწილს შეადგენდა. მირდატ მეფის მტრობის გამო ფარსმან ქველის მემკვიდრეებს „მიერთნეს მეგრნი... და მეგრნი შთავიდეს შიგა ქართლს“ (იქვე, გვ. 54). ომის ველზე მოკლეს მეფე მირდატი და მის ნაცვლად დასვეს ფარსმან ქველის ძე ადამი, მისი ერთერთი შთამომავალი იყო მეფე ამაზასპი, მის დროსაც იხსენიებიან „აღმოსავლეთისა და დასავლეთის ერისთავები“. მისი მემატიანე წერს – „ამაზასპ მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა და მოვ-



იდნეს ერისთავნი აღმოსავლისანი: ერისთავი კახეთისა, ერისთავი ხუნანისა, ერისთავი სამშვილდისა, მოვიდეს მხედარნი, სპასპეტნი, და ვიდრე მოსვლამდე დასავლეთისა ერისთავისა მოვიდნეს ოვსნი ჩრდილოთ“ (იქვე, გვ. 55).

ლაშქრის შეკრების დროს დასავლეთ საქართველოს, ანუ ეგრის-არგვეთის ერისთავების მოსვლამდე გამოჩნდა მტერი. ამ ომში მეფე ამაზასპა გაიმარჯვა, მაგრამ მას სისასტიკე გამოუჩენია შემდგომში და მრავალი წარჩინებული დაუხოცავს, რის გამოც „მოიძულეს იგი ერმან ქართლისამან... მაშინ განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი: ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრხისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა“ (იქვე, გვ. 57). მაშასადამე, „ქართლის ერის“ ნება გამოუხატავთ „დასავლეთის ერისთავებს“ და ისინი განდგომიან მეფე ამაზასპას.

შემდგომში მოციქულთა სწორ მეფე მირიანის დროსაც „ქართლის სამეფოში“ შედიოდა ეგრისი, ვითარცა მისი ერთერთი ნაწილი. მეფე მირიანს ქვეყნის სხვა ნაწილებთან ერთად – „აქუნდა ეგრისიც ვიდრე ეგრისწყლამდე“ (იქვე, გვ. 70). ეგრისი ვახტანგ გორგასლისა და მისი ძეების სამეფოშიც შედიოდა, ასე რომ, ეგრისი ქართული წყაროების მიხედვით ყოველთვის იყო „ყოველი ქართლის“, ანუ ერთიანი ქართული სახელმწიფოს ნაწილი ქრისტეშობიდან IV-III სს-დან, ფარნავაზ მეფიდან ვიდრე VI საუკუნემდე, ვახტანგ გორგასლის შვილებამდე, სამხედრო ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით კი, ეგრისის საერისთავო „დასავლეთის ერისთავთა“ ჯგუფში შედიოდა.

## 14. ეგრისი — ქვემო ივებია

ქართლის მეფე ადერკის (წარმოშობით ეგრისელს) – „ესხნეს ორნი ძენი ბარტომ და ქართამ. ამათ განუყო ყოველი ქვეყანა თვისი. მისცა ქალაქი მცხეთა, შიდა ქართლი, მუხრანით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკვარსა ჩრდილოეთი, ჰერეთითგან ვიდრე თავადამდე ქართლისა და ეგრისისა და ესე ყოველი მისცა ბარტომ ძესა თვისსა, ხოლო არმაზით კერძი ქალაქი მტკვრისა სამხრით ქართლი, ხუნანითგან ვიდრე თავადამდე მტკვრისა და კლარჯეთი ყოველი მისცა ქართამს ძესა თვისსა“ (ქ.ც. I, გვ. 43).

მეფე ადერკის ცხოვრებიდან ვიცით, რომ ეგრისი მისი სამეფოს განუყოფელი ნაწილი იყო. იქ მას ჰყავდა თავისი ერისთავი, ქუჯის შთამომავალი, თვითონაც პირადად ქუჯის შთამომავალი იყო. საჭიროების შემთხვევაში ეგრისში აგზავნიდა სხვა ერისთავებს ლაშქრით და აგვარებდა ეგრისის საქმეებს, ამიტომაც ქართლის სამეფოს გაყოფის დროს, ცხადია, ეგრისი მთლიანად გადასცა თავის ვაჟს, კერძოდ, გადასცა ბარტომს. ბარტომ მეფის ქართლის სამეფოში (ანუ ჩრდილო საქართველოს სამეფოში) შევიდა ეგრისი (დასავლეთი საქართველო), შიდა ქართლი, კახეთი, საზღვარი გაიდო მდ. მტკვარზე, სამხრეთ საქართველოს სამეფოში, ანუ არმაზელი მეფის ქართამის სახელმწიფოში შევიდა კლარჯეთი, არტანჯავახეთი ვიდრე ხუნანამდე.

ადერკი, როგორც აღინიშნა, იყო ძე ქართამისი (ქ.ც. I, გვ. 33), ხოლო თვით ქართამი იყო – „ძმისწყლი ქუჯის“ (ქ.ც. I, გვ. 32). მას დედის მხრიდან „შესდგამდა ფარნავაზიანობა“ ქართამი იშვილა ქართლის მეშვიდე მეფე ბარტომმა, და თვისი ასულიც მიათხოვა. ქართამის ძე იყო ადერკი მეფე, რომელმაც თავის ვაჟებს მამამისის ქართამისა და მამობილის ბარტომის სახელი დაარქვა. მემატიანე, მოუხედავად მისი გენეტიკური წარმოშობისა, ადერკის მამობილის გვარით მოიხსენიებს – არშაკუნიანი.

მემატიანის ცნობით, ორივე, სამხრეთ და ჩრდილოეთ ქართლის, ანუ საქართველოს მეფეები ძლიერი სომხეთის სამეფოს გავლენის სფეროში იმყოფებოდნენ, განსაკუთრებით სამხრეთი, ანუ არმაზის საქართველო – სომხეთის მომიჯნავე ტერიტორია. უფრო მეტიც, ამითაც არ დაკმაყოფილდა სომეხთა მეფე და დაუპყრია სამხრეთ საქართველოში ვრცელი მიწა-წყალი მტკვრის სათავიდან წუნდამდე არტანის ჩათვლით (ქ.ც. I, გვ. 44).

ეს ცნობა მემატიანისა იმითაა საინტერესო, რომ სტრაბონიც მსგავსადვე აღწერს იბერიის მდგომარ-



ეობას. მისი აზრით, იბერია ძირითადად მტკვრის მარცხნა სანაპიროზე მდებარეობს, ხოლო მარჯვენა სანაპირო – თითქმის მცხეთამდე, არმენის შემადგენლობაშია და არც უწოდებს ამ ნაწილს სტრაბონი იბერიას, არამედ არმენიას. ქართველი მემატიანის ცნობითაც, არმაზელი მეფები – სომხეთის ძლიერი დამოკიდებულების ქვეშ იყვნენ მოქცეულნი.

ასეთი ძღვომარეობა, ცხადია, ქართველებისთვის მოუთმენელი იყო, ამიტომაც ეგრისიდან შექრებილი საგანგებო ჯარი გადმოვიდა სამცხეში და შეებრძოლნენ სომხებს, რათა ქართლის მიწა-წყალი გაეთავისუფლებინათ.

როგორც ითქვა, სომხეთმა უშუალოდ მიიტაცა წუნდამდე მიწა-წყალი, არმაზელ მეფეს ჩამოართვეს. წუნდაში და იქვე, დემოტი, სომხური ჯარიც ჩაუყენებიათ, ოძნეს ქალაქი კი არმაზელ მეფებს ემორ-ჩილებიდა – „მას შეეწეოდეს მეგრელნი, ხოლო წუნდელნი და დემოთელნი შეეწეოდეს ერთმანეთსა და დაუცხრომლად იბრძოდეს და უფროსი ბრძოლა მათი იყვის მდინარესა ზედა, რომელსა პქვიან ნოსტე“ (ქ.ც. I, გვ. 48).

ბრძოლა სომხებისაგან ქართლის გასათავისუფლებლად, რომელშიც სამეცნიელოდან ჩამოსული ჯარი მონაწილეობდა – ვრცელ მიწა-წყალზე იყო გადაშლილი. ამ ომში ქართველობა დამარცხებულა და სომხების მეფემ, მემატიანის სიტყვით „დაიმონნა ქართველნი“ (ქ.ც. I, გვ. 48). ეს ცნობა გარკვეულწილად გვიხსნის სტრაბონის შეხედულებას, რომ თითქმის მტკვრამდე არმენის სახელმწიფო მდებარეობდა, შემდგომ ქართლმა დაიბრუნა თავისი ტერიტორიები – „სომეხთა უკუმოსცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტაანი“ (ქ.ც. I, გვ. 44). თუმცა კი არმაზელი მეფები მაინც სომხების გავლენის სფეროში დარჩენილან (იქვე, გვ. 51).

საფიქრებელია, რომ ქართველი მემატიანე, თუ მისი ცნობები სწორია, ქრონილოგიურად ცდება, კერძოდ, მის მიერ მოთხრობილი ამბები მიეკუთვნება I-II საუკუნეებს, მაშინ, როცა ამ დროს, ლათინური წყაროებით, იბერიის სამეფო ძალზე ძლიერი იყო და სომხეთი, პირიქით, იბერიის გავლენის სფეროში იმყოფებოდა, ქართველი მემატიანე დაბეჭიოთებით წერს, რომ მდგომარეობა იყო პირიქით – ქართლი სომხეთის გავლენის სფეროში შედიოდა, განსაკუთრებით მისი სამხრეთი ნაწილი, ამიტომაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის უშვებს ქრონილოგიურ შეცდომას და ქრისტეშობამდე II-I საუკუნეების ამბები გადმოაქვს აქეთ, ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში. ქრისტეშობამდე კი, II-I საუკუნეებში სომხეთი მართლაც ყოფილა გაძლიერებული და სამხრეთ საქართველო მართლაც შესაძლოა მის სფეროში შედიოდა.

ქართლის მეფე ფარსმან ქველის მოწამვლის შემდეგ იბერიის სამეფო კარზე დიდი ცვლილებები მომხდარა. „დაიპყრეს ქართლი მირდატ და ერისთავმან სპარსობა, ხოლო მეგრნი დადგეს ერთგულებასა ფარსმანის ძისასა“ (ქ.ც. I, გვ. 53).

ამ დროს ქვეყნის მპყრობელ სპარსელებს დაუპირისპირდნენ სამეცნიელოს ერისთავები – „მიერთეს მეგრნი“, მათ მოიშველიეს ბერძნებიცა და სომხებიც სპარსელებთან საომრად, ბრძოლა გაიმართა შიდა ქართლში, სოფელ რეხასთან, სპარსელები დამარცხდნენ, ქართველებმა ტახტზე აიყვანეს ფარსმან ქველის ძე ადამი – შეიძლება ითქვას, რომ ის ევრისის ერისთავებმა დასვეს ტახტზე. მისი შთამომავლის, ამაზასპის დროს ოსები გადმოსულან და შიდა ქართლში ჩამდგარან. მეფემ „მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა“ (ქ.ც. I, გვ. 55).

აქ, მემატიანის შემდეგ თხრობაში, კარგად ჩანს, რომ ეგრისი ითვლებოდა ქართლის ნაწილად, ხოლო ეგრისელი ერისთავები – ქართლის ერისთავებად. მისი თხრობა ჩვენ კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ძველქართული ცნობიერებით, ეგრისი – ქართლის ნაწილად განიხილებოდა, კერძოდ, სამხედრო სისტემის მიხედვით, ქვეყანა იყოფოდა – „აღმოსავლეთისა და დასავლეთის საერისთავოებად“, „დასავლეთის“ საერისთავოებში შედიოდნენ – „ორნი ერისთავი ეგრისისანი, ერთი ოძნებისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა“ (ქ.ც. I, გვ. 57), ანუ ქართლის დასავლეთის ერისთავები ეგრისელები იყვნენ. ეგრისი – ქართლის სამეფოს ნაწილია.



მემატიანე წერს – „ამაზასპ მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა და მოვიდეს ერისთავნი აღმოსავლისანი: ერისთავი კახეთისა, ერისთავი ხუნანისა, ერისთავი სამშვილდისა და შემოკრბეს მხედარნი სპასპეტისნი და ვიდრე მოსვლადმდე დასავლეთისა ერისთავისა, მოვიდეს ოვნი“ (ქ.ც. I, გვ. 55).

ოსების დამარცხების შემდეგ მეფე ამაზასპი გაამაყებულა „და იწყო მესისხლეობად და მოსწყვიდნა მრავალნი წარჩინებულნი, ამისთვის მოიძულეს იგი ერმან ქართლისამან“ (ქ.ც. I, გვ. 57).

ქართლის ერის მიერ თავისი მეფის მოძულება იმით გამოიხატა, რომ „განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი: ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრხის, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა“ (ქ.ც. I, გვ. 57). „ქართლის ერში“ ეგრისელებიც შედიან. ამიტომ ეგრისი გამოხატავს ქართველი ერის აზრს, ისევე, როგორც კლარჯეთი, ოძრხე და სხვა ნაწილები ქვეყნისა.

ეგრისი – ქართლის სამეფოს განუყოფელი ნაწილი იყო ფარნავაზიდან მირიანამდე და ვახტანგამდე – „მეფობდა მირიან ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს და აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრისის წყლამდე“ (ქ.ც. I, გვ. 70). სწორედ მდ. ეგრისისწყალი უნდა იყოს მემატიანის მიერ ხშირად ნათევამი ის „თავი ეგრისისა“, სადამდეც აღწევდა ქართლის სამეფოს საზღვარი.

## 15. ეზპისი III სამეცნიერებელი

I საუკუნეში მცხოვრებ მეფე ადერკის თავისი სამეფო ორად გაუყვას თავისი შვილებისათვის, კერძოდ ერთ ძეს-ბარტომეს გადასცა-მცხეთა და, ყოველი ქართლი მტკვარსა ჩრდილოეთი, ჰერეთითგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ეგრისისა“ (ქ.ც. I, გვ. 43). ე.ი. ჰერეთიდან ეგრისწყლამდე მტკვრის ჩრდილოეთით მოქცეულმა ქვეყანამ შეადგინა დამოუკიდებელი სამეფო, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ – „მცხეთის ქართლი“ „მასში შედიოდა ეგრისი ეგრისწყლამდე ანუ „თავადმდე ეგრისისა“ მეორე ქართულ სამეფო – „არმაზის ქართლში“ შედიოდა არმაზი, „მტკვრისა სამხრით ქართლი, ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკვრისა, და კლარჯეთი“, ის გადასცა „ქართაში ძესა თვისისა“ მას „მეფე არმაზელი“ უწოდეს. არმაზის ქართლის სამეფო არმენის გავლენის სფეროში მოქცეულა, რადგანაც მას მუდამ „ბძოდეს სომეხნი“. ამ გასაჭირის დროს არმაზელებს „შეეწეოდეს მეგრელნი“.

„იყო ოძრხეს ქალაქება შინა ერისთავი მეფისა არმაზელისანი... მას შეეწეოდეს მეგრელნი“ (ქ.ც. I, გვ. 48).

ქვეყანა გაყოფილი იყო, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მტერთან ბრძოლისას „არმაზის მეფეებს“ ეხმარებოდნენ „მეგრელები“.

გვ. 53. გარდაიცვალა ფარსმან ქველი არმაზელი, მოუხედავად იმისა, რომ მირდატი „შინა ქართლის“ კანონიერი მეფე იყო „მეგრნი დაადგეს ერთგულობასა ფარსმანის ძისასა“, რადგანაც ფარსმან ქველი სიმუხთლით მოკლა მირდატ მეფები.

ამ მეგრებმა კოალიციასთან ერთად დაიწყეს ფარსმან ქველის სისხლის ძიება, დაამარცხეს მირდატ მეფე (მოკლეს ბრძოლაში) და ქართლში გაამეფეს ფარსმან ქველის ძე ადამი. მისმა შვილიშვილმა ამაზასპმ მტერთან საბრძოლველად მოუხმო ყველა ერისთავს – მათ შორის დასავლელ ქართველებს (ოსების შემოჭრის დროს).

გვ. 55. „ამაზასპ მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა, და მოვიდეს ერისთავნი აღმოსავალისანი: ერისთავი კახეთისა, ერისთავი ხუნანისა, ერისთავი სამშვილდისა და შემოკრბეს მხედარნი სპასპეტისანი და ვიდრე მოსვლადმდე დასავლეთისა ერისთავისა, მოვიდეს ოვნი“.

ამაზასპ მეფეს შემდგომ განუდგნენ „დასავლეთის ერისთავები“.

გვ. 57. „განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი: ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრხისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა“ ქართლის ერისთავებმა შეკრეს კოალიცია და შეებრძოლნენ მეფეს, სურდათ ახალი მეფე. კოალიცია „მოვიდეს ერისთავთა თანა ეგრისათა“ (გვ. 57) – შეებრძოლნენ ძველ მეფეს.



ე.ი. ქართლის ერისთავთა შორის იგულისხმებიან ეგრისის ერისთავებიც.

გვ. 59. „ესე ასფაგურ იყო უკანასკნელი მეფე ფარნავაზიანთა ნათესავისა“. „დაესრულნეს მეფენი ქართლისანი ფარნავაზიანი“.

## 16. ეპლისი IV საქართველო

### (ეპლი მინიანის სამეფო ეპლისტყლიდება)

გვ. 65. „და მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გალმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს“.

გვ. 70. „და მეფობდა მირიან მუნ ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს და აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრისწყლამდე“.

გვ. 71. „მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი და დასვა იგი უჯარმას... მას უამსა მოსრულ იყო წმიდა და ნეტარი დედა და ემბაზი ჩვენი ნინო“

გვ. 137. „დარჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი (თვინიერ კლარჯეთისა) და ჰერეთი და ეგრისი.

## 17. ეპლისი V საქართველო (ტექირბეგა დაივაჲის ქართლის

### სამეფოს მოწაფებლი „ეპლისტყლიდება ციხე-ზოჯამდე“)

გვ. 146. ვახტანგის სიობლის უამს „გამოვიდეს ბერძენი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰერისწყალს ქვემოთი კერძი ყოველი და დაიპყრეს ეგრისწყლითგან ვიდრე ციხე-გოჯამდე. მაშინ იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა... „ვძებნეთ საზღვარი ქართლისა ბერძენთაგან“ – ამას იტყოდეს ყოველნი ქართველნი და იყვნეს მწუხარებასა შინა დიდსა“. ე.ი. ქართლის საზღვარი არის მდ. ეგრისწყალი.

ქ.ც.-ის ცნობით, ვახტანგს შერთეს კეისრის ქალიშვილი, რომელსაც მზითვად გამოატანეს ტერიტორია ეგრისწყალსა და მდ. კლისურას შორის. ამის შედეგად ქართლის სამეფოს საზღვარმა გადაიწია მდ. ეგრისწყლიდან მდ. კლისურაზე „და დაუწერა ეგრისწყალსა და კლისურას შუა ქუეყანა ზითვად“ (ქ.ც. I. გვ. 177).

## 18. ეპლისი ვახტანგ გორგაძეს ანდებები

ვახტანგის ანდერძი:

1. „რქეუა ძესა თვისსა დაჩის – მომიცემია გვირგვინი მეფობისა ჩემისა,
2. და ნაწილად ძმათა შენთა მომიცემია ტასისკარითგან და წუნდიდან ვიდრე სომხეთამდე და საბერძნეთამდე.
3. საზღვარი აფხაზეთისა, რომელი მოცემულ არს ეგრისწყალსა და კლისურას შუა, იგი ძმათა შენთა დედისა არს, იგი აქვნდეს მათ და იყვნენ შენდა ერისთავად, მორჩილებასა ქუეშე ნათესავისა შენისასა“.

და დაჯდა საყდარს მისსა ძე მისი დაჩი.

ხოლო ცოლი და ორნი ძენი ვახტანგისანი წარიყვანეს სამთა მათ ერისთავთა და დაიპყრეს დასავლეთი ქართლისა, რომელი მისცა ვახტანგს.

მოხხრებულ იყვნეს ყოველნი ხევნი ქართლისანი: თვინიერ კახეთისა და კლარჯეთისა და ეგრისისა“. (ქ.ც. I. გვ. 205).

ე.ი. ვახტანგის ბერძენ ცოლს მოჰყვა იმპერატორისაგან მზითვის სახით ტერიტორია ეგრისწყალსა და კლისურას შუა, ეს მიწა-წყალი დარჩათ მის შვილებს მეფე დაჩის ნახევარ მმებს. მათ მიიღეს



ერისთავთმთავრის ტიტული, ხოლო მიწა-წყალს უგრისწყალსა და კლისურას შეა ეწოდა „დასავლეთ ქართლისა“.

აღსანიშნავია, რომ ვახტანგ გორგასალმა ილაშქრა ისტორიული სამხრეთ იბერიის მიწა-წყალზე(იგულისხმება სამხრეთ ეგრისი), მსგავსად ფარნავაზისა.ჩანს ვახტანგის მიზანი იყო იბერიისათვის დაეხმოუნებინა ის მიწა-წყალი, რომელიც სტრაბონის ცნობით ძვ.წ.II საუკუნეში არმენიამ ჩამოაცალა იბერიას (გოგარენა,ხორმენე და პარიადრეს კალთები).ქართლის ცხოვრების ცნობით ფარნავაზმა ქრისტე-შობამდე III საუკუნეში ილაშქრა „აზონის მამულ“ კლარჯეთში.ვახუშტის ცნობით,როგორც თქვა, კლარჯეთი მოიცავდა არა მხოლოდ ერთ მხარეს, არამედ უვრცელეს რეგიონს ქალდეა-ტრაპეზუნტიდან ჭოროხამდე.მემატიანე საბერძნეთთან იბერიის საზღვარს ათავსებს ანძიანძორასთან(იგივე ანძორეთთან)- „წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა და ეკლეციო შემოიქცა“ (ქ.ც. I.გვ.23).

სად მდებარეობდა ანძიანძორა? გ.მელიქიშვილი ამასთან დაკავშირებით წერს- „ქართლის სამეფოს ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით განკცობას ეთანხმება წყაროს ცნობა ფარნავაზის მიერ მცირეაზიული ოლქების ანძიანძორისა და ეკელეცის (ანტიკწყაროების აკილესენა, სოფენას ჩრდილოეთით ვეფურატზე მდებარე ოლქი) დალაშქვრაზე(საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, 1970, გვ. 455). მაშასა-დამე წყაროს ცნობით ფარნავაზის დროს იბერიის (ქართლის სამეფოს) საზღვარი გადიოდა ანძიანძორასთან, ისტორიულ ხორმენესთან, ამით ჩვენი წყარო (ქ.ც.) ამართლებს სტრაბონის ცნობას, რომ ძვ.წ. II საუკუნეში იბერიაში (ე.ი. ფარნავაზის სამეფოში) შედიოდა ხორმენე-გოგარენა და პარიადრეს კალთები. ფარნავაზის შემდგომ მალევე იბერიის სამეფოს დაუკარგავს ეს ტერიტორიები, მაგრამ მათ დასაბრუნებლად ბრძოლა გრძელდებოდა. ამას მიუთითებს ვახტანგ გორგასლის ლაშქრობა იქ-, წარმართა ვახტანგ შესვლად საბერძნეთად და მიიწივნეს სომხითს და მოერთნეს... ერისთავნი სომხითისანი... ტაროვნელი ამაზასპ გრიგოლის შენებულისა ქალაქისაგან, თრდატნათესავისაგან, დიდისა თრდატის. და მოადგეს ციხე-ქალაქსა, რომელსა ერქვა კარახპოლა, ხოლო აწ ეწოდების კარნუ-ქალაქი... წარვიდა ვახტანგ პონტოს და მოახორნა გზასა ქალაქი სამნი: ანძორეთი, ეკლეცი და სტერი და მოადგეს ლაშქარნი პონტოსა ქალაქისა დიდისა ზღვის კიდეს“ (ქ.ც. I.გვ.160).

ტექსტიდან ჩანს, რომ ვახტანგის დროს აღნიშნული ადგილები უკვე სომხეთსა და პონტოშია, მაშინ როცა ფარნავაზის დროს ქართლის სამეფოს „საზღვარი“, „საბერძნეთთან“ ანძიანძორასთან გადიოდა . მაშასადამე ეს ტერიტორიები იბერიას დიდი ხნის დაკარგული ჰქონდა ვახტანგის დროს, მაგრამ იქურ(ე.ი. ხორმენესა და პარიადრეს კალთების) მოსახლეობას ქართული ეთნოდენტობა და ქართული ენის ცოდნა ჯერ კიდევ შენარჩუნებული რომ ჰქონდა სხვა გამოკლევებიდან ჩანს.

VII ს. სომხეთის რუკაზე ოლქი სახელწოდებით „ხორმიანა“ (ეს უნდა იყოს „ხორმენე“) მდებარეობდა კარინთან(კარახპოლ-კარნუ-ქალაქ-არზრუმთან) ახლოს მის სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებოთ 70 კმდაშორებით.

ხორმიანასა და კარინს შეა მდებარეობდა მანანალის(მანრალის) ოლქი მარდალის(მარდალის) გვერდით.

ხორმიანასთან ახლოს, მის სამხრეთ დასავლეთით დაახლოებით 40 კმ.-ში მდებარეობდა ოლქი სახელწოდებით-ანძიტი(ანდზიტ). ეს უნდა იყოს ქართული ანძორეთი-ანძიანძორა(სადაც ილაშქრეს ფარნავაზმა და ვახტანგმა). პროვინცია ანძიტში ცოვკის ტბასთან ახლოს იყო ციხე-სიმაგრე ეგერი(ეგერი). ამავე სახელის ქალაქი ეგერი(ეგერი) კარინ-არზრუმთანაც იყო . მ ქალაქის სახელი(ეგერი) ეგრისის სახელს უნდა ირეკლავდეს. ოლქ ხორმიანაში გაედინებოდა ამავე „ეგრ“ სახელის მქონე მდინარე „ეგერიკი“(მიუს გაილი). ხორმიანაში იყო ცნობილი პუნქტი - არტალესი.

აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელ თურქეთში ძველი ოლქის ანძიტის ადგილას მდებარეობს ადმინ-



ისტორიული ოლქი-ელაზიგი.ეს სახელი ელაზიგი არ არის შემთხვევითი. სიტყვაში „ელაზიგი (ელაზილი)“ ვფიქრობ შესაძლებელია გამოიყოს ფუძე-ძირი „ლაზი“. სახელი „ლაზი“, ამ მხარეებისათვის უცხო არ იყო. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია XI ს. დასაწყისში ამ მხარეებსაც მოიცავდა. აქ ახლოს იყო კერჩანისის, ხახის, ბიზანტია და სხვა საეპისკოპოსო კათედრები.

ბიზანტია და არზრუმს შორის მდებარეობდა ოლქი მანანალია (მანარალი), მას ამ რუკაზე მარდალის (მარდალის) ოლქისაგან ყოფს „მეგედუხვის მთები“, ამ მთებს ნ.ადონცი ხალხალის მთებს უწოდებს, რომელიც მანრალიასა და მარდალიას ერთმანეთისაგან ჰყოფდა.

როგორც ჩანს ამ მხარეებში ეგულებოდა ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ავტორს „საფლავი დიდი მოძღვრისა გრიგოლისა“, აღნიშნულ რუკაზე ბიზანტია ოლქს ეწოდება – „ეკეგიაცი“, ეს უნდა იყოს ვახტანგის ცხოვრების ეკლეცი. ამ ოლქში რუკაზე მონიშნულია ეკლესია სახელწოდებით-, სურბ გრიგორი“, ალბათ აქ ეგულებოდა ავტორს საფლავი წმ. გრიგორისა. რომელი იყო ეს წმიდანი გრიგორ განმანათლებელი თუ გრიგოლ ნაზიანზელი?

ხორძნა, როგორც ითქვა, სტრაბონს იბერიის ისტორიულ ნაწილად მიაჩნდა, რომელიც არმენიამ მიიტაცა მართალია ან მხარეში მცხოვრები მკვიდრი იბერების არმენიზაციას ხელი განსაკუთრებით შეუწყო ამ მხარეში სომხური ეკლესიის გაძლიერებამ. საბედნიეროდ ვახტანგის დროს ქართული თვითშემეცნება ჯერ კიდევ ძლიერი ყოფილა ამ მხარის სასულიერო პირთა შორისაც კი, რაც კარგად ჩანს ვახტანგის ცხოვრებაში. სხვათა შორის, ხორძნაცის ისტორიაშიც არის გარკვეული მინიშნება იმისა, რომ ხორძნასა და ტარონის სამღვდელოებამ იცოდა ქართული ენა. მაგალითად მოვსეს ხორძნაცი წერს – „რაც შეეხება მესროპს, იგი წავიდა ქართველთა ქვეყანაში და მადლის ზეგარდამო მინიჭებით მათაც შეუ ქმნა ანბანი ვინმე ჯალასთან ერთად, რომელიც ბერძნული და სომხური ენებიდან თარგმნიდა. ხელს უწყობდნენ იმათი მეფე ბაკური და მოსე ეპისკოპოსი. მან შეარჩია ბავშვები, გაჰყო ისინი ორ ჯგუფად და მოძღვრებად დაუტოვა თავისი ორი მოწაფეთაგანი-ტერ ხორძნაცი და მუშე ტარონაცი“ (მოვსეს ხორძნაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 224). მაშასადამე ქართველი ბავშვები დაყვეს ორ ჯგუფად, რათა მათ შეესწავლათ ქართული ანბანი ქართული წმიდა წერილის საკითხაგად. მათ ქართული ენის მცოდნე მასწავლებლები ესჭიროებოდათ, ასეთნი კი ყოფილან ხორძნელი მღვდელი (ტერ ხორძნაცი) და ტარონელი მუშე. ხორძნე-ტარონის ახლო მხარეებში ქართული ენის ცოდნას ისც მიუთიობს, რომ გვილაბის კვლევით იქვე, არც თუ დაშორებით, ქედესა-ურპაში ყოფილა დიდი ქართული კოლონია თავისი საგანმანათლებლო კერძით. აღნიშნულ რუკაზე ქალაქი ედესია-ურპა მდებარეობს ოლქ ანდზიტან ახლოს, მის სამხრეთით 70-80 კმ. დაშორებით. საბოლოოდ უნდა ვთქვათ, რომ არმენიის მიერ მიტაცებულ მხარეებში დიდხანს დარჩა ქართული ენის ცოდნა და ქართული ტოპონიმები (ეგრი-ეგრისი, იბერია და სხვა).

## 19. ეპისტოლი VI საქართველო („ქვეყნი ეპისტოლავები“ ანუ ეპისტოლა-ქლექტონის ეპისტოლავები)

VI ს.-ში საპარსელებმა გააუქმეს ქართლის სახელმწიფო ბრიობა, მალევე საპარსეთში შიდა მდგომარეობა გაუარესდა, ამასთან დაკავშირებით წყარო წერს-„ესრეთ რა უცალო იქმნეს საპარსენი, მაშინ შეითქვნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქვემონი და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძნები მეფისა და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავისაგან მეფეთა ქართლისათა და რათა იყვნენ ერისთავნი იგი თვის-თვისსა საერისთოსა შეუცვალებელად“ (გვ. 217).

გვ. 217. „ერისთავნი ზემონი და ქვემონი“. ზემო ერისთავები აღმოსავლეთ ქართლის (შუა



ქართლისა და კახეთის) ერისთავებს ერქვათ, ხოლო ქვემო ერისთავები დასავლეთ ქართლის ანუ ეგრის-კლარჯეთის ერისთავებს.

გვ. 226. „კვალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვისპირი“.

## 20. ეზობის VIII საქართველო

გვ. 234. „მეფენი ქართლისანი წარვიდეს ეგრისად“.

გვ. 235. „შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას უამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა“. ე.ი. ქართლის ანუ საქართველოს საზღვარი ახლა მდ. კლისურაა.

გვ. 236. მეფე ვახტანგის და მირიანის გვირგვინები „მე და მამამან ჩუენმან დავსდევით იგი ქუთათისს და ციხე-გოჯს“.

გვ. 239. „ჩაიარა მურმან ყრუ ზღვისპირი“ (აფხაზეთიდან).

გვ. 239. ბერძენმა კეისარმა მისწერა თავის ერისთავს აფხაზეთში – „ყოვლადვე საზღვართა ქართლისათა ჩვენგან ქმნილ არს ვნება... ვითარმედ კეთილად პატივს ცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა და ამიერითგან ნულარამცა ხელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა“. (გვ. 259). ე.ი. ქართლის საზღვარი ეგრისშია.

გვ. 241. „განუყვენ მათ (ერისთავებს) ქუეყანანი ქართლისანი: ნახევარი შენ და ნახევარი მათ, ხოლო საუხუცესოდ რომელ მქონდა მომიცემია შენდა და გქონდეს საუხუცესოდ ეგრისი, სვანეთი, თაკუერი, არგუეთი და გურია“.

ე.ი. „ნახევარი ქართლის“ – არის დასაველო საქართველო.

მეორე ნახევარია – აღმოსავლეთი საქართველო – კლარჯეთიდან აბოცის ჩათვლით“.

გვ. 241. ანდერძი მირისა დაპფლენ ძგალნი მისნი (სტეფანის ერისმთავრის) საყდარსა ქუთათისს.

გვ. 242. „აწ უწყიეს შენება ადგილთა ჩუენთა კლისურითგან აღმართ, წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთათისს“.

გვ. 243. „წარვიდა არჩილ და დაემკვიდრა ეგრისს ვიდრე შორაპნამდე“ (კლისურიდან შორაპნამდე).

## 21. ოდიში

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, სიტყვა „ოდიში“ უძველესი წარმოშობისაა. უკვე არსებობდა ქრისტე-შობამდე III-II საუკუნეებიდან. მისი აზრით, თავდაპირველად „ოდიში“ ერქვა მიწა-წყალს მდინარე ეგრისწყლის (ლალიძგას) იქით. მატიანეთა ცნობით, მდ. ეგრისწყლის აქეთ (ე.ი. მარცხენა სანაპიოროდან) მიწა-წყალი შევიდა აზო-ფარნავაზის დროს პირველ ერთიანი ქართული სახელმწიფოს „ქართლის სამეფოს“ (იბერიის) შემადგენლობაში, ხოლო ეგრისწყლის იქით (მარჯვენა სანაპიოროს) ქართველობამ არ ინება ქართლის სახელმწიფოში შესვლა (ბერძნებმა დაიპყრეს). ამიტომაც დანანებით ამ მიწა-წყალზე ამბობდნენ ქართველები: „ოდიში (ე.ი. ოდესლაც) ჩვენი იყო ეს მიწა“, ე.ი. თითქოსდა ასე წარმოიშვა ეს სიტყვა – „ოდიში“.

ეს სიტყვა უკვე არსებობულა ქრისტესშობამდე, მაშასადამე, სტრაბონის დროსაც, ასე რომ, ქართული წყაროებითაც სვანების ქვეყანას ქართლი ანუ იბერია ერქვა. სტრაბონის ცნობითაც სვანებს იბერიელებს უწოდებდნენ.



## თავი IX

## ადმინისტრაცია

## 1. რეაგირების პერიოდები ქართველობის შემთხვევაში — ისტორიულ ღრმიები

ბიზანტიის იმპერიის მმართველები დიდ ყურადღებას აქცევდნენ აღმოსავლეთ შავიზღვის ტერიტორიული მოწყობის საქმეს. მიზეზი ამისა, ის იყო, რომ იმპერიას გაჩაღებული ჰქონდა საუკუნოვანი ომები სპარსეთთან, აღნიშნული მიწა-წყლის მომიჯნავე სახელმწიფოსთან. მართლაც, სპარსეთსა და შავ ზღვას შუა აღნიშნულ მიწაზე ცხოვრობდა მრავალი ხალხი, ეროვნება და ეთნიკური ჯგუფი, რაც აპირობებდა იმპერიის ამ ნაწილის პოლიტიკურ და ასევე სამხედრო არასტაბილურობას.

იმისთვის, რათა ეს ვრცელი ტერიტორია უფრო ინტენსიურად ჩართულიყო საიმპერიო ყოველდღიურ ცხოვრებაში (ყოფილიყო სტაბილური დასაყრდენი იმპერიის ძლიერებისა, სახელმწიფოს სხვა პროვინციების მსგავსად), იმპერატორებმა გადაწყვიტეს შემოეღოთ ამ მიწა-წყალზეც პროვინციალური მმართველობა. ეს უნდა მომხდარიყო თანდათანიბით, რადგანაც აღნიშნული ტომები, ხალხები და ეთნიკური ჯგუფები საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე იმყოფებოდნენ (აღმოსავლეთის სხვა პროვინციებში ადგილობრივი მოსახლეობა განვითარების შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფებოდა, ამიტომაც მათვის ადრევე შეიქმნა ადმინისტრაციული ერთეულები, ძირითადად, პროვინციების სახით).

ბიზანტიის მმართველებმა გადაწყვიტეს ჩვენთვის საინტერესო მიწა-წყალზე (მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით ურმიისა და ვანის ტბებიდან ტრაპეზუნტ-ორდუმდე) დაყრდნობოდნენ ერთ რომელიმე ერს და მისი დახმარებით განეხორციელებინათ რეფორმები, ასეთად მათ სომეხი ხალხი მიიჩნიეს და გარკვეულ-წილად ჰეგემონი ერის სტატუსი მიანიჭეს.

იქ მცხოვრები სხვადასხვა ტომები მართალია მრავალი იყვნენ, მაგრამ მცირერიცხოვარნი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების წესტვეულებების უქონელნი, მათთან შედარებით სომხები იყვნენ მრავალრიცხოვანნი, პოლიტიკურად ერთი მიზნისკენ ორიენტირებული და აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების მქონენი. ამასთანავე, მტკიცე ქრისტიანები, სამხედრო საქმეში კი გამოცდილი სპარსეთთან ომის გამო.

იმპერატორების თვალსაზრისით, თუკი სომხეთი მოეწყობოდა ბიზანტიის სხვა ნაწილების მსგავსად პროვინციალური ისტემით, შესაძლებელი იქნებოდა მას აქტიური წინააღმდეგობა გაეწია სპარსელებისათვის და სპარსთა ძალები არ შეეშვათ ბიზანტიის სიღრმეებში.

ასეთი ადმინისტრაციული ჩამოყალიბების პროცესი დაწყებული იყო ჯერ კიდევ იუსტინიანემდე. ხოლო იუსტინიანემ თავისი ყურადღება მრავალჯერ მიაპყრო ამ მხარეთა ტერიტორიული მოწყობის საქმეს. საბოლოოდ იუსტინიანეს რეფორმის შემდგომ ამ მიწა-წყალზე ჩამოყალიბდა ოთხი ადმინისტრაციული ერთეული. ოთხივეს ეწოდებდა არმენია, კერძოდ, ესენი იყვნენ I არმენია, II არმენია, III არმენია და IV არმენია.

როგორც აღინიშნა, ამ არმენიებში სომხების გარდა ცხოვრობდნენ სხვადასხვა ტომები და ეთნიკური ჯგუფები, მათ შორის უმეტესობა იყო ქართველური წარმოშობისა, განსაკუთრებით შავიზღვისპირეთში.

ნადონცის თქმით იმპერიას სურდა სომხების გაერთოებულება, რადგანაც სპარსულ-ბიზანტიური ომები ძირითადად სომხეთში მიმდინარეობდა და სასაზღვრო ხაზით ისტორიული სომხეთი ორად იყო გაყოფილი. ბიზანტიას არ სურდა სომხების გაღიზიანება აღნიშნული პატარა ტომების გამო და ცნობდა



მათ ისტორიული სომხეთის მცხოვრებლებად. თავის მხრივ, აღნიშნული ტომების მიწა-წყალზეც სომხები თავიანთ თავს თვლიდნენ უფლებამოსილ მეპატრონებად. მართლაც, იუსტინიანემდე არც თუ დიდი ხნით ადრე, სულ რამდენიმე საუკუნის წინ, სტრაბონის ცნობით, სომხურ სახელმწიფოს მიუტაცია აღნიშნული მიწა-წყლის ერთი ნაწილი იძერისაგან, კერძოდ, ხორძენეს, პარიადრის ვრცელი ქვეყანა და გოგარენა. ამ მიწა-წყალზე ქართველთა არმენიზაცია იუსტინიანემდეც იყო დაწყებული, თუმცა ეს პროცესი დასრულებული არ იყო. ქართველების დიდ ნაწილს ეროვნული თვითშემცირება შენარჩუნებული ჰქონდა, როგორც ეს შემდგომ არაბობის ეპოქაში ტაო-კლარჯეთ-ბასიანში ქართული თვითიდნტობის აღორძინებამ აჩვენა, მაგრამ ბიზანტიამ VI ს-ში, როგორც აღვნიშნეთ, სპარსეთთან მეტოქეობის გამო ყურადღება სრულიად არ მიაპყრო ქართველთა ეროვნულ საკითხს და ეს მხარეები შეიყვანა რომაულ არმენიებში.

კერძოდ, ჩვენთვის საინტერესო მიწა-წყლის უმეტესი ნაწილი, ანუ ტრაპეზუნტის მთაგორიანი მხარეები იუსტინიანემ შეიყვანა I არმენიაში.

ტრაპეზუნტის ამ მხარეს ლაზიკა ერქვა. ის იქამდე(სანამ I არმენია დაერქმეოდა) შედიოდა პოლემონის პონტოს და ელენოპონტოს პროვინციებში (XXVIII ნოველით იუსტინიანემ ეს პროვინციები ერთ პროვინციად გააერთიანა ელენოპონტოს სახელწოდებით.მიზეზი ამისა მდგომარეობდა იმპერიის მიზანდასახულობაში, რომელიც ითვალისწინებდა რეგიონალური მიწების კონცენტრაცია-თავმოყრას ერთი ძალაუფლების ქვეშ. კერძოდ, ასევე, თითქმის 150 წლით ადრე, დიოკლეტიანემ მიზნად დაისახა უკეთ მართვის მიზნით იმპერიის მცირე ერთეულებად დანაწილება და სამოქალაქო ძალაუფლების გამოყოფა სამხედროსაგან, იუსტინიანემ კი წამოიწყო უკუპროცესი, რომელიც ითვალისწინებდა მიწებისა და ძალაუფლებათა გაერთიანებას (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 162).

ამ მიზეზის გამო დაახლოებით 535-536 წლებში იუსტინიანემ გააერთიანა პაფლაგონია-კაბადოკიის მიწები და აღნიშნული ელინოპონტო, მხოლოდ შემდეგ გამოსცა ნოველა 31-ე, რომლის სახელწოდებაც იყო „არმენიაში ოთხი მმართველის დაწესების შესახებ“.

მის შესავალში იუსტინიანე წერს – „ყველაფერი უპატრონოდ მიტოვებული და უწესრიგო, თუკი შესაბამისი წესით დალაგდება და კარგად მოეწყობა, მიიღებს სავსებით სხვა სახეს ადრინდელისაგან განსხვავებულს... უგარგისობისაგან ის გახდება მშვენიერი, ულამაზოსაგან ლამაზი, მოუწესრიგებელი და არეულისაგან – მოგვარებული და მოწესრიგებული. როცა ვნახეთ ასეთი უკმარისობა და ასეთი მოუგვარებლობა არმენიის მხარეებისა, საჭიროდ ჩავთვალეთ მისი მოწესრიგება ერთი სახის შესაბამისად, კეთილმოწყობით მივცეთ მათ შესაბამისი ძალა და შესაბამისი მოწყობა“. ამ ნოველის I თავში ნათქვამია, რომ იმპერატორმა გადაწყვიტა ჩამოაყალიბოს ოთხი არმენია-კერძოდ:

I არმენიაში შეიყვანა ტრაპეზუნტი და კერასუნტი, ყოფილი პოლემონის პონტოდან, აქვე შეიყვანა მან ადრე ლეონტოპოლისად სახელწოდებული ქალაქი ბიზანა, რომელსაც უწოდა თავისი სახელი იუსტინიანეპოლისი, ამავე არმენიაში შეიყვანა მან ასევე ცნობილი ქალაქი თეოდოსიოპოლისი (არზრუმი) და აქვე შეიყვანა ქალაქები სატალა, ნიკოპოლი და კოლონია.

II არმენიაში სხვა ქალაქებთან ერთად შევიდა სევასტია და ასევე სებასტოპოლისი, ასევე ქალაქები კომანა, ზეა. კომანა მან ყოფილი პოლემონის პონტოდან აიღო.

III არმენიას იუსტინიანე აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას და მის მთავარ ქალაქად გამოაცხადა მელიტენა. აქვე შედიოდა ქალაქი კომანაც (ესენი იყვნენ ერთი და იგივე სახელის მქონე ქალაქები სხვადასხვა პროვინციებში).

IV არმენიაში შევიდა მიწა-წყალი, რომელსაც ადრე ეწოდებოდა ცოფანენა, ანზიტენა, სოფენა, ასტიანენა, ბალავიტენა.

ამ ნოველის VII მუხლი ჩვენთვის არის განსაკუთრებით საინტერესო. მასში იუსტინიანე შეეხება



სასულიერო წოდებას აღნიშნულ მხარეში.

„ჩვენი ნება ასეთია, — წერს იუსტინიანე, — რომ სასულიერო წოდება დარჩეს ძველი სახით, არც მიტროპოლიტის უფლებებთან დაკავშირებით, არც ხელდასხმის საკითხთან დაკავშირებით, არათერი შეიცვლება და ახალი არ შემოიღება. მიტროპოლიტები დარჩებიან თავისსავე ძველი მდგომარეობით, ერთი სიტყვით სასულიერო წოდების მიმართ ახალი ნებადართული არ არის“ (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908 გვ. 170).

იუსტინიანეს XXXI ნოველის VII თავი გვიხსნის: თუ კონსტანტინოპოლის საკატოლიკოს კათედრათა ნუსხებში „ძველებური წესების შესაბამისად“ რატომ იხსენიებოდა ლაზიკა და ფასიანი (ფაზისი).

წესით, რადგანაც ამ რეფორმის შემდგომ ტრაპეზუნტი შევიდა I არმენიაში, კონსტანტინოპოლის კათედრათა ნუსხებში ტრაპეზუნტის მიმდებარე ლაზიკის სახელდებული უნდა ყოფილიყო როგორც „საეპისკოპოსოები I არმენიას პროვინციაში“, მაგრამ ამის ნაცვლად, საეკლესიო სფეროში ძველი წესის უცვლელობის გამო, ტრაპეზუნტის მიმდებარე კათედრების სახელწოდებები არ შეიცვალა და ისინი ძველებურადვე მოიხსენიებოდნენ როგორც საეპისკოპოსოები „ლაზიკეში“. ეს იყო აღნიშნული ნოველის გამოძახილი, რომელიც კრძალავდა რაიმე სიახლის შემოღებას სამიტროპოლიტოთა მიმართ. მართლაც იუსტინიანემდე ტრაპეზუნტის სამხრეთ მთიანეთს ლაზიკა ერქვა და ის ეწ. „ლაზთა ეპისკოპოსების“ იურისდიქციაში შედიოდა, მართლაც პროკოფი კესარიელი ახსენებს ტრაპეზუნტის მახლობლად რიზესთან მცხოვრებ „ერთ ხალხს“, რომელიც „ლაზთა ეპისკოპოსების“ იურისდიქციაში იმყოფებოდა.

ნ. ადონცის მიხედვით, ლაზთა ეპარქიის ზიგანას საეპისკოპოსო მდებარეობდა არა გუდაყვაში, არამედ ტრაპეზუნტის ახლოს, შემდეგდომინდელ გოუმიშხანესთან, ხოლო პეტრა, ჩანს, ერქვა ასევე ტრაპეზუნტითან ან თეოდოსიოპოლისთან ახლოს მდებარე პუნქტს, საისინი ყოფილა საზღვართან მხარისა, რომელსაც შემდგომად კარინი ეწოდა, ხოლო ქროდოპოლისი უნდა ყოფილიყო ერთერთი ქალაქი, როდოპოლისის ოლქში, ფასისის ყველა ეს საეპისკოპოსო — პეტრა, როდოპოლისი, საისინი და ზიგანა მდებარეობდნენ ერთ რეგიონში არზრუმსა და ტრაპეზუნტს შორის, რომელსაც იუსტინიამდელ ეპოქაშიც ლაზიკა და ფასისი ერქვა.

კონსტანტინე პორფიროგენეტი, თეოდოსიოპოლისის მიმდებარე მხარეებს ფასიანს უწოდებს (ქართული ბასინი), ის ფასის ეწოდებდა მდ. არაქსაც. განსაკუთრებით არის აღსანიშნავი ის, რომ სწორედ აღნიშნულ რეგიონში, სადაც ეს ფასისის საეპისკოპოსოები იყვნენ განლაგებულნი, სათავეს იღებდა რამდენიმე მდინარე, მათ შორის ჭოროხი და ევფრატი. აღსანიშნავია, რომ ორივე ამ მდინარეს — ჭოროხსა და ევფრატს სათავეში ფასისი ეწოდებოდა. ამიტომაც საფიქრებელია, რომ იმ ქვეყანასაც, საიდანაც ეს მდინარეები გაედინებოდნენ და მის მომცველ მიწა-წყალსაც, სადაც ეს საეპისკოპოსოები იყვნენ მოქცეული, ფასისი ეწოდებოდა და ქვეყნის სახელის შესაბამისად სამიტროპოლიტოსაც ფაზისის სამიტროპოლიტო ერქვა.

## 2. ლაზიკისა და 20სი მთლიანობის ქართული კუთხის ტექნიკური კუთხის მიმდევარი

დიოკლეტიანეს მიერი სახელმწიფოს ადმინისტრაციული დაყოფის პროცესი დაასრულა მისმა მემკვიდრეობის თეოდოსი I-მა. საუკუნოვანი მუშაობის შედეგები ასახულია ცნობილ ძეგლში Notitia dignitatum, რომელშიც V საუკუნის დასაწყისშია შედგენილი. მასში ჩამოთვლილია თანამდებობები და პატივი იმპერიის სამოქალაქო და სამხედრო უწყებებისა. ისინი იერარქიულად იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

მთელი იმპერია გაქრისტიანების შემდეგ სამოქალაქო დამოკიდებულებით იყოფოდა 4 მხარედ, რომელთა მეთაურებად იღვნენ პრეტორიის პრეფექტები. ეს მხარეები, ანუ პრეფექტურები იყოფოდნენ დიოცეზებად,



რომლებსაც პრეფექტების მოადგილეები — ვიკარები მართავდნენ. საბოლოოდ, დიოცეზები პროვინციებად იყოფილნენ, რომლებსაც არხონტები მართავდნენ (praeses).

რომის იმპერიის აღმოსავლეთში ჩამოყალიბებული იყორი პრეფექტურა- ეწ. „აღმოსავლეთის პრეფექტურა“ და „იღირის პრეფექტურა“.

თავის მხრივ „აღმოსავლეთის პრეფექტურაში“ შედიოდნენ შემდეგი დიოცეზები- „დიოცეზი აღმოსავლეთი“, „დიოცეზი ევგაბტე“, „დიოცეზი ასიანა“, დიოცეზები „პონტიკა“ და „თრაკია“.

პონტოს დიოცეზში 11 პროვინცია შედიოდა, მათ შორის პოლემონის პონტო, პირველი და მეორე არმენია, ასევე ბითინია, გალატია, პაფლაგონია, ჰონორია, გალატია, პირველი და მეორე კაპადოკიები და ჰელენოპონტო.

სამხედრო დაყოფა იმპერიისა ყველგან არ ეთანადებოდა სამოქალაქოს, უმაღლესი ძალაუფლება გაყოფილი იყო რამდენიმე სამხედრო ხელმძღვანელს შორის – მათ სამხედრო მაგისტრები ერქვათ. აღმოსავლეთში ასეთი იყო ხუთი. მაგისტრის ქვემდებარე პირის სამხედრო წოდება იყო დუკა, კომიტი.

პონტოს დიოცეზს, რომელიც 11 პროვინციისაგნ შედგებოდა-მხოლოდ ერთი არმენიის დუკა მართავდა.

მიუხედავად იმისა, რომ რომის იმპერიის პონტოს დიოცეზში მხოლოდ ერთი დუკა იყო „არმენიის დუკის“ სახელწოდებით, მისი ძირითადი ძალაუფლება ვრცელდებოდა სამ სასაზღვრო პროვინციაზე. ესენი იყვნენ პოლემონის პონტო, I და II არმენია.

არმენიის დუკას თავისი რაზმები და სამხედრო დანაყოფები დაყენებული ჰყავდა ტრაპეზუნტში, რიზეში, სისილაში, პიტიაში (და არა პიტონუნტში აფხაზეთისა), უსუპორტოში, კაენე-პარამბოლეში, სებასტოპოლეში (ეს ქალაქი მდებარეობდა ტრაპეზუნტის ოლქში და არა აფხაზეთში), ზიგანაში (ზიგანაც ტრაპეზუნტთან მდებარეობდა) და მოხორაში (ხ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 96-97).

ადნიშნულთა გარდა ჯარების განლაგება მოცემულია პროვინციების სხვა ქალაქებში, რომლებიც დაწვრილებითაა ჩამოთვლილი ხ. ადონცის მიერ მოყვანილ ლათინურ წყაროში, ამასთანავე, აქვეა ჩამოთვლილი ჯარისკაცების რაოდენობა თითოეულ ადგილში. ესაა სრულად პირველხარისხოვანი კვლევა, რომლისთვისაც ცნობილია ყველა ადგილი არმენიის დუკის ჯარის განლაგებისა, ყოველი წვრილმანებით, ამიტომაც ძალზე უცნაურია ამ ნაკვლევის ფაქტიური იგნორირება, ზიგანას, სებასტოპოლისის, ან თუნდაც პიტიას გადატანა სადღაც აფხაზეთში, სადაც ნადონცის სიტყვით არმენიის დუკას არაფერი ესაქმებოდა არც აღნიშნულ და არც შემდგომ საუკუნეებში.

### 3. საქართველოს მომაჯნავი პირველი მხარეების საქართველო-დამონისტრიაციული დაყოფა

კიდევ ერთხელ განვიხილოთ საქართველოს მომიჯნავე ბიზანტიური მხარეების სამხედრო-აღმინისტრაციული დაყოფა ხ. ადონცის მიხედვით, 297 წლისთვის დიოკლეტიანეს პროვინციალური რეფორმის ეპოქაში იმპერია 12 დიოცეზად იყოფოდა, მათგან ორი აზის უკიდურეს მხარეებში იყო. კერძოდ, დიოცეზი „ორიენტის“ (ანუ „აღმოსავლეთი“), და პონტიკა. ყველა 12 დიოცეზში ერთად იყო 95 პროვინცია. ამათ გარდა, დიოკლეტიანეს ტახტზე ასვლის პერიოდში იმპერიას კიდევ შეემატა 15 პროვინცია (ხ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 86).

პონტოს დიოცეზი III საუკუნეში შედგებოდა 7 პროვინციისაგან. მათ რიცხვში იყო ბითინია, კაპპადოკია, გალატია, პაფლაგონია, დიოსპონტუსი, პოლემონის პონტო და მცირე არმენია.

IV საუკუნის ცნობით, პონტოში იყო 8 პროვინცია – 1. პოლემონის პონტო; 2. ამასიის პონტო; 3.



პონორიადა; 4. ბითინია; 5. პაფლაგონია; 6. მცირე არმენია; 7. დიდი არმენია; 8. კაპადოკია.

კონსტანტინე დიდის დროს ამასის პონტოს სახელი გადაერქვა და ეწოდა პელენოპონტო დედოფალ ელენეს პატივსაცემად. 6. ადონცის მიხვდით, სიაში ნახსენები მცირე და დიდი არმენიები სინამდვილეში არიან I და II არმენიები, ამასთანავე ამ სიას აკლია პროვინცია გალატია, რომელიც ყოველთვის პონტოს დიოცეზში შედიოდა.

ნიკის I მსოფლიო კრებაზე (325) თავისთვალი ადმინისტრაციული ერთეულის სახით იყო წარმოდგენილი კაპადოკია, დიდი არმენია და მეზობელი ოლქები.

371 წ. ადმინისტრაციულად ორად გაიყო კაპადოკია და მცირე არმენია. ბასილი დიდი ეწინააღმდეგაბოდა კაპადოკიის დაყოფას. მცირე არმენია გაიყო და ეწოდა I და II არმენიები. პირველი შედგებოდა სევასტიის ოლქისგან, აქ იყო ქალაქები კოლონია, სატალა, სებასტოპოლი და ვერისსა. მეორეში შედიოდა მელიტინი, არკა, არაბისი, კუკუსინი, კომანა და არიარატა.

პოლემონის პონტოსა და პირველი არმენის ურთიერთშეხება ხდებოდა პონტოს კომანას, პოლემონის, კერასუსის და ტრაპეზუნტის რაიონებში. ეს უკანასკნელები ქმნიდნენ პოლემონის პონტოს ეპარქიას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში.

საეკლესიო გეოგრაფიამ შემოგვინახა ცნობები ძველი პროვინციების ტერიტორიების შესახებ, – წერს 6. ადონცი (6. ადონცი, არმენია... გვ. 89).

საეკლესიო დაყოფა უფრო მყარი და უცვლელი იყო, ვიდრე სამოქალაქო-ადმინისტრაციული და ასახავდა სურათს იმპერიის ძველი ადმინისტრაციული დაყოფისა.

აღსანიშნავია, რომ ქალაქი სებასტოპოლისი ამ დაყოფის თანახმად მდებარეობდა I არმენის ეპარქიაში (აქ შედიოდნენ ქალაქები სებასტია, ნიკოპოლისი, კოლონა, სატალა, სებასტოპოლისი, ბარისარა).

ხოლო ცნობილი კომანა შედიოდა მეორე არმენის ეპარქიაში (აქ შედიოდნენ მელიტენა, არკა, აბასისი, კომანა, კუკუსი, არიარატე).

ლაზიკა – განსახილველ პერიოდში რომის (ბიზანტიის) იმპერიაში შედიოდა და იუსტინიანეს დაყოფით ის პოლემონის პონტოს ადმინისტრაციული ნაწილი იყო.

## 4. ტიპიკურის გეოგრაფია | არმენიის პირველი ცივილიზაციი — სეპასტოპოლი || არმენია

იუსტინიანემ პოლემონის პონტო და ელენოპონტო გააერთიანა ერთ პროვინციად და უწოდა მას ელენოპონტო. მასში შედიოდა 8 ქალაქი – ამასია, ივორა, ევხაიტა, ზელა, ანტრაპა, სინოპი, ამისუსი და ლეონტოპოლი.

პოლემონის პონტოში იყო 5 ქალაქი – ნეოკესარია, კომანა, ტრაპეზუნტი, კერასუსი და პოლემონი. შემდგომ ამ პროვინციის მმართველს უფლება ჩამოართვა 4 ქალაქზე და ეს ქალაქები – ზელა, კომანა, ტრაპეზუნტი და კერასუსი გადასცა არმენიას – სამოქალაქო რეორგანიზაციის შესაბამისად (6. ადონცი, გვ. 172).

პირველმა და შიდა არმენიამ შეადგინა ორი ახალი პროვინცია – I არმენია და II არმენია (აქ შევიდნენ ტრაპეზუნტი და კერასუსი). II არმენიაში შედიოდნენ სხვებთან ერთად ქალაქები – სევასტია, სევასტოპოლი და ზემოაღნიშნული ქალაქები ზელა და კომანა.

ყოფილ II არმენიას ეწოდა III არმენია და მასში შევიდა ქალაქები მელეტინა, არკა, არაბისი, არიარატი, სხვა კომანა, ზოლოტი და კუკუსინი.

IV არმენიაში შევიდა ხუთი სომხური სამთავროს მიწები: სოფენენა, ანზიტენა, სოფენა, აშტიანენა (და ბალოვიტენა), მარტიროპოლი.



თეოდოსიოპოლის-გიუმიშხანე-ტრაპეზუნტის შემაერთებელ გზაზე მრავალი ქალაქით მდებარეობდა – რაც შეადგენდა ლაზიკის ქვეყანას – ეკლესიურად სწორედ ასე ერქვა ამ მხარეს – ეს იყო ის ლაზიკა, რომელშიც ნოტიკიებშია ასახული. ბიზანტიის სამოქალაქო-ადმინისტრაციულმა დაყოფამ ეს ვერ ასახა. ეს ქალაქები გაიყო ელენოპონტოს, I და II არმენიას შორის, მაგრამ, რადგანაც საეკელსიო გეოგრაფია, თვით 6. ადონცის სიტყვით, ასახავდა იმ ძველ ვითარებას, რომელიც დიოკლეტიანეს და მისი მეტკვიდრე თეოდოსის დროინდელ სამოქალაქო დაყოფას აღნიშნავდა, ეკლესიურმა გეოგრაფიაშ სიტყვა „ლაზიკა“ შეინარჩუნა, ამიტომ შემდგომშიც ტრაპეზუნტის ეპარქიას ერქვა „ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკაში“.

მაგრამ სამოქალაქო-ადმინისტრაციულად ახლა (იუსტინიანეს ეპოქაში) ლაზიკა დაერქვა ახალ ქვეყანას – ლაზიკის სამეფოს, რომელიც აღნიშნული ეკლესიური ლაზიკის უშუალო მეზობლად მდებარეობდა, მის ოდნავ ჩრდილოეთით, ჭოროხის ხეობაში – ართვინიდან გონიომდე. ე.ი. პოლიტიკური ლაზიკა და ეკლესიური ლაზიკა არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს. ეკლესიური – გეოგრაფიულად უფრო სამხრეთით მდებარეობდა, პოლიტიკური ლაზიკა – ჩრდილოეთით.

ეკლესიური ლაზიკა ტრაპეზუნტის რეგიონი იყო, სამოქალაქო-ადმინისტრაციული კი მისი მეზობელი რეგიონი ჭოროხის ხეობის ქვედა ნაწილის მომცველი.

## 5. პონტოპიზი

მიწა-წყალი მდ. ირისიდან ჰერაკლეს კონცხამდე იწოდებოდა გალატეას პონტოდ, აქედან კერასუნტამდე – მდებარეობდა პოლემონის პონტო, ხოლო კერასუნტიდან კოლხიდამდე – კაპადოკიის პონტო (6. ადონცი, არმენია..., გვ. 69).

გალატეას პონტოში იყო ამასა, პიდა (ფილი), პონტოს კომანა (ამჟამად გოუმენექ) ტოკატასთან და სევასტოპოლისთან ახლოს.

პოლემონის პონტოში, პტოლემეუსის აზრით, მდებარეობდა ნეოკესარია და სევასტია კოლონეას ოლქში, აქ იყო სევასტოპოლისი.

სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ იყო 5 მთიანი მხარე – მელეტინა (ევფრატთან), ამჟამინდელი გალატია, კატაონია. აქაა ქალაქი კომანა მდ. სარაზე (გიოკ-სუ), შემდეგ კილიკია ქაზაკით, ანუ კესარიით, არგის მთის ძირში (ახლა არჯიში). კილიკიის იქით იყო თიანეთია (თიანითია) და გარსავრითია ტატას ტბასთან (იქვე-გვ. 71). ქართველთა ოდესლაც ცხოვრებას ამ რეგიონებში მიუთითებენ აღნიშნული ტოპონიმები: არგის მთა, თიანეთი, გარსავრითი და სხვა. ამ მხარეთაგან პირველი ორი ზოგჯერ „მცირე არმენიად“ იწოდებოდა. 6. ადონცის მიხედვით, ის კაპადოკიის პროვინციაში შედიოდა. ასეთი დაყოფა რომის იმპერიის გაფართოებამდე არსებობდა, ხოლო შემდეგ ეს მხარეები I და II არმენიაში მოხვდნენ. 6. ადონცის მიხედვით, მათი მეტი წილი, კაპადოკია, მცირე არმენია – სომხებით იყო დასახლებული. მისი აზრით, პტოლომეოსი მცირე არმენიაში ათავსებდა მათ, რომელთაგან ყველაზე ჩრდილოეთით იყო ორბალისენა, მის ქვემოთ აიტულანა, შემდეგ აირეტიკა, ორსენა და ბოლოს ორბისენა.

აქ იყო მრავალი ქალაქი – მათ შორის, სატალა, ნიკოპოლი, ორსა და სხვა. ტაბულა პევტინგერა მდიდარ მასალას იძლევა მცირე არმენიასა და მცირე აზის შესახებ. სევასტიას, ნიკოპოლის, სატალასა და მელიტენას შორის (გვ. 75), ევფრატის სანაპიროსთან, კამახსა და დივრიგს შორის არის ზიმარა – ყველა ამ ქალაქს გზები აერთიანებდა.

ბუნებრივი საზღვარი პოლემონის პონტოსა და მცირე არმენიასა, იყო ქედი კიოსე და აბეში, რომლის ერთ ბოლოშია ტაგანი და მეორეში ნიკოპოლი. აქ, ამ მიდამოებში აბეშის მთასთან იყო სისილისის კათედრა. აქ ყოფილა პუნქტი არგაუნ მდინარე გორდუკზე, რაც, საფიქრებელია, ქართველთა იქ ყოფნის დამადასტურებელი ტოპონიმია – ფუძეებით „არგ“ და „გორდ“ (იქვე-გვ. 81).

მელეტინიდან სევასტიამდე გზაზე მდებარეობდა სადგურები – პისონისი (ახლანდელი



ასან-ბადრიკ), მოგვავგონებს X ნოტიციის საეპისკოპოსო კათედრის ფასიანეს სახელს (პისონისი – ფასიანი) (იქვეგვ. 81), პუნქტი არანისი, ეუსპონა, ბლანდოსი (ტახტუკი), გზა გადის მდინარე კურუჩაიზე (მოგვაგონებს „მტკვარს“) და შედის სივასში. 6. ადონცის სიტყვით, სევასტიანიკოპოლი შედიოდა მცირე არმენიაში, ხოლო ნიკოპოლ-სატალის ხაზზე სადგური აზა, პტოლემეოსის მიხედვით, შედიოდა კაპადოკიის პონტოში.

ორსენას სახელი უკავშირდება ბიზანტიური ოქმის ხარისიანონის სახელს, ხარისიანის ციხე-სიმაგრის მიხედვით. სიმეასთან ახლოს იყო პუნქტი ხარისიანი (მოგვაგონებს X ნოტიციის – ხერიანს).

მაშასადამე ფასიანისა და საისინის(სისილისის) კათედრები 6.ადონცის არ ეგულება დასავლეთ საქართველოში.

## 6. ქვემოთ მატერიალი

ჩვენს მიერ გამოკვლეული იქნა, რომ ანდრია პირველწოდებული, ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს წმიდა მოციქული, საქართველოში ქადაგებდა 30-35 წლებში. (ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I). წმიდა ანდრიას ცხოვრებაში გვხვდება ქვეყნის მართველი ბრძენი ქვრივის სახელი, რომლის მოქცევის შემდეგ ქრისტიანობა გავრცელებულა მესხეთის ვრცელ ქვეყანაში. მეორე ვარიანტით კი სვანეთში,

უნდა ითქვას, რომ წმ. ანდრიას მესხეთში წარმატებული მოღვაწეობა ქვრივის სახელს უკავშირდება. აღნიშნულ 30-35 წლებში, სტრაბონის ცნობით, მესხეთის მომიჯნავე მხარეებს მართლაც მართავდა ცნობილი ქვრივი დედოფალი, რომელიც ისევე ხასიათდება, როგორც ანდრიას ცხოვრებაში მესხეთის მმართველი „ქალი გონიერი და საგამგეო საქმის შემძლე“ ის კოლხეთის მართავდა სიკვდილამდე, I საუკუნის 38 წლამდე (გ. ბერძნიშვილი, ქ. ფაზისის ისტორიისთვის, 1969, გვ. 77).

ამ ქვრივი დედოფლის სახელი ყოფილა პითოდორიდა.

გ. ბერძნიშვილი წერს – „ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის უკანასკნელ წლებში, სტრაბონის მოწმობით, კოლხეთს ფლობდა პოლემონი, რომელიც ასევე განაგებდა მის სახელშერქმულ პოლემონუმის პონტოს, ასევე მცირე არმენიასაც და ბოსფორსაც. ახალი წელთაღრიცხვის 1-2 წელს ის მოკლეს ბრძოლაში და კოლხეთის სამეფო ტახტზე ავიდა მისი მეუღლე პითოდორიდა, პომპუსის მეგობრის პითოდორე ტრალელის ასული. სტრაბონის დახასიათებით „ქალი გონიერი და საგამგეო საქმის შემძლე, რომელიც კოლხეთის მართავდა სიკვდილამდე (38წ). იმავე სტრაბონის სიტყვით, მისი სამფლობელოს ფარგლებში შედიოდნენ ტიბარენები, ვიდრე კოლხეთამდე, ფარნაკიასა და ტრაპიზონამდე, სტრაბონის სიტყვით – „ამჟამად ქვრივი ფლობს, როგორც დასახელებულ ქვეყნებს, ისე სხვებს“ ხოლო მეორე ადგილას ამბობს – „ფლობს მეუღლე პითოდორიდა, დედოფალი კოლხების, ტრაპიზონის და ფარნაკიასი“. რეზიდენციად მას ჰქონდა კაბეირა, რომელსაც ავაუსტა დაარქვა. იგი მდებარეობდა სტრაბონის მშობლიურ ქალაქ ამისის სამხრეთ-აღმოსავლეთით 27-28 კმ სიშორეზე“ (გ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 77).

აქედან ჩანს, რომ კოლხეთი ტრაპიზონის სიახლოეს ძლებარეობდა. ქვრივი დედოფლის მფლობელობაში იყო თუ არა სამცხე, უცნობია, რადგანაც ქართული წყაროს ცნობით, სამცხე-აჭარა, ისევე, როგორც მთელი დასავლეთ საქართველო, ქართლის მევე აღერკის გამგებლობაში შედიოდა, ხოლო დედოფალი პითოდორიდა რომის იმპერიის სახელით მართავდა ისტორიულ ქართულ მიწებს, ქართული ტომებითვე დასახლებულთ, მაგრამ არა ქართლის სამეფოში მდებარეთ, არამედ მის გარეთ, მის უშუალო მეზობლად – რომის სახელმწიფოში.

საფიქრებელია, რომ ეს ცნობა ასახავს ისტორიულ რეალობას, კერძოდ, წმ. ანდრია თავდაპირველად ტრაპიზონტუმში და მის ქვეყანაში ქადაგებდა, ამ ქვეყანას კი „სოფელი მეგრელთა“ ერქვა და, აღბათ, იგულისხმება ისტორიული კოლხეთი – ტრაპიზონტის მომიჯნავე მხარე, რომელსაც ანდრიას დროს მართავდა პითოდორიდა. აღნიშნული ტომები, ქალდები და ტიბარენები, ქართველნი იყვნენ თვით სახელ-



იდან გამომდინარე – „ტიბერ-იბერ“, „ქალღ-ქალღუელი-ქართველი“..აქვე ცხოვრობდნენ სანები. სტრაბონი დიოსკურიასთან ახსენებს სვანებს. თუკი პიტია-პიტიუნტი რიზეს მახლობლად იყო, იმავე რეგიონში ყოფილს დიოსკურიაც, სადაც მახლობელი მთებიდან სავაჭროდ ჩადიოდნენ სვანები(ე.ი. სტრაბონის დროს სვანები აქაც ცხოვრობდნენ), სვანთა შორის ანდრიას ქადაგებასაც მიუთითებენ წყაროები. აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ ადრიას ცხოვრების მწერალს გამოუყენებია ძველი წყაროები და ალბათ სტრაბონიც.

## 7. ეპლუსის ოჩირანიზება

6. ადონცი წერს – „საეკლესიო იერარქიის ევოლუცია სამოქალაქო ორგანიზაციის შესაბამისად ვითარდებოდა. ეკლესია, თავისძაშვერებნებით და მიმინისტრაციული წყობის შესაბამისად მოეწყო. სამოქალაქო დაყოფის მიმართ, ეკლესიამ სწრაფად შეძლო რეაგირება დიოკლეტიანეს მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისად, ამიტომ 325 წლისთვის მოასწრო შეეცვალა თავისი იერარქია ახალი წყობის შესაბამისად. დიოკლეტიანემ, ერთი მხრივ, არსებული პროვინციები დაყო უფრო წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულებად, ხოლო მეორე მხრივ, რამდენიმე პროვინცია გააერთიანა უფრო მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულად – დიოცეზებად.

იმპერიის აზიის სამფლობელოს შედგენდა სამი დიოცეზი – აზია, პონტო და „აღმოსავლეთი“.

ამ უკანასკნელში(დიოცეზ „აღმოსავლეთში“) შედიოდა ეგვიპტეცები.

დიოცეზებს, მეთაურობდა „ვიკარები“, ე.ი. აღმოსავლეთის პრეფექტის მოადვილეები, ხოლო პროვინციების მეთაურები, ანუ პრეზიდები – ექვემდებარებოდნენ შესაბამის ვიკარებს.

ამავე ჩარჩოში განივრცო საეკლესიო ძალაუფლება. პროვინციები გადაიქცნენ ასევე საეკლესიო ერთეულებად – ეპარქიებად, ყოველ მათგანში ისხდნენ ეპისკოპოსი -მიტროპოლიტები, თავიანთი მდგომარეობით პრეზიდების მდგომარეობის ექვივალენტურნი. ამავე სანით დიოცეზებმაც მოიპოვეს საეკლესიო ერთეულის მნიშვნელობა, რომელთა ვიკარები შეესაბამებოდნენ ეპისკოპოს-პატრიარქებს.

თითოეულ პროვინციაში იქაურ ეპისკოპოსთაგან გამოიყოფოდა ერთი, პროვინციის დედაქალაქის ეპისკოპოსი – მიტროპოლიტის ხარისხით, ხოლო თითოეულ დიოცეზში მიტროპოლიტთა შორის ეჭირა პირველი მდგომარეობა პატრიარქისა ან მთავარი მიტროპოლიტისა.

აზიის დიოცეზში ასეთად აღიარებული იყო ეფესოს მიტროპოლიტი, „დიოცეზ აღმოსავლეთში“ ანტიოქიის მიტროპოლიტი, ხოლო პონტოში – კესარიის მიტროპოლიტი (6. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, გვ. 356).

აღსანიშნავად, რომ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმ საკითხის შესახებ, თუ როდის იქნა შემოღებული სამიტროპოლიტო ორგანიზაცია. ზოგიერთის აზრით, ნიკეის კრებაზე, ხოლო საპატრიარქო ორგანიზაცია – კონსტანტინოპოლის კრებაზე (იქვეგვ. 356).

6. ადონცის ცნობით, „აღმოსავლეთის“ პრეფექტი უმეტესწილად ცხოვრობდა ქ. ანტიოქიაში.

## 8. პირველი სატოქაქები და ლაზიკოს გევემში გიორგი გიორგიშვილის სამოხალეო სისტემა

შიდა და დასავლეთ არმენიის გარდა, ბიზანტია მართავდა ასევე 5 არმენიულ სამთავროს. ამ სამთავროთა მეთაურებს „სატრაპებს“ უწოდებდნენ. მათი პოლიტიკური მდგომარეობა იმით განსხვავდებოდა სხვა არმენიის მმართველი მოხელეებისაგან, რომ ეს არმენიელი სატრაპები ძალაუფლებას იღებდნენ მემკიდრეობით და მას ინარჩუნებდნენ სიკვდილამდე, მხოლოდ ისინი იღებდნენ რომაელთა იმპერატორისაგან ძალაუ-



ფლების ინსიგნიებს, მათ საგანგებო ე.წ. „სამეფო შესამოსელს“, ანუ ქლამიდას და სხვა ატრიბუტებს აღწერს პროკოფი კესარიელი. ამ სამეფო შესამოსელს იმპერატორი იძლეოდა იმის ნიშნად, რომ ისინი განიხილებოდნენ ვითარცა „მოკავშირეები იმპერატორისა“. 6. ადონცის განმარტებით – „სატრაპიები იყვნენ მინიატურული სახელმწიფოები, რომელთაც თავიანთი დიდებულები მართავდნენ, რომელნიც მდგომარეობით მეფების თანასწორად ითვლებოდნენ“ (ნ. ადონცი, არმენია, გვ. 109).

მსგავს „სამეფო შესამოსელებს“, ვითარცა განსხვავებულობის ნიშნს, არმენის სატრაპების გარდა იმპერატორისაგან იღებდნენ ასევე ლაზეთის მეფეები – თეთრ ქლამიდს, თეთრ ტუნიკას და წითელ ფეხსაცმელს, ასევე იხსენებენ რომაული სახის გვირგვინს და სარტყელს, შემკულს მარგალიტებით. ასეთ სარტყელს სომეხი დიდებულებიც იღებდნენ (იქვე, გვ. 109).

ასე რომ, XXს. ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული და გამყარებული თვალსაზრისი „ლაზთა სამეფო“ თითქოსდა იყო „ძლიერი სახელმწიფო“, არა რეალობა. სინამდვილეში, არმენიული სამთავროების მსგავსად, ის იყო რომაული სახელმწიფოს ხელდებული ქვეყნა, სადაც დროებით ბიზანტია ადგილობრივი დიდებულების მმართველობას ითმენდა. რომაული ძალაუფლების გამყარებისთანავე იქ დამყარდებოდა ჩვეულებრივი საიმპერო წესრიგი, ანუ სამოხელეო რანგი, მაგალითად, ბიზანტიური თანამდებობა – „არმენის კომიტი“ შემოღებული იქნა სამოქალაქო მმართველობის სამართავად. კომიტი არ ფლობდა სამხედრო ძალაუფლებას, ის მარტანის მსგავსი თანამდებობა იყო (ნ. ადონცი, არმენია, გვ. 117). ლაზეთის სამეფო იყო მინიატურული სახელმწიფო ბიზანტიური იმპერიის პერიფერიაზე, რომელიც სადაცო იყო სპარსეთთან, ამიტომაც ამ ქვეყნის დიდებულებს ორივე მხარე – სპარსეთი და ბიზანტია გარევნულ პრივილეგიებს ანიჭებდა, რაც იღუზიას უქმნიდა ადგილობრივ მოსახლეობას, თითქოსდა მათი ქვეყნა „სახელმწიფო“ იყო, ეს ასე რომ არ იყო და, პირიქით, თუ რა დონით იყო ეს ქვეყნა დაპყრობილი, კარგად ჩანს პროკოფი კესარიელის თხზულებიდან.

## 9. პროცესუალ სამსახური ნაზადობების ნამომზი ზიგანესა, ჰილონათოლისა, პიტია-პატიუნთსა და სეპასტონათოლისში

წყაროებიდან ცნობილია, რომ კონსტანტინოპოლის ლაზიკის ეპარქიის ზოგიერთ საეპისკოპოსო ცენტრში (მაგ. ზიგანაში) იღება რომაული ლეგიონის რაზმები. ეს იმითაა საინტერესო, რომ წარმოადგენს საშუალებას არქეოლოგიურად დასაბუთდეს მათი ადგილმდებარეობა.

რომაული სამსახური ლეგიონებისა და მათი რაზმების განლაგების ადგილებზე, როგორც წესი, იწყებოდა ძალზე მნიშვნელოვანი მშენებლობანი.

პროკოფი კესარიელი აღწერს, კერძოდ რა შენობები იგებოდა ჯარის საჭიროებისათვის. ის აღწერს ერთი ასეთი ადგილის მშენებლობას:

– „მდ. ევფრატიდან ცოტა მოშორებით, იყო ერთი კუთხე, სადაც იდგა რომაულ ჯარისკაცთა რაზმი. ამ ადგილს უწოდებდნენ მელეტინს. იქ, უწინდევლ დროს, რომაულებს უშენებიათ ოთხკუთხა ფორმის სიმაგრე, რომელიც ჯარისკაცებისთვის თავშესაფარს წარმოადგენდა. აქ ისინი ინახავდნენ თავიანთ საბრძოლო დროშებსაც. ამ სიმაგრემ საფუძველი დაუდო სამოქალაქო დასახლებას. ქალაქის მშენებლობა სიმაგრის მახლობლად გაგრძელდა. ააშენეს ტაძრები, სახელმწიფო დაწესებულებები, სავაჭრო მოედნები, სხვადასხვა სასაქონლო დუქნები, ყოველ მხარეს გაიყვანეს ქუჩები, ააშენეს გალერეები, აბანოები, თეატრები“ (პროკოფი კესარიელი, „შენობათა შესახებ“, 2006, გვ. 103).

აქედან ჩანს, რომ რომაული ჯარის განლაგების ადგილზე იწყებოდა მშენებლობები გზებისა, სამსახურო და სამოქალაქო შენობებისა, საგაჭრო მოედნებისა, დუქნებისა, ტაძრებისა, გალერეებისა, აბანოებისა და თეატრებისა. საქართველოს მაშტაბით ეს მშენებლობები შეიძლება გრანდიოზულად ჩაითვალოს.

სიმაგრეების, აბანოების, გზების, სავაჭრო მოედნებისა და სხვა მნიშვნელოვანი ნაგებობების ნაშთების



აღმოჩენა არქეოლოგებისათვის სიძნელეს არ წარმოადგენს. თუ ზიგანა არის ეწ. გუდაყვა, მაშინ გუდაყვაში უნდა აღმოჩენილიყო კიდეც რომაული ჯარის სადგომის რაიმე ზემოთხსენებული ნაშთი, მსგავსი კი გუდავა-გუდაყვაში არაფერი აღმოჩენილა, პირიქით, იქ არა რაიმე ლათინური ანდა ბერძნული წარწერა „არამედ მხოლოდ და მხოლოდ ძველი ქართული ასომთავრული წარწერები აღმოჩნდა ქართულსავე საეკლესიო ნაშთებზე“.

არქეოლოგიამ ვერ დაადასტურა გუდაყვასა და ზიგანას იგივე ითქმის ვარციხის (თითქოსდა როდოპოლისის) შესახებაც, სადაც, თუ ის იყო როდოპოლისი, ასევე რომაული ჯარის სადგომი ნაგებობების ნაშთები უნდა აღმოჩენილიყო, მაგრამ იქ რაიმე რომაულ-ბიზანტიური ნაგებობისა და საეკლესიო-სამოქალაქო ცხოვრების დამადასტურებელი ნაშთები არ აღმოჩენილა.

როგორც ითქვა, ზიგანაში იდგა კოპორტა, ე.ი. ლეგიონის ერთ-ერთი დანაყოფი.

„ლეგიონები შეადგენდნენ რეგულარულ არმიას, ლეგიონი შედგებოდა 6100 ფეხოსნისაგან და 726 კავალერისტისაგან.“

ალა – რაზმია 600 მხედრისაგან.

„აღმოსავლეთის“ მთავარსარდალს ემორჩილებოდა 100 000 ჯარისკაცი.

პონტოს დიოცეზს თავისი 11 პროვინციით ჰყავდა მხოლოდ ერთი სამხედრო მთავარსარდალი „არმენიის დუკის“ სახელწოდებით, მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა I და II არმენიასა და აგრეთვე პოლემონის პონტოში (ნ. ადონცი, არმენია ოუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 95).

არმენიის დუკა განაგებდა შემდეგ ძალებს – ჰყავდა ლეგიონი სატალაში, პონტოში (კერძოდ, პონტოში ლეგიონი ტრაპეზუნტში), ალა რიზეში, პიტიაში, კოპორტა უსუპორტეში, კენა-პარამბოლეში, სებასტოპოლისში, ზიგანაში, მოხორაში (ნ. ადონცი, არმენია ოუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 97). არმენიის დუკას ემორჩილებოდა 2 მსროლელი კავალერიის პოლკი, სამი ლეგლეგიონი, ე.ი. 18 000 კაცი. 11 რაზმი ცხენოსნებისა (თითოში 600 კაცი), 10 კოპორტა ფეხოსნებისა (თითოში 600 კაცი). მათ შორის, არმენიაში იდგა 2 ლეგიონი, 6 რაზმი, ანუ ალა და 4 კოპორტა, ხოლო 6 კოპორტა – პოლემონის პონტოში. პონტოში არმენიის დუკის ძალების მთავარი განლაგების ადგილები იყო ტრაპეზუნტი, ავაქსი და სილვანა (არმენია ოუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 99).

6. ადონცის აზრით, „ფელიქს თეოდორისინას“ სახელობის ალა, ანუ სამხედრო რაზმი იდგა პიტიაში, რომელიც რიზესთან მდებარეობდა (იქვე, არმენია ოუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 99, შენიშვნა 2).

პიტია და სებასტოპოლისი ზოგიერთს მიაჩნია პიტიუნტად (აფხაზეთში) და სებასტოპოლისად, მაგრამ ეს ქალაქები ამ წყაროს შედგენის დროს არ შედიოდნენ ბიზანტიაში, და დუკას ძალაუფლება ასე შორს ვერ გავრცელდებოდა, წერს ნ. ადონცი (არმენია ოუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 202).

აფხაზეთი არასდროს შედიოდა არმენიის დუკას გამგებლობაში და, შესაბამისად, თავისი ჯარი (რაზმი) ვერ ეყოლებოდა ბიჭვინთაში (რომელსაც პიტიუნტად მიიჩნევენ), სებასტოპოლისში (ცხუმად მიიჩნევენ) და გუდაყვა-გუდავაში, რომელსაც ზიგანა-ზიგანევად მიიჩნევენ ჩვენი მეცნიერები.



## თავი X

# კონსტანტინოპოლის საპატიოარქოს ეპარქიის დაზიანები

### შესაჩერებლივი

ბიზანტიულებისათვის, ეკლესიური თვალსაზრისით, ლაზიკა ერქვა არა დასავლეთ საქართველოს, არამედ იმ ვრცელ ქართულ მხარეს ვანის ტბილან ტრაპეზუნტამდე, რომელიც საერთოდ ამოვარდნილია ქართველთა ისტორიული ცნობიერების სფეროდან, მით უმეტეს თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიიდან.

აზრი, რომ ლაზიკა არ ერქვა დასავლეთ საქართველოს ფართო ეკლესიური მნიშვნელობით, ეწინააღმდეგება XX ს-ის მრავალი ისტორიკოსის თვალსაზრისის, ისინი ბერძნული წყაროების ყველა ცნობას ლაზიკასთან დაკავშირებით დასავლეთ საქართველოს უსადაგებენ, ფაქტოურად XX ს-ში შეიქმნა დასავლეთ საქართველოს იქამდე სრულიად უცნობი ისტორია, რომ, მაგალითად, ეკლესიურად თითქოსდა დასავლეთ საქართველო უცხო იურისლიქებიაში იყო და მხოლოდ IX-X სს-დან თანდათან შევიდა ერთიან ქართულ-ეროვნულ ში.

მნელია, ასეთ ჩამოყალიბებულ სისტემას, საყოველთაო სამეცნიერო მიმართულებას დაუპირისპირო ახალი აზრი, მაგრამ ჩემი მოსაზრების მხარესაა არა მხოლოდ უძველესი, ათასწლოვანი ეროვნული ისტორიოგრაფია – მოქცევა ქართლისაი, ქართლის ცხოვრება, ყველა საეკლესიო და საერო საისტორიო წყარო, შექმნილი XIX ს-დე, არამედ უცხოურნიც.

მაცხოვარი ბრძანებს – „თუ სამეფო თავისივე თავის წინააღმდეგ დაიყოფა, ის სამეფო ველარ გაძლებს“ (მარკ. 3,24).

ეს შეეხება ჩვენს საეკლესიო მთლიანობასაც. ამჟამად საეკლესიო სეპარატიზმი აფხაზეთში, და არა მარტო იქ, გამალებით ეძებს თეორიებს საერთაშორისო ასპარეზზე გასატანად, რათა გაამართლოს თავისი არაკანონიკური ქმედებები, ამავე დროს ჩვენი მეცნიერები ჩვენი ეკლესის მთლიანობისათვის საშიშ შეხედულებებს საერთაშორისო ორგანოებით ავრცელებენ ვითარცა ერთადერთ და ჭეშმარიტ თეორიას. ეს ხელს არ უწყობს საეკლესიო მთლიანობას, ვერ გაძლებს ის სამეფო, რომელიც დაიყოფა თავისი თავის წინააღმდეგ. როგორც თქვა, აქ გამოსავალი არის ფურისგდება და დაჯერება იმ ძველი და თანაც ღრმად სამეცნიერო თვალსაზრისისა, რომელიც რუის-ურბისის კრების მამებმა განაცხადეს, რაც წმიდა მამათა ცხოვრებაშიც არის ასახული.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ „ძველი საეკლესიო მამების შემეცნება წმიდა ნინოს ეპოქიდანვე დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო მთლიანობის შესახებ“, რომელზეც მიუთითებდა ივანე ჯავახიშვილი, უთუოდ აისახება ქართულ საეკლესიო ენციკლოპედიის სტატიებში, რომელიც მისი უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით მზადდება.

## 1. სამკლესო გეოგრაფია

ნ. ადონცის სიტყვით საეკლესიო გეოგრაფია გვაძლევს საშუალებას დადგინდეს ლაზთა საეპისკოპოსო კათედრების აღვილმდებარეობა.

პროკოფი კესარიელის ცნობით VI საუკუნეში „ლაზთა ეპისკოპოსების“ იურისდიქციაში მოქცეული იყო ჭოროხსა და რიზეს შორის მცხოვრები „ერთი ტომი“ (გეორგია, II, გვ. 125), მაგრამ, ამ ლაზთა ეპისკოპოების ძირთადი იურისდიქცია ცხადია მათ ეპარქიაზე ვრცელდებოდა.

ლაზიკის ეპარქია, ადონცის კვლევის თანხმად, მოიცავდა ისტორიულ ქართულ მიწა-წყალს, რომელსაც



შემდგომ ქალდიის თემი ეწოდა, ესაა თანამედროვე არდასა-ტორულ-გიუმიუშხანეს რეგიონი, ძველი ჭანიკა. ნ. ადონცის კვლევით იუსტინიანემდე აქ მდებარეობდნენ ლაზიკის ეპარქიის ზიგანას-როდოპოლიის, საისინისა და პეტრას საეპისკოპოსოები (ე. ტრაპეზუნტისა და თეოდოსოპოლის შორის). შემდგომში ისტორიული ლაზიკის ეს მიწა-წყალი იუსტინიანემ შეიყვანა I არმენის პროვინციაში, მაგრამ მას ეკლესიურად კვლავ ძველი სახელი დარჩა (მაშასადამე უწოდეს არა I არმენის ეპარქია, არამედ შეინარჩუნა ძველი სახელი „საეპისკოპოსოები, „ლაზიკაში“). ნ. ადონცის სიტყვით, ამის მიზეზი იყო ისრომ საეკლესიო დაყოფა გამოირჩეოდა დიდი მდგრადობით და მან არ ასახა სამოქალაქო აღმინისტრაციული საზღვრების შემდგომი ცვლილებები.

ძველი აღმინისტრაციული დაყოფის სურათი ეკლესიაში უცვლელად დარჩა, ამიტომაც საეკლესიო ნუსხებში არ აისახა იუსტინიანეს პროვინციული საზღვრების ცვლილებები (ნ. ადონცი, — ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, საბ-1908, გვ. 90 (რუს. ენაზე)). ასე შეინარჩუნა მიწა-წყლის ძველი სახელი ლაზიკის ეპარქიამ.

ძველი ლაზიკის ერთი ნაწილი იყო „ჭანიკა“, რომელსაც ადრე „ქალდეა“ ერქვა. იუსტინიანეს შემდგომ ეს სახელი კვლავ დაუბრუნდა ამ პროვინციას — „ქალდეას თემი“. როგორც ითქვა, აქ ყოფილა ლაზიკის ეპარქიის საეპისკოპოსოები ზიგანიდან კარნუ-ქალაქმდე (კარინამდე), ე. ი. საისინის, როდოპოლიის და პეტრას საეპისკოპოსოები. ამ მიწა-წყლის სახელი იყო ასევე ფასიანი, შესაძლოა იმ მიზეზის გამორომა კარინ-ბასიანის (ფასიანი) პროვინციის გვერდით მდებარეობდა.

არაბებისგან კარინ-ბასიანის ვრცელი ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ ბიზანტიამ ბასიანის ქალკე-დინიტური საეპისკოპოებიც ლაზიკის (ფასიანის) ეპარქიაში შეიყვანა და მის ცენტრად აქცია ტრაპეზუნტი, მაშასადამე, ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოში შედიოდა მიმდებარე მიწა-წყალი ტრაპეზუნტ-ვანის ტბის მიმართულებით, რომელიც შეიცავდა ისტორიულ ჭანიკას, სპერსა და ბასიანს, როგორც VII მსოფლიო კრების ტრაპეზუნტელი მიტროპოლიტის ხელმოწერიდან ჩანს 787 წლისათვის მას ჰქონდა ტიტული „მიტროპოლიტი ფასიანის“ ე. ი. ფასიანისა.

მაშასადამე საეკლესიო გეოგრაფიამ (ნ. ადონცის სიტყვებია) თვით იუსტინიანეს ბრძანებით შემოინახა და შეინარჩუნა თავდაპირველი სახელმწიფო აღმინისტრაციული დაყოფის (იმპერატორ თეოდოსის ეპოქის) დროინდელი სახელები.

## 2. ლაზიკის სამთქილაობოს გეოგრაფიული პირები

სად მდებარეობდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის სამიტროპოლიტო?

XX ს-ის ქართული ისტორიოგრაფიის მიხედვით, ეს საკითხი თითქოსდა გარკვეული იყო, რაც ასახულია მრავალ გამოკვლევაში. აღიარებული აზრით, ის დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა, მაგრამ უპირველესი წყაროს, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხების მონაცემები არ ეთანხმება ამ თვალსაზრისს. კერძოდ, უმრავლეს ნუსხაში ჩამოთვლილია ლაზიკაში მდებარე ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს შემდეგი კათედრები: 1. ხერიანი; 2. ხამატური (ხამუზური, ხამაზრი, ხამატოზური); 3. ხახეი (ხალი, ხაიონი, ხალხევი); 4. პაიპერტი (პაიპერი); 5. კერამევი; 6. ლერიონი; 7. ბიზანა (ბიზანტი); 8. ხავიძიტი; 9. ხანძიორძი; 10. ოლნუტი; 11. ფასიანი; 12. (ტო) სერმანძი; 13. ანდაკი; 14. ზარინაკი (გეორგია, IV, ნაწილი II, 1952, გვ. 185). ეს საეპისკოპოსოები მდებარეობდნენ მიწა-წყალზე ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე.

ეს სია ასახავს ძირითადად IX-X საუკუნეთა ვითარებას. მაშასადამე, მიწა-წყალზე, რომელსაც კონსტანტინოპოლი უწოდებდა ლაზიკას, განლაგებული იყო ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო თავისი 14 კათედრით და ჩვენი განხილვის საგანია მოვიძიოთ ამ კათედრების გეოგრაფიული განლაგება. როგორც ცნობილია, ბიზანტიურ სამყაროში საეპისკოპოსო ცენტრები ხალხმრავალ ქალაქებში არსდებოდა, შესაბამისად, ლაზიკის ჩამოთვლილი კათედრები აღბათ მნიშვნელოვან ქალაქებში მდებარეობდნენ.



აღნიშნულ ცხრილებში (ნოტიციებში) უცვლელად მეორდება ისეთი კათედრების სახელწოდებები, როგორიცაა ლერიონი, ოლნუტი, ანდაკი და სხვა. ამ სახელის მქონე ქალაქების ადგილმდებარეობა ცნობილია. კერძოდ, ლერიონი იყო ტრაპეზუნტის მთიანეთში, მისგან დაახლოებით 70 კმ-ით დამორჩეული. ანდაკი თეოდოსიოპოლისსა და კარს (ყარსს) შეუ იყო, ხოლო ოლნუტი არაქსისა და ევფრატის სათავეებთან ახლოს. ყველანი ისინი განლაგებული იყვნენ იმ ქვეყანაში, რომელსაც რომაელები უფრო მეტად არმქნიას უწოდებდნენ, მაგრამ იქვე, არაქსის იქით მიუთითებდნენ იბერიის საზღვარს. ერთი სიტყვით, ისინი მდებარეობდნენ ვანის ტბასა და ტრაპეზუნტს შორის. ხომ არ იყვნენ ამ რეგიონში სხვა საეპისკოპოსოებიც ლაზიების ეპარქიისა?

ცხადია, აღნიშნული საეპისკოპოსოები ქალკედონურნი იყვნენ, ამავე დროს, არმენიად სახელწოდებულ ქვეყანაში მდებარეობდნენ. ამის გამო ჩვენმა ძიებამ მოითხოვა გავცნობოდით ისტორიულ სომხეთში ქალკედონური საეპისკოპოსოების განლაგებას. ამ საკითხის შესახებ არსებული ძირითადი გამოკვლევები ძირითადად თავმოყრილია მოსკოვში დასტამბულ „პრავასლავნაია ენციკლოპედიის“ III ტომში. ამ ტომშის სტატიაში „სომეხი ქალკედონიტები“ ჩამოთვლილია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოში შემსავალი კარქიები, მათ შორის აღნიშნული ლერიონისა და სხვა კათედრები და აღნიშნულია, რომ ისინი მდებარეობდნენ „სომხურ მიწებზე“.

„პრავასლავნაა ენციკლოპედიის“ ამ თვალსაზრისისასაგან მთლიანად განსხვავდება ბერძნულ წყაროებში დაფიქსირებული ფაქტები, მაგალითად, კონსტანტინოპოლის ნოტიციებში ანუ წყაროებში, მათ უწოდებდნენ „სახეპისკოპოსოებს ლაზიკაში“ და არა „არმენიაში“, აღნიშნულ სტატიას თან ახლავს რუკა, რომელზეც თითქმის ყველა იმ სახეპისკოპოსოს მდგრადია აღნიშნული, რომლებიც ნოტიციებით „ლაზიკის სამიტროპოლიტოს“ განეკუთნებოდნენ(იხ. სტატია „Àმიერ-Öმეე-ესტიები“ (I. შარავა, ვ. გ. 2001). რუკაზე, როგორც ითქვა, აღნიშნულია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტრაპეზუნტის, ასევე ეკკლესიის, ხორმენსა და ტარონის სამიტროპოლიტოების, ასევე ანტიოქიის საპატრიარქოს თეოდოსიოპოლიტის (კარინის) პარტიის მართლმადიდებლური (ქალკედონური) კათედრები.

ჩვენთვის საინტერესო რეკაზე მრავალი საეპისკოპოსოს ადგილმდებარეობაა აღნიშნული, რომელიც ტრაპეზუნტის ეწლაზიკის სამიტროპოლიტოში იმყოფებოდა. აღნიშნულია ნოტიციებში ჩამოთვლილი ლერიონის, შარიანის (ხერიანის), ბიზანას, ბაიბერდის (პაიპერტის), ოლუების, ანდაკის, ხახის (ხახეის), ხანძიორბის (ხორძენა?) და სხვა საეპისკოპოსოები, და ისინი განლაგებულნი არიან ტრაპეზუნტიდან თითქმის ვანის ტბამდე.

აქედან ჩანს,რომ IX-X საუკუნეებში (X ს-ის დასაწყისიდან) ეკლესიური თვალსაზრისით კონსტანტინოპოლი ლაზიკას უწოდებდა ვრცელ მხარეს ვანის ტბილან ტრაპეზუნტამდე, სადაც აღნიშნული საეპისკოპოსოები იყვნენ განლაგებული.

ისმის კითხვა – რატომ უნდა ეწოდებინა კონსტანტინოპოლს ამ ვრცელი ტერიტორიისთვის (ვანის ტბის მომიჯნავე ქვეყნებიდან ტრაპეზუნტის ჩათვლით) ლაზი?

მართლაც, აღნიშნულ მიწა-წყალზე მრავალი მართლმადიდებლური საეპისკოპოსო იყო, მათ შორის ისეთებიც, რომელიც მცხეთის საპატრიარქოს ექვემდებარებოდნენ. მაგალითად, არც თუ შორს ვანის ტბილან, იყო ვალაშპერტის ქართული საეპისკოპოსო, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალ ანდაგის კათედრიდან არც თუ მოშორებით იყვნენ ანისისა და კარის ქართული საეპისკოპოსოები.

შეიძლება ითქვას, რომ ეკლესიური თვალსაზრისით კონსტანტინოპოლი „ლაზიკას“ უწოდებდა ვრცელ ტერიტორიას, რომელიც ქართულ წყაროებში მოიხსენება ვითარცა „ზემონი ქვეყანანი“, ტაოსა და განის ტბას შორის მოქცეული ტერიტორია.

ქართული „ზემო ქვეყნებისა“ და მიმდებარე მიწა-წყალს რომ მოიცავდა კონსტანტინოპოლის სამიტრო-პოლიტო ლაზიკაში, იქდანაც ჩანს, რომ აქაა განლაგებული მისი საეპისკოპოსოების მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგალითად ანდაკის კათედრა – მდინარე არაუშზე (მის ზემო წელში), მანასკერითან ახლოს, კუჭრატის



სათავეში მდგბარე ოლნუტის კათედრა. თითქმის „ზემო ქვეყნების“ მიწა-წყალზე მდგბარეობდნენ ბიზანტია და ხორძნეს საეპისკოპოსოები, ხოლო ბაიბერდის, ხახის, კერჩანისისა, ხერიანისა და ლერიონის საეპისკოპოსოები ისტორიულ სპერსა, ჭანეთსა და მიმღებარე მიწებზე მდგბარეობდნენ. მას შემდეგ, რაც აღნიშნული „ზემო ქვეყნები“, ანუ ტაოსა და ვანის ტბას შორის მოქცეული მიწა-წყალი ბიზანტიამ ჩამოართვა საქართველოს მეფე გიორგი I-ის დროს, იქ ჩამოყალიბებულ მართლმადიდებლურ სამიტროპოლიტოსთვის „ლაზიკის ეპარქია“ უწოდებიათ. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის მის მომცველ ტერიტორიაზე, ჩამოყალიბეს ბიზანტიური აღმინისტრაციული ერთეული „იბერიის თემი“, ანუ ის მიწები, რომლებიც არაბობამდე „არმენიად“ იწოდებოდა, X საუკუნის შემდეგ ეკლესიურად ლაზიკად, აღმინისტრაციულად იბერიად და ქალღეად იწოდა – ვანის ტბიდან ტრაპეზუნტამდე.



(ყოველ შემთხვევაში VII საუკუნეში, როგორც ეს ირკვევა წყაროებიდან), ამ ქვეყნებს ჯერ კიდევ პქონიათ შერჩენილი ქართული სახე. საქართველო არ შერიგებია ამ მხარეთა დაკარგვას და საშუალო საუკუნეთა მანძილზე საქართველო ცდილობდა შემოერთებინა არაქვის და ევფრატის ხეობებში მდებარე ეს ადრინდელი ქართული მხარები. ეს არის სწორედ ის „ზემონი ქვეყანანი“, რომლის შემომტკიცებასაც ცდილობდა ქართველთა სამეფო X-XI საუკუნეებში და რომლის გამოც ქართველთა სამეფოს კონფლიქტი პქონდა ბიზანტიის იმპერიასთან“ (პ. ინგოროვა, გორგი მერჩულე, 1954, გვ. 517).

მაშასადამე, II-I საუკუნეებში აღნიშნული მიწა-წყალი, რომელზეც შემდგომ X საუკუნისათვის განლაგებული იყო ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს კათედრები – დასახლებული იყო ქართული ტომებით, მართალია, ისინი მოექცნენ არმენიაში და იქაური მკვიდრი ქართველობა (იგულისხმება ვნის ტბიდან ტრაპეზუნტამდე მცხოვრები მოსახლეობა), განიცდიდა ეროვნულ და ენობრივ შევიწროებას, მაგრამ პ. ინგოროვას კვლევით, მათ მაინც VII ს-მდე შეუნარჩუნებიათ ქართულენოვნება. ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ, რომ ქართული მოსახლეობის არცუ უმნიშვნელო ნაწილმა კიდევ უფრო დიდხანს შეინარჩუნა საკუთარი ეროვნება. ამას მოუთხებს 1. კონსტანტინე პორფიროგენეტის ხაზეასმითი მითითებანი, რომ თეოდოსიოპოლისის (კარინის-კარნუქალაქის და მისი შემოგარენის) მოსახლეობა თითქმის ნახევარი საუკუნე უწევდა დიდ წინააღმდეგობას ბიზანტიურ ჯარებს, ქართველები კი მათ იცავდნ, არ ანებებდნენ ბლოკადას, როცა ბიზანტიელები მოითხოვდნენ მათ ფაქტიურად შიმშილით ამოხოცვას. 2. აღნიშნულ მიწა-წყალზე ქართული საეპისკოპოსოების დაარსება; 3. ამ ადგილებიდან გამოსული ქართველი ბერების მუდმივი მითითებები იმის შესახებ, რომ ისინი ეთნიკურად არიან ქართველები, რომ ისინი არ არიან სომხები (მაგალითად, როცა გიორგი მთაწმიდელის ეპოქაში ანტიოქიის პატრიარქს მოახსენეს იქაური იბერთა მონასტრის ბერების შესახებ – „არა ვუწყოთ ქართველი არიან თუ სომეხნი“, წმიდა მამის მოერ მათი ქართველობის მტკიცება); 5. ქართული ტოპონიმებისა და პიდრონიმების ბოლო დრომდე არსებობა; 6. აღნიშნული მხარეებიდან გამოსული ქართველების დიდი ძალისხმეული, რომ ქართული წმიდა წიგნებიდან აღმოეფხვრათ სომხურიდან რედაქტირების ყოველგვარი ნაკვალევი 7. ძლიერი ქართულენოვანი სამრევლოების არსებობა. მაგალითად, ჩვენ ვიცით, თუ რა დიდი გავლენა და წონა პქონდა ვალაშკერტელ ეპისკოპოს ზაქარიას, რომ ის ბიზანტიის სამეფო კარზე იცავდა ქართველთა უფლებებს იმით, რომ ცდილობდა ბიზანტია-საქართველოს მორიგებას. ვფიქრობ, რომ ვალაშკერტის ქართველი მრევლი რომ არ ყოფილიყო მრავალრიცხოვანი და ძლიერი, მისი მღვდელმთავარიც არ იქნებოდა ისეთი გავლენის მქონე, როგორიც იყო ზაქარია, ანდა ანისის ქართული მრევლის მრავალრიცხოვნება და სიძლიერე. ანისში ქართული მრევლი მრავალრიცხოვანი რომ იყო და მოიცავდა მოსახლეობის დაბალ ფენებსაც, ჩანს ამ ქალაქის ეკლესიის კედლის წარწერიდან. ქართლის კათალიკოსი არ ჩათვლიდა საჭიროდ ანისში საგანგებოდ ჩასვლას და მისი უმნიშვნელო მრევლისა და მისი სამღვდელოების მორიგებას. ამასთან, მან ამ რეგიონში მრავალი სხვა ქართული ეკლესიებიც აკურთხა. მართალია, ანისი დაშორებულია ვალაშკერტს, მაგრამ აქ შეიძლება გავიხსენოთ ბერძნ-რომაელ ავტორთა ცნობები, რომ იბერიელებსა და არმენიელებს ერთ დროს არაქვის ჰყოფდათ, მაშასადამე, არაქვის მარცხნა სანაპიროზე, მათ შორის ანისში, ქართული მოსახლეობა მკვიდრი ეთნოსი იყო, მათი იქ ცხოვრება ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს. შეიყვანა კიდეც ბიზანტიამ ანისი იბერიის თემში, ხოლო მის სამხერეთით დღებარე ტერიტორია – ლაზიკის საეკლესიო თემში.

საბჭოთა პერიოდში სხვა თვალსაზრისი ჩამოყალიბდა. თითქოსდა IX-X სში მოხდა ქართიზაცია – გაქართველება მთელი ამ მხარეების, „ვალაშკერტისა და ტაოსი, (მათი აზრით, ვალაშკერტის, ყარსისა და ანისის მოსახლეობისაც), ასევე მთელი დასავლეთ საქართველოსი (იმუამინდელი აფხაზეთისა) და პერეთ-ქვემ ქართლისა. რა ძალა უნდა პქონდა არაბების საამიროს გავლენის სფეროში მოქცეულ შიდა ქართლს, რომ ასეთი ქართიზაციის პროცესი განხორციელებინა მასზე 10-ჯერ და 20-ჯერ უფრო დიდ მხარეებში კლარჯეთიდან – ვალაშკერტ-ვანის ტბამდე, ლიხიდან – ნიკოზიამდე და ბოდბედან – შამახამდე მაშინ, როცა არაბთა მიერ დაპყრობილი შიდა ქართლი არც კი იყო პოლიტიკური ერთეული, ხოლო აღნიშნული



მხარეები დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. სინამდვილეში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამ მხარეებში აღორძინდა იქამდე იქ მინავლებული ეროვნულ-ქართული თვითშემცნება.

### 3. მოწყები ლიტერატურის ქანკიზის

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკეში, როგორც ითქვა, მდებარეობდა მიწა-წყალზე ტრაპეზუნტიდან თითქმის ვანის ტბამდე, რადგანაც აქ მდებარეობდნენ მისი კათედრები ანდაკისა, ოლნუტისა, ხორბენასი, ბიზანტისა, პაიკერტისა (ბაიბერდისა), ლერიონისა და სხვა. როგორც თვით სამიტროპოლიტოს სახელი „ლაზიკა“ უჩვენებს, კონსტანტინოპოლის მიაჩნდა, რომ აღნიშნული მიწა-წყალი ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული. რამდენად შესაძლებელია, რომ ტრაპეზუნტიდან ვიდრე ვანის ტბამდე არეალი ქართველთა საცხოვრისი ყოფილიყო? პ. ინგოროვას მიაჩნდა, რომ „საქართველოს ინტერესები ამ მხარეთა მიმართ იმით იყო გამოწვეული, რომ „აღმოსავლეთის“ ეს ტერიტორიები („ზემონი ქვეყანი“), მდებარე ევფრატისა და არაქსის ხეობათა ზემო ნაწილებში (კარინი-თეოპოლისის მხარე, ბასიანი და მიმდგომი თემები), ანტიკურ ხანაში საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებულნი, ქართველი ტომებით იყნენ დასახლებულნი, ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები მოზნად ისახავდნენ საქართველოს ძველი ისტორიული ტერიტორიების გაერთიანებას ქართველთა სამეფოს ფარგლებში“ (პ. ინგოროვა, გ. მერჩულე, 1954, გვ. 65).

„აღმოსავლეთის ქვეყნებზე“, ანუ ტერიტორიებზე (თეოდოსიოპოლისიდან (არზრუმიდან) ვანის ტბამდე) ბიზანტია რომ აღიარებდა ქართველთა უფლებებს, მიუთითებს ის ხელშეკრულებები, რომელიც იდებოდა ბიზანტიასა და საქართველოს შორის, რომლის მიხედვითაც იბერიელებს შეეძლოთ არაბების მიერ დაჭერილი თეოდოსიოპოლისის და „აღმოსავლეთის“ ყველა იმ ქალაქების დაჭერა, რომელთაც გაათავისუფლებდნენ (იქვე, გვ. 65).

მალე ქართულმა ლაშქარმა დიდ წარმატებას მიაღწია. აღნიშნული მიწა-წყლის ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობას ქართული ლაშქარი ყოველმხრივ ეხმარებოდა, თავის შხრივ მადლიერი მოსახლეობა ემხრობოდა ქართულ ჯარს და დიდ წინააღმდეგობას უწევდა ბიზანტიურს თვით კონსტანტინე პორფიროგნეტის სიტყვით. საბოლოოდ, ბიზანტიამ დაადგინა საზღვარი საქართველოსთან კონსტანტინე პორფიროგნეტის ეპოქაში (X ს-ის შუა წლებში). იბერია-ბიზანტიის საზღვარი გადიოდა მდ. არაქსზე. იმპერიატორი თვითონვე წერს – „საზღვრად ბასიანის (ფასიანის) მხარეში დადგენილია მდინარე არაქსი ანუ ფასისი; იბერიელების სამფლობელოდ რჩება მარცხენა (ჩრდილოეთი) ნაწილი, რომელიც აკრავს იბერიას, ხოლო მარჯვენა ნაწილი (სამხრეთი), რომელიც აკრავს თეოდოსიოპოლისს, თავისი ციხეებითა და სოფლებით უერთდება ჩვენს საბრძანებელს (ბიზანტიას). ასე რომ, მდინარე დადგენილია საზღვრად ამ ორ სამფლობელოს შორის“ (იქვე, გვ. 66). მაგრამ ქართული მხარე ამით არ დაკმაყოფილდა და ეძებდა საშუალებას, რათა ვანის ტბის მიმდებარე ქვეყნებიც გაეთავისუფლებინა. ეს მიმართულება საოცნებო და საინტერესო იყო ქართველებისათვის, რადგანაც არაქს-ევფრატ-ვანისტბისპირა მკვიდრ მოსახლეობას გაუმდაფრდა ეროვნული თვითშემეცნება, მათ უკვე ეძლეოდათ საშუალება დაუფარავად განცემადებინათ, რომ ეთნიკურად და ეროვნულად ქართველები იყნენ. ამიტომაც ქართულ ლაშქარსა და ქართულ სახელმწიფოს აქ ყველა გზა ეხსნებოდა მკვიდრი მოსახლეობის მხარდაჭერის გამო. ბიზანტიამაც გადაწყვიტა ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩატობის შემდეგ ეს მხარეები გადაეცა საქართველოსათვის, კერძოდ, კი გადასცა დავით დიდ კურაპალატს – ქართველთა მეფეს. „სახელდობრ, საქართველოს X საუკუნის ბოლოს შემოუერთდა შემდეგი პროვინციები: 1. თვით თეოდოსიოპოლი ანუ კარინი (თანამედროვე არზრუმი), თავისი თემით, რომელიც დასავლეთ ევფრატის ხეობაში მდებარეობს; 2. ციხე ხალტოი-არიჭი და მასთან მდებარე კლისურა ამავე დასავლეთ ევფრატის ხეობაში; 3.



ჩორმაირის თემი — მდინარე ჭოროხის სათავეებთან; 4. სამხრეთ ბასიანის თემი მდინარე არაქსის ხეობაში; 5. ციხე სევუკი თავისი თემით (მარდალიის კანტონი) მდინარე არაქსის სათავეებთან; 6. ჰარქისა და 7. აპარქის პროვინციები აღმოსავლეთ ევფრატის (არაწანის) ხეობაში (იხ. ასოლიკი, 1883, გვ. 192)“ (იქვე, გვ. 67).

978-990 წლებში, ჩანს, იმის გამო, რომ ვალაშქერტისა და ბაგრევანდის ვინაობაგამოღვიძებულმა ქართველობამ მით პატიჟა, ქართულმა ჯარმა შემოიერთა აღმოსავლეთ ევფრატის ხეობის მიწები (იქვე, გვ. 67).

990 წელს ამავე ხეობაში ქართველებმა აიღეს ქალაქი მანასკერტი და აქედან მუსულმანები განდევნეს, ქალაქი არა მარტო სომხებით, არამედ ადგილობრივი ქართველებითაც დაუსახლებათ. ტაოდან კლარჯეთიდან და, მით უმეტეს, შიდა ქართლიდან ისეთ დაშორებულ, ვანის ტბასთან მდებარე ქალაქში ქართველებს ვერ ჩამოასახლებდენენ, ამიტომაც ასოლიკის ცნობა, რომ ქართველთა სამეფომ ქალაქი მანასკერტი ქართველებით დაასახლა, უნდა მიუთითებდეს „ამ ქალაქის მიმღებარე სოფლებში ქართველებიც ცხოვრობდნენ, იქვე, ვალაშქერტის ქართული საეპისკოპოსოს არსებობა ამ ფაქტს ადასტურებს. ვალაშქერტის საეპისკოპოსო მრავალი საუკუნე არსებობდა, რაც მიუთითებს, რომ მისი მრევლი მახლობელ ქალაქებსა და სოფლებშიც ცხოვრობდა.“

„X საუკუნის 90-იან წლებში ქართველთა სამეფოს საზღვრებმა ვანის ტბამდე მიაღწია. 997 წელს ქართველებმა ალყა შემოარტყეს ვანის ტბის ნაპირას მდებარე მნიშვნელოვან ქალაქ ხლათს, 998 წელს ქართველებმა უკუაქციეს მუსულმანთა დიდი კოალიცია და ქართველთა სამეფოს საზღვარი მიიტანეს ქალაქ არჭეშის სანახებამდე (ვანის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირომდე) (იქვე, გვ. 68).“

ქართულმა ჯარმა X საუკუნეში გმირულად გაათავისუფლა დამპყრიბლებისაგან ეროვნული ტერიტორიები ვანის ტბამდე, მაგრამ ეს მოუთმენელი აღმოჩნდა ბიზანტიისათვის. მალე, მეფე გიორგი I-ის დროს, ბიზანტიამ ქართული ჯარის მიერ გაათავისუფლებული აღნიშნული მიწა-წყალი საქართველოს ჩამოართვა და თავის იმპერიაში შეიყვანა, რამაც ასახვა პეოვა საეკლესიო სფეროზეც, -ამ მიწა-წყალზე არსებული საეპისკოპოსოები მოექცა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, კერძოდ ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს შემაღენლობაში(ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე).

#### 4. ლაშიპის სამიტროპოლიტოს ტექიტონიკის ზოდე

არაბთა შემოსევების შემდეგ, ეწ. „დასავლეთ არმენიის“ დიდი ნაწილი ბიზანტიამ დაკარგა. მის ხელში იყო მხოლოდ სანაპირო მიწა-წყალი. VIII-IX საუკუნეებიდან, არაბთა განდევნის კვალდაკვალ გათავისუფლებულ ქალაქებში ჩამოყალიბდა მრავალი საეპისკოპოსო. კონსტანტინოპოლიტია ჩამოყალიბებინა ახალი ეპარქია ტრაპეზუნტიით სათავეში. ამისთვის მან დააარსა „ტრაპეზუნტიის სამიტროპოლიტო ლაზიკაში“. ამ ახალი სამიტროპოლიტოს ტერიტორია გადაჭიმული იყო ტრაპეზუნტიის მომიჯნავე მთიანეთში, ყოფილ ჭანიკა-სპერის მხარეს. ის თანდათანობით ფართოვდებოდა გათავისუფლებული ქალაქების შემოერთების კვალდაკვალ. მას, როგორც აღინიშნა, ეწოდა „სამიტროპოლიტო ლაზიკაში“. მასში შევიდა ბასიანის მხარე, ვანის ტბის მომიჯნავე ტერიტორიები, ერთი სიტყვით, მასში მოექცა ყოფილი ეწ. „ფასისის“, ანუ ფასიანის ეპარქია, რომელიც იქმდე ზიგანა-თეოდოსიოპოლიტის არეს მოიცავდა (მასში შევიდა ყოფილი პეტრიოსის (თეოდოსიოპოლიტისთან ახლოს), როდოპოლიტის, საისინის (აბაშის მთასთან მდებარე ქალაქის) და ზიგანას საეპისკოპოსოები). ახლა უკვე ამ ძველი ქალაქების ადგილას ახალი ქალაქები იყვნენ აღმოცენებულნი, ახალი სახელებით, მათ გარდა ლაზიკის ეპარქიაში მრავალი ქალაქის საეპისკოპოსო მოექცა თვით ვანის ტბამდე.

ეკლესიური თვალსაზრისით თავდაპირველად „ლაზიკა“ ერქვა ტრაპეზუნტის მომიჯნავე მთიანეთის ქვეყანას, ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო მოიცავდა ამ მცირე ქვეყანას, მაგრამ მას შემდეგ, რაც სამიტროპოლიტოს საზღვრებში თვით ვანის ტბაც კი მოექცა, მთელ ვრცელ



ეპარქიას მიეცა სახელი ლაზიკისა და „სამიტროპოლიტო ლაზიკაში“ ეწოდა.

შემდგომში, 1204 წ., ბიზანტიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა „ტრაპიზონის სამეფო, რომელიც ძირითადად ქართველური ტომებით – ლაზებით იყო დასახლებული“ (საქოსტორის ნარკვევიბი, III, გვ. 602).

## 5. ტიტაზების სამიტროპოლიტოს საქაისპოვალო კათედრები გეოგრაფის მიედვილი

(გეოგრაფი, ნაკვეთი I, 1952, გვ. 185)

- |                                   |                    |
|-----------------------------------|--------------------|
| 1. ხერიანი;                       | 9. ხავიძისტი;      |
| 2. ხამაძური (ხამატომური);         | 10. (ტო) სერმანძი; |
| 3. პაიპერტი (პაიპერტი);           | 11. ოლნუტი;        |
| 4. კერამევი;                      | 12. ანდაკი;        |
| 5. ლერიონი;                       | 13. ფასიანი;       |
| 6. ბიზანტია (ბიზანტი);            | 14. საკაბის;       |
| 7. ზარნაკი;                       | 15. ხანძიორზი.     |
| 8. ხახეი (ხალი, ხაიონი, ხალხევი); |                    |

## 6. ტიტაზების სამიტროპოლიტოს საქაისპოვალო II ტე მიედვილი

(„პირველი ქადაგი ქადაგი“ ტ. III, 2001, გვ. 328)

- |                |                |
|----------------|----------------|
| 1. შარიანი     | 10. მცურნი     |
| 2. კელკიტი     | 11. ხახი       |
| 3. სარჩამაძორი | 12. ხავჩიჩი    |
| 4. ბაიბერდი    | 13. სერმანცი   |
| 5. კერჩანისი   | 14. ელანცბერდი |
| 6. ლერიონი     | 15. ანდაკი     |
| 7. მანანალი    | 16. ბასენი     |
| 8. ბიზანტია    | 17. სუკავეტი   |
| 9. ძერნაკი     | 18. ხანტიერცი  |

## 7. ტიტაზების მიტროპოლიტის ლაზიკაში და ერ. სომე- ქლკედონიტია კათედრები

„პრავასლავნაია ენციკლოპედიის“ (2001, ტ. III) სტატია „სომეხი-ქალკედონიტები“ შეეხება ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს ეპარქიებს, მათ დედანში ანუ ნოტიციებში ოფიციალურად ეწოდებათ „ლაზიკეში ტრაპეზუნტის მიტროპოლიტი“ (იხ. გეორგიკა, IV, ნაწ. II, გვ. 185) მიუხედავად ამისა, სუბატიაში ისინი მაინც სომხურ საეპისკოპოსოებად მიიჩნევა: „უკვე VI-VII საუკუნეებში არსებობდნენ სომხურ-ქალკედონური ეპარქიები მცირე არმენიაში, ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოების Xს. დასწყისის ნუსხაში მოყვანილია სახელწოდებები მართლმადიდებლური კათედრებისა სომხურ მიწაწყალზე. ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოში შედიოდა საეპისკოპოსოები შარიანი და კელკიტი ძდ. გაილგეტზე (თანამედროვე კელკიტი), სარჩამაძორი კარინის ახლოს, ბაიბერდი, კერჩანისი, ლერიონი, მანანალი, ბიზანტია, ძენაკი, მცურნი, ხახი, ხავჩიჩი, სერმანცი, ელანცბერდი, ანდაკი, ბასენი, სუსკავეტი, ხანტიერცი. ეპელესენის, ხორძნასა და ტარონის სამიტროპოლიტოებში შედიოდა 21 საეპისკოპოსო



კათედრა, მათ შორის ხორძნა. ტარონი, მუში, ხაციუნი, მანციკერტი (მანასკერტი), არჭეში, არცკე, ამიუკი, ბერკრი, ვოსტანი ("„პრავასლავნაია ენციკლოპედია”, ტ. III, 2001, გვ. 300).

გეორგიკაში დაბეჭდილი ნოტიციების მიხედვით VII ს. ეპიფანე კვიპრელის შედგენილი ნუსხა კი ასეთია:

17. პოლემონის პონტოში (ნეოგესარიის მიტროპოლია)

ეპისკოპოსები

1. ტრაპეზუნტისა

3. პოლემონიონისა

2. კერასუნტისა

4. კომანისა

მიტროპოლიტი

27. ლაზიკეში

ფასიდის=ფასისის მიტროპოლიტი

ეპისკოპოსები:

1. ოოდოპოლისისა

3. პეტრისა

2. საესინის (აბისენისა)

4. ზიგანასი

ყველა ნოტიციის შეჯერებით მიღებულია:

მიტროპოლიტი

33. ტრაპეზუნტის მეტროპოლია ლაზიკეში, ლაზიკისა (გეორგიკა, IV, ნაწ. II, გვ. 184)

ეპისკოპოსები

1) ხერიანის

9) ხავიძიშის

2) ხამატურის (ხამატომატურის)

10) ხანძიორზის

3) ხახეის (ხალის, ხაონის, ხალხევის)

11) ოლნუტის

4) პაიპერის (პაიპერტის)

12) ფასიანის

5) კერამევის

13) (ტო)სერმან ძის

6) ლერიონის

14) ანდაკის

7) ბიზანის (ბიზანტის)

15) ზარინაკის

8) საკაბის

როგორც ვხედავთ, ლაზიკის საეპისკოპოსოების მომცველ მიწა-წყალს სომეხი მეცნიერები უწოდებენ „არმენიას“ და პირიქით ბიზანტიური საეკლესიო გეოგრაფია „ლაზიკას“, ამიტომაც უნდა გაირკვეს ლაზიკისა და არმენის გეოგრაფიული ურთიერთმიმართება. ამ საკითხის რკვევას ეძღვნება ქვემოთ სხვა-დასხვა თავები

## 8. IV ს-ვ ლაზიკა ეპიფანე ტანახუანტის საქანკეპ- კლეოსაკლეიო გთიანების

„ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკაში“, ბერძნული კათედრათა ნუსხების თანახმად, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, , მოიცავდა შემდეგ საეპისკოპოსოებს – ხერიანი, ხამუზური, ხალხევი, პაიპერი, კერამევი, ლერიონი, ბიზანტი, საკაბი, ხავიძიში, ხანძიორზი, ოლნუტი, ფასიანი, ტოსერმანძი, ანდაკი და ზარინაკი (გეორგიკა, IV, ნაკვ. II, 1952, გვ. 185, ნოტიცია III).

იმავე X საუკუნის Xა ნოტიციის მიხედვით, ესენია: ხერიანი, ხამაზრი, ხაიონი, პაიპერტი, კერამევი, ლერიონი და ბიზანი- საეპისკოპოსოები ლაზიკაში.



„პრავოსკლავნაია ენციკლოპედიაში“ დაბეჭდილი ეწ. „სომხურ-ქალკედონური“ ეპარქიის რუკის მიხედვით, ეს საეპისკოპოსოები ასე იწოდებიან: ლერიონი, შარიანი, გაილი, კერჩანისი, ზანი, ბაიბერდი, ბიზანა, ხორძინი, ოლნუტი, მრცუნი, ხაკოუნი და სხვა. (იხ. „პრავოსლ. ენციკ. III, 2001, გვ. 328).

აქედან აბსოლუტურად ემთხვევა სახელები 1) ლერიონი; 2) ბიზანა; 3) ოლნუტი და სხვა.

განვიხილოთ ამ თანხვედრილ საეპისკოპოსოთა ადგილმდებარეობა. ისინი განლაგებულნი იყვნენ ტრაპეზუნტ-ნიკოპოლის-სევასტია-მარტიროპოლისის შემაერთებული გზის (ტრაპეზუნტ-ვანის ტბის გზის) ეკონომიკურ რეგიონში, რომელშიც ჩართული იყო თეოდოსიოპოლისიც (ამჟამინდელი ტრაპიზონ-ერზრუმ-ალაზილი-თათვანის).

გზა ტრაპეზუნტიდან გაივლილა ჭანეთის რაიონში, გადაკვეთდა მდ. კელკიტს, შევიღოდა ევფრატისა და არაქსის სათავეების მომცველ ბასიანის (ფასიანის) რეგიონში და მიუახლოვდება ვანის ტბას – აქ იყვნენ განლაგებულნი აღნიშმული „ლაზიკის“ საეპისკოპოსოები, მაშასადამე, ლაზიკა ნოტიციების მიხედვით არის რეგიონი - ტრაპეზუნტ-ჭანიკა-ბასიანი, სომხური X საუკუნის დასახელებით ესენია კარინის (კარნუ-ქალაქის – აზზრუმის) და კაისიკის, ანუ ბასიანის რეგიონები. მაშასადამე, ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოები ლაზიკაში მდებარეობდნენ ტრაპეზუნტ-ვანის ტბის ვრცელ რეგიონში. ამ რეგიონში შედის ჭანიკაც. საინტერესოა, რატომ ერქვა ამ რეგიონს „ლაზიკა“ ანუ ბერძული საეკლესიო გეოგრაფია რატომ არქმევდა მას ლაზიკის ქვეყანას? როგორც აღინიშნა, საეკლესიო გეოგრაფია ასახავდა IV-V სს-ის ვითარებას, იმ ეპოქას, სანამ იუსტინიანე დაიპყრობდა ტრაპეზუნტის ჩრდილო ზღვისპირა – მხარეებს და დაარსებდა ქალაქ პეტრას. „ლაზები“ წყაროებში პირველად იხსენიებიან ბე. წ. I საუკუნეში მემონის „პერაკლეს ისტორიაში“; მის ცნობებს ლაზების შესახებ იმეორებდნენ პლინიუსი, პტოლემაიოსი, არიანე. ლაზები მათ მიხედვით დასახლებულნი ჩანან ტრაპეზუნტის მიდამოებში, იქ, სადაც სტრაბონი ასახელებს სანებს.

გ. მელიქიშვილის მოსაზრებით, ლაზები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთიანეთიდან შემდეგ გადასახლდნენ კოლხეთის სანაპირო ზოლში –. ისინი ერკვან ბარის ტყელ, ენით ახლოს მდგომ „მოსახლეობას“ (პროკოფი კესარიული, შენობათა შესახებ, 2006, ქ. შომბაშვილის კომენტარი, გვ. 38).

მაშასადამე, I-V სს-ში ლაზიკა ერქვა ტრაპიზონის სამხრეთ-აღმოსავლეთ მთიანეთს, იუსტინიანეს დაპყრობათა კვალდაკვალ ლაზიკა დაერქვა მის მეზობელ სანაპირო მხარესაც, ე.ი. საეკლესიო გეოგრაფია ასახავდა ძველ I-V სს.-თა ვითარებას.

## 9. პეტრე ენოდა ტრაპეზუნტის ეპარქიის „სამიტილიკოლიტო ლაზიკები“

ნოტიციების მიხედვით, „ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკაში“ მოიცავდა ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით ვანის ტბის მიმართულებით გადაშლილ ვრცელ მხარეს. რატომ ეწოდა მას (ამ მხარეს) ეკლესიურად ლაზიკა?

ძველი ბერძული და ლათინური წყაროებით, ტრაპეზუნტი კოლხების ქვეყანაში აგებული ქალაქი იყო. ის კოლხების მიწაზე დაუკარსებიათ სინოპელ მოახალშენებს.

კოლხები, პეროლოტეს ეპოქაში კიდევ უფრო სამხრეთით მდ. თერმილონტან ცხოვრობდნენ. ქსენეფონტეს დროს კი ტრაპეზუნტის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ეს ის მიმართულებაა, სადაც შემდგომში ლაზიკის სამიტროპოლიტოს იურისდიქცია განივრცო.

ქსენეფონტე ფასიანებს უწოდებდა მდ. არაქსის, ევფრატის და ჭოროხის სათავეებში მდებარე ქვეყნის მოსახლეობას. მართლაც, ტრაპეზუნტიდან არც თუ მოშორებით იღებდა სათავეს მდინარეები – ჭოროხი, ევფრატი და არაქსი. სამივე ამ მდინარეს, როგორც აღინიშნა, სათავეებში ფასისი ერქვა, ხოლო იქაურ მოსახლეობას „ფასიანები“. ეს სათავეებიც, ანუ ფასიანთა ქვეყანა (შემდგომში მის ერთ ნაწილს ბასიანი, ბერძულად კი ფასიანი ეწოდა) ლაზიკის ეპარქიაში იყო მოქცეული. როგორც ცნობილია, ამ მხარეებში



იწყებოდა მესხების იგივე კოლხების საცხოვრისი. მესხებისა და კოლხების ეთნიკური ერთგვაროვ ნების შესახებ მიუთითებდა ქრისტეშობამდე პეკატოს მიღებელი.

პეკატოს მიღებელის თანახმად, „კოლხები მოსხები არიან“ (Hecat. fr. 185, 188), ნ. კეჭაყმაძის სიტყვით, „კოლხი მესხია, კორაქსია, კოლაა. მოსხები კოლხთა ტომია, ანდრია მოციქულის აღწერაში „კოლხნი“ არ იხმარება. ეპიფანე კონსტანტინოპოლელის თხზულებაში (VIIIს) – „ანდრია მივიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში“ (პ. ინგოროვა, გორგი მერჩულე, 1954, გვ. 225). კოლხთა ტომის ძლიერების დაცვის შემდეგ ქვეყანაში გაბატონდნენ ლაზები. პროკოფი კესარიელი წერს – „ზოგიერთი ამბობს, რომ ტრაპეზუნტელთა მოსაზღვრენი არიან სანები (ჭანები) ან კოლხები, სხვანაირად ლაზებს რომ ეძახიან... კოლხები კი შეუძლებელია არ იყვნენ იგივე ლაზები, ვინაიდან ფასისის მდინარეზე მოსახლეობენ, ხოლო სახელი „კოლხები“ ამჟამად „ლაზთა“ სახელად შეიცვალა, წერდა პროკოფი, წიგნში – ომი გოთებთან, VIII, 1. (ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეჭაყმაძის კომენტარი, გვ. 73).

მაშასადამე, ყველა ბერძნული წყაროს ცნობით, კოლხები მოსახლეობდნენ ტრაპეზუნტთან, კოლხებს შემდეგ ლაზები ეწოდათ. ლაზიკის ეპარქიის დაარსების დროს ლაზები(იგივე კილხები, იგივე მოსხები) მოსახლეობდნენ ტრაპეზუნტის სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ვანის ტბის მიმართულებით, ამიტომაც აქ დაარსებული მრავალი საეპისკოპოსო შემდეგში გაერთიანდა კიდეც ლაზიკის სამიტროპოლიტოში, რომლის ცენტრი ტრაპეზუნტი იყო.

## 10. ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკაში

სად იყო ლაზიკა?

ნ.ადონცის კვლევის მიხედვით, საეკლესიო გეოგრაფია ასახავდა რომის იმპერიის ადმინისტრაციულ დაყოფის იმ მდგომარეობას, რაც ჩამოყალიბდა დიოკლეტიანეს და მისი უშუალო მემკვიდრეების დროს (ანუ ძირითადად ასახავდა IV ს-ის ვითარებას), მართალია, შემდგომ საუკუნეებში იცვლებოდა იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფის სახე, მაგრამ, როგორც ითქვა, საეკლესიო გეოგრაფია მაინც ასახავდა არა ახალ, არამედ ძველ ვითარებას.

ლაზიკა – საეკლესიო გეოგრაფიის მიხედვით, მოიცავდა კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსოთა ნუსხებში ჩამოთვლილ ტრაპეზუნტის (უფრო ადრე ფაზისის) სამიტროპოლიტოში შემავალ საეპისკოპოსოებს.

მათგან შედარებით ცნობილია ლერიონისა და ბიზანტიუმისა საეპისკოპოსოები. კარგადაა ცნობილი, თუ სად მდებარეობდნენ ეს ქალაქები – ტრაპეზუნტი, ლერიონი, ბიზანტიუმი და სხვა საეპისკოპოსოები. ისინი მდებარეობდნენ ისტორიულ ჭანეთსა და მის მიმდებარე რეგიონში მდ. ჭოროხის და კელკიტის (გაილმეტის) სათავეებში, ვიდრე არზრუებამდე (თეოდოსიოპოლისამდე) – ამ რეგიონში მდებარეობდა შემდგომი გუმიშხანეც – ისინი ყველანი ცნობილი ქალაქები არიან და მდებარეობენ ტრაპეზუნტის სამხრეთ-აღმოსავლეთით მთიან რეგიონში – მაშასადამე, ეს იყო „ლაზიკა“ საეკლესიო გეოგრაფიის მიხედვით. აქვე, ამავე ზოლშია პაიპერტის (ბაიბერდის) საეპისკოპოსო.

მაშასადამე, „ლაზიკა“ (ანუ ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკაში) მოიცავდა ისტორიულ ჭანეთს და მის მომიჯნავე ქართულ რეგიონებს.

აქედან გამომდინარე, ეწ. „სამიტროპოლიტო ლაზიკაში“ მდებარეობდა ტრაპეზუნტის სამხრეთ-აღმოსავლეთი მდინარე კელკიტის, ვეფრატის სათავის, ჭოროხის სათავის, არაქსის სათავის მომცველ რეგიონში ვიდრე თეოდოსიოპოლისამდე (არზრუები).

VII მსოფლიო კრების ხელისმომწერი ტრაპეზუნტელი მიტროპოლიტი რამდენჯერმე აღნიშნავს კრების ოქმში, რომ ტრაპეზუნტი და ფაზისი არის ერთი და იგივე ქალაქი. ის წერს: „მიტროპოლიტი ფასიდისა ანუ ტრაპეზუნტისა“. ფასიდი-ფადისა-ფასისი იყო მრავალი (ეს სახელი ფასისი ერქვა ასევე მრავალ მდინარეს, მათ შორის არაქსს, ჭოროხს და რიონს), ერთეული ყოფილა თვით ტრაპეზუნტი ან ტრაპეზუნტთან ახლოს. არაბთა მიერ ბიზანტიური მიწების დაპყრობის დროს ფასისის სამიტროპოლიტოს



ზოგიერთი საეპისკოპოსო ქალაქი, ჩანს, მოექცა კიდეც არაბთა მფლობელობაში. X საუკუნის ბოლოს ბიზანტიის იმპერიამ დაიბრუნა ტერიტორიები აღმოსავლეთით, მაგალითად XI საუკუნის დასაწყისში ბათქერდის საეპისკოპოსო, ასევე ლერიონის საეპისკოპოსო, მაგრამ ბიზანის და ხორძნის საეპისკოპოსოები არაბთა ხელქვეშ იყო. ამ პროცესს ასახავდა ოურისდიქციაც – შესაბამისად იმისა, თუ როგორ ფართოვდებოდა ბიზანტიის იმპერია – ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოც ზრდიდა თავისი ქალაქების რიცხვს (იბრუნებდა ამ ქალაქებს). აღსანიშნავია, რომ არაბულ მიწებზე მდებარე საეპისკოპოსოები – ანტიოქიის პატრიარქის იურისდიქციაში ექცევდა. მაგალითად, ტაოში კალმახის და ფანასკერტის საეპისკოპოსოები ანტიოქიის ხელქვეშ ყოფილა. ტაო კი „ქართველთა სამეფოს“ ანუ სამხრეთ იბერიის ცენტრლური ოლქი იყო, იქ თუ ანტიოქიას თავისი საეპისკოპოსოები ჰქონდა, ცხადია იდავებდა საქართველოს ეკლესიასთან, რათა შეენარჩუნებინა თავის იურისდიქციაში ეს ეპარქიები საქართველოს სახელმწიფოს გაერთიანების პროცესის კვალდაკვალ.

ჩანს ანტიოქიამ ამ ქართულ მიწაწყალზე თავისი საეპისკოპოსოები დაარსა არაბობის ეპოქაში. იქამდეც ეს მიწაწყალი ბიზანტიის მიერ იყო ხელდებული.

საფიქრებელია, რომ არაბებმა ტაოში კონსტანტინოპოლის საქმიანობა შეაფერხეს, მაგრამ ანტიოქია ნაკლებად შეზღუდეს, ამიტომაც ტაოში ანტიოქიის იურისდიქციაში მოექცა კალმახისა და ფანასკერტის საეპისკოპოსოები.

ისიცაა შესაძლებელი, რომ ტაოს მისახლეობის ერივნულ-ქართული იდენტობის აღორძინებამ.

სომხური ეკლესია 726 წლის მანასეგრტის კრების შემდეგ მტკიცედ მიემსრო მონოფიზიტურ ორიენტაციას რამაც გააღიზანა ტაოს ამ საეპისკოპოთა მართლმადიდებლები. ისინი გამოვიდნენ სომხური ეკლესის იურისდიქციიდან და ექვდნენ მახლობელ მართლმადიდებლურ ცენტრს, რათ მის იურისდიქციაში შესულიყვნენ. ასეთი კი აღმოჩნდა ტერიტორიულად მათთვის უახლოესი არზრუმის ანტიოქიური საეკლესიო ცენტრი, რომლის მეცადინეობით კალმახისა და ფანასკერტის მარლმადიდებლური ეპარქიები აღმოჩნდნენ ანტიოქიის ხელქვეშ.

ხოლო მას შემდეგ რაც ვინაობაგალვიძებული ტაოს სხვა სამრევლოებმა გადაწყვიტეს საქართველოს ეკლესიასთან გაერთიანება კალმახ-ფანასკერტის სამრევლოებმაც იგივე გადაწყვიტეს, ანუ გამოსვლა ანტიოქიის იურისდიქციიდან და შესვლა მცხეთის იურისდიქციაში; რამაც დაბაბულობათა მთელი პროცესები წარმოშვა წმინდაში მთაწმიდელის დროს ანტიოქიისა და საქართველოს საპატრიარქოებს შორის.

იშხნის ტაძრის კედლის ერთერთი წარწერა, რომ ერთერთი იშხნელი ეპისკოპოსის კურთხევაში კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შემავლ ტრაპეზუნტელ მიტროპოლიტს მიუღია მონაწილეობა-მიუთითებს, რომ ტაოს მართლმადიდებელი მრევლი აქტიურად ექცევა სამუალებებს, რათა კანონიკური სამართლის შესაბამისი სახე ჰქონდა სომხური საეკლესიო უღლისაგან გათავისუფლებას და სურდა რაც შეიძლება მეტი ურთიერთობა ჰქონდა შოთარი მართლმადიდებელ ცენტრებთან, თუმცა კი ცხადია მათთვის ერივნულ ქართულ ეკლესიაში უკვე დიდი ხნის გაერთიანებული იყო.

## 11. ლაზი სამათებროს სამათებროს მომენტები

კონსტანტინოპოლის ლაზიერის საეპისკოპოსოთა განხილვის დროს ქართველი ისტორიკოსები ახ-სენებენ მხოლოდ ოთხ საეპისკოპოსოს ფასისის სამიტროპოლიტოში (როდოპოლისისა, საისინისა (აბისენისა), პეტრისა და ძიგანევისა), მაგრამ თვალს ხუჭავენ და თთოქმის არასოდეს ახსენებენ ნუსხებში ჩამოთვლილ ლაზიერის ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს სხვა ეპარქიებს. ესენია: ზერიანი, ხამაძური, ხახეი (ხალხევი), პაიპერტი, კერამევი, ლერიონისის, ბიზანის, სიკამის, ხავიძიტის, ხანძიორზის, ოლნუტის, ფასინის, ტოსერანძის, ანდაკის და ზარინაკის.

ტრაპეზუნტი, იქამდე, სანამ მას ფასისის ეპარქიაშეუერთდებოდა, შედიოდა პოლემონის პონტოს ანუ ნეოკესარიის მიტროპოლიტის კერასუნტთან და კოგანასთან ერთად.



ნ.ადონცის აზრით ზიგანას, როდოპოლისისა, აისინისა და პეტრას საეპისკოპოსოები ტრაპეზუნტსა და თეოდოსოპოლისს შეა მდებარეობდნენ. ე. ფასისის ეპარქია იწყებოდა უშუალოდ ქ. ტრაპიზონიდან და მოიცავდა მიმდებარე მთიან რეგიონს, რომელიც რომაელ-ბიზანტიულთა მიერ მიეკუთვნებოდა ლაზიკა – ჭანიკას. მოიცავდა ფასის-არაქსისა და ფასის-ჭოროხის სათავეებს.

შემდეგ ეს ეპარქია დაექვემდებარა ტრაპეზუნტს, ანუ თუ იქამდე ტრაპეზუნტი სხვა ეპარქიაში შედიოდა, ახლა თვით იქცა ლაზიკის ეპარქიის ცენტრად, ლაზიკის ქვეყანაში სამიტროპოლიტო ქალაქად და მას დაექვემდებარა იქამდე ფასისის ანუ ჭანიკის ეპარქია, ლაზიკას იქამდე თუ მხოლოდ ოთხი საეპისკოპოსო გააჩნდა, დროთა ვითარებაში არაბებისაგან მიწების გათავისუფლებასთან ერთად, მისი საეპისკოპოსოების რიცხვი გაიზარდა და მიწა-წყალი გაფართოვდა. მისმა იურისდიქციამ კვლავ მიაღწია მდ. ფასისამდე ანუ არაქსამდე და შემდეგ თითქმის ვანის ტბამდე.

## 12. საქ ჯიშაპიოგების ლაზიკის გერმანიული საქაისპოვოსოები?

XX ს-ის ქართულ ისტორიოგრაფიაში მტკიცედ დამკვიდრდა თვალსაზრისი, რომ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში VI-IX სს-ში შემავალი პეტრას, როდოპოლისის, ზიგანასა და საისინის საეპისკოპოსოები განლაგებულნი იყვნენ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, თითქოსდა როდოპოლისი ეწოდებოდა ვარციხეს (ქუთაისთან), ზიგანა, რატომლაც ზიგინევად იქნა სახელდებული (XX ს-ში) და თითქოსდა ის მდებარეობდა მდ. ენგურის ხეობაში ზღვისპირას (გუდაყვა), ხოლო საისინი ცაიში იყო.

წყაროების კვლევა უზვენებს მდ. რიონისა და მით უმეტესს ენგურის ხეობები მოქალაქობრივად (ცივილურად) არ იყვნენ იმდენად განვითარებულნი, რომ აქ ბერძნული საეპისკოპოსოების დაარსებისათვის შესაბამოსი პირობები ყოფილიყო შექმნილი.

სინამდვილეში, როგორც წყაროების დეტალური ანალიზი აჩვენებს, ზიგანას, საისინისა და როდოპოლისის საეპისკოპოსოები მოქცეული იყვნენ ისტორიულ „ლაზიკაში“, კერძოდ კი ქ. ტრაპიზონის რეგიონში.

6. ადონცის კვლევის თანახმად ზიგანას საეპისკოპოსო მდებარეობდა ტრაპიზონიდან 40-50 კმ მანძილზე დაშორებით, ამჟამადაც კი ეს სახელწოდება აქ შემორჩენილია, კერძოდ ტრაპიზონთან ახლოს მდებარეობს ქედი „ზიგანა-დაგლარი“, რომელიც ტრაპიზონის სამხრეთ-აღმოსავლეთითა გადაჭიმულია. ამ ქედის სიგრძე 60-70 კმ-ია და ტრაპიზონ-გიუმიშხანეს შორის ვრცელ რეგიონს ქმნის, რომელშიც მრავალი ქალაქი, სოფელი, მთა, მდელო და მდინარეა. ასე, რომ აქ რამდენიმე ქალაქს შეიძლებოდა კიდეც ზიგანა ერქვა, 6. ადონცი სახელდებით მიუთითებს კიდეც ამ რეგიონში ზიგანას საეპისკოპოსო ცენტრის შესახებ. საეკლესიო კანონების შესაბამისად საეპისკოპოსო ცენტრები მხოლოდ ქალაქებში არსებობდა, ლაზიკაც არ იქნებოდა გამონაკლისი. ტრაპიზონის რეგიონში ანუ ისტორიულ ლაზიკაში მრავალი სავაჭრო ცენტრი ანუ იმ დროისათვის ქალაქური ტიპის დასახლება იყო, სადაც შეიძლებოდა საეპისკოპოსო ცენტრის დაარსება. ხოლო რაც შეეხება მდ. ენგურის სიახლოვეს „ზიგანევის“ დასახლებას, არც წყაროები და არც არქოლოგიური მასალა მის ნამდვილობის შესახებ საფუძველს არ გვაძლევს.

როდოპოლისის საეპისკოპოსოდ XX ს. საბჭოთა ისტორიკოსებმა დაამკვიდრეს თვალსაზრისი, რომ ეს იყო ვარციხე, ქუთაისთან ახლოს. სინამდვილეში კი, როდოპოლისის ცნობილი სამიტროპოლიტო ზიგანას აღმოსავლეთით იყო.



## 13. ლაზების სამოტილობის დოდ ანუ ყოველ იგადინა

სტრაბონის ცნობით, თავდაპირველად არმენია მცირე ქვეყანა ყოფილა და ის სხვადასხვა ქვეყნების დაპყრობის შედეგად გაზრდილა, ძირითადად კი იბერიის ტერიტორიებით, როგორც ითქვა, ძვ.წ. II ს-ში არმენიას იბერიისაგან მოუტაცია გუგარქი, პარიადრის კალთები და ხორმენა.

გუგარქი, თანამედროვე სომხური ისტორიოგრაფიის შესაბამისად, იყო ვრცელი მხარე, გადაჭიმული თბილისის ქვემოდან – ვიდრე ჭოროხსამდე და ზოგჯერ მის მარცხნა სანაპირომდე.

სამხრეთით, არაქსი შემდეგაც ითვლებოდა იბერია-არმენიის საზღვრად. უფრო სავარაუდოა, რომ არმენიამ იბერიას წაართვა ტერიტორიები კიდევ უფრო სამხრეთით, კერძოდ კი ვანის ტბისკენ. აქამდე აღწევდა პარიადრის, ანუ მოსხის მთები, ვახუშტის ეს მთები ეგულება ვალაშკერტთან.

სტრაბონის ცნობით თავდაპირველ ტერიტორიულად მცირე არმენიას ქრისტეშობამდე II საუკუნეში დაუპყრია ძალზე ვრცელი მხარეები ყველა მიმართულებით, ჩრდილო-აღმოსავლეთით მას დაუპყრია ეწ. შემდგომი სპარსული არმენიის დიდი ნაწილი, რომელიც, ჩანს, იქამდე იბერიას ეკუთვნოდა. კერძოდ, მიწა-წყალი ვანის ტბიდან ვიდრე ტრაპეზუნტამდე და ჩრდილოეთით არაქსამდე და მტკვრამდე. ამ ვრცელ მიწა-წყალზე ქართველობა იყო მკვიდრი მოსახლეობა, რომელიც ამ დაპყრობის შედეგად არმენიზაციას განიცდიდა, თუმცა ქართველთა ერთ ნაწილს ეროვნული შემეცნება არ დაუკარგავს, ამის გამო X ს-ში ტაოს სამეფო განივრცო ვანის ტბამდე, ხოლო ბიზანტიამ კი საეკლესიო ოლქს ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე – „ლაზიკის სამიტროპოლიტო“ დაარქება.

## 14. ეპლასტიკი ლაზების განის ტექშე

ბერძნული წყაროების თანახმად, VI ს-ის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველო იყო სპარსეთის ხელში. ჩვენს მიერ გარკვეულია, რომ სპარსეთის მეფე ხოსროს დასავლეთ საქართველოში არ ულაშქრია. ის პეტრას მიადგა არა ლიხის ქედის მხრიდან, არამედ არტანი-არტანუჯის გზით, თეოდოსიოპოლის-დვინის მხრიდან. იგი მიადგა არსანის ქედს, რომელიც გადალახა არტანუჯის გზით და შემდგომ ჭოროხის გაყოლებით მიადგა პეტრას. ეს გზა უმოკლესია იმ მიმართულებით, სადაც იდგა ამ ომის წის სპარსეთის ლაშქარი. ჯარისთვის არა მხოლოდ უსარგებლო იქნებოდა შორი ლიხის ქედის და მთელი დასავლეთ საქართველოს გავლით შესულიყო პეტრაში, არამედ არარაციონალურიც. ამას ვერც აიტანდა სპარსული ლაშქარი, თუნდაც დასავლეთ საქართველოს ჭაობების ციებ-ცხელების გამო.

ცნობილია, რომ ქვეყანა პეტრასთან, რომელიც სპარსულმა ლაშქარმა გაიარა, ლაზიკად იწოდებოდა. პროკოფი კესარიელის დაბეჯითებული ცნობებით, ეს იყო კლდოვანი მხარე, როგორიცაა, მართლაც, არტანი-არტანუჯ-ჭოროხის ის მხარეები, სადაც გაიარა, ჩვენი აზრით, ხოსრომ და სწორედ ეს მხარე იწოდებოდა ლაზიკად (ზღვისპირა ზუფათ-რიზესთან ერთად). ნ. ადონცის და ინგოროვებას კვლევითაც, აღნიშნული მხარე (ე.ი. კლარჯეთი და ე.წ. „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი“) ლაზიკას ეკუთვნოდა.

საზღვარი ბიზანტიასა და საქართველოს შორის, ჩანს, ხუფათზე იდო (ხოფთან), რაღაც „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი“ საქართველოში შემოდიოდა. საქართველოს მეორე ჩრდილოეთის საზღვარი კი იდო მდინარე კლისურაზე (ცხეუმთან).

VI საუკუნეში, როცა სპარსეთმა იბერია დაიპყრო, მთელი იბერია მის ხელში აღმოჩნდა აღნიშნულ საზღვრებამდე. ამიტომაც ნ. ადონცის ცნობით, ბიზანტიის საზღვარი იუსტინიანეს მეფობის დასაწყისში გადიოდა რიზესთან ახლოს. იუსტინიანეს დასჭირდა ომი და ძალისხმევა, რათა ბიზანტიის საზღვარი გადაეტანა ჭოროხის შესართავამდე, სადაც მან პეტრას ციხე ააგო.

ყოველივე აღნიშნული გვესაჭიროება ლაზიკის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის. იქამდე, ანუ



თუსტინიანეს მეფობის დასაწყისში, როცა იმპერიის საზღვარი რიზესთან იყო, ლაზიკა ერქვა ტერიტორიას ტრაპეზუნტის მაღლა — ზიგანადან რიზემდე. ეს იყო ძველი ლაზიკა, მაგრამ რადგანაც ადმინისტრაციულად ის შეიყვანეს სხვა პროვინციაში მისი სახელი დაიჩრდილა, შესაბამისად, თუსტინიანეს დროს გაჩნდა ახალი ლაზიკა. ეს იყო რიზედან ჭოროხამდე მოქცეული ახლადდაპყრობილი ტერიტორია კლარჯეთის ჩათვლით. ერთი სიტყვით, ლაზიკა დაერქვა ახალ მიწებსაც, რომელიც კონტროლდებოდა პეტრას ციხით. ეს ჩანს თუსტინიანეს ნოველიდანაც, ლაზიკისა და ჭანეთის შესახებ. სწორი იყო ნ. ადონცი, რომ „ლაზიკეში“ ფაზისის მიტროპოლიტის საქაპისკოპოსოები — როდოპოლისისა, საისინისა, პეტრასი და ზიგანასი მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ტრაპეზუნტის მთიანეთში, ცნობილ ქალაქ ზიგანას რეგიონში. ამ ქვეყნას ერქვა კიდეც იმუმად ეკლესიურად ლაზიკა, ე.ი. მხარეს ზიგანას ჩათვლით. ხოლო მას შემდეგ, რაც თუსტინიანემ რიზეს ჩრდილოეთით ვიდრე ჭოროხამდე ტერიტორიები მოუერთა თავის იმპერიას — ამ ახალ მიწებსაც „ლაზიკის“ სახელი მიეკუთვნა (ეს მიტაცება მიწისა სპარსეთმა თავის წინააღმდეგ მიმართულ საქმედ მიიჩნია, რადგანაც იბერიის პოლიტიკური მემკვიდრეობა დასაკუთრებული ჰქონდა. იბერიის საზღვარი კი ბიზანტიასთან, როგორც აღინიშნა, ხუფათთან (ხოფთან) გადიოდა. მისი გადალახვა სპარსეთის საწინააღმდევოო ქმდება იყო. შემდგომ საუკუნეებში, არაბების შემოსევის შემდეგ ბიზანტიამ დაკარგა ტერიტორიები ეწ. „მაღალ არმენიასა“ და, საერთოდ, „დიდ არმენიაში“. დასავლეთ არმენიაში გაერთიანებული იყო ძველი ქართული მიწები. არაბებისაგან გათავისუფლების შემდეგ, ვრცელი მიწა-წყალი ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე, ეკლესიური თვალსაზრისით „ლაზიკად“ იწოდა, რადგანაც მისი ძირითადი ნაწილი გახდა ეწ. „ძველი ლაზიკა“-ტრაპეზუნტის მთიანეთი. მართლაც შემდგომში მიტროპოლიტი, „ტრაპეზუნტისა ლაზიკაში“ თავისი კათედრებით ამ ვრცელ ტერიტორიაზე იყო განვითილი (ტრაპეზუნტიდან თითქმის ვანის ტბამდე). მაშასადამე, ეკლესიური თვალსაზრისით, კონსტანტინოპოლი ლაზიკას უწოდებდა ვრცელ ტერიტორიას ჭოროხის შესართავიდან ტრაპეზუნტიმდე და ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე. ამ ერთგვარი რკალის შიგნით მოქცეული იყო საქართველოს საპატრიარქოს საეპისკოპოსოები. მაშასადამე, აღნიშნულ ტერიტორიაზე, ჭოროხის შესართავიდან ტრაპეზუნტამდე და ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე, ხორციელდებოდა ორი მართლმადიდებლური იურისდიქცია — კონსტანტინოპოლისა და მცხეთისა, ანტიოქიასაც, როგორც მიიჩნევა, აქ რამდენიმე ეკლესია ეკუთვნოდა.

## 15. „დიდი ლაზი“

ბიზანტიის რღვევის შედეგად შექმნილი ტრაპეზუნტის იმპერია დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ ერთეულებად. ს. კარპოვის თანახმად ტრაპეზუნტის იმპერია წარმოადგენდა ასე ვთქვათ „გენეტიკურ“ მემკვიდრეს ძველი იმპერიის ადმინისტრაციულ ერთეულ „ქალდის თემისა“. ეს ახალი სახელმწიფო მას თითქოს და ჩაენაცვლა.

დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით ტრაპეზუნტის იმპერია შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებად იყო დაყოფილი — „ფილაბონიტი“ (მდ. ხარტიმდერე), ტრიკომია, ტრაპეზუნტი, მაჩკა, პალეომაჩკა, გემურა, სირმენა, რიზე, ხოლო სამხრეთიდან ამ იმპერიას იყვალ გამაგრებული რაონი, რომელსაც წილდებოდა, დიდი ლაზის „თემი/უემა“ (ს. კარპოვი, ტრაპეზუნტის იმპერიის ისტორია, 2007, გვ. 159 რუს. ენაზე).

ს. კარპოვის აზრით ტრაპეზუნტის სამხრეთით მდებარე მთიან რაიონს, რომელშიც შედიოდა ზიგანაც, ეწოდა „დიდი ლაზი“, მის გამო, რომ ეს იყო ამ ქვეყნის ძველი სახელი (იქვევ. გვ. 160).

„დიდი ლაზი“ (ერთერთი ადმინისტრაციული ერთეული ტრაპეზუნტის იმპერიისა) გამოირჩეოდა კარგი მებრძოლი ჯარით. ხვარაზმის შაპთან ქართველთა ომისას ეს ჯარი საქართველოს მხარეს იდგა (იქვევ. გვ. 364).

მაშასადამე სახელი „დიდი ლაზი“-ძველი სახელწოდებაა ტრაპეზუნტის სამხრეთით მდებარე მთიანი რეგიონისა და ბოლომდე შეინარჩუნა ეს სახელი. თავდაპირველად ეს სახელი გამოჩნდა ეკლესიურად, რადგანაც აქ იყვნენ განლაგებული ლაზი ეპისკოპოსების კათედრებიზიგანა, როდპოლისი, სასინი და პეტრა. არაბთა შემდეგ და განსაკუთრებით ტრაპეზუნტის იმ-



პერიოდის არსებობისას სახელი ლაზია ოფიციალურ სახელად იქცა(„დიდი ლაზია“). ოსმალთა ეპოქაში ეს სახელი უფრო განივრცო ლაზისტანის ფორმით.

## 16. შესტატის საპათიაკოსოს შექმნის ზამოცანა

საზოგადოდ მიიჩნევა, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს გააჩნდა დიდი საეკლესიო წარსული - მოციქულებიდან ვიდრე IV საუკუნის ბიჭვინთელ ეპისკოპოსმდე, რომელიც თითქოსდა მონაწილეობდა I მსაოცლიო კრებაში.

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა ცნობილი პიტია ანუ პიტიუსი, პიტიუნტი, რომლის ეპისკოპოსი მონაწილეობდა მსოფლიო კრებაში მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ ქართველთა ძეველ სამშობლოში ტრაპეზუნტის რევიონში, სადაც IV ს-მდეც მდებარეობდა ქალაქი პიტია, აქვე იმავე ოლქში და არა აფხაზეთში მდებარეობდა ცნობილი ციხე-სიმაგრე სებასტოპოლისი, როგორც იუსტინიანე ახსენებს თავის ნოველებში.

თუ ეს ასეა, მაშინ აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმომაბა არ უკავშირდება აფხაზეთის ადგილობრივ რაიმე ძეველ საეკლესიო წარმონაქმნს. პირიქით, აფხაზეთის საკათალიკოსოს იმთავითვე ქართულენოვნება, საკათალიკოსოს მრევლის ქართული თვითშემცენება, მღვდელმთავართა ქართულ-პატრიოტული სულისკვეთება, ის წვლილი, რომელიც აფხაზეთის საკათალიკოსოს მოღვაწე მამებმა შეიტანეს ქართული საეკლესიო კულტურის ჩამოყალიბება- გავრცელების საქმეში (მათგან ერთერთი სამაგალითოა იოანე მანჩხი), ანდა ის წვლილი, რომელიც აფხაზეთის მღვდელმთავრებს შეჰქონდა ქართული სახელმწიფოებრიობის განსამგებელი ბლად (მაგალითად ჭყონდიდელები) გვაფიქრებინებს, რომ აფხაზეთის საეკლესიო წარსული მცხოვასთან (ანუ ერთიან ქართულ კლესისთან) იყო დაკავშირებული IV საუკუნიდანვე, VIII საუკუნიდან კი მისი თავისთავადობა პოლიტიკური გარემოს ცვლილების ანარეკლი უნდა იყოს.

ქართული წყაროების თანახმად ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარებისას (მეფე მირიანის დროს) ქართლის სამეფოს საზღვარი დასავლეთ საქართველოში გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე, შემდეგ ვახტანგ გორგასლის დროს ეს საზღვარი უფრო ჩრდილოეთით მდ. კლისურაზე გავიდა. ამ ცნობის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ (აღნიშნულ საზღვრამდე) მირიანის დროს მიიღო ქრისტეს ნათელი.

რუს-ურბნისის კრების ძეგლისწერა დაბეჯითებით მიუთითებს ამის შესახებ - „წმიდა ნინომ ნათელი სცა ყოველთა ქართველთა“.

აღსანიშნავია, რომ გელასი კესარიელიც მიუთითებს, რომ წმიდა ნინომ გააქრისტიანა „იბერები და ლაზები“. საკვლევია, მისი აღნიშნული „ლაზები“ დასავლეთ საქართველოში თუ ტრაპეზუნტის რევიონში ცხოვრობდნენ, მაგრამ მაინც ეს ცნობა საინტერესოა იმით, რომ მისი აზრით წმიდა ნინოს მოღვაწეობის არეალი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მხარეებით და ის პონტოს ზღვისპირეთის მოსახლეობასაც ნათლავდა. ვახტანგ გორგასლის დროს ქართლისა და მისი ეკლესის გავლენა კიდევ უფრო განმტკიცდა დასავლეთ საქართველოში. ვითარება შეიცვალა VI საუკუნეში - ბიზანტიამ და სპარსეთმა ერთმანეთს შორის გაიაწილეს ყოფილი ქართლის სამეფოს მიწები. დასავლეთ საქართველოზე მათი დავა თითქმის საუკუნე გაგრძელდა. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა სასტიკად ისჯებოდა ბიზანტიელთა მიერ სპარსელი ორიენტაციისათვის (აღბათ ასევე იყო სპარსელთა მხრივაც). პროკოფი კესარიელისა და სხვა წყაროთა ცნობებით დასავლეთ საქართველოში ტარდებოდა უსასტიკესი სამხედრო ექსპედიციები. ბიზანტიელი ჯარისკაცები ხოცავდნენ და სპობდნენ მოელ ტომებს, არ ინდობდნენ ქალებსა და ბავშვებსაც. ამ დროს როგორც ჩანს, მოხდა მოსახლეობის გარკვეული გადაადგილება, წანაცვლება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. სავარაუდოა, რომ რიონის ბარის მოსახლეობამ გარკვეულწილად წაინაცვლა აფხაზეთისაკენ, კერძოდ ბიჭვინთის რეგიონისკენ. ეს ნაწაცვლება სავარაუდოდ უფრო VII საუკუნეში უნდა მომხდარიყო. შეიძლება ამას ჰერაკლე კეისრის ლაშქრობებმაც შეუწყო ხელი.

მ. ქურდიანის კვლევით აბაზების თვითსახელწოდება უკავშირდება აბაშას. აბაშ-გი = აბას-გი იგივე



აბაზები = აბაზები (იგივე, რაც აბაში). ჩემი კვლევით, ფუძე „აბაშ“ აღნიშნავს ვაკე, გაშლილ ადგილს, ასეთია რიონის ხეობა აბაშა-გაშლილი ტერიტორია სამტრედიდან ქუთაისამდე. ამ ვაკე ადგილას მაცხოვრებელი ქართველების სახელი უნდა ყოფილიყო აბაში (აბაზი), აბაზები (აღბათ აქედან აბაზი).

აბაზეთა ქართულენოვანი ტომი, ჩანს VII საუკუნეში გადასახლდა აღანებისაგან გათავისუფლებულ აფხაზეთში. საფიქრებელია, რომ მომთაბარე აღანები, რომელთაც მხარს ბიზანტია უჭერდა, VIII საუკუნი-სათვის უკვე განდევნილი იყვნენ შემდეგადროინდელი აფხაზეთიდან ხაზარების მიერ. ცხადია, ეს აღანი მეომრები ბიზანტიელებთან ერთად იყვნენ დამპყრობელთა ზედა ფენა, ქვედა ფენა კი ადგილობრივი (ქართულენოვანი) მოსახლეობა იყო.

ქვენის გათავისუფლების შემდეგ გაძლიერდა აფხაზთა ქართული ტომი აფხაზეთში, მათ ადვილად შეძლეს გავლენის გარკვეულება დასავლეთ საქართველოში, სადაც ცხადია მათი თანამეტომე ქართველობა ცხოვრობდა და გააგრძელეს ქართულ ეკლესიასთან IV საუკუნიდანვე არსებული იერარქიული ურთიერთობა ,ამასთანავე VIII ს.-დან დაარსეს ქართულენოვანი სახელმწიფო, რაღვანაც მათი დედა ენა იყო ქართული ენა უკვე VIII საუკუნიდანვე ადვილად მოიპოვეს ჰეგემონობა ქართულ სამყაროში. შესაძლოა ეს აბაზები რიონის ხეობაში ფაზისის (არაქსის) ხეობიდან, ბასიანიდან ჩასახლდნენ. ბასიანელები კი ტომობრივად მესხები იყვნენ. ძველი აფხაზების მესხობა პავლე ინგოროვებდნ დამაჯერებლად გამოიკვლია.

ბიჭვინთა აფხაზეთის საუკლესიო ცენტრი უნდა გამზდარიყო მეათე საუკუნის შემდეგ, ამ დროისათვის გაქრისტიანდნენ აღანები. წინა საუკუნებში აღანთა მომთაბარე ერთერთი ტომი ბიზანტიელთა ხელშეწყობით გაბატონებული იყო ქართულ ტერიტორიაზე კლისურიდან მდ. ჭუბანამდე. VIII საუკუნეში აქედან ისინი ხაზარებმა გააძევეს და ქართველები(აფხაზები) აქ კვლავ იქცნენ ჰეგემონებად, მაგრამ X საუკუნისათვის ხაზართა დასუსტებამ და აღანთა გაქრისტიანებამ იმედი ჩაუსახა ბიზანტიას, ეკლესიურად მაინც დაბრუნებულიყო აფხაზეთში და იქ განელავებინა აღანთა საეპისკოპოსო კათედრები.

კონსტანტინოპოლის პატრიარქი თავის წერილებში ეველგებოდა აფხაზთა მეფეებს ყურადღება მიექციათ აღანთა ეპისკოპოსებისათვის. აფხაზთა მეფეებმა კი ე.წ. „აფხაზეთის აღანიაში“, იქ სადაც ჩანს იგეგმებოდა აღანთა საეპისკოპოსო კათედრის დაფუძნება, დაარსეს ქართული ეკლესის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი-ბიჭვინთის საკათალიკოსო კათედრა და რამდენიმე ქართული საეპისკოპოსო კათედრა დასავლეთ საქართველოში.

## 17. „არიან-ქართლი“ - ლიქიდის სამოტილოების

### 0სტოქიული საჭურველი

(შეცვალის 20ებრაული 0სტოქიული კლარჯემი 08031 ლიქიდი)

„ხოლო ბაიბურდსა და ფორჩხას სამხრით, ჭანეთის მთას იქით, არს ჭანეთი, და აწ უწოდებენ ლაზსავე - გონიოდან ტრაპიზონის სამზღვრამდე“ (ქ.ტ. IV, 68). ზოგიერთი წყაროს მინიშნება იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ რეგიონში რომელიც შემდგომ ლაზიკის ეპარქიამ მოიცვა, მდებარეობდა არიან-ქართლი. ქრისტეშობამდე III საუკუნეში, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში, „მოქცევაი ქართლისას“ ცნობით არიან-ქართლის მეფის ძე აზონი თავის თანმხლებ დიდებულებთან და ერთან ერთად გადავიდა უფრო ჩრდილოეთით, და იქ ახალი სამეფო ჩამოაყალიბა. ამ წყაროს ცნობით არსებობდა ორი ქართლი. ერთი იყო მცხეთის ქართლი - თავისი საზღვრებით და დინასტიით, მეორე კი არიან-ქართლი - აზონის მამის სამეფო. ორივე ეს სახელმწიფო - ქართულენოვანი მოსახლეობით ყოფილა დასახლებული, ამის შესახებ წერს არსენ ბერი - „ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და ენა მათი ვუწყით“ (არსენ ბერი, წმიდა ნინოს ცხოვრება).

ვახუშტის ცნობით, სამცხე-საათაბაგო განიყოფებოდა სამ ნაწილად, მათ შორის ორი იყო



ქართლოს-ფარნავაზის წილი ქვეყნები (ე.ი. მცხეთის გამგებლობაში შედიოდა), ხოლო მესამე კი, კლარჯეთი, არ იყო ქართლოს-ფარნავაზის წილი, არამედ იყო აზონის მამული ქვეყანა (ანუ არიან-ქართლში შედიოდა).

კლარჯეთი „აზონის წილი ქვეყანა“ იყო, მაშასადამე „არიან-ქართლის“ სამეფოს ნაწილი, შესაბამისად მისი მოსახლეობა ეთნიკურად იყო „არიან-ქართველი“.

კოთხვას თუ რატომ ეწოდებოდა ტაო-კლარჯეთის სამეფოს „ქართველთა სამეფო“, შეიძლება ვუპასუხოთ, რომ ის იყო ისტორიული „არიან-ქართლის“ ნაწილი, ქართული მოსახლეობით, ანუ ისტორიული არიან-ქართველებით დასახლებული.

ვახუშტი, როგორც ითქვა, წერს სამცხე-საათაბაგოს შესახებ - „ხოლო გამეფდა რა ფარნაოზ და დაიპყრა ყოველი საქართველო, ამან ფარნაოზ დასხნა ერისთავნი თვისინი: ერთი ოძრახოსს (და მისცა წილი ოძრახოსი), მეორე წუნას (და მისცა წილი ჯავახოსი), მესამე კლარჯეთს (და მისცა სრულიად რომელი თვით დაიპყრა)“ (ქ. ც. IV, 1973, გვ. 691).

მაშასადამე კლარჯეთი არ იყო მცხეთის სამამასახლისოს ანუ ქართლოსის სამემკვიდრეო მამული, არამედ იყო აზონის მამისეული ქვეყანა და მას ფარნავაზი აზონის დამარცხების შემდეგ დაუუფლა. ამის შესახებ წერს კიდეც ვახუშტი ქვემოთ.

აზონის მამულ ქვეყანას „არიან-ქართლი“ ერქვა ქრისტეშობამდე IV-III სს.-ში, ის შემდგომ ძვ.წ. II ს. -ში არმენიამ დაიპყრო, სტრაბონის სიტყვით იბერიას არმენიამ წაართვა ვრცელი ქვეყნები - გოგარენი, პარადრეს კალთები და ხორბენე. კლარჯეთი, აზონის მამული ქვეყანა, ქრისტეშობამდე რომელიმე ამ ნაწილში მდებარეობდა.

პ. ინგოროვას სიტყვით, საქართველოს ძლიერი მეფები არ ურიგდებოდნენ ამ დანაკარგს, ერთი ასეთი ყოფილა ფარნავაზის შემდგომ ვახტანგ გორგასალი, რომელმაც იბერიის ამ ყოფილ არებში იღაშქრა და მისი ნაწილი დაუბრუნა დედა სამშობლოს.

ქართლოსის ძეებს მამის მემკვიდრეობიდან მიუცათ ქვეყნები - „ოძრახოს მისცა ტაშისკარს ზეთი და მტკვრის დასავლეთი, ვიდრე ზღვამდე საზღვრამდე ქართლოსისა, რომელ არიან აწ სამცხე გურია, ლიგანი, შავშათი, არტანუჯი, ფანასკერტი, ოლთისი და ტაო“ (ქ.ც. IV, გვ. 657). ჯავახოსს მიეცა - ჯავახეთი, არტანი, ერუშეთი, კოლა და მტკვრის აღმოსავლეთი (იქვე, გვ. 657).

როგორც ითქვა ფარნავაზმა ჯავახოსის წილ და ოძრახოსის წილ ქვეყნებში თავისი ერისთავები დასვა. ეს ქვეყნები, როგორც ითქვა - მცხეთის ისტორიული სამამასახლისო ტერიტორია იყო. „ხოლო კლარჯეთი არა არს წილი ამათი, არამედ ფარნაოზ დაიპყრა შემდგომად აზონის სიკვდილისა და არს საზღვარი ამისი - აღმოსავლით მთა, რომელი განვლის კლარჯეთს და ტაოს შუა ზღვამდე, მთა იგი, რომელს სდის მდინარენი და ერთვის ჭოროხს, დასავლით მთა აზრუმ-ბასიანს შორის განვლილი ზღვამდე, ჩრდილოთ შავი ზღვა და არიან ამათ შინა თორთომი, ხახული, ისპირი, ფორჩხა, ბაიბურდი და ჭანეთი. და ესრეთ განიყო სახლი ზემო ქართლისა სამად... ხოლო სიგრძე ქვეყანისა ამის არს ქართლის საზღვრიდან ქართლის ყელამდე და ბაიბურდისა და ჭანეთის საზღვრამდე და განი დევაბოინის და ირიჯლუს და ყალნუს მთებიდან ღადოასა და გურიის მთამდე და ზღვამდე და მზღვრის ქვეყანასა ამას აღმოსავლით საზღვარი ქართლისა, რომელიც აღვწერეთ და მთა ყარსისა, არტან-კოლასა და ყარსს შორისი“ (ქ.ც. IV. გვ. 659).

ე.ი. არიან-ქართლის ყოფილი ნაწილი-კლარჯეთი მოიცავდა - თორთომის, ხახულის, ისპირის, ფორჩხას, ბაიბურდსა და ჭანეთს, ანუ შეიძლება ითქვას რომ ვახუშტის კლარჯეთი იგივეა, რაც სომხური გეოგრაფიის ლაზივი, ლაზიკა.

პროკოფი კესარიელის მიერ აღწერილი კლდოვან-ხრიოკი ლაზიკა ემსგავსება ვახუშტის მიერ აღწერილ კლარჯეთს - „უცნობელ არს, რით ეწოდა სახელი ესე, გარნა საგონებელ არს - ღულარჭნილთა და კლდოვან ღრატო-ღრიღოვანებისა მიერ და მაღალთა მთათა, რამეთუ მთა-



ბარი ახლორებს“ (ქ. ც. IV, გვ. 657).

პროკოფი თავისი ლაზიკის აღწერის დროს არსად არ ახსენებს უკიდეგანო დაჭაობებულ ბარს, როგორიც არის და იყო დასავლეთი საქართველო, მით უფრო პოლოცენის ეპოქაში, არამედ ის ლაზიკას აღწერს ვითარცა მაღალი მთებისა და კლდეების ქვეყანას, ისევე, როგორც კლარჯეთს აღწერს ვახუშტი - დაღვარშინილი კლდეები, ღრატო-დაღრანტული ადგილები, მაღალი მთები, აღაგა-ალაგ კი ბარი, მთების სიახლოეს „ნახევარუებისა სავალთა არს თოვლი და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი და ყოველნი ნაყოფნი“ (იქვე, გვ. 657), მსგავსად ნაყოფიერი მოხირისისა.

აქედან ჩანს, რომ ვახუშტი „ზემო ქართლში“ შემავალ ქვეყნებად მიიჩნევს - ჭანეთს, ისპირს, თორთუშს, ბაბურდს, ფორჩხას, ასევე კოლას, არტანს, ერუშეთს, ჯავახეთს, მტკვრის აღმოსავ-ლეთს და ამასთანავე ტაოს, ოლთისს, არტანუჯს, შავშეთს, ლიგანს, სამცხესა და გურიას.

ვფიქრობ საინტერესოა, რომ ჭანეთი - ქართლის ერთერთ ქვეყნად პროვინციად მოიაზრებოდა.

მნიშვნელოვანი ფაქტია და უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტის ამ ძელი წყაროს თანახმად კლარჯეთი ეწოდებოდა არა იმ ქვეყანას, რომელსაც ამჟამად, ტრადიციულად ვუწოდებთ „კლარჯეთს“ არამედ გაც-ილებით ვრცელს „იმიერ ტაო, ბაბურდ-ისპირ-ჭანეთის“ ჩათვლით.

ჩვენ, როგორც წესი, კლარჯეთს ვუწოდებთ ლიგან-არტანუჯის შესარეს, მაგრამ ეს შესარე ვახუშტის ძველი წყაროს ცნობით შედიოდა არა კლარჯეთში, არამედ ოძრახოსის ნაწილში, ამავე ნაწილში შედიოდა არტანუჯი, ოლთისი და ამიერ ტაო. მაშასადამე, ყურადღების მისაქცევა რომ ამიერ ტაო - ოძრახოსის წილს ეკუთვნოდა, ხოლო კლარჯეთს, როგორც აღინიშნა ეკუთვნოდა ტერიტორია ჭანეთიდან ვიდრე თორთომის ჩათვლით, ანუ კლარჯეთში შედიოდა იმიერ ტაოს დიდი ნაწილი, ისპირი ანუ სპერი, ბაბურდი და ჭანეთი ფორხამდე, ანუ, ის მიწა-წყალი, რომელიც როგორც ითქვა, ბერძენთა და სომეხთა მიერ ლაზიკად იყო წოდებული.

მაშასადამე, ვახუშტის ძველი წყაროს ცნობით კლარჯეთი იყო „ზემო ქართლის“ უკიდურესი სამხრეთი ნაწილი, ანუ, კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, იმიერ ტაო, ბაბურდი, სპერი და ჭანეთი, ესაა X საუკუნეში არსებული „ქართველთა საკურაპალატოს“ ერთი ნაწილი. აღსანიშნავია, რომ X საუკუნეში როცა ტაოს მეფემ დავით კურაპალატმა „ზემო ქართლს“ შეუმატა ვრცელი მიწები - „ზემონი ქვეყანანი“ ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე, „ქართველთა სამეფო“ სწორედ ამ, აღნიშნულ მიწა-წყალს ერქვა, ხოლო ჩრდილოეთით მდებარე სამეფოებს ერქვათ „აფხაზეთი“, „კახეთი“, „ტაშირ-ძორაგერტი“ და სხვა, ამ ბოლო ჩამონათვალთა შორის „ქართველთა“ სამეფო არცერთს არ ერქვა. „ქართველთა“ სამეფო ერქვა მხოლოდ უკიდურეს სამხრეთის ქვეყნებს, რომელიც, როგორც აღინიშნა აზონის მამულ ანუ „არიან-ქართლის“, და შესაბამისად, „არიან-ქართველთა“ ქვეყნად მიიჩნეოდა. აქედანაა, როგორც ჩანს, სახელი „ქართველთა საკურაპალატო“ და „ქართველთა სამეფო“, რაც ჩანს ასახავს „არიან-ქართველთა“ ქვეყნის ძველ სახელს.

საქართველოს მიწა-წყალზე არაბთა ეპოქაში „შიდა ქართლი“ არ იყო სახელმწიფოებრივი ერთეული, როგორც ითქვა აფხაზთა და კახთა სამეფოები ერთმანეთში ინაწილებდნენ შიდა ქართლს, ხოლო ქვემო ქართლს თბილისის სამირო და ტაშირ-ძორაგერტის სამეფოები ინაწილებდნენ. სახელი „ქართველთა“, „ქართველთა სამეფოსა“ და „ქართველთა საკურაპალატოს“ სახით ტაო-კლარჯეთში იყო დაცული და ჩანს ასახავდა არიან-ქართლის ანუ არიან-ქართველთა სახელმწიფოს ძველ მეკვიდრეობას.

როგორც ითქვა ვახუშტისეული კლარჯეთის ანუ აზონის მამისეული ქვეყნის (ე. ი. არიან-ქართლის) ნაწილად მიიჩნეოდა ჭანეთი ფორჩხას (ბორჩხას) ჩათვლით (ბორჩხა - ჭოროხის შესართავთან მდებარე დაბაა), იქვე იწყებოდა ისტორიული ეგრის ქვეყნა, რომელსაც ვახუშტი ხშირად ახსენებს. ანუ კლარჯეთ-ზემო ქართლში შედიოდა ჭანეთი ეგრითურთ.

ჭანეთი და უგრი იხსენება VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში, რომლის მიხედვით უგრი იყო ტრაპეზუნტის მიმდებარე ქვეყანა რომელიც მოიცავდა მანრალიას, ქალდია, ჭანივსა და უგრივს.



მარდალიას დასავლეთით მდებარეობდა პროვინცია მანრალია, რომლის ადგილი 6. ადონცს განსაზღვრული აქვს – მანრალია არზრუმის სამხრეთ დასავლეთით კარაგიოლის ქედის დასავლეთით, ხორძენა-ბაზანს ჩრდილოეთით მდებარეობდა.

მაშასადამე ისტორიული ეგრი გადაჭიმელი იყო არზრუმის სამხრეთი შხარეებიდან ვიდრე ტრაპეზუნტამდე (ჭანივი) და ბორჩა-ჭოროხის შესართავამდე (ევრივი), მისი ორი ნაწილი ჭანეთი და ეგრი - კლარჯეთში (ზემო ქართლში) აქვს მოხსენიებული გახუმტის. უნდა ვიფიქროთ, რომ არიან-ქართლში შედიოდა ეგრისის არა მხოლოდ ეს ორი ნაწილი (ჭანეთი და ეგრი) არამედ მანრალიაც, ანუ არიან-ქართლი მთელ სამხრეთის ეგრისს მოიცავდა, ამის შესახებ უნდა მიუთითობდეს ფარნავაზისა და ვახტანგ გორგასლის ლაშქრობები ამ შხარეებში.

## 18. სამხრეთის იგპია და სამხრეთის ლჟიბია

იბერიის თემში არაქს-ევფრატის სათავეების აუზის გარდა შედიოდა იმიერ ტაო, ჩრდილო ბასიანი, ოლთისი, შავშეთი, თორთომი, კოლა, არტაანი. შემდეგ იბერიის თემს კონსტანტინე X მონომაქოსის დროს (1042-55) შეემატა – შირაქის სამეფო, თავისი მთავარი ქალაქით ანისით. ქ. ანისი იბერიის თემის დედაქალაქად იქცა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იბერიის თემის და ლაზიკის ეპარქიის ტერიტორიები თითქმის ემთხვეოდა ერთმანეთს, ჭოროხისა და ევფრატის სათავეების მომცველი ქვეყნები, ვიდრე ვანის ტბამდე, თითქმის ერთსა და იმავე დროს ეკლესიურად შედიოდა ლაზიკის ეპარქიაში, ხოლო სახელწიფო-ადმინისტრაციულად იბერიის თემში.

რატომ უწოდეს მას ლაზიკა და იბერია ერთდროულად? როგორც ვთქვით, ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო ქართველთა ეთნიკური თვითშემცენების გამოცოცხლებით ანისიდან და ვალაშკერტიდან ვიდრე კარინამდე (არზრუმამდე), ჭოროხისა და ევფრატის სათავეებამდე.

მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ-ქართული გამოცოცხლების შედეგი იყო, როგორც ითქვა, მცხეთის საპატრიარქოს ქართული საეპისკოპოსოების არსებობა ანისსა და კარში (ყარსში), ვალაშკერტსა და ბაიბერდში (პაიპერტში). იქმდე ყოფილ პერსარმენისა და რომაულ არმენიაში საუკუნეთა მანძილზე დევნილი ქართული ენა უკვე აღარ იდევნებოდა საყოფაცხოვრებო დონეზე, ანუ ქართულენოვან გლეხებსა და აზნაურებს მეზობლები ვეღარ უკრძალავდნენ მშობლიური ენის მოხმარებას, უფრო მეტიც, გათავისუფლებულ მიწა-წყალზე, განსაკუთრებით ტაოში, მკვიდრმა მოსახლეობამ მოიშორა სომხური საეკლესიო უღელი, გამოვიდა მისი დაქვემდებარებიდან და ქართული ენა გადაიქცა ამ საეპისკოპოსოების მრევლის საეკლესიო ენად, კონსტანტინოპოლისადმი დაქვემდებარებული კათედრები კი ბერძნულენოვანნი იყვნენ.

აკად. გრ. გიორგაძე მიუთითებს ქართველური ტომების უძველესი კერების არსებობის შესახებ მდ. ჭოროხისა და ზემო ევფრატის სათავეებში ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე XII საუკუნეში, რაღაცაც მისი აზრით, ასურული წყაროების მუშქაის და დაიანის (დიაოხის) ქვეყნები იქ – ევფრატ-ჭოროხის სათავეებთან არსებობდნენ. იქ მცხოვრებთ ბერძნული „მოსხოის“ სახელით იცნობდნენ (ვ. გოილაძე, ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, 2002, გვ. 20)

ვ. გოილაძე წერს – ძვ. წ. XIII-ში მუშქების პოლიტიკური გავლენა ევფრატის ზემო დინების აღმოსავლეთით (თანამედროვე მდ. მურად სუს სამხრეთით) გავრცელდა. 50 წლით ადრე მათ იქ აღზისა და ფურულუშების ქვეყნები დაუპყრიათ. როგორც ი. დიაკონვი წერს, ესენი იყვნენ „აღმოსავლეთის მუშქები“. მათი განსახლების ძირითადი ცენტრი ზემო ევფრატთან მდ. არაცნის (მურად სუ) შესართავთან მდებარე აღზის სამეფო იყო. ასურული წყაროები, დასტენს დიაკონვი – აღზის უწოდებდნენ აგრეთვე „მუშქა ქვეყანას“. ი. დიაკონოვის თანახმად, ძვ. წ. X-XI საუკუნეებში აღმოსავლეთის მუშქები უფრო ვრცელ ტერიტორიაზე, მდ. ტიგროსის ჩრდილოეთ შენაკადების სათავეში მდებარე მთებიდან ზემო ევფრატის ველის დასავლეთით მდებარე ტავრის მთებამდე უნდა ყოფილიყვნენ განსახლებულნი. გრ. გიორგაძის თანახმად, „მუშქა ძირითადი ტერიტორია ისტორიული სამხრეთ საქართველო იყო“ (ვ. გოილაძე, დასახ.



ნაშრომი, გვ. 21).

მაშასადამე, ლაზიკის ეპარქია – ისტორიულ სამხრეთ საქართველოში ყოფილა. ჩვენ ქვემოთ კიდევ მრავალჯერ შევეხებით, რომ ლაზიკის ეპარქია მოიცავდა ისტორიული ალზის მიწებს, ხოლო თვით ამ ეპარქიის არსებობის ეპოქაში იქ არსებობდა „ალზინიკის“, იგივე არზანენას ოლქი, რომელიც კორდუენას (კორჩაიკის) ოლქს ესაზღვრებოდა. შეუძლებელია ეტიმოლოგიურად ერთმანეთთან არ დავაკავშიროთ „ალზ“ და „ლაზ“: ასევე „კორდუ“ და „ქართუ“. 6. ადონცის მოსაზრებით, არმენიელების მოსვლამდე აღნიშნული მიწა-წყალი, კორდუენადან ვიდრე კავკასიის მთებამდე, ქართველებით იყო დასახლებული, შემდეგ მოსულ არმენიელებს ეს ქართული მოსახლეობა ორ ნაწილად გაუყვათ – სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქართველებად, ხოლო მათ შუა თვით არმენიელები დასახლებულნ. მართლაც, „კორდუენა“ ანუ „კორდუს ქვეყანა“ – მიგვანიშნებს ივ. ჯავახიშვილის თავდაპირველ „ქართუ“ „კორდუ“ ქვეყანას, საიდანაც გამოსულან ყველა ქართული ტომები, მათ შორის მეგრულ-ჭანურიც.

6. ადონცი დაბეჭითებით, რამდენჯერმე აღნიშნავს თავის ნაშრომში „არმენია იუსტინიანეს ეპოქაში“, რომ სომები ხალხის ჩამოყალიბების საქმეში ქართველებს მოუღიათ მონაწილეობა იმით, რომ მომხდარა ქართული ტომების ტრანსფორმირება არმენიელებად. თუ ეტიმოლოგიურად „ლაზიკა“ „ლაზი“ დაკავშირებულია ალზთან, უნდა ვიფიქროთ, რომ გასაგები ხდება, თუ რატომ ეწოდა „ალზის ქვეყნის“ მომცველ ეპარქიას „ლაზიკისა“.

6. ადონცი კორდუენას ქვეყანას აკავშირებდა ქართველებთან და აკრიტიკებდა ერთ-ერთი მეცნიერის შეხედულებას, რომელიც კორდუენას ქურთებთან აკავშირებდა.

## 19. ლაზიკის სამთავროლოტოს 20XX-წყალი სრული გამოგენის 20XX-წლი

ქართველი ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ლაზია, ლაზიკა თავდაპირველად ერქვა დასავლეთ საქართველოს, ხოლო შემდგომ, კერძოდ კი VIII ს-დან ეწოდა ტრაპეზუნტისა და მის საეკლესიო ოლქს (იხ. პ. ინგოროვა, გიორგი მერჩულე გვ. 209). რიზეს ლაზიკის სახელი მოუღია VII ს-ში (იქვე, გვ. 208).

რატომ უნდა წოდებოდა დასავლეთ საქართველოს თავდაპირველად ლაზიკა, ისტორიკოსთა მიერ ახსნილი არ არის, რადგანაც ქართულ წყაროებში მსგავსი მითითება არ გვხვდება, ლაზები თავიდან უნდა რქმეოდათ ბასიანთან ახლოს მდებარე ისტორიული ალზის სამეფოს ქართული წარმოშობის ხალხს (ალზ-ლაზ). შესაძლოა, მოსახლეობის უმნიშვნელო მიგრაციამ ალზის სამეფოდან იქვე მდებარე კარინ-თეოდოსიოპოლისაკენ და შემდეგ ტრაპეზუნტისაკენ, ხელი შეუწყო ლაზიკად ცნობილი ქვეყნის სახელის გავრცელებასაც აღნიშნულ რეგიონში საფურქებელია რომ, სახელი „ლაზიკა“ განივრცო არა დასავლეთ საქართველოდან ტრაპეზუნტისაკენ, არამედ ალზის სამეფოდან – კარინ-ტრაპეზუნტისაკენ. ამ სახელის მიგრაციას ალზიდან კარინისაკენ მიუთითებს სხვა მაგალითიც – ალზის სამეფოს ქვეყანას შემდგომ ეწოდა ალზანენე ანუ არზანენე, იგივე სახელი, კერძოდ კი არზენა (იგივე ალზენა), ერქვა კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით არტანუჯის ქვეყანასაც.

არზენა იგივე ალზენა, ალზენა და ლაზიკა (ლაზ-ენა) სინონიმურ დატვირთვას იღებდა, რადგანაც არზენა, ანუ არტანუჯის შარე (იგივე კლარჯეთი) – ლაზიკის ერთერთ ქვეყნად ითვლებოდა. იგივე სახელი ეწოდებოდა კარინ-თეოდოსიოპოლისაც, კერძოდ, არზ-არ-რუმ (არზრუმი), რუმის (რომის, ბიზანტიის არზი), საერთოდ, არზრუმელებს ლაზები ერქვათ თვით XVIII ს-შიც კი (ერთ-ერთი ცნობით, რომელიც ზემოთაა მოხსენიებული).

საერთოდ, ლაზ, ლაზიკა, ლაზისტანი – ბოლომდე ერქვა ამ მხარეებს, ხოლო არზრუმიდან ვიდრე ზღვისპირეთის მოსახლეობას ყველას ზოგადი სახელი „ლაზი“ მიესადაგებოდა, თუმცა კონკრეტულად იმ ეპოქაში ამ სახელის მატარებელი ტომი განსაზღვრული არ იყო (სამსონელები ტრაპეზუ-



ტელებს უწოდებდნენ ლაზებს, ტრაპეზუნტელები სამსუნელებსა და არზრუმელებს და ა.შ.), მაგრამ „ლაზ“ სახელი არ ერქვა დასავლეთ საქართველოს არც ერთ ტომს. მხოლოდ XIX ს-ის ბოლოსა და უფრო მეტად XX ს-ში, ისტორიკოსებმა წიგნიერი გავლენით უწოდეს დასავლეთ საქართველოს ლაზეთი და მის ერთერთ ტომს — ლაზები. ასე რომ, ამ კუთხისათვის „ლაზის“ წოდება ხელოვნურად მოხდა, მაშინ, როცა ტრაპეზუნტის ოლქის ხალხს ეს სახელი ნამდვილად ერქვა. პ. ინგოროვა ეთანხმება აზრს, ტრაპიზონის ოლქს ლაზიკა დაერქვა VIII ს-დან, მას შეძლევ, რაც თითქოსდა VIII ს-ში ტრაპიზონი შეუერთდა დასავლეთ საქართველოს. სინამდვილეში VIII ს-ში აფხაზთა სამეფოს საზღვარი მხოლოდ ჭოროხამდე აღწევდა, ხოლო ტრაპიზონი შედიოდა ბიზანტიის იმპერიის „არმენიაკონის თემში“. არმენიაკონის თემი VIII ს-ში რიზემდე აღწევდა. მოიცავდა I და II კაპალიკიას და ასევე III არმენიას (ხალდიის თემი, რომელიც შემდგომ შეიქმნა, იგივე ლაზიკა). ზოგიერთი წყაროს მიხედვით არმენიაკონის თემი VII-VIII სს-ში (ხოლო შეძლევ ხალდიის თემი) აღწევდა მდ. ფასისამდე („ფასისი“, როგორც ცნობილია, ერქვა მდ. არაქსს (კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით) და ასევე მდ. ჭოროხს (ბერძნული წყაროებით) და არა რიონს). თ. უსაქნისკის ცნობით, კომენცოსთა სამეფოს, „ტრაპეზუნტის იმპერიის საზღვარი აღწევდა მდ. ფასისამდე ანუ ჭოროხამდე და არა რიონამდე (Ω Οἵαίνησε, Ι. ἀδέε θλαῖσθαι εἰς ἄδεε, γვ. 32). ტრაპეზუნტის იმპერატორებსაც ზოგჯერ უწოდებდნენ „ლაზთა მთავრებს“ (პ. ინგოროვა, გვ. 268).

საერთოდ, როგორც მრავალჯერ აღნიშნულია, ქართულ წყაროებში სიტყვა „ლაზიკა“ არ იხმარებოდა. ის მიიჩნეოდა ბერძნულ ფორმად და ქართულად ამ სიტყვას თარგმნიდნენ ასე — სოფელი მეგრელთა და მის ქვეშ, როგორც წესი, ტრაპეზუნტის ოლქი მოიაზრებოდა. მაგალითად, ეპიფანე კონსტანტინეპოლიტის (VIII ს.) „ლაზიკის ქალაქი ტრაპეზუნტი“ — ქართული წყაროსათვის „მეგრელთა სოფლის“ ანუ მეგრელთა ქვეყნის ქალაქია. თეოფანე აღმსარებელი (IX ს) ტრაპიზონის მხარეს ლაზიკას უწოდებს (იქნე, გვ. 214). ასევე სხვა ავტორები.

სომხურ წყაროებში ტრაპეზუნტის მხარებს ლაზივი და ეგერი ეწოდება, ასე უწოდებს მას სომხური გეოგრაფია. მასში ნათქამია-, კოლხეთი, ე. გრი არის ქვეყნა პონტოს ზღვიდან სარმატიამდე, და მდინარე დრაკონიდან კავკასიის მთამდე და მის შტოებამდე, რომელიც მას ჰყოფს ივერიიდან და იგი განიყოფა ოთხ მცირე ქვეყნად: მანველი (მანრალი), უგრევიკი, რომელიც არის საკუთრივ ევრი (ფასისის მდინარის მოსაზღვრელ ამავე სახელწოდების ქალაქითურთ), ლაზივი (იულისხმება რიზე-ტრაპეზუნტის მხარე) და ჭანივი, რომელიც არის ქალდეა. აქვს ხუთი ქალაქი, იანი, კოტა როდოპოლისი ათინა, რიზონი, სხვა ნავსადგურები, ტრაპეზუნტი“.

სომხური წყარო, აქ სარმატიას უწოდებს, მდ. ჭოროხის აქეთ მდებარე დასავლეთ საქართველოს, ხოლო კავკასიის მთას უწოდებს კარჩხალის ქედსა და მის განშტოებებს (მდინარე ჭოროხის შესართავთან), რომელიც ეგრი ჰყოფდა ივერიიდან. ეგრი ანუ ეგრე-ჭოროხის პირა ქვეყნას ერქვა, შესართავთან, ხოლო

საფიქრები ელია ისიც, რომ სომხური გეოგრაფიის „ეგრი“ შესაძლოა აღწევდა იმავე რეგიონში მდებარე მდ. არაქსის სათავეებამდე არზრუმთან, რადგანაც 6. ადონცის სიტყვით, მდ. არაქსს და მის შენაკადს ევრი ერქვა. ასევე ამ მდინარეს ერქვა „არაზი“ (ალაზი), რომელიც ასევე შეიძლება იყოს ის ფუძე, საიდანაც ქვეყნის სახელი „ლაზიკა“, „ლაზივი“ იქნა მიღებული. ეს სახელი, როგორც აღინიშნა, იმითა მნიშვნელოვანი, რომ ამავე რეგიონში მდებარეობდნენ პორვინციები „მანრალია“ და „მარდალია“. კერძოდ, მანრალიას თემი ებჯინებოდა ხალხალის ქედს, ხორმიანას მეზობლად (ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, გვ. 20).

VII ს-ში მიწა-წყალი ჭოროხამდე (ანუ ეგერი) არმენიაკონის თემში შეიყვანა ბიზანტიამ, თუმცა მალევე ბიზანტიამ არმენიაკონის თემს თავისი ნამდვილი სახელი „ქალდეას თემი“ უწოდა.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ტრაგედიად უნდა მივიჩნიოთ, რომ მან არასწორად განსაზღვრა



მანრალის, ასევე, ფასისის, როდოპოლისის, სკანდას თუ სარაპანას მდებარეობა. შესაბამისად, ლაზიკა უწოდა დასავლეთ საქართველოს.

როგორც ითქვა, 6. ადონცის გამოწვლილვითი განმარტებით, მანრალია მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ თეოდოსიოპოლისთან(არზრუმდან) ახლოს ხალხალის მთასთან, მარდალის გვერდით (6. ადონცი, გვ. 20).

დ. მუსხელიშვილის, ისევე, როგორც სხვა ქართველი მეცნიერების აზრით კი, მანრილი, ანუ მანრალია თითქოსდა ერქვა არგვეთს. ეგრევიკი, ანუ ეგრი კი თანამედროვე სამეგრელოს.

6. ადონცის, ასევე თვით ქართული და უფრო მეტად სომხური წყაროების ცნობით, ეგრის ქვეყანა – ჭოროხის შესართავს ერქვა აღნიშნულ ხანაში და აღნიშნულ წყაროში (ე.ი. სომხურ გეოგრაფიაში).

დ. მუსხელიშვილი წერს – „ამგვარად, ამ თხზულების მიხდვით, ეგრისი განიყოფება ოთხ ქვეყნად: მანრილი, რომელიც უნდა ნიშნავდეს ქართულ მარგვს – არგვეთს, ეგრევიკი ანუ საკუთრივ ეგრისი... ეს გვავარაუდებინებს, რომ სომხური გეოგრაფიის მანრილი გულისხმობს მარგვის-არგვეთს, ანუ დღევანდელ ზემო იმერეთს“ (დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII სს-ში, 2003, გვ. 102).

ესაა, შეუსაბამო მოსაზრება. მანრილი იყო არა იმერეთი, არამედ მხარე ჭანეთთან, არზრუმთან.

ქართული და სომხური წყაროებიდან ჩანს, რომ არსებობდა ორი ეგრისი, ჩრდილოეთ ეგრისი(დასავლეთ საქართველო -ტერიტორია ეგრისწყალს რიონს შუა) და სამხრეთ ეგრისი(ტერიტორია ჭოროხიდან ტრაპეზუნტამდე). თვითონ ჭოროხის პირა ერგე და გურია- ეგრისის ნაწილები იყვნენ. სომხურ გეოგრაფიაში ლაზივი ერქვა -რიზე ტრაპეზუნტის მიმდებარე ქვეყანას.

## 20. ლაზები პაისპოზოსში

პროკოფი კესარიელის ცნობით, რიზესა და ავსაროსის შორის მცხოვრებთ „ლაზთა ეპისკოპოსები“ უწესებდნენ მღვდელმსახურებს – ასე განმარტებს მ. ბერძნიშვილი პროკოფის ცნობილ ფრაზას – „ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელმსახურებს“ (მ. ბერძნიშვილი, ქ. ფაზისის ისტორიისთვის, გვ. 54).

ბიზანტიის იმპერიის საზღვარი აღწევდა ზუფათმდეპროკოფის ცნობითაც პეტრას ციხის სამხრეთით ერთი დღის გზაზე იწყებოდა პონტოს ხალხის საცხოვრისი ანუ ბიზანტიური ერთ-ერთი პროვინციის მოსახლეობისამათ პროკოფი სხვა ადგილას „ერთ ხალხს“ უწოდებს. ჩანს ისინი რიზეს რეგიონში ცხოვრობდნენ აფსაროამდე. მათთვის უახლოესი საეპისკოპოსოები ტრაპეზუნტის რეგიონში მდებარეობდნენ. მართლაც ამავე რეგიონში დააწესა კონსტანტინოპოლისა ეწ., ეპარქია ლაზიკაში – როდოპოლისის, ზიგანას, საისინისა და პეტრას კათედრები.

როდოპოლისის კათედრა რიზესთან ახლოს მდებარეობდა-არაბთა შემდგომ ეპოქაში როდოპოლისის ადგილას აღმოცენდა სუმელას ცნობილი სამონასტრო ცენტრი.

როდოპოლისის ეპარქია რიზეს რეგიონის მთანეთამდე აღწევდა(იწყებოდა ზიგანას უღელტეხილთან).

უნდა შევნიშნოთ, რომ პეტრას კათედრა ნადონცის კვლევით, მდებარეობდა „სადღაც პაიპერტოან“ და არა გონიო-ხუფათთან. ის ასევე შეიძლება ვეძიოთ ქტრიპოლისთან, ტრაპეზუნტის ქვემოთ, იქ სადაც პეტრუმის(ბედრუმის) ცნობილი ციხეა.

საისინის კათედრას აღმონა ათავსებდა არდასასთან ახლოს, ზიგანას უღელტეხილის სიახლოვეს.

აღსანიშნავია, რომ მთელ ამ რეგიონში საკმაოდა გავრცელებული სატივა „ფაზარი“ ამჟამა-დაც კი. ეს სიტყვა ეტიმოლოგიურად მოგვაგონებს სიტყვა ფაზის-უძველეს ეპოქაში „ლაზიკის ეპარქიას“ ასევე ფაზისისა ერქვა და ჩანს მის ამ რეგიონში ყოფნას გულისხმობდა (ახლა ტრაბზონისა ეწოდება თურქეთთში).

ამ რეგიონში მდებარეობდა „ძველი ქალაქი აფსარუ“. II საუკუნეში, არიანეს დროს, აქური გარნიზონი შედგებოდა 5 კოპორტისაგან, ე.ი. ნახევარლეგიონისაგან, კოპორტაში 500 კაცი ირიცხებოდა. პროკოფი



კესარიელის დროს ეს ერთ დროს ბრწყინვალე ქალაქი თითქმის დანგრეული იყო. მ. ბერძნიშვილის აზრით, ეს ქალაქი კოლხეთში შედიოდა, რადგანაც არიანეს დროსვე კოლხების მიწა-წყლის საზღვარი იყო მდ. ოფისი, ის კი ამ მდინარის აღმოსავლეთით მდებარეობდა. პროკოფის დროს ეს ქალაქი გათავისუფლებულა რომაელთაგან, კერძოდ კი, მას შემდეგ, რაც მოსპობილა ამ ქალაქის გარნიზონი. „აფსარიელებიც დამოუკიდებელი გამზღარან, როგორც რომაელებისაგან, ისე ლაზებისაგან, მაგრამ საეკლესიო სფეროში, ისინი, როგორც ქრისტიანები, ლაზეთის ეპისკოპოსთა ოურისდიქციას ემორჩილებოდნენ. პროკოფი პირდაპირ წერს: „ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელმსახურებსო“ (მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 54). ლაზეთი, ჩემი აზრით, ერქვა სწორედ იმ კოლხეთს, რომელიც ტრაპეზუნტის მთიანეთიდან აფსარისამდე ვრცელდებოდა და მას მოიცავდა აყვნენ ლაზთა ეპისკოპოსების სამწესო და არა რიონის ხეობიდან.

სტრაბონის ცნობით, „მოსხიკეს მთები კოლხეთის თავზე მიიმართებიან“ (სტრაბონი, XII, 2,18). ამ ცნობას მნიშვნელობა აქვს კოლხეთის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის. ჩვენი მეცნიერების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ეს „მოსხიკეს მთები“ სურამის ქედია დასავლეთ საქართველოში და ამიტომ ფიქრობენ, რომ მის დასავლეთით მდებარეობდა კოლხეთი.

ვახუშტი ძალზე გარკვევით წერს, და თანაც რამდენიმეჯერ, რომ ძველი გეოგრაფების მიერ ნახსენები „მოსხის“ მთები წარმოადგენდნენ მთათა სისტემებს ჭოროხის სათავედან ბასიანის ჩათვლით, მასში შედიოდა დევაბოინის, ირიჯლუს, ყალნუსა და თორთომის ქედები (ქ. IV, 1973, გვ. 658 (სქოლიო)). მოსხიკეს, ანუ მოსხის მთათაგან ერთერთიდან, კერძოდ, ირიჯლუდან იღებს სათავეს მდ. ჭოროხი. ვახუშტი წერს – „მდინარე ჭოროხი გამოდის ირიჯლუს მთასა“ (იქვე, გვ. 675). აქედან ჩანს, რომ ვახუშტის ცნობით, მოსხიკეს ქედი – ტრაპეზუნტის კოლხეთის თავზე იყო არა დასავლეთ საქართველოში, ერთის მხრივ ის იყო ქედი, რომელიც ზემოდან დაჰყურებდა ხოფა-რიზეს ქვეყანას, ზღვისპირა ქვეყანას, ისტორიულ ლაზეთს, მეორე მხრივ კი ზღვის დონიდან თითქმის 2000 მეტრ სიმაღლეზე მდებარე კოლა-არტანს (იბერიას). ამიტომაც ეს ქედი, ანუ ჭოროხის სათავე ერთდღოულად იძერის მაღლა იყო და კოლხეთსაც ზემოდან დაჰყურებდა, ანუ კოლხეთის თავზე მიიმართებოდა. მაშასადამე, კოლხეთი ამ მთის დაბლა ზღვისპირა ქვეყანას ერქვა, ანუ ტრაპეზონ-რიზე-ხოფა-აფსაროსის რეგიონს, ანუ ეს იყო სწორედ ლაზეთის ქვეყანა თავისი ზიგანას საეპისკოპოსოთი, რომელზე გავლითაც ტრაპეზუნტის კოლხეთი უკავშირდებოდა ამ მთათა სისტემით შექმნილ უზარმაზარ პლატოს. ზიგანას ლაზური საეპისკოპოსო აქ იყო და არა გუდაყვაში.

სტრაბონს აკრიტიკებს მ. ბერძნიშვილი „რომ ის იძლევა ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობებს“ (მ. ბერძნიშვილი, გვ. 102), რადგანაც მიიჩნევს, რომ მოსხიკეს მთები ზესტაფონთან მდებარეობდა და ამიტომ სტრაბონის ცნობები მისთვის ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

ტრაპეზუნტიდან ზიგანა-რიზემდე მოქმედ(ე.ი.კოლხეთის) ეპისკოპოსებს დაერქვათ შემდგომ ლაზთა ეპისკოპოსები, ანუ ტრაპეზუნტის რეგიონის საეპისკოპოსოთა ლაზი ეპისკოპოსები ემსახურებოდნენ მრევლს აფსაროსამდე. აღსანიშნავია რომ თითქმის ათასი წლის შემდეგაც კი ტრაპეზუნტის იმპერიის მმართველებს „ლაზთა მეფეებს“ უწოდებდნენ. ლაზიკა-ტრაპეზუნტის რეგიონს ერქვა, მის მთიანეთს. „ბიზანტიის ოფიციალური ისტორიკოსები“ ნიკიტა ხონიაშვილი, გიორგი აკროპოლიტის, პანიმეროსი, ნიკიფორე გრიგორიასი და სხვანი ტრაპიზონის მეფეებს კოლხა ან ლაზთა მთავრებს უწოდებდნენ“ (თ ქართველიშვილი, კულტურის ისტორიის საკითხები XIX.2004,gv.20)



ტრაბზონიდან  
ზიგანა-გიუმიშხანისკენ  
მიმავალი გზა



ტრაბზონიდან  
ზიგანა-გიუმიშხანისკენ  
მიმავალი გზა



ზიგანა



ზოგანა



არდაშა-ტორული



არდაშა-ტორულის წყალი



არდაშა-ტორულის წყალი



კლდეები არდაშა-ტორულთან




კლდეები  
არდაშა-ტორულთან



გზა გუმუშხანისკენ



გუმუშხანი



გუმუშხანი





112



გუმუშხანი


ძველ ნაქალაქარ სატალას და  
იმერას ეკლესიები



ძველ ნაქალაქარ  
სატალას ნანგრევები



გზა იმერას მონასტრისაკენ



გზა სუმელას მონასტრისაკენ–ძველი  
როდოპოლისის რეგიონი



სუმელას მონასტერი როდოპოლისის კათედრის მემკვიდრე



სუმელას მონასტერი  
როდოპოლისის კათედრის  
მემკვიდრე

სუმელას მონასტერი  
როდოპოლისის კათედრის  
მემკვიდრე



ვაზელონის მონასტერი  
ლაზიკის საეპისკოპოების  
მემკვიდრე




ვაზელონის მონასტრის  
მიძინების ეპლესია



ვაზელონის  
მონასტრის გარე ხედი



ვაზელონის  
მონასტრის  
მიძინების  
ეპლესიის ფრესკა



ზედი ვაზელონის მონასტრიდან ისტორიულ ლაზიკაში  
ფოტოები გადაღებულია მიტროპოლიტ ანანია ჭავარიძის მიერ 2010 წელს



## †აბესალომ ჭულაშვილი

### გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლის ეპისკოპოსი გრიგოლის დაბადების წლის დამადებული დადინაობის მითითებული

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლის (ერისკაცობაში გიორგი დადინაობის) დაბადების წლის დოკუმენტებში ორი სხვადასხვა წელია მითითებული. ერთი მათგანის მიხედვით ის 1824 წელს დაბადებულა („საპატრიარქოს უწყებანი”, 2008 წ., № 18, გვ. 18), მეორეგან კი 1827 წელია მისი დაბადების წლად მითითებული (თ. გვანცელაძე, მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადინაონი. "თეოლოგის კათედრა 5 წლისაა", საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული, თბ., 2007, გვ. 66). როგორც ჩანს, ამ ორი თარიღიდან უფრო სწორი პირველი ჩანს, რადგან მის სისწორეს ერთი სხვა დოკუმენტი, კერძოდ, სამეგრელოს სამთავროს მოსახლეთა 1847 წლის დავთარი ემოწმება. აქ ის ჩაწერილია როგორც „ბერი გრიგოლი”, ხოლო მის ხნოვანებად მითითებულია 22 წელი (ზუგდიდის მუზეუმი, დოკ. 7504, ჩანაწ. 1), რაც იმას ნიშნავს, რომ ის 1824 ან 1825 წელს უნდა დაბადებულიყო.

ამრიგად, გიორგი დადინაონი 1824 წელს დაბადებულა სოფელ ქვაშიხორში. ის იყო შვილი ელიზბარ გიორგის ძე დადინაონისა, რომელიც 1795 წელს დაბადებულა (ზუგდიდის მუზეუმი, დოკ. 7504, ჩანაწ. 1). ელიზბარ დადინაონი ერთი დოკუმენტის ცნობით გარდაიცვალა 1863 წლის 10 დეკემბერს. დაკრძალეს 19 დეკემბერს (ზუგდიდის მუზეუმი, საკანც. 761, ფურც. 6), მისი ეპიტაფის (ის მარტვილის ტაძარშია დაკრძალული) მიხედვით კი 1865 წლის 8 დეკემბერს (ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წ. II, ტფ., 1914, გვ. 128).

გრიგოლის დედა იყო სოფიო წულუკიძე (დაბ. 1800 წელს), რომელიც 1865 წლის შემდეგ გარდაიცვალა.. გარდა გრიგოლისა ელიზბარ დადინაონსა და მის თანამეცხდრეს, სოფიოს ჰყავდათ შვილები: ნიკოლოზ (დაბ. 1821 წ.), ალექსანდრე (დაბ. 1827 წ.)<sup>1</sup>, ოტია (დაბ. 1828 წ.), ივანე (დაბ. 1830 წ.), დიმიტრი (დაბ. 1833 წ.) და ასული – 1832 წელს დაბადებული ნატალია (ზუგდიდის მუზეუმი, დოკ. 7504, ჩანაწ. 1).

გიორგიყოფილ გრიგოლ დადინაონს პირველდაწყებითი განათლება მიუღია დიდი ანტონ ჭყონდიდელის მიერ დაარსებულ ნახარებაოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების მონასტერში, სადაც შეისწავლა საღმრთო წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი. ამის შემდეგ დაამთავრა სამეგრელოს (მარტვილის) სასულიერო სასწავლებელი, რამდენიმე წელს საქართველოს ეგზარხოს ისიდორეს (ნიკოლსკის) ლოცვა-კურთხევით ისწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1845 წლის 1 იანვარს ანტონ II ჭყონდიდელმა (სამეგრელოს ეპისკოპოსმა) ანაფორა უკურთხა და ნახარებაოს მონასტერში მორჩილად განამწესა, 1849 წლის 3 აპრილს კი ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესიაში ბერად აღკვეცა. იმავე დღეს დაკვნად დაასხა ხელი. ბერად აღკვეცისას საერო სახელ გიორგის ნაცვლად ის მონაზვნური სახელი – გრიგოლი უწოდა, რომელიც, როგორც ირკვევა, მორჩილად კურთხევისთანავე შეურჩია მას, რადგან 1847 წლის დავთარში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ის უკვე ბერად იწოდება. 1850 წლის 11 იანვარს მისივე თხოვნით გადაიყვანეს თბილისის ფერისცვალების მონასტერში. 1852 წლის 20 მაისს მღვდლად იქნა ხელდასხული. 1857 წლის 1 ნოემბერს მღვდლი გრიგოლ დადინაონ სოხუმის საკათედრო ტაძარში განამწესეს, მომდევნო წლის 12 აპრილს კი ბიჭვინთის მთავარზუცესად (ბლალოჩინად) აკურთხეს. 1859 წლის 12 აგვისტოს კეთილსინდისიერი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საგვერდულით

<sup>1</sup> გრიგოლ ეპისკოპოსის მმის ალექსანდრეს 1827 წელს დაბადების ფაქტიც მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ გრიგოლი 1825 წელს უნდა დაბადებულიყო (რედ.).



დაჯილდოვეს, 1859 წლის 15 სექტემბრიდან 1862 წლის 25 მაისამდე აბჟუის მთავარზუცესი (ბლალოჩინი) იყო, ამ დღეს კი ის იღუმენად იქურთხა და ხოზუმის საკათედრო ტაძრის წინამდღვარი გახდა. 1865 წლის 15 ოქტომბერს კახეთში გადაიყვანეს ბოლბის საკათედრო ტაძრის წინამდღვრად. 1868 წლის 29 ოქტომბერს არქიმანდრიტის ხარისხში იქნა აყვანილი და ხობის მონასტრის წინამდღვარი გახდა. 1875 წლის 6 მარტიდან საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი იყო, 1879 წლის 28 ივნისს დავით-გარეჯის მონასტრის წინამდღვრობა ებობა, 1886 წლის 23 მარტს სიონის საკათედრო ტაძარში ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად და განაწესეს გურია-სამეგრელოს ახალშექმნილი ეპარქიის მღვდელმათავრად. ყველან, სადაც კი უმოღვაწნია, ის არა მარტო უფლისადმი მორჩილებრივი მსახურების, არამედ მშობელი ერის მომავლისათვის, ქართული ენის გადარჩენისათვის უშიშრად, მაგრამ მორჩილებრივი მსახურების, არამედ მშობელი ერის მომავლისათვის, ქართული ენის გადარჩენისათვის უშიშრად.

აფხაზეთში მოღვაწებისას იღუმენი გრიგოლი ნაყოფიერ სამისიონერო საქმიანობას ეწეოდა. სხვა ქართველ სამღვდელო პირებთან ერთად მის მიერ ასობით აფხაზი იქნა ქრისტეს სჯულს ზიარებული და მონათლული. ეპისკოპოს გრიგოლის მამულიშვილური სულისკვეთება გამოსჭვიოდა მის ყველა ქადაგებაში, კერძო წერილებში, თუ ოფიციალურ დოკუმენტებში, რომელთაც აწერდა ხელს, ის განსაკუთრებული მოწიწებითა და კრძალვით იყო განმსჭვალული იმდორინდელი საქართველოს იმ სულიერი წინამდოლების მიმართ, რომელნიც ჩვენი ერის გადარჩენისათვის, ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის ეწეოდნენ უმძიმეს ჭაპანს. „ლამპარო საქართველოს ეკლესიისა, დიდებაო ქართველთაო, ოქროპირო გაბრიელ“ – რამდენად მეტყველი და მამულიშვილურადა დამუხტებული ეს სიტყვები, რომლითაც მიმართა მან 1896 წლის 10 მარტს, გარდაცვალებიდან ორმოცდაორი დღის შემდეგ, დაკრძალვისას, უხრწენელ ცხედარს წმ. გაბრიელ ეპისკოპოსისა (ქიქოძისა), რომელიც დიდ ილიასთან, დიდ იაკობ გოგებაშვილთან და სხვა ქართველ მოღვაწებთან ერთად დედა ეკლესიას, ჩვენს ერს და ენას ედგა ებგურად.

ეპისკოპოს გრიგოლის მამულიშვილური მოღვაწების შესახებ მრავალი დოკუმენტი არსებობს, მაგრამ არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს მისი განუზომლად დიდი წვლილი სამეგრელოს სკოლებიდან ქართულის განდევნისა და მის ნაცვლად ვითომუტ მეგრელთა მომავალზე მოფიქრალი რუსი მოხელეებისა და თითო-ოროლა მათგან წყალობის მომლოდინე აშორდიასნაირი კაცუნების მიერ მეგრელთათვის ანბანის შექმნისა და მეგრულად სწავლებაზე გადასვლის მოსურნეთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ის მისთვის ჩვეული სიდინჯითა და შორსმჭვრეტელობით ყველაფერს აკეთებდა ქართველთა გახლებისა და გარუსების მოსურნეთა მიზნების ჩასაშლელად.

რუსულ ენაზე 1895 წელს შედგენილ დოკუმენტთა კრებულში, რომელიც ამ ცოტა წნის წინათ გახდა ცნობილი მეგრულისა და ლაზურის ცნობილ მკვლევარ ირინე ასათიანის წყალობით, აღმოჩნდა ქართველი ერის ერთიანობის გადასარჩენად, სამეგრელოს ეკლესიებში ქართული ლვოისმახურების შენარჩუნებლად, ლოცვებისა და უფლის ათი მცნების მეგრულად გადაღების საწინააღმდეგოდ სამეგრელოს სასულიერო და საერო მოღვაწეთა განწყობილების ამსახველი დოკუმენტები. ამ დოკუმენტებში „თვალნათლივ ჩანს, თუ რა თავდადებით იბრძოდა გრიგოლ დადიანის მეთაურობით გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოება და სამეგრელოს ინტელიგენცია რუსეთის იმპერიის გამარტებელი პოლიტიკის წინააღმდეგ და ქართველი ერის ერთიანობის შესანარჩუნებლად, ქართული ენის უფლებების დასაცავად“ (თ. გვანცელაძე, მ. ნაჭეულია, მ. ტაბაძე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი, „თეოლოგიის კათედრა 5 წლისაა“, საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული, თბ., 2007, გვ. 71).

1892 წელს ქართველი ერის დაუძინებელ მტერს კირილ იანოვსკის, რომელმაც მეგრელები არაქართველებად გამოაცხადა და იმპერიის სახალხო განათლების მინისტრისადმი მიწერილ წერილში საქართველოს სამღვდელოებისათვის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ჩამორთმევას ითხოვდა, რადგან ამ სკოლებში სწავლება ქართულად მიმდინარეობდა, ეპისკოპოსმა გრიგოლ დადიანმა გამანადგურებელი



პასუხი გასცა. ეს წერილია აკადემიურობის, და პლომატიურობისა და უებრო განათლებულობის ბრწყინვალე ნიმუში. სამართლიანობა მოითხოვს, აქვე აღინიშნოს ეგზარქოს პალადის მხარდაჭერა გრიგოლ ეპისკოპოსის შეხედულებებისადმი. სწორედ ეპისკოპოსი გრიგოლის ამ წერილმა შეაჩერა რუსიფიკატორი მოხელეების შეტევა ქართველი ერისა და ენის წინააღმდეგ.

ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი ხელს უწყობდა ყოველივე ქართულს, ყოველივე ეროვნულს. მაგალითად, ასეთი საქმე იყო წმ. გაბრიელ ეპისკოპოსთან (ქიქიძესთან) ერთად ისეთი საშვილიშვილო საქმის აღდგენა-გადარჩენის მიზნით გურია-სამეგრელოს ეპარქიაში მგალობელთა გუნდების შექმნა და მათი მუშაობისათვის სამაგალითო ხელშეწყობა, რაზედაც ახლახან გამოქვეყნებული საარქივო მასალები ლაპარაკობენ (მერაბ კუტევაძე, ღოკუმტნტები იმერეთის საეკლესიო გალობის ისტორიისათვის (1821-1920 წ.), ქუთაისი, 2006, გვ. 129-130).

ზუგდიდის მუზეუმში დაცულია ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანის მიმართვა თავისი სამწყსოსადმი, რომელიც მან დაწერა 1898 წელს მისი მოსკოვში სამოღვაწეოდ გადაყვანისას. ამ მიმართვიდან კარგად ჩანს მისი დიდუნებოვნება, განსწავლულობა და ღვაწლი თავისი ერისა და სამწყსოს წინაშე. „საყვარელო სამწყსო! — მიმართავს ის თავის სულიერ შვილებს, — თორმეტი წელიწადი გემსახურე შენ, აღზრდილი ჭყონდიდის საკათედრო ადგილსა, განსწავლული საქმეთა ღ[მრ]თის მეტყველებითა, მასვე წმიდასა ადგილსა წიგნთაგან წ[მიდა]თა მამათა საქართველოს ეკლესიისათა, მე ვევედრებოდი ღმერთსა დაუსაბამოსა გულითა, განმსჭვალულითა მხურვალისა სარწმუნობითა, რათა მან მოგანიჭოს შენ ცხოვრება ბედნიერი ჭეშმარიტი ქრისტიანისა, ცხოვრება, აღსავსე ამა სოფლისა დიდებითა, განმშვენებული მაგალითებითა სწავლათა და მცნებათა იესოსთა. სიმდაბლესა შ[ინ]ა ჩემსა მე ვგრძნობდი თავსა ჩემსა გამგრძობელად ლოცვათა და ვედრებათა წინაშე ღ[მრთი]სა დედისა მის[ი]სა წილზედომილ საქართველოს, მისსა მლოცველსა საქართველოს ერსა, მრავლად ტანჯულსა, მაგრამ სარწმუნოებასა შ[ინ]ა მტკიცესა და მტერთაგან უძლეველსა მისსავე მფარველობასა ვავედრებდი მხარესა, რომელსა განაშვენებდნენ ძეგლი მადიდებელნი წარსულთა დროთა საქართველოს ქრისტიანობისა — მარტვილი, ხობი, შემოქმედი და ჯუმათი... ვიყავ თავი მლოცველის ჩემის სამწყსოსა, რომლისა ფიქრი მარადესა განუშორებელ იყო დიდება საქართველოს ეკლესიისა, სუფევა ქართული წიგნისა, ქართულის კითხვისა, ქართული საეკლესიო გალობისა..." (ზუგდიდის მუზეუმის ხელნაწერთაცავი, ლიტ. არქივი, № 1880).

ამავე მიმართვიდან ორკვევა, რომ მეუფე გრიგოლის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ყოფნისას მის სამწყსო ეპარქიაში დაარსდა სამზრუნველო სასულიერო პირთა ქვრივ- ობლებისათვის, აშენდა ჭყონდიდის საეპისკოპოსო სასახლე, მარტვილის სასულიერო სასწავლებლის შენობა, საცხოვრებელი სახლები ამ მონასტრის ბერებისათვის, ბათუმში აიგო ეკლესია ახალშემოერთებული აჭარის მკვიდრთათვის, გურიასა და სამეგრელოში აშენდა 60-ზე მეტი ქვიტკირისა და ხის ეკლესია, ორკლასიანი სამრევლო სკოლები გაიხსნა ბანდაში, ეწერში, თამაკონში, მარტვილში, ქობულეთში, ხეთაში, კიწიაში, გაიხსნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 160-მდე სკოლა...

მუზევ გრიგოლი 1898 წლის 20 მარტს გადააყენეს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსობიდან და მოსკოვის წმინდა სინოდალური კანტორის წევრად აირჩიეს. ის სამოღვაწეოდ მოსკოვს უნდა გადასულიყო. დიდ მოძღვარს სამეგრელოს სამღვდელოებამ და მრევლმა ფოთში, სადაც იყო ამ დროს გურია-სამეგრელოს ეპარქიის დედა ტაბარი, საზეიმო გაცილება მოუწყო. ამასთან დაკავშირებით გაზ. „ივერია“ (1898 წ. № 103) წერდა: „17 მაისი. დღეს ფოთმა დიდის ამბით გააცილა ეპისკოპოსი გრიგოლი, რომელიც მოსკოვში იქნა გადაყვანილი. სამწყსომ მიართვა ყოვლად სამღვდელოს ადრესი და მასთან კვერთხი ზედწარწერით — "პატივცემულ მღვდელმთავარს და უფლისა სიტყვითა მჭევრმეტყველ მქადაგებელს". გაცილების მეორე დღეს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი მოსკოვს გაემგზავრა“ (გაზ. „ივერია“, 1898 წ. №№ 80, 187).

საფუძვლიანად შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მოსკოვში მისი გადაყვანის მიზანი უმაღვე საქართველოს გარეუქების პოლიტიკისათვის ხელის შემშლელი პატრიოტი ქართველი მღვდელმთავრის მოშორება იყო, ვიდრე ეკლესის წინაშე მისი მართლაც დიდი ღვაწლის დაფასება. ამას ეპისკოპოსი გრიგოლი იმთავითვე მიხვდებოდა, მაგრამ საეკლესიო ხელისუფალთა ამ გადაწყვეტილებას ის, როგორც დიდი სჯულის კანონის მორჩილი, წინ ვერ აღუდგებოდა. სამშობლოს მოცილებულმა მეუფე გრიგოლმა დიდი ხანი ვერ გაძლო უცხოობაში. 1901 წლის 8 ივნისს მან უარი განაცხადა წმინდა სინოდის წევრობაზე და გელათის მამათა მონასტერში განამწერეს. მაგრამ ითხოვა იმ მონასტერში ეღვაწა, სადაც გაატარა ყრმობისა და სიჭაბუკის წლები. ეს იყო მარტვილის მონასტერი. ეს თხოვნა მას შეუსრულეს და ამ მონასტერში გაატარა მან სიცოცხლის ბოლო წლები. აქვე გარდაიცვალა 1907 წლის 12 ოქტომბერს და მარტვილის ტაძარშივე იქნა დაკრძალული („საპატრიარქოს უწყებანი”, 2008 წ. № 18, გვ. 19).

"საფარევლი" - უცდიდისა და ცაშის გარეშემოსის მიზნების განხორციელებისთვის, 2008 წლის ოქტომბერი, № 8 (89).



## ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი

ქურნალი

1895 წლის 15 მარტს (2 ივნის) მისი უწმინდესობის, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, უწმინდესი გრიგოლის განკარგულების საფუძველზე, რაც მოჰყვა ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორის 1894 წლის 9 მარტის № 2132 ბრძანებულებას, [შექმნილმა] კომისიამ, რომლის წევრებიც იყვნენ: კეთილმოწეს [აეააში დეისი] დეკანოზი მიხეილ მეუნარგია, კეთილმოწესე დეკანოზი გიორგი ბერიძე, კეთილმოწეს მღვდლები - ნესტორ ალშიბაია, კაპიტონ გაწერელია, ანტონ კეკელია და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი სტეფანე ძიმისტიშვილი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, უწმინდესი გრიგოლის თავმჯდომარეობით,



მომისმინა:

ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორის [შემცირებული] 1894 წლის 9 მარტის № 2132 ბრძანებულება შემდეგი შინაარსისა: „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანებულებით, ქართლ-იმერეთის უწმინდესმა მმართველმა სინოდალურმა კანტორამ მოისმინა სინოდალური კანტორისათვის მისი მაღალუსამღვდელოესობის, საქართველოს ეგზარქისის მიერ სინოდალური კანტორისათვის ჩაბარებული № 4 გამოხმაურება უწმინდეს ბესარიონისა, ალავერდის ეპისკოპოსისა, სემინარიის მასწავლებელ თევდორე ქორდანიასი და მღვდელ გიორგი ჩაგუნავასი ამა წლის 28 (თარიღი მხელად იკითხება - მთარგმნელები) იანვრისა, ზოგიერთი ლოცვის მეგრულ ენაზე გადათარგმნის შესახებ. [კანტორა] ბრძანება: განიხილა რა საგანგებო კომისიის მიერ წარმოდგენილი გამოხმაურება ზოგიერთი საყოველთაოდ გამოსაყენებელი ლოცვისა და ათი მცნების მეგრულ ენაზე თარგმნის ცდის შესახებ, ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორა ვერ ხედავს საფუძველს გამოხმაურებაში განმარტებული იმ მოსაზრებებისათვის წმინდა ხალხურ მეგრულ ენაზე ამგვარ ლოცვათა და ათი მცნების განსაკუთრებული თარგმანის შედეგის შესახებ, თითქოსდა გარდა იმისა, რომ მეგრელი მოსახლეობისათვის დიდი ხანია არსებობს საღვთისმსახურო წიგნების ტექსტის იგივე თარგმანი, რაც აქვთ ქართველებს, კომისიის გამოხმაურების მიხედვით, მეგრელი მოსახლეობის შედარებით უმნიშვნელო ნაწილს არ ესმის ქართული საღვთისმსახურო წიგნების ტექსტი. მიუხედავად ამისა და იმის გამო, რომ კომისიაც არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ქართულ ენაზე არსებული საღვთისმსახურო წიგნების ტექსტი სამეგრელოს ზოგიერთ მხარეში საერთოდ გაუგებარია, სინოდალური კანტორა, იმ კომისიის აზრის საპირისპიროდ, არამცუ არ მიიჩნევს ზედმეტად ამ ტექსტის გაუგებარი სიტყვების განმარტებას, არამედ ამგვარი რამ სასარგებლოდაც მიაჩნია. ამიტომ სინოდალური კანტორა განიზრახავს: 1) უცვლელად დატოვოს საღვთისმსახურო წიგნთა ტექსტი ქართულ ენაზე სამეგრელოს სკოლებისთვისაც, ოღონდ ამ თარგმანს დაერთოს გაუგებარი ან ნაკლებად გასაგები სიტყვებისა და გამოთქმების პწყარედული განმარტებანი მეგრულ კილოზე. საამისოდ დაეგალოს თქვენი უწმინდესობის თავმჯდომარეობით, თქვენთვის ცნობილ პირთაგან შემდგარ საგანგებო კომისიას, 2) გადახედოს ხალხურ მეგრულ ენაზე გადათარგმნილ თანდართულ ლოცვათა ტექსტს, ამჟამად ქართულ ენაზე არსებული ამ ლოცვების ტექსტისთვის მეგრულ კილოზე შეადგინოს პწყარედული განმარტებანი გაუგებარი სიტყვებისა და გამოთქმებისა თანდართულ თარგმანში წარმოდგენილი სიტყვების შენარჩუნებით, თუკი ისინი გამოსაღებია, წარმოუდგინოს ამგვარი განმარტებანი კანტორას და 3) პატივსაცმ სასულიერო და საერო პირთა მეშვეობით და სხვა გზებით გულდასმით შეამოწმოს, არსებობს თუ არა საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ლოცვათა გაუგებარი სიტყვების მეგრულ კილოზე განმარტების შემოთავაზებული ცდა სახიფათოა და შეუძლია გამოიწვიოს არეულობა და მითქმა-მოთქმა მეგრულ მოსახლეობაში, ვითარცა რწმენის დამახინჯებას, და საზოგადო წარმოშვას ცდუნებასთან და საეკლესიო სამყაროს ზიანთან შეერთებული უკმაყოფილება ხალხისა და უნდობლობა სკოლის მიმართ. 1894 წლის 9 მარტი".

დაადგინა:

თანახმად ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორის ბრძანებულებისა და ამ უურნალში მოყვანილი ცნობების გათვალისწინებით, განიხილა რა მეგრულ კილოზე ლოცვათა თარგმნის საკითხი, კომისია თავის მხრივ შემოთა-ვაზებულ თარგმანს მიჩნევს, ჯერ ერთი, შეუძლებლად მეგრული კილოს უკიდურესი დაუმუშავებლობისა და განუვითარებლობის მიზანით ამ კოლოში ისეთ სიტყვათა უქონლობის გამო, რომლებიც საჭიროა არამცუ ლოცვებსა და, საზოგადოდ, საღვთისმსახურო წიგნებში ასახულ რელიგიურ-ზნეობრივ ცნებათა, არამედ თვით უბრალო ზოგადსახალხო, ყო-ველდღიური აზრების გამოსახატავად; მეორე, მავნედ ზნეობრივ-რელიგიური თვალსაზრისით, რაკი [ამ თარგმანს] შეუძლია ხალხში წარმოშვას სხვადასხვაგვარი მითქმა-მოთქმა და ანტირელიგიური განმარტებანი, და, მესამე, ზედმეტად, ვინაიდან მეგრული კილო მოსახლეობისათვის გასაგები ქართული ენის დიალექტი.



ცნობა 1. აღნიშნულ ბრძანებულებას მოჰყვა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, უწმინდეს გრიგოლის 1894 წლის 30 მაისის შემდეგი შინაარსის რეზოლუცია:

"1894 წლის 30 მაისი. ვქმნი კომისიას შემდეგი დეკანოზების - მეუნარგიასა და ბერიძის, კეთილმოწესე მღვდლების - ალშიბაიას, კაპიტონ გაწერელიას, კეკელიასა და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ მიმისტარიშვილის შემადგენლობით, რომელთაც ვავალებ, წარმოადგინონ ამ ბრძანებულების შინაარსთან დაკავშირებით თავიანთი შეხედულება და დასკვნა".

ცნობა 2. უწმინდესი სინოდის ბატონი ობერ-პროკურორის 1892 წლის 24 მაისის № 2729 მიმართვის შედეგად, რომელიც ეფუძნებოდა კავკასიის სასწავლო ოლქის ბატონი მზრუნველის [კირილი იანოვსკის - მთარგმნელები] მოხსენებას სახალხო განათლების ბატონი მინისტრისადმი, საქართველოს ყოფილი ეგზარქისი, მისი მაღალუსამღვდელოები პალადი 1892 წლის 5 ივნისის № 2646 მიმართვით გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსისაგან, მის უწმინდესობა გრიგოლისაგან მოითხოვდა გამოხმაურებას, რაც გადაგზავნილ იქნა მისი უწმინდესობის მიერ იმავე 1892 წლის 12 აგვისტოს 2168 ნომრით და იყო შემდეგი შინაარსისა:

"მაღალყოვლადუსამღვდელოები მეუფეო, მოწყალეო მწყემსმთავარო, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა, ბატონმა საიდუმლო მრჩეველმა იანოვსკიმ სახალხო განათლების ბატონ მინისტრი-სათვის წარდგენილ თავის მოხსენებაში წერა-კითხვის შემსწავლელი და საკვირაო სკოლების მართვის საკითხის განხილვისას გამოთქვა მოსაზრება, რომ "საჭიროა უკიდურესი სიფრთხილე ტუზემცური [ქართული - ჩამატებულია ცნობის ავტორთა მიერ. მთარგმ.] სამღვდელოებისათვის ადგილობრივ მოსახლეობაში დაწყებითი განათლების გავრცელების საქმეში უფლების მიცემისას. ამიერკავკასიაში უმაღლესი სამღვდელოების უმრავლესობა, აგრეთვე სამღვდელოების საშუალო და დაბალი ფეხები თითქმის უგამონაკლისოდ ქართულ მოდგმას განეკუთვნება. ტუზემცუებიდან გამოსული კავკასიელი მღვდლები მცირედ არიან მომზადებულნი სჯულის მოძღვრის სახით მოღვაწეობისათვის, მათ ცუდად იციან რუსული ენა, ხოლო სოფლის სამღვდელობაში გვხვდებიან ისეთი პირები, რომლებმაც თითქმის სრულებით არ იციან რუსული ენა, ამიტომ, საიდუმლო მრჩეველ იანოვსკის აზრით, სამღვდელოები-სათვის საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლების განუყოფელი მართვის უფლების მინიჭება არის არა მარტო არარაციონალური, არამედ სახიფათოც, ზემოთ დასახელებულ მიზეზთა გარდა, წმინდა პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო, ვინაიდან იგი ძირულად ეწინააღმდეგება მთავრობის მისწრაფებას იმპერიასთან განაპირობარების რაც შეიძლება მჭიდროდ შერწყმისაკენ".

კავკასიის სასწავლო ოლქის ბატონ მზრუნველის აქ გადმოცემულ მოსაზრებებს, ჩემი ღრმა რწმენით, არა აქვთ მყარი საფუძვლები საქართველოს საეგზარქოსოს სამღვდელოების ამჟამინდელ ვითარებაში. ეს სამღვდელოება როგორც რუსული ენის ცოდნის, ისე სანდოობის მხრივ სრულებითაც არ იმსახურებს იმ საყვედურს, რომელიც მის მიმართ არის გამოთქმული საიდუმლო მრჩეველ იანოვსკის ნაწერში, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამჟამად ქართველ ღვთისმსახურებად გვევლინებიან უმეტესწილად ის პირები, რომლებმაც განათლება მიიღეს თბილისის სასულიერო სემინარიასა და საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებელში და საკმარისად კარგად იციან რუსული ენა, რათა უხელმძღვანელონ თავიანთ საეკლესიო-სამრევლო სკოლებს და წარმატებით წარმართონ მათში რუსული ენის სწავლება, მეორე, იმიტომ, რომ მე ჯერაც არ ვიცი იმისი მაგალითი, რომ ღვთისმსახურთა წრიდან გამოსულიყვნენ ადამიანები, ვინც რაიმეში გამოამჟღვანებდა თავის პოლიტიკურ არასანდობას. კავკასიის სასწავლო ოლქის ბატონ მზრუნველის მიერ მითითება სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის სწავლებაზე, როგორც ქართველთა პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის დამადასტურებელ საბუთზე, უფრო იმას აჩვენებს, რომ საგანმანათლებლო უწყებამ, ჩემი აზრით, არასწორად წამოჭრა საკითხი მეგრული დიალექტისა და მისაღმი ქართული ენის მიმართების შესახებ. ეს საკითხი მე იმდენად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ აუცილებლად მესახება, დაწვრილებით მოვახსენო ამის შესახებ ჩემი შეხედულება თქვენს მაღალუსამღვდელოებობას.



კავკასიის სასწავლო ოლქის ბატონი მზრუნველი ერთმანეთისაგან განარჩევს მეგრელებსა და ქართველებს და ამბობს, რომ მათ ენებს დაახლოებით ისეთივე მიმართება აქვთ ერთმანეთისადმი, როგორიც, ერთი მხრივ, პოლონურისა და ჩეხურის, მეორე მხრივ კი რუსულს აქვთ, მაგრამ იგი უყურადღებოდ ტოვებს იმას, რომ ერთი წინაპარი სლავური ენის შთამომავალი პოლონური, ჩეხური და რუსული ენები საუკუნეთა მანძილზე მოდიოდნენ და ვითარდებოდნენ ერთმანეთისაგან სრულებით დამოუკიდებლად, ამჟამად კი ეს სამი მონათესავე ენა წარმოგვიდგენს თავიანთ გარეგნულ და სულიერ თავისებურებებს, რომლებიც მკვეთრად არის გამოხატული ეროვნული თვითშეგნების მძლე ბერკეტში - სიტყვაში, ლიტერატურაში. იმავეს არ წარმოადგენს მეგრელთა მეტყველება ქართულ ენასთან მიმართებით. მეგრული ენა ქართული ენის კილოა, სრულიად განუვითარებელი ადამიანური აზრის წერილობითი შემოსვისათვის. არა აქვს რა არც გრამატიკული ფორმები [=ორთოგრაფიული ნორმები - მთარგმ.] და არც დამწერლობა, მეგრული ენა უხსოვარი დროიდან თანადაქვემდებარებულია ქართულ ენასთან. ამიტომ არასწორია ამ ორი ენის ურთიერთმიმართების შედარება რუსულის, პოლონურისა და ჩეხურის ურთიერთმიმართებასთან. აქ ჩვენ გვაქვს მკვეთრად გამოხატული თანადაქვემდებარება, სლავურ ენათა ოჯახში კი - სრულიად დამოუკიდებელი პარალელურობა. უსამართლობა იქნებოდა ამ საკითხში ჩემი კომპეტენტურობის აუდიარებლობა. მე თვითონ დაბადებით მეგრელი ვარ და კარგად ვუწყო როგორც მეგრული, ისე ქართული ენები. 15 საუკუნეა, რაც მეგრელები ქართულ ენაზე აღუვლენენ ლოცვას ღმერთს და მე, ვითარუკა მათ მწყემსმთავარს, შემიძლია დავადასტურო, რომ ისინი კარგი ქრისტიანები არიან და სათანადოდ ესმით ღვთაებრივი გამოცხადების მოძღვრება. მეგრელებმა ქართველებთან ერთდროულად დაიწყეს წერა და კითხვა ქართულად, ხოლო ქართული ეკლესიის გადმოცემით, ქრისტიანობის შუქმა ისინი აღმოსავლეთ საქართველოზე აღრე გააცისკროვნა და მათ პირველებმა ადიდეს ჭეშმარიტი შემოქმედი ქართული სიტყვით. აქ სამღვდელოება კი არ არის დამნაშავე, როგორც შეცდომით ჰგრძნიათ ზოგიერთებს, არამედ ჩანს ისტორიის ძალა და კვალი. ქართველურ მოდგმაში მეგრელები ლამის ყველაზე ნიჭიერნი და ადვილამთვისებელნი არიან, და არა მარტო სამეგრელოს ტერიტორიაზე შედგება მასწავლებლობა და სამღვდელოება მხოლოდ წმინდასისხლიან მეგრელთაგან, არამედ ისინი ამიერკავკასიის სხვა ნაწილებშიც იღვწიან სულიერი და საერო მოღვაწეობის ასპარეზზე, შესაბამისად, რომელ გარედან ზეგავლენაზე შეიძლება იყოს აქ საუბარი?! რა თქმა უნდა, არასწორია აზრი, თითქოს სამეგრელოში ასწავლიან და ზედამხედველობენ ქართველები.

კონსტატირდება სასწავლო უწყების ჩინოსანთა წარუმატებელი მცდელობანი, მეგრულ დიალექტზე თარგმნონ საეკლესიო წიგნები და ამ წარუმატებლობაში ცდილობენ ბრალი ისევ სამღვდელოებას დასდონ. სასწავლო უწყების ჩინოსნებმა რომ იცოდნენ ის ენები, რომელთა შესახებაც მსჯელობენ, დარწმუნებული ვარ, ისინი სულ სხვა დასკნამდე მივიღონდნენ. ისინი ცხადად დაინახავდნენ, რომ შეძლებელია ღვთაებრივ ჭეშმარიტებათა შემცველი საეკლესიო წიგნების თარგმნა არასრულყოფილ, მცირესიტყვიან და წერილობითი თხრობისათვის სრულიად გამოუსადეგარ მეგრულ ენაზე. ამჟამად არ არსებობს ისეთი მეგრელი, ვინც შეძლებდა გადაელო საეკლესიო წიგნები მეგრულ ენაზე, ეს უბრალოდ და ყოველგვარი ფარული აზრების გარეშე იხსნება: მოსაწყენი მეგრული დიალექტი ბავშვურ ტიტინს ჰგავს. შესაძლებელია თუ არა ამ ტიტინით ჩამოყალიბდეს ზნეობის წესები და ქრისტიანული მოძღვრების სათნოება? ეს აზრი საეკლესიო წიგნთა თარგმნის შესახებ უკუგდებულ იქნა არა ადგილობრივი პატრიოტიზმის გამო, რაც ყოველ შემთხვევაში უცხოა ეკლესიის თავმდაბალ მსახურთათვის, არამედ საეკლესიო ტრადიციის საფუძველზე, იმ უბრალო მიზეზით, რომ მეგრელი ქართულ ენას აღიქვამს როგორც თავის ძირები საკუთრებას. ამიერკავკასიის მართლმადიდებელი სამღვდელოება მორჩილი სიამაყით შეჰერებს თავისი ღირსეული არსებობის 15 საუკუნეს. მთელი ამ ხანგრძლივი და სხვა თვალსაზრისით მეტად მძიმე დროის მანძილზე სამღვდელოების ჭეშმარიტი რწმენით განმსჭვალული ცხოვრება არცერთხელ არ დაბნელებულა მწვალებლობით. ქართველმა მწყემსმთავრებმა სრულიად და წმინდად გადმოგვცეს მართლმადიდებლობის წმინდა ანაბარი და ამით ხელი შეგვიწყვეს რუსეთის დიად მართლმადიდებლურ სახელმ



წიფოსთან შერწყმასა და მის სულიერ ცხოვრებასთან ზიარებაში. საყვედურებსა და გაკიცხვას როდი ვიმსახურებთ ჩვენ, მათი მოადგილენი და წმინდა საქმის გამგრძელებელნი!

ჩემდამი რწმუნებულ ეპარქიაში რუსული ენისა და კულტურის დანერგვის ინტერესები სრულებითაც არ საჭიროებენ მეგრულ დიალექტზე საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნების თარგმნას, და სხვათა შორის, მეორე მხრივ, ვშიშობ, რომ ამ წამოწყებას არ ექნეს სამწუხარო შედეგები წმინდა რელიგიური თვალსაზრისით. განა ამ მოსაზრებით არ ხელმძღვანელობდნენ რუსული სამღვდელოება და საზოგადოება უღირსეულესი იერარქის, მიტროპოლიტ ფილარეტის მეთაურობით, როცა ერთხმად იქნა უკუგდებული სლავური საღვთისმეტყველო წიგნების თარგმნა რუსულ ენაზე?! ჩვენ კი, სამეცნიეროს სამღვდელოებას, უფრო მეტი და წონადი საფუძველი გვქონდა, რუსული სამღვდელოების ანალოგიურად რომ მოვქცეულიყავით. ფხიზლად ვიცავდით რა მართლმადიდებლობის სიწმინდეს, შევშინდით, თავდაყირა არ დაგვევენებინა ღვთაებრივი მოძღვრება.

ჩემდამი რწმუნებული ეპარქიის მირითადი და დიდი ნაწილი შედეგება ყოფილი სამეცნიეროს სამთავროსაგან, რომელიც მოიცავს ქუთაისის გუბერნიის სამ მაზრას – ზუგდიდისა, სენაკისა და ლეჩხუმისა და დასახლებულია ეგრეთ წოდებული მეგრელებით. ლეჩხუმის მაზრა მთლიანად ლაპარაკობს წმინდა ქართულ ენაზე და სრულებით არ იცის მეგრული. ყველაზე დასახლებული ადგილები სენაკის მაზრისა, როგორიც არის გორდი, კინჩხა, ხუნწი, საჭილაო, სამიქაო, გეხეთი და სხვები, ლაპარაკობს ასევე ქართულად და სრულებით არ იყენებს და არ ესმის მეგრული კილო. ამაში ამჟამად დარწმუნდა თვით სასწავლო უწყება და აღიარა რა გამოუსადეგრად დაწყებით სკოლებში სწავლების თავისი სისტემა, უარი თქვა მასზე სამეცნიეროს იმ ადგილებში, საღაც გაბატონებულია ქართული ენა. მეგრული ენის ახლახან შემოღებულ სწავლებას თვით ხალხი მოწონებით არ უყურებს და მე მაქვს ფაქტები, რომლებიც მეტყველებენ საიმისოდ, რომ ამ კილოს ხელოვნური და წმინდა მექანიკური სწავლება ამჟარუჭებს რუსული ენის განვითარების საქმეს. ამასთანავე მეგრელმა ღრმად შეიგნო თავისთვის რუსული მეტყველების ცოდნის არსებითი [მნიშვნელობა] და აუცილებლობა. ყოველი დედის გულწრფელი ოცნებაა, რომ მისი შვილი წიგნიერი იყოს, წიგნიერებისა და განათლებულობის შესახებ კი ჩამოყალიბდა წმინდა პრაქტიკული შეხედულება. წიგნიერ ადამიანს შეუძლია განმარტება მისცეს ხელისუფლებას, არ დაიბრუნა ქალაქში. წიგნიერად სხვა არავინ იწოდება, თუ არა მხოლოდ რუსული ენის მცოდნე, ამჟამადაც და მას მერც, რაც შემოღებულ იქნა საყოველთაო სამხედრო ვალდებულება, ხალხი უძალლეს თვისებად მიიჩნევს რუსული ენის ცოდნას, როგორც ბერკეტისა სავალდებულო სამსახურის მოხდის დროს. ამ წმინდა პრაქტიკულმა მოსაზრებებმა ის ქნეს, რომ ხალხში ყოველდღიურად სულ უფრო ფეხს იკიდებს იდეა, რომ მისთვის აუცილებელია, იყოს წიგნიერი, კულტურული.

ჩვენ, სამღვდელოება, შეძლებისდაგვარად ვმუშაობთ ხალხის ამ კეთილშობილური მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად და ჩვენი მატერიალური სახსრების მთელი სიმწირის პირობებში ამ დრომდე წინ მივიწევთ საეკლესიო-სამრევლო სკოლების დანერგვის საქმეში. ჩემს ეპარქიაში განათლების წარმატებები იმავე ზომითაა ძვირფასი, როგორც კავკასიის სასწავლო ოლქის ბატონ მზრუნველი-სათვის და ჩვენი მიზნებიც სოლიდარულია. ჩვენ რამდენადმე განგვასხვავებს ამ ჩვენი საერთო მიზნების მიღწევის გზები, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ საკითხის ღრმად და ახლოს გაცნობა გააქრობს ყოველგვარ უთანხმოებას. ამჟამად ჩემს ეპარქიაში არის 89 სკოლა და იმედი მაქვს მათი თანამდებობისა და გაუმჯობესებისა. პირველდაწყებითი სახალხო განათლება, ჩემი ღრმა რწმენით, უნდა იმყოფებოდეს სწორედ სამღვდელოების ხელთ, რათა მოწაფეებს მცირე ასაკიდანვე ჩაენერგოთ ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა და სულიერი განვითარება, რათა სწავლების თავი და ბოლო იყოს ერთგულება ღვთისა და ტახტისადმი და განდევნილ იქნეს თავისუფალი აზროვნებისა და არარელიგიური აღზრდის ის არასასურველი სული, რომელიც, სამწუხაროდ, შეინიშნება საერთო სკოლებში.

კავკასიის სასწავლო ოლქის ბატონ მზრუნველის მთელი მოხსენება თავიდან ბოლომდე გამსჭვა-



ლულია იდეით საეკლესიო-სამრევლო სკოლების სამღვდელოებისათვის დათმობის სახიფათოობის შესახებ. მართლა არსებობს თუ არა ასეთი საშიშროება და მისი რომელი ნიშნებია შენიშნული ჩვენს ცხოვრებაში? ლიტონი განცხადება ტუზემცური სამღვდელოების თავისი სკოლების ხელმძღვანელობისათვის სრული მოუმზადებლობისა და მისი პოლიტიკური არასანდობის შესახებ არაფერს ეუბნება არც გონებასა და არც გულს, ხოლო ამ აზრის ილუსტრაციისათვის მოხმობილი ფაქტები იმდენად მოჩვენებით და მცდარად განმარტებულია, რომ საკმარისი იქნება ზერელე ანალიზიც კი, რათა მიგუთითოთ მისი უსაფუძვლობა. მართალია, გვხვდება ჩემს ეპარქიაში რუსული ენის უცოდინარი მღვდელი, მაგრამ იგი მოხუცია, წარსულიდანაა და არსებობს იმისი სრული იმედი, რომ სემინარიდან და სასულიერო სკოლებიდან ახალი ძალების მოდინებასთან ერთად ასეთი არასასურველი მოვლენა საერთოდ აღარ იქნება, თუმცა უკვე ამჟამად ეს ხარვეზი თანდათანობით ივსება. სკოლათა ხელმძღვანელების ახლანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ ისინი სრულიად მზად არიან საიმისოდ, რათა ღირსეულად წარუდღვენ საეკლესიო-სამრევლო სკოლების საქმეებს და მე იმისი თავდები ვიქნები, რომ ამ ამოცანას ისინი სრულებით დაძლევენ. ჩემი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სამღვდელოება დამაკმაყოფილებლად შეასრულებს საეკლესიო სკოლებისათვის დასახულ ამოცანებს: განამტკიცონ ხალხში მართლმადიდებლური რწმენის და ქრისტიანული ზნეობრიობის მოძღვრება და გადასცენ ხალხს პირველდაწყებითი სასარგებლო ცოდნა, რომელშიც მთავარი იქნება ტახტისა და მეფის ერთგულება. მე თავს ვიდებ, რომ ამ სკოლებში რუსული ენის სწავლების საქმე სათანადო სიმაღლეზე იქნება და მე, ვითარცა უკვე წახალისებული გამოცდილებით, ვიმედოვნებ წარმატებას. საეკლესიო სკოლებისათვის დაწესებული კონტროლი სასწავლებელთა საბჭოების სახით, რომელთაც თავმჯდომარეობენ აკადემიური განათლების მქონე პედაგოგები, სრულ გარანტიას იძლევა საქმის სწორად გაძლილისა.

მე არ ვიცი ის წყარო, საიდანაც ამოკრებილია ცნობები, თითქოს ჩვენში რუსული ენის [სწავლების] საქმე ჩიხში იყოს მოქცეული. მე, პირიქით, შემეძლო საპირისპირო ფაქტის კონსტატირება. ჩვენი ხალხი ისეთი ხალისით ესწრაფვის რუსული ენის შესწავლას და ისეთი წარმატება აქვს, რომ საეჭვოა, მას შეედაროს დიადი რუსული იმპერიის შემადგენლობაში მყოფი რომელიმე სხვა ნაცია. ორმოცი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ჩვენ საბოლოოდ ვეზიარეთ რუსულ ცხოვრებას და უკვე არაერთი ათასი ადამიანი გვყავს განათლებული და კულტურული. მე აქ პირად რწმენას როდი გამოვთქვამ, არამედ მთელი ხალხის რწმენას. ამიტომ უსამართლობაა ხალხზე მსჯელობა ორი-სამი სამწუხარო და მახინჯი მაგალითის მიხედვით, რასაც წმინდა პირადი ხასიათი აქვს, რა თქმა უნდა, თუკი ეს მაგალითები ცნობილია. მათ [რუსულის არმცოდნეთ - მთარგმ.] უნდა შევუდაროთ ჭეშმარიტად განსწავლული, განათლებული ტუზემცების მთელი მასა, რომლებიც სრულად ნაზიარები არიან რუსულ ცხოვრებასა და კულტურას და ესმით როგორც თავიანთი ჭეშმარიტი ბედნიერება, ისე ხალხის ბედნიერება; მათ უნდა შევუდაროთ მასა, ხალხი, რომელმაც იცის და აფასებს მთელ სიკეთეს, მთელ ზრუნვას, შრომასა და უზარმაზარ ხარჯებს, რაც რუსებმა გაიღეს ჩვენდამი.

ვამთავრებ რა ჩემს გამოხმაურებას, მორჩილად მოვახსენებ თქვენს მაღალუსამღვდელოებობას, რომ მე არ ვიზიარებ მისი უდიდებულესობის, კავკასიის სასწავლო ოლქის ბატონ მზრუნველის შეხედულებებს და ჩემდამი რწმუნებული სამღვდელოების ამჟამინდელი მდგომარეობა მიმართა სრულიად დამაკმაყოფილებლად თავისი სკოლების დამოუკიდებლად მართვისათვის".

**ცნობა 3.** ქართლ-იმერეთის სინდაღლური კანტორის 1893 წლის 9 მარტის № 2132 ბრძანებულების შინაარსთან დაკავშირებით მოსაზრებათა წარმოდგენის შესახებ. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა, უწმინდესმა გრიგოლმა დავაკალა პირველ ცნობაში დასახელებული კომისიის წევრებს, სამეგრელოს სამღვდელოების ყველა კეთილმოწესესა და თავადებს - დავით გიორგის ძე და ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანოვებს, როგორც სამეგრელოს მკვიდრთ და განსახილველ საქმეში ჩახდულ და კომპეტენტურ პირებს, მათ კი წარმოადგინეს საჭირო შეხედულებანი.

**ცნობა 4.** თავიანთ შეხედულებათა წარმომდგენთაგან კეთილმოწესე მღვდლები კ. ბერიძე, პ.



გოშუა, ნ. თოლორაია, ი. გრიგოლია, ა. რევია, ს. ქავთარაძე, კ. ჩაჩიბაია და ა. კეკელია თითქმის ერთნაირად უარყოფენ შესაძლებლობას, მეგრულ კილოზე ითარგმნოს ლოცვები და ამგვარ თარგმანს მიიჩნევთ ხალხისათვის მავნედ ზნეობრივ-რელიგიური თვალსაზრისით. დანარჩენ კეთილმოწევეთა შეხედულებანი კი შემდეგი შინაარსისაა:

ა) კეთილმოწევე მღვდლისა კაპიტონ გაწერელიასი: „თქვენი უწმინდესობის ამა წლის 27 ივნისის № 4305 ცირკულარული წერილობითი დავალების შესასრულებლად, რომელიც ეხებოდა შეხედულებათა წარმოდგენას მეგრულ ენაზე ლოცვათა თარგმნის შესახებ, პატივი მაქვს, მოწიწებით მოვახსენო თქვენს უწმინდესობას, რომ ეს თარგმანი მე მიმაჩნია შეუძლებლად, ზნეობრივ-რელიგიური თვალსაზრისით სახიფათოდ და, ბოლოს, სრულიად ზედმეტად შემდეგ მოსაზრებათა გამო:

1. ასეთი თარგმანი შეუძლებელია. დადგენილია, რომ რაც უფრო ნაკლებადაა განვითარებული ენა, რაც უფრო ნაკლებადაა იგი დამუშავებული, რაც უფრო ნაკლებად ემსახურება ეს ენა, როგორც ჭეშმარიტი საშუალება, აზრის გამოხატვას, მით უფრო ძნელი იქნება ამ ენაზე სწორად და ზუსტად გადმოიცეს აზრები - ეს ბუნებრივიც არის. დაუმუშავებელი, არასალიტერატურო ენა იგივეა, რაც გაუნათლებელი ადამიანი; როგორც გაუნათლებელ ადამიანს აქვს მცირედი წარმოდგენა, მისი აზრობრივი ხედვის წრე შეზღუდულია, სუსტია მისი ენის მოქნილობა - სიტყვათა გამოყენება სხვადასხვა ფორმით, ასპექტის, გვარის, დროის, კილოს, რიცხვისა და პირისა, ასევე ძალზე შეზღუდულია სიტყვის მარაგით არასალიტერატურო, დაუმუშავებელი ენაც, მას სიტყვის ცვალებადობა და სამკაულების [ქინის] შესაძლებლობა ნაკლებად ექნება. სწორედ ამგვარია მეგრული ენა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, კილო, რომელსაც არა აქვს არც სიტყვიერება [ლექსიკა - მთარგმ.]) და არც თვით დამწერლობა. ამასთანავე ისეთი მნიშვნელოვანი და როული საქმისათვის, როგორიცაა თარგმნა ლოცვებისა და საზოგადოდ საღვთისმეტყველო წიგნებისა, რომლებშიც მთელი თავიანთი სიცხადით, სიზუსტითა და დაწვრილებითაა გამოხატული ადამიანის რელიგიური აზრები და გრძნობები; რომლებშიც ზუსტად და რელიეფურადა განსაზღვრული ადამიანის მიზანი, უზნაესის სახელის განდიდებას რომ გულისხმობს; რომლებშიც აღწერილია გულის ყოველი მოძრაობა ადამიანისა, ცოდვილისა, ვინც აღიარებს საკუთარ ცოდვებს, ინაირებს თავის ცოდვებს, ითხოვს დვორისაგან მიტევებას, ვითარცა ადამიანი; რომლებიც აღწერენ დვორის ყველა თვისებას; წიგნებისა, რომლებშიც განმარტებულია ურთიერთობა ღმერთსა და კაცს შორის; ერთი სიტყვით, წიგნებისა, რომლებშიც განმარტებულია ყველა მნიშვნელოვანი დოგმატი, რომლებიც [უმათოდ] მიუწვდომელია კაცთა გონებისათვის, ყველა ღვთაებრივი მოძღვრება, - [ამგვარ] წიგნთა სათარგმნელად საჭიროა ისეთი ენა, რომელიც სათანადოდ დამუშავებული იქნებოდა, რომელიც იქნებოდა განვითარების მაღალ დონეზე, რომელსაც, ასე ვთქვათ, ექნებოდა სიტყვათა და გამონათქვამთა დიდი სიმრავლე, რაც ასე აუცილებელია წმინდა წიგნებში გამოხატული მაღალი აზრებისა და გრძნობების გადმოსაცემად და არა მეგრულის მსგავსი ენა, რომელსაც მისი უკიდურესი დაუმუშავებლობისა და განუვითარებლობის გამო ხშირად არ ყოფნის სიტყვები და სიტყვიერი კონსტრუქციები, რაც აუცილებელია არა მხოლოდ დვთივშთავონებული წმინდა წიგნების სათარგმნელად, არამედ თვით მოკვდავი ადამიანის მარტივი აზრების გადმოსაცემადაც კი. თქვენი უწმინდესობისათვის, ვითარცა მეგრული ენის და ქართულის კარგად ცოდნისათვის, უცნობი არ არის, რომ ქართულ ენაში არცოთ ცოტაა ისეთი სიტყვები, ფრაზები და წინადადებები, რომელთაგან ერთი სრულებით არ ითარგმნება მეგრულ ენაზე მასში შესაბამისი სიტყვების, ფრაზებისა და წინადადებებით უქონლობის გამო, მეორე ნაწილი, მართალია, ითარგმნება, მაგრამ ამ ენაში სიტყვათა, წინადადებებით და სიტყვიერ კონსტრუქციათა საჭირო ელფერის უქონლობის მიზეზით ვერ ითარგმნება ზუსტად, დანარჩენები კი ისეთია, რომ მათ სათარგმნელად უნდა მივმართოთ ისევ ქართულ ენას, ვინაიდან მეგრულ ენაში არც არსებობს დამოუკიდებელი ძირების ქონე სხვა სიტყვები. ასეთია საზოგადოდ ნებისმიერი ენის თვისება. ყოველ ენას, ყოველ კილოს აქვს თავისი ადგილობრივი თავისებურებანი, რომლებიც ამ ენის შესწავლის მსურველი უცხოელის მთელი მცდელობის მიუხედავად რჩებიან გაუგებარნი, მოუხელობელნი და უთარგმნელნი, ამით, სხვათა შორის, აიხსნება



ის გარემოება, რომ, როგორც ისტორია გვიჩვენებს, საღვთისმსახურო წიგნთა თარგმანები თვით წმინდა სალიტერატურო ენებზე, თანაც შესრულებული უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლების მქონე კაცთა მიერ, ყოველთვის არ აღმოჩნდებოდნენ ხოლმე წარმატებულნი და ხშირად გადაისინჯებოდა და სწორდებოდა. სამაგალითოდ ავიდოთ ლოცვათა ამჟამად წარმოდგენილი თარგმანი მეგრულ ენაზე. რომ არაუერი ვთქვათ იმის შესახებ, რომ ეს თარგმანი, როგორც მე დავრწმუნდი ამ საკითხის უბრალო ხალხთან განხილვისას, ამ უკანასკნელში გამოიწვევს სიცილსა და ზიზღს, ამ თარგმანში გვხვდება სიტყვები, რომელთაგან ერთი, შეიძლება ითქვას, უმრავლესი მეგრელისათვის სრულებით გაუგებარნი არიან, ანდა ნაკლებად გასაგებია, ვიდრე ქართული სიტყვები, მეორე ნაწილი კი სულაც არ გამოხატავს იმ აზრს, რაც სინამდვილეში უნდა გადმოიცეს, - ასეთებია სიტყვები და გამონათქვამები მეგრულ ენაზე თარგმნილ თითქმის ყველა ლოცვაში, განსაკუთრებით კი ლოცვაში „სახელითა მამისათა და ძისათა“ (ოშინეთ ბაბაში დო ფსიქიოშით): "იესო" (იოსე), „ნუგემინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო" (რჩელაუე, შური ბეჯითი), „საუნჯე" (ქოდე), „წმიდა მყუენ ჩუენ" (გობლაურწკლით), „ნეტარება" (ჯგირობუ), „არსობისა" (ოსქილედ), „მოგუიტყვენ თანანადებნი ჩუენნი" (ქამოტეთ გიდვალირი ჩქნი), „წარსაწყმედად" (ამორსებუსა), „ბოროტისაგან" (ღვერღვუშე), „შენ მოსცი მათ საზრდელი" (სი მეჩანქ თინებს ოდიარებს), „ადაღებ შენ ხელსა და განაძლებ ყოველსა ცხოველსა ნებისაებრ შენისა" (ონჯარ გმოჯინქე ხე სქან დო ობშანქ ისი სქლედს სქანი ჯგრობუათ), „ნუ დამაკლებ ჩუენ ზეცისაცა შენსა სასუფეველსა" (მუშ მემიუოთანთ ჩქ ჟიცაში სქანი ოშურეთისთი), „დღრთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ" (ლორნთხოვუ უწიფული, იხილი, ტბინელი მარია), „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის" (ხვამილი რექ სი ოსურეფიშე), „მომნიჭებელი გულის მისყოფისა“ და განმაძლიერებელი ძალთა სულთა ჩუენთა სა" (მეჩამუ ჩაქნდა გაღა დო ოშურე ჩქნი სიაბარაში), „აღვიზარდნეთ შენ, შემოქმედისა ჩუენისა, საღიდებელად" (მიბრდათი ჩქ სქანი რომუში ოდიდებელო), „მამულის სასარგებლოდ" (სამშობლოში ოფენედეთ); თითქმის ყველა სიტყვა „ლოცვისა სწავლის დამთავრების შემდეგ", „ათი მცნებისა" (ვითი კორჩინა): „არა ქმენ თავისა შენისა კერპი" (ვაღოლუა სქანი ჯაფონია), „არა იმრუშო" (ვეგნეპორეფე), „არა გული გითქუმიდეს ცოლისათ ს მოყუასისა შენისა" (ვადგენჯარას ჩილქ მოჯგირე სქანიში), „მოყუასი" (მოჯგირე), „არცა მ ევლისა მისისა" (ვარში მუში მუარხექ), „არცა კარაულისა მისისა" (ვართ იში ორინჯექ) და სხვ.

წმიდა წერილის თარგმნა, ლოცვათა თარგმნა სრულიად წმიდა საქმეა, - ის შეიძლება შესრულდეს მხოლოდ განსაკუთრებული მოწოდებით, ზეციური მოწოდებით და, უნდა ვივარაუდოთ, მხოლოდ ამგვარი მოწოდების მქონე მთარგმელთა წყალობითაც დარჩა წმიდა წერილი უგნებელი და ხელუხლებელი ჩვენშიაც და სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებშიც. ასეთ მოსაზრებას, ჩანს, არ შეესაბამება ისეთი ფაქტები, როცა ზოგიერთმა პირმა თარგმნა საღვთისმსახურო წიგნები ისეთ ენებზე, რომლებიც არა მარტო ჯერ კიდევ არ იყვნენ დაცილებულნი თავიანთ პირველყოფილ სახეს, არ ბრწყინავდნენ საკუთარი ლიტერატურით, არამედ დამწერლობაც კი არ ჰქონდათ, როგორც ეს ქნეს, მაგალითად, წმიდა ძმებმა, კირილემ და მეთოდემ, სლავთა განმანათლებლებმა, რომელთაც თვითვე „შექმნეს სლავური დამწერლობა და სლავურ ენაზე გადათარგმნეს წმიდა წერილი და საღვთისმსახურო წიგნები", მაგრამ ისინი ხომ წმინდანები ბრძანდებოდნენ, კირილე და მეთოდე იყვნენ ღვთივშთაგონებულნი კაცინ, ხოლო ღვთივშთაგონებულობა, წმინდანობა, სულიწმიდის მაღლი - ყოველივე ეს ღვთისგან ბოძებული ნიჭია, რომელიც ყველას კი არ მიემადლება, არამედ მხოლოდ ღვთის რჩეულოთ. აკი წინასწარმეტყველნიც დაღადებენ მომავალს, ხოლო წმინდანები ახდენენ სასწაულებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, დაგასკნათ, რომ ყველას შეუძლია იმავეს გაკეთება. წმიდა კირილებ და წმიდა მეთოდებ სლავური ასოებიც შექმნეს და წმიდა წერილი და საღვთისმსახურო წიგნებიც თარგმნეს, ვინაიდნ ისინი დაჯილდოებულნი იყვნენ ზეცისაგან, რის გამოც მათ ეკლესიამ წმინდანთა სახელი მიანიჭა, მაგრამ ყველა ხომ ვერ იქნება კირილე და მეთოდე? საამისოდ, გავბედავ გავიმეორო, საჭიროა ზებუნებრივი ნიჭი, რომელსაც მხოლოდ რჩეულოთ ანიჭებს თვით ღმერთი, ამის გამო ღვთის რჩეულთა მაგალითად მოყვანა ჩვენგან, უბრალო [მოკვდავთაგან



- მთარგმნ.] უსაფუძვლო იქნება, ვინაიდან სამეცნიეროში ჯერჯერობით არ არიან ამგვარი ღვთის რჩეულნი და იმის მტკიცება, რომ ასეთნი არსებობენ, ცოდვაა, თანაც მძიმე ცოდვა.

ამასთანავე ლოცვათა და საღვთისმეტყველო წიგნთა სათარგმნელად, ჩემი აზრით, საკმარისი არ არის ის, რომ ენას, რომელზეც აპირებენ ამ ლოცვებისა და წიგნთა თარგმნას, ჰქონდეს უფლება, ეწოდებოდეს დამუშავებული, ლიტერატურული ენა – საამისოდ საჭიროა აგრეთვე ე.წ. ეკლესიურობა [ტაქტის ტაქტის] ენისა, რომელ თვისებაზეც მეგრულ კილოსთან მიმართებით ამჟამად ლაპარაკიც კი არ შეიძლება, ვინაიდან ჯერჯერობით საერთოდ არ არსებობს მეგრული საეკლესიო ენა - ეს სრულიად უეჭველი ფაქტია, ამასთანავე ლოცვები და საზოგადოდ საღვთისმსახურო წიგნები უნდა ითარგმნებოდეს საეკლესიო ენაზე. მართლმადიდებელი ეკლესია ასეც იქცეოდა, რათა ხსენებული ლოცვებისა და წიგნებისათვის სიწმინდე, სერიოზულობა მიენიჭებინა, ასევე უნდა მოიქცეს იგი ამჟამადაც: მაგრამ სად მოიძიონ მთარგმნელებმა მეგრული საეკლესიო ენა? მეგრული კილოს არაეკლესიურობის გამო მთარგმნელებს ერთდღულად მოუწევთ თარგმნობ კიდევაც და საეკლესო ენაც შექმნან, მაგრამ განა ასე იოლია ეს? განა ადვილია საეკლესიო ხასიათი მიეცეს მეგრულ ენას? თუკი გრამატიკა [= სამწიგნობრო-ენობრივი ნორმები - მთარგმნ.] ჩნდება რამდენიმე საუკუნის მერე, მას აქეთ, რაც ენა იწყებს თავისი ისტორიული მნიშვნელობის შეძენას, განა უფრო ძნელი არ იქნება ერთბაშად შეისწავლო ენის ეკლესიურობა? ჩემი აზრით, საამისოდ აუცილებელია, უპირველეს ყოველისა, ხელთ გვქონდეს გრამატიკა [ე.ი. სამწიგნობრო-ენობრივი ნორმები - მთარგმნ.], რომელიც საეკლესიო ენის შექმნელს გააცნობდა იმ ხალხის სალიტერატურო ენის ფორმებს, თვისებებსა და ხასიათს, რომელზეც აპირებენ საღვთისმსახურო წიგნთა გადათარგმნას. აქედან თავისთავად ცხადია, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება მეგრული ენის ეკლესიურობის შექმნელი, ენისა, რომელსაც აქამდე არ ჰქონია არავითარი გრამატიკა [სამწიგნობრო-ენობრივი ნორმები - მთარგმნ.], რომელსაც არ ჰქონია და არა აქვს არავითარი ცენტი და თითქმის არავითარი მნიშვნელობა.

2. სახიფათოა მეგრულ ენაზე ლოცვებისა და საზოგადოდ საღვთისმსახურო წიგნების თარგმნის წამოწყება ზნეობრივ-რელიგიური თვალსაზრისით. ეს თავისებური რეფორმა, ხოლო ყოველგვარი რეფორმა ისეთი მოვლენაა ხალხის ცხოვრებაში, რომელიც ხელს უწყობს მანამდე თითქოს მთვლემარე ადამიანთა გამოფხიზლებას, რაც იწვევს ადამიანთა შორის სხვადასხვაგარ მითქმა-მოთქმას, ხან დადებითს, ხან კი უარყოფითს; მაგრამ ყველაზე გაცხოველებულ კამათსა და განმარტებას იწვევს ისეთი რეფორმები, რომლებიც ეხება ხალხის ცხოვრების რელიგიურ მხარეს. ისტორიის თითქმის ყოველი გვერდი ადასტურებს ამ აზრს. სიახლეთა დანერგვის გამო რომაული ეკლესია გამოეყო მართლმადიდებლურს, სიახლეთა დანერგვის გამო რომაულ ეკლესიაში გაჩნდნენ პროტესტანტები, სიახლეთა დანერგვის გამო ცალკეული ეკლესიები განიყოფებიან რამდენიმე სუქტად, ეს უკანასკნელნი კი რამდენიმე ჯგუფად და ა.შ. სიახლეთა შემოღება რელიგიურ ცხოვრებაში ერთ-ერთი მთავარი მიზეზია სხვადასხვაგარი განხეთქილების გაჩნიასა, ცრუ მოძღვართა გამოჩენისა და გაძლიერებისა. მოკლედ, ჩემი აზრით, საჭიროა, ვიყოთ ძალზე ფრთხილნი, როცა იგულისხმება რაიმე რეფორმის განხორციელება საეკლესიო-რელიგიურ წყობაში, საფუძვლიანად უნდა განვიხილოთ, ხომ არ გამოიწვევს რეფორმა რაიმე არეულობას საეკლესიო ცხოვრებაში, ხომ არ გადაიქცევა იგი საბაბად მართლმადიდებელი ეკლესიისაგან მის შვილთა გამოყოფისათვის. ეს სიფხიზლე მით უფრო ძლიერი უნდა იყოს, რაც უფრო ხშირია ჩვენში იმის მაგალითები, რომ მსგავს სიახლეებს მართლაც მოპქონდათ არასასურველი შედეგები. თუ გავითვალისწინებთ ამ მოსაზრებებს, ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ მეგრულ ენაზე ლოცვებისა და საზოგადოდ საღვთისმსახურო წიგნების თარგმნას ექნება ცუდი შედეგები. მეგრულ ენაზე არ არსებობს არც სიტყვიერება [= ტერმინოლოგია – მთარგმნ.], არც ლიტერატურა და არც გრამატიკა [= სამწიგნობრო-ენობრივი ნორმები - მთარგმნ.], არც ისტორია, მეგრული ენა არ არის დამუშავებული, მისი თვისება არ არის გარკვეული, მოკლედ, მეგრულ ენაზე საღვთისმსახურო წიგნების თარგმნისას თვით მთარგმ-



ნელებმა ცნობილ ქართულ საეკლესიო სიტყვებს, ფრაზებსა და წინადაღებებს უნდა შეუსაბამონ ისეთი შესატყვევისი სიტყვები, ფრაზები და წინადაღებები, რომლებიც მათ თავში მოუვათ, პირადად მათ მოეწონებათ, ვინაიდან არ ექნებათ არავითარი კრიტერიუმები, არავითარი წესები. და რას მოიტანს ეს? თუკი ასეთ მთარგმნელებს, რომლებმაც შესანიშნავად იციან გრამატიკა [სამწიგნობრო-ენობრივი ნორმები - მთარგმნი]. ყველა თვისება როგორც იმ ენისა, რომლიდანაც თარგმნიანი, ისე იმ ენისა, რომელზეც თარგმნიან, გამოიუჩნდებან ხოლმე იმგვარი კრიტიკოსები, ვინც ზოგჯერ საფუძვლიანად ამტკიცებს, რომ მთარგმნელებმა საკსებით ცუდად თარგმნეს [ტექსტი], რომ მათ საბოლოოდ დაამახინჯეს დედნის აზრი, განა უსაფუძვლო იქნება, ვივარაუდოთ, რომ მეგრული თარგმანის განხილვისას ხალხში მოიძებნებან ისეთი მცოდნენი, რომელიც არ დაეთანხმებან მთარგმნელის შეხედულებას და დაიწყებენ მტკიცებას, ესა და ეს სიტყვა ცუდადაა თარგმნილი, ეს წინადაღება გამორჩილია, ამ ფრაზის მაგიერ უმჯობესი იყო ასეთის ჩასმაო; მოიძებნებან ისეთი კრიტიკოსებიც, ვინც უფრო შორის წავა: და ეს სრულებითაც არ იქნება გასასოცარი, ვინაიდან ყველას თავისი გემოვნება, თავისი აზრი, თავისი წარმოლგენა აქვს, მაგრამ არ მოეპოვება წესები, არ არსებობს გრამატიკა [სამწიგნობრო-ენობრივი ნორმები - მთარგმნი], არ მოიპოვება ისეთი საშუალება, რომელიც დაადგენდა ერთი შეხედულების სამართლიანობასა და მეორის მცდარობას; ერთადერთი საშუალება ხალხის ხმა, მაგრამ ერთი ერთი აზრისანი იქნებან, მეორენი - სხვისა; ამის შედეგად გაჩაღდება დისპუტები, გაჩნდება უთანხმოება, დრტვინვა რელიგიურ ნიადაგზე. მდელვარება დროებით შეიძლება ჩააცხროს საგანგებო კომისიის შექმნამ ენათა საუკეთესოდ მცოდნე-თაგან თარგმანთა გადასინჯვისა და მათი შესწორების მიზნით, მაგრამ, უეჭველია, მათ იგივე ბედი ელის, რაც ეწიათ რუსეთში [რელიგიურ წიგნთა] მხვეწავებს: არსენი ყრუს, ივანე ნასედკას, მიხეილ როგორს, არსენი სუხანოვს, მაქსიმე გრეკს, არქიმანდრიტებს სილვესტრსა და დიანოსის და მრავალ სხვას. მეგრელი მხვეწავები და მთარგმნელები, არსენი ყრუს მსგავსად, უეჭველად, დაიწყებენ ძახილს სხვათა შესახებ: „არც მართლმადიდებლობა, არც ირიბისიტყვაობა, ღვთაებრივი წერილი მელანს გაივლის, გონება კი მათში არ შეიგრძნობა... არიან ზოგიერთი, ვინც მწვალებლობა შემოგვაპარა, თვითონ კი ანბანი ძლივს იციან და მათ ტენში არ შეუღწევია იმას, რომ რვა მეტყველების ნაწილს აქვს სქესი, რიცხვი, დრო, მიმართვის პირი და გვარი“. სავარაუდოა, ხალხს რელიგიურ თავზარს დასცემს "სიახლენი" და მას მოეჩვენება, რომ ეს „სიახლენი“ მთელი რწმენის შერყევას გამოიწვევს; ზოგიერთები კი რუსი „სტარობრიადცების“ მსგავსად დაიწყებენ ყვირილს: „რაც ჩვენამდე დადგინდა, ისევ უცვლელად უნდა დარჩეს უკუნიოთი უკუნისამდე; მართლმადიდებლებმა თავი უნდა შესწირონ ყოველ ასოს“. და დაიწყება რელიგიური კამათი, დაუნდობელი ბრძოლა დაჯგუფებათა შორის, ჩამოყალიბდება განცალკევებული სექტები და ის სამეგრელო, სადაც ქრისტიანობის თესლი დაითესა ჯერ კიდევ მოციქულ ანდრია პირველწოდებულის მიერ, ის სამეგრელო, რომელსაც მასში ქრისტიანობის გავრცელების დროიდან დღემდე თავის წიაღში არ უხილავს არცერთი სექტანტი, არცერთი განდგომილი, არცერთი სხვაგვარად მოფიქრალი, ის სამეგრელო, რომელიც უკვე რამდენიმე საუკუნეა წმინდად, სუფთად და ხელუხლებლად იცავდა ქრისტეს რჯულს, ის სამეგრელო შემდგომში შეიძლება გადაიქცეს განდგომილთა ცემა-ტყვეპის ადგილად, სხვაგვარად მოფიქრალთა ბუნაგად და თავშესაფრად!! ეს საშიშროება მით უფრო თვალსაჩინო გახდება, რაც უფრო ღრმად გავერკვევით საქმეში, რაც უფრო შესაბამისი გვექნება ჩვენი ხედვა ნებისმიერი ხალხის შეხედულებებთან და წარმოდგენებთან, ჩვენს შემთხვევაში მეგრელთა შეხედულებებთან და წარმოდგენებთან საღვთისმახურო და ზოგადად წმინდა წიგნების მიმართ. მეგრელები, როგორც სხვა ხალხებიც, მიიჩნევენ, რომ წმინდა წიგნები ამასთანავე ღვთივნაწერია, ე.ი., მართალია, ისინი ადამიანის ხელითაა ნაწერი, მაგრამ დაწერილია ღვთის შთაგონების, თვით სულიშმიდის კარნახით; ამიტომ ხალხი წმინდა წიგნებს სასოებითა და პატივით ეპყრობა, უფრთხილდება ყოველ ასოსაც კი; ამის გამო სწორედ რუსი ხალხი, როგორც ზემოთ ითქვა, გაიძახოდა: „მართლმადიდებლებმა თავი უნდა შესწირონ ყოველ ასოს"-ო. რა თქმა უნდა, უნდა ველოდოთ, რომ იფეთქებს რელიგიური შეუწყნარებლო-



ბა, როცა მეგრელები დაინახავენ, რომ იცვლება არამცოუ ერთი „ანი“, არამედ ყველა ასო, არა მარტო ერთი წიგნი, არამედ - ყველა წმინდა წიგნი თავისი არსით, ისინი ითარგმნება სიწმინდეს მოკლებულ, არაკლესიურ ენაზე, როცა მეგრელი დაინახავენ, რომ წმინდა ასოების ხელის ხლება გაბედეს ცოდვილმა ადამიანებმა, რომელთაც არაფრით დაუმტკიცებიათ თავიანთი წმინდანობა, ჩვეულებრივმა ადამიანებმა, უვიცებმაც კი. მე ზოგადად წმინდა წიგნების შესახებ იმიტომ ვსაუბრობ, რომ მხოლოდ ლოცვების თარგმნით მიზანი არ იქნება მიღწეული და ამ ლოცვათა თარგმნის საკითხთან მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული საკითხიც ყველა სხვა წმინდა წიგნის თარგმნისა. ვბედავ, ვიფიქრო, რომ გასაოცარი არ იქნება, თუკი ასეთ მთარგმნელებს ხალხი ანტიქრისტეს შვილებს უწოდებს და დაასკვნის, რომ მოვიდა ანტიქრისტე და დადგა უამი მისი მეუფებისა; აკი ასე ფიქრობდა თვით რუსი ხალხი, პატრიარქ ნიკონს ანტიქრისტეს რომ უწოდებდა, როცა ამ უკანასკნელის დროს ჩასწორდა საღვთისმსახურო წიგნები. ამის გამო უმჯობესია, თავი ავარიდოთ „სიახლეებს“ და გვახსოვდეს რუსი „სტარობრიადცების“ მიერ ნათქამი შემდეგი სიტყვები: „რაც ჩვენამდე დადგინდა, ისევ უცვლელად უნდა დარჩეს უკუნიო უკუნისამდე“. უფრო მართებული იქნება, უკუვაგდოთ ფიქრი მეგრულ კილზე ლოცვებისა და საზოგადოდ წმინდა წიგნების თარგმნის შესახებ.

3. ყოველივე ზემოთ თქმულის გამო მეგრულ ენაზე ლოცვებისა და საზოგადოდ წმინდა წიგნების თარგმნა სრულიად ზედმეტიც არის. უდავო ჭეშმარიტებაა, რომ ნებისმიერი მნიშვნელოვანი საქმე უნდა იწყებოდეს მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს ასეთი დაბეჯითებითი აუცილებლობა, როცა თვით ცხოვრება მოითხოვს ამას, როცა დარწმუნებით შეიძლება ველოდოთ, რომ წამოწყებული საქმის შესრულება გამოიწვევს მნიშვნელოვან შედეგებს: ზნეობრივ-რელიგიური, ესთეტიკური, მატერიალური ან ინტელექტუალური ყოფის გაუმჯობესებას. ეს ჭეშმარიტება ყველაზე მეტად უნდა მიესადაგოს რელიგიურ საქმეებს, უპირატესად კი სხვადასხვა ენაზე წმინდა წიგნების თარგმნის საკითხს. ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, როგორიცაა წმინდა წიგნების თარგმნა სხვა ენაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ხორციელდებოდეს, როცა კონკრეტულ ხალხს სრულებით არ ესმის ის ენა, რომელზეც იკითხება ლოცვები და სრულდება ღვთისმსახურება, და ამის გამო ზარალდება მისი რელიგიური გრძნობა. ხალხმა სულის სიღრმეში არ უნდა დაფაროს, თუ მისი რელიგიური მისწრაფებანი დაუკმაყოფილებელი რჩება; ეს უკმაყოფილება გაძლიერება გარეთ: ჯერ გაისმება რელიგიური დრტვინვა, შემდეგ ეს დრტვინვა უფრო მნიშვნელოვან ზომას მიიღებს, მერე დაიწყება მითქა-მოთქმა, განსჯა, ბოლოს კი გაჩნდება დაბეჯითებითი მოთხოვნები იმისა, რომ დაკმაყოფილდეს ხალხის აუცილებელი საჭიროებანი, მისი რელიგიური მოთხოვნილებები. ასეთია ფსიქიკური კანონი, ასეთია ისტორიული ფაქტებიც. ამ აზრის დასადასტურებლად საკმარისია გავიხსენოთ იმ ეროვნებათა ისტორიის ის მომენტები, როცა ღვთისმსახურება სრულდებოდა მათთვის გაუგებარ ენაზე; ასეთ შემთხვევებში უკმაყოფილო ხალხი არა მარტო აშკარად გამოხატავდა თავის დაბეჯითებულ რელიგიურ მოთხოვნებს, არამედ ეკლესიებისა და სხვა შენობათა სკეტებზე ჩნდებოდა აფიშებიც, გარკვეული მუქარით მათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლიდა მათი რელიგიური მოთხოვნილებების დაგმაყოფილებას. ამრიგად, იმ საკითხის განხილვისას, არსებობს თუ არა მეგრულ ენაზე ლოცვებისა და საზოგადოდ წმინდა წიგნების თარგმნის საჭიროება, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს [საკითხი იმის შესახებ], მეგრელთათვის მართლაც გაუგებარ ენაზე იკითხება თუ არა ლოცვები და სრულდება ღვთისმსახურება; ნამდვილად ზარალდება თუ არა ამის გამო მეგრელთა რელიგიური მოთხოვნილებები და თუკი ეს ასეა, რამდენგზის და რა ფორმით გამოხატეს მეგრელებმა თავიანთი უკმაყოფილება ამით.

ენათმეცნიერებაც, სოციოლოგიაც, ფილოლოგიაც და ისტორიაც ერთხმად დაამტკიცებენ, რომ მეგრული ენა რაღაც დამოუკიდებელი ენა კი არ არის, რომელსაც ექნებოდა ქართული ენისაგან განსხვავებული წარმომავლობა, სრულიად სხვა ძირები, სხვა თვისებები, არამედ მეგრული ენა არის მხოლოდ ქართული ენის ცალკეული კილო, კილო, რომელზეც ადამიანები მხოლოდ ლაპარაკობენ და შეუძლიათ ერთმანეთს გადასცენ ოდენ ყველაზე მარტივი აზრები; ამიტომ ქართულ და მეგრულ ენებს



შორის ბევრი რამ არის საერთო. მეგრულ სიტყვათა ნახევარზე მეტი წმინდა ქართული სიტყვებია, ხოლო ძალზე ბევრია ისეთი სიტყვებიც, რომლებმაც დროისა და ცხოვრების ადგილობრივი პირობების გავლენით, თუმცა მიიღეს სხვაგვარი სახე, სხვა დაბოლოებანი, სხვა სუფიქსები, მაგრამ მაინც შეინარჩუნეს თავიანთი ადრინდელი, წმინდა ქართული ძირი. მართალია, მეგრულ კილოში არის მრავალი ისეთი სიტყვაც, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ქართულ სიტყვებთან და ან გადმოღებულია სხვა ენებისა-გან სხვა ხალხებთან ხშირი ურთიერთობის შედეგად (როცა [ეს სხვა ხალხები] ხან თავს ესხმოდნენ სამეგრელოს როგორც მტრები, ხან ჩამოდიოდნენ ვაჭრებად, ხანაც მოგზაურებად), ან მოუხერხებლადაა დამახინჯებული იგივე ქართული სიტყვები, ანდა გამოგონილია ცხოვრების ადგილობრივი პირობების შესაბამისად, მაგრამ ასეთი რამ ხომ ყველა კილოს, თვით ყველა ენას ემართება! თითქმის ყველი საუკუნე ენას სძენს ძალზე ბევრ სიტყვას, რომელთაგან ზოგი აღებულია სხვა ენებიდან, ზოგი კი გამომუშავდება სხვა გზით და იქმნება ცხოვრებისეული პროგრესის მიზეზით. რამდენი ათეული ათასი უცხო სიტყვა შევიდა, მაგალითად, რუსულ ენაში! მეგრული და ქართული ენების ამგვარი ნათესაობის გამო არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას, თითქოს სამეგრელოში ლოცვებში და საზოგადოდ წმინდა წიგნებში მეგრულს ხვდება რამე გაუგებარი, ეს ძირითადად, ერთი მხრივ, საეკლესიო ენის თვისებითაა გამოწვეული, მეორე მხრივ კი სწრაფი და დაუნაწევრებელი კითხვის ბრალია, რასაც დღემდე ვერ გადასჩვევიან გაუნათლებელი მღვდლები, დიაკვნები და მეფსალმუნები: ამ მხრივ გარანტირებული თვით განათლებული ქართველიც არ არის. იყო მაგალითები, როცა საეკლესიო კრებულის განათლებული წევრნი ეკლესიაში კითხულობდნენ ლოცვებს ანდა საღვთისმსახურო წიგნებს, წარმოთქვამდნენ ექტენიებს („შეგვიწყალენ“-ს - მთარგმ.)., ან გალობრენ საგალობლებს - რა თქმა უნდა, საეკლესიო ქართულ ენაზე - ნელა, გარკვევითა და გაზრდებულად, ქართველი და მეგრული ეკლესიდან გამოდიოდნენ ერთნაირად კმაყოფილნი, ერთნაირად გაბრწყინებული სახით, თან იმას ამბობდნენ, რომ მათ იმ დღეს ეკლესიდან ბევრი რამ გამოჰყათ. ამრიგად, სამათლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მეგრულების მიერ ლოცვებისა და საღვთისმსახურო წიგნების შინაარსის ნაკლებად გაგების მიზეზებია ეკლესის მსახურთა მიერ მათი ცუდად, უმარჯვოდ წაკითხვა და ენის ეკლესიურობა და არავითარ შემთხვევაში არა ის, რომ ლოცვები და საღვთისმსახურო წიგნები დაწერილია ქართულად და არა მეგრულ ენაზე. ამიტომ მე, იმის ნაცვლად, რომ შევდგომოდი ლოცვებისა და საღვთისმეტყველო წიგნების თარგმანს, იმის ნაცვლად, რომ მიმელო ასეთი მკვეთრი, სახიფათო ზომები, უფრო მიზანშეწონილად მივიჩნევდი ხალხის აღზრდას რწმენისა და ჭეშმარიტების სულით, ხელს შევუწყობდი იმაში, რომ გაეგო ის, რაც არ ესმის, მოკლედ, ვასტავლიდი ხალხს საეკლესიო ქართულ ენას და ამასთანავე ეკლესიათა კრებულებს დავავალდებულებდი საღვთისმეტყველო წიგნების გარკვევით კითხვას და ღვთისმსახურების უნარიანად შესრულებას. აკი ის ხალხები, რომელთაც აქვთ სხვადასხვა კილოები და ერთი საერთო ენა, კითხულობენ ლოცვებს და აღასრულებენ ღვთისმსახურებას ერთ საერთო ენაზე, რომელიც თითქოს დედაა ყველა სხვა კილოს; მაგალითად, შეუძლებელია ითქვას, რომ მალოროსიული (უკრაინული - მთარგმ.) ენა ნაკლებად განსხვავდება წმინდა რუსული ენისაგან, ვიდრე მეგრული ქართულისაგან, მაგრამ ლოცვები და წმინდა წიგნები არ არის თარგმნილი ამ ენაზე და ლოცვები და წმინდა წიგნები იკითხება, ხოლო ღვთისმსახურება აღესრულება საეკლესიო სლავურ ენაზე.

მეგრულებს არასოდეს ჰერნიათ დამწერლობა მეგრულ ენაზე და არ ჰერნიათ იმიტომ, რომ არ იყო ამის მოთხოვნილება, რომ არსებულიყო ასეთი მოთხოვნილება, დრო აქამდე თვითონ შექმნიდა ამ დამწერლობას, როგორც ქმნის ყოველივე აუცილებელს ადამიანის ცხოვრებაში; მეგრული ხალხი ხომ ქართულ ენას თავისად მიიჩნევს და იყენებს მხოლოდ დამწერლობას ქართულ ენაზე, (მეგრულები) მუდამ იმართებოდნენ მეფებისა და მთავრების მიერ მხოლოდ ამ ენაზე, მუდამ მხოლოდ ამ ენაზე ისმენდნენ ისინი სასოებით ლოცვებსა და ღვთისმსახურებას ეკლესიაში; ისინი, ესმით რა ეს ენა კარგად, ასევე კარგად იგებენ წმიდა მამების მიერ მათთვის ამ ენაზე მოწოდებული ღვთის სიტყვის აზრსა და მნიშვნელობას და ამ სიტყვას ინახავენ უკვე რამდენიმე საუკუნეა სუფთად, წმინდად, ხელუ-



ლებლად, ყოველგვარი ცვლილების, უკანდახევისა, რაიმე სექტის, განხეთქილების ან მწვალებლობის გაჩენის გარეშე, როგორც ეს ხდებოდა და ხდება სხვა ხალხებში, - აკი არ არსებობს საჭიროება მეტის მონდომებისა, რატომღა უნდა შეუქმნათ საფრთხე ასეთ ხალხს ლოცვებისა და წმინდა წიგნების თარგმნის შედეგად?! ამ შემთხვევაში ხომ თარგმნის მიზანი ხალხის ზნეობრივ-რელიგიური თვალ-საზრისით უზრუნველყოფაა, ეს მიზანი კი დიდი ხანია თავისთავად არის მიღწეული!! თუკი ლოცვების კითხვა და ღვთისმსახურების აღსრულება საეკლესით ქართულ ენაზე დაუპირისპირდებოდა მევრელთა სულისკეთებას და არც დააკმაყოფილებდა მათ რელიგიურ მოთხოვნილებებს, მევრელი ხალხი დიდი ხნის წინ განაცხადებდა ამის შესახებ თავის უკმაყოფილებას, დიდი ხნის წინ გაისმებოდა სამევრელო-ში პროტესტი საეკლესით ქართულ ენაზე ლოცვების კითხვისა და ღვთისმსახურების აღსრულების გამო, დიდი ხნის წინ უკუაგდებდნენ მევრელები ამგვარ წესრიგს; მაგრამ ხომ ფაქტია, რომ გადის რამდენიმე საუკუნე, მაგრამ მევრელ ხალხს არცერთხელ არ განუცხადებია პროტესტი, უკმაყოფილება ამგვარი წესრიგის წინააღმდეგ; ამიტომ ბუნებრივია, უნდა ვივარაულოთ, რომ ლოცვების კითხვა და ღვთისმსახურების აღსრულება საეკლესით ქართულ ენაზე სრულად ეხმატებილებოდა მევრელთა სულიერ წყობასა და რელიგიურ მოთხოვნილებებს; სწორედ ამიტომ მიიჩნევნ მევრელები ლოცვათა თარგმნას სასაცილო და თვით ცოდვიან საქმედაც კი, როგორც მე დავრწმუნდი მათთან ამ საკითხზე გამართული კერძო საუბრებისას, და უკვე არსებული თარგმანის კითხვისას ისინი მხოლოდ იცინიან, მიიჩნევენ რა ამ თარგმანს ხუმრობად: ამის შესაბამისად, რა საჭიროა ასეთი ზრუნვა ამ ხალხზე, რა საჭიროა დროისა და სახსრების ამგვარი ხარჯვა?! ამ თარგმანით ხომ უდანაშაულო მევრელი ხალხი შეიძლება მხოლოდ რწმენაში შესაძლო რაიმე ეჭვში ჩაგადოთ, მსგავსად იმისა, რომ ზოგჯერ უბიწო ბიჭუნას უგერგილო მასწავლებლის მიერ დასმული უადგილო შეკითხვები უბიძგებენ რაიმე დანაშაულებრივი ქმედებისაკენ!!

მიმაჩნია, რომ აქ ზედმეტი არ არის რამდენიმე სიტყვა ვთქვა მევრელ კილოზე დამწერლობის შემოღების საკითხზე, როგორც მჭიდროდ დაკავშირებულზე დასახელებულ კილოზე ლოცვებისა და წმინდა წიგნების თარგმნასთან. სამყაროს უბრძნებამა შემოქმედმა, რომელსაც სრულად პქონდა გააზრებული ერთი ზოგადსაკაცობრიო ენის მთელი მნიშვნელობა ჩვენი კეთილდღეობისათვის, მიანიჭა ჩვენს წინაპარს ერთადერთი ენა, ხოლო თუ შემდგომში ჩვენ ავლაპარაკდით სხვადასხვა ენაზე, ეს მოხდა, როგორც წმიდა წერილიც გვიამბობს, ჩვენივე უვიცობისა და ღვთის ბრძნული ნებისადმი ურჩობის გამო - ეს იყო მხოლოდ ჩვენი დასჯის უბრძნესი ზომა, ვინაიდან არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ კაცობრიობა ამჟამად განვითარების შეუდარებლად უფრო მაღალ დონეზე იქნებოდა, თუკი ის სამყაროში მისი გაჩენის დღიდან აქამდე ერთ ენაზე ილაპარაკებდა. რამდენი დრო, რამდენი შრომა და ხარჯი გვიჯდება ამჟამად არსებულ ენათა შესასწავლად! სინამდვილეში სასჯელი ხომ არ არის იმის საშუალების წართმევა, რომ გვესმოდეს ერთმანეთისა? ჩემი აზრით, სხვადასხვა ენა მხოლოდ ამუხრუჭებს პროგრესის საქმეს, კაცობრიობის განვითარების საქმეს და ამიტომ უნდა ვნანობდეთ ამ ენათა არსებობის გამო, ჩვენ კი ამასობაში ვცდილობთ შეგმნათ კიდევ ერთი ახალი ენა - მევრელი ენა! განა უფრო მიზანშეწონილი არ იქნებოდა, ვისწრაფოდეთ ამჟამად არსებული ყველა ენის გაერთიანებას, ვიდრე ხელს ვუწყობდეთ მათ განცალკევებას, როგორც ეს ხდება ამჟამად მევრელ ენაზე ნაგულისხმევი დამწერლობის შემოღებით, ამ ენაზე ისეთ ლოცვათა თარგმნით, რომელთა თარგმნაც შეუძლებელია, მოკლედ, ხალხისათვის სრულიად ზედმეტი ენის შემოღების გზით!

ზემოთ გადმოცემულ მოსაზრებათა გამო სულიერი ხელმძღვანელობის განკარგულებით სამოციან წლებში განხორციელებული ცდები წმიდა იოანე ოქროპირის ლიტურგიისა და ზოგიერთი ლოცვის მევრელ ენაზე გადათარგმნისა უშედეგო აღმოჩნდა, ამავე მოსაზრებათა გამო თქვენი უწმინდესობის ბრძანებით ამ საკითხის განსახილველად მოწვეულმა სამევრელოს სამღვდელოების ყრილობამ ასეთი თარგმანი მიიჩნია ხალხის რელიგიურ გრძნობებზე დამღუპველი ზეგავლენის მოხდენის შემძლევ. ამგვარივე მოსაზრებათა გამო თბილისში ამავე საკითხის შესასწავლად შექმნილმა კომი-



სიამაც ასეთი თარგმანი შეუძლებლად სცნო და ამავე მოსაზრებათა გამო მეც ვშიშობ, თქვენო უწმინდესობავ, ამგვარი მცდელობებით, ასეთი მიზანშეუწონელი და უადგილო სამსახურით არ დავუტოვოთ სამშობლოს, სამეგრელოს საეკლესიო ისტორიას ავი ზოვნა".

ბ) კეთილმოწესე მღვდლისა კლიმენტი ჭანტურაიასი:

„თქვენი უწმინდესობის 1894 წლის 27 ივნისის № 4312 ცირკულარული მოწერილობის პასუხად პატივი მაქს უმორჩილესად მოგახსენოთ შემდეგი ჩემი აზრი ზოგიერთი საყოველთაოდ გამოსაყენებელი ლოცვისა და ათი მცნების მეგრულ ენაზე თარგმნის შესახებ:

ნებისმიერი სიახლის შემოღებას იწვევს მოთხოვნილება ამა თუ იმ საგნისა. თუკი არ არსებობს მოთხოვნილება, ახალი გეგმების შედეგნა უსაფუძვლოა და ვერ პპოვებს თავის ადგილს. ამგვარი სამსახური მით უფრო უსაფუძვლო და სახიფათოა იქ, სადაც ხალხის გონებრივი წყობა არ მომწიფებულა, არ მიუღწევია სასურველ გზამდე და, შესაბამისად, არ გამოდგება ამ იდეის, ამ გეგმის აღსაქმელად. ამგვარ შემთხვევებში საუკეთესო გონების [მქონენი], ხალხის ცხოვრების საუკეთესო ამმოძრავებელი თავიანთი ხანგრძლივი გამოცდილების მწვერვალზე უდიდესი სიფრთხილით, და ისიც მხოლოდ ხალხის გონებრივ-ზნეობრივი მდგომარეობის გამორკვევის შემდეგ აძლევენ მსვლელობას თავიანთ სანუკვარ აზრებს, თორებ გაუფრთხილებლობის შემთხვევაში გამოდის საპირისპირ შედეგი, ე.ი. სარგებლობის ნაცვლად ზოგჯერ ხალხს შეიძლება ზიანი მიაღეს, რაც აღარაფრით აღმოიფხვრება. ასე უნდა შევხედოთ მეგრული [სამწიგნობრო] ენის დამკვიდრებასაც. მეგრული კილო იგივეა, რაც ქართული. იგი აღმოცენდა ქართული [ნინისაგან. სიტყვა ჩამატებულია ეპარქიის უკრნალის ავტორთა მიერ - მთარგმ.], ხოლო მისი აღმოცენების მიზეზებია: სხვადასხვაგვარი მძაფრი ისტორიული გარემოებანი და ბეღუკულმართობა - შვი დღები, შემდგომ ამისა კავკასიის ადგილმდებარეობა, რამაც ზეგავლენა მოახდინა ენაზეც. არ არსებობს კავკასიის მსგავსი სხვა ქეყყანა, სადაც იქმნებოდა ამდენი სხვადასხვა ხალხი, ამდენი სხვადასხვა ენა. მაგრამ ეს ახალი ენაც [მეგრული - მთარგმ.] (დავუშვათ ასე) ისევ და ისევ იგივე ქართული ენა თავისი თავდაყირა ამობრუნებული სიტყვებითა და მცირედი ცვლილებებითურთ. მეგრული კილოს ის სიტყვებიც კი, რომლებიც როგორც ჩანს, განსხვავდება ნამდვილისაგან, დიდად ჰგვანან ძველი ქართული ენის [სიტყვებს], ანდა არაფრით განსხვავდება მათგან (იხ. შოთა რუსთაველის ქართული პოემა, ლექსიკონი საბა ორბელიანისა, რომანები მთიელ ქართველთა ცხოვრების შესახებ ა. ყაზბეგისა). რჩება კიდევ სიტყვები (ასეთები ცოტაა), რომლებმაც სამეგრელოში შემოაღწიეს (როგორც ეს სხვა ხალხებშიც ხდება) იმათი ზეგავლენით, ვისთანაც მას (სამეგრელოს) ჰქონდა ურთიერთობა სავაჭრო ან სხვა განხრით (საბერძნეთი, აფხაზეთი, ლაზიკა). და სწორედ ამ სხვაობაშიც, რაც გაჩნდა ზემოთ ხსნებულ მიზეზთა გამო, როგორც ჩანს, უფრო მეტია მსგავსება მეგრული ენისა ქართულთან, სხვა შემთხვევებში კი მათი იგივეობა და მსგავსება აღიარებინებს მეგრელებს ქართულ ენას თავიანთ დედაენად. მეგრული ენა ქართული ენის საგანძურად მიიჩნევა. ის სიტყვები, რომლებმაც ქართულ ენაში დაკარგეს თავიანთი სიძველე, შეიძლება ვიპოვოთ მეგრულ ენაში ხელუხლებელი სახით; ესე იგი ეს უკანასკნელი ენა და ქართული ენა ორი განუყოფელი ძმაა. ამ თავის ერთიანობას საქართველოსთვის, განსაკუთრებით ენაში, სამეგრელო მუდმივად გრძნობდა მსოფლიოს ისტორიის ფურცლებზე თავისი არსებობის მანძილზე, იგი (სამეგრელო) ქართულ ენას მიიჩნევს თავისად, მშობლიურად, საკუთარ სახელმწიფო და სალიტერატურო-სადამწერლობო ენად, რომელზეც ლაპარაკიძნენ და წერდნენ (მეგრელთა) წინაპრები. ქართულ ენაზე ლაპარაკობდა სამეგრელოს ყველა თავადური და აზნაურული ოჯახი, აგრეთვე ისინი, ვისაც ამ ოჯახებთან ჰქონდა კავშირი (გლეხები, რომლებსაც მათთან ბატონყმური ურთიერთობა ჰქონდათ); ქართულად ლაპარაკობს ამჟამად სამეგრელოს ყველა მაღალი წოდება, სხვებს კი, თუ ვერ ლაპარაკობენ ქართულად, ესმით იგი; და ეს უკანასკნელნი ქართულად წერენ წერილებს, თუმც ქართული ასოებით შეიძლება მეგრული სიტყვების წერა. მეგრელები ადიდებდნენ და ადიდებენ ღმერთს ქართულ ენაზე. ამ ენაზე აღუვლენდნენ ლოცვას უფალს მათი წინაპრები;- – ამრიგად, სამეგრელო ამ ენითურთ დაიბადა და ამ ენაზე უნდა გადაუხადოს უკანასკნელი ხარკი ღმერთს; მე



პირადად ჩემი გამოცდილებით ვიცი ერთი გარემოება: პირველად, როცა მრევლში გავედი, მე ქადაგება ქართულად წარმოვთქვი, ერთხელ კი ვცადე, მექადაგა მეგრულად, მაგრამ რა გამოვიდა? ლიტურგიის დასრულების შემდეგ მთელმა მრევლმა ერთხმად მომოხვა, მექადაგა ქართულად, წინააღმდეგ შემთხვევაში დამემუქრნენ, რომ წავიდოდნენ ეკლესიიდან. იყო შემთხვევა, როცა მეგრულ ენაზე თარგმნეს ადგილები სახარებიდან, რომლის კითხვის დროს ხალხმა წყევლითა და აღმფოთებით მიატოვა ღვთისმსახურება და გავიდა ეკლესიიდან. როგორია შედეგი მეგრული ენის სწავლებისა სამეგრელოს საქალაქო სასწავლებელში (ქ. ფოთში)? შედეგი ის იყო, რომ მოსწავლეები ამ ახალი ენის სწავლებისას დასაძინებლად ემზადებოდნენ და არცერთ მათგანს არ სურდა მეცადინეობა. სამწუხაროა მეგრელ ჰეროსტრატეთა წამოწყებანი, ისინი ფიქრობენ, სახელი იშოვონ მეგრული ენის დანერგვით. საზოგადოდ როგორია ლოცვათა თარგმანი მეგრულ ენაზე? მისი კითხვისას ზოგნი თავს ვერ იკავებენ აღმფოთებისაგან, სხვები კი - სიცილისაგან. ეს არ არის არც მეგრული, არც თათრული, არც ქართული ენა, არამედ რაღაც სხვა, ჯადო [ენაა], რომელზეც დედამიწის ზურგზე მოსახლეთაგან არცერთი ხალხი არ ლაპარაკობს. აი, საცოლეავი ნაყოფები ამგვარი ცდებისა. ამგვარ საქმეთა წამოწყება ამაო შრომაა, დროის ამაო ფლანგვაა. სამეგრელოს არა აქვს მოთხოვნილება ლოცვების თარგმნისა, ანდა მეგრული ენის შემოღებისა.

სხვა ქვეყნებში, მაგალითად, ევროპაში, ამ სიტყვის ზოგადი გაგებით, არის ხალხი, რომელსაც მოეპოვება ორი ენა. მისი ერთი ენა წმინდაა, სახელმწიფოებრივი, სამწიგნობრო, მეორე კი - სასუბრო, საშინაო, პროვინციული, მაგრამ მას პროვინციულ ენაზე არა აქვს დამწერლობა და ამ ნაკლს იგი [ხალხი] არასოდეს გრძნობდა, არ გრძნობდა არც სახელმწიფო. ჩვენ, მეგრელებს, რატომდა გვახვევნ თავს ასე ძალადობით ამ ლოცვებს ჩვენს საშინაო მეგრულ ენაზე? რუსეთში ღვთისმსახურება აღესრულება საეკლესიო სლავურ ენაზე; რატომდა არ შემოიღებენ ღვთისმსახურების აღსრულებას ნამდვილ რუსულ ენაზე - რუსეთის დედაენაზე?

საგანმანათლებლო ცენზის მიხედვით სამეგრელო ჯერ არ არის სახარბიელო მდგომარეობაში - რაოდენობრივად ცოტაა, ხარისხით - ახალგაზრდა. ჩვენ არ მოგვეპოვება საღვთისმეტყველო ტერმინები, რომელთა გარეშეც მთარგმნელი ვერაფერს გახდება, და, შესაბამისად, თარგმნის დროს სიტყვათა უკმარისობის პირობებში ისეთი უხეში შეცდომები შეიძლება იქნეს დაშვებული, რომ მათგან დიდხანს ვერ გავთავისუფლდებით. უფრო მეტიც, ისინი (შეცდომები) აუცილებლად გამოიწვევენ მწვალებლობას თავისი ნაირსახეობებით და (ადამიანთა) გონების არევას. და ეს ემთხვევა ინდიფერენტულ დროს, დროს, როცა ადამიანები ყალბი ცივილიზაციის წყალობით ისედაც სხვაგვარად არიან განწყობილნი და არა აქვთ ნორმალური შეხედულება რელიგიის მიმართ. ვინ არ იცის, თუ რა მოპყვა რუსეთში საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნთა ჩასწორებას?! და ვინ არ იცის იმ სახიფათო სექტების შესახებ, რომლებიც ამან (ჩასწორებამ) წარმოშვა, მოიცვეს თითქმის მთელი რუსეთი და მოაღწიეს ისეთ დაშორებულ ქვეყნამდე, როგორიც კავკასია? თუკი ეს მოხდა უბრალო რაღაცების გამო, რა მოხდება ხალხის ცხოვრებაში ისეთი სერიოზული გადატრიალების გამო, როგორიცაა ლოცვათა თარგმნა მეგრულ ენაზე, ანდა, რაც იგივეა, მეგრული ენის დამკვიდრება? სამეგრელოს ანდრია პირველწოდებულის დროიდან მტკიცედ უპყრია მართლმადიდებლობა; მტრების ყველა მცდელობა, მოესპოთ სამეგრელოში ქრისტიანობა, ანდა შეერყათ იგი, უშედეგო აღმოჩნდა. ისლამის ათასწლოვანნა ბრძოლამ ვერ შეძლო ამოეგლიჯა მეგრელთა გულიდან მათ წინაპართა წმინდა რწმენა, ხოლო კათოლიკობასთან ბრძოლიდან იგი (სამეგრელო) გამარჯვებული გამოვიდა (და თავი დააღწია) პაპის სახელმწიფოს პროპაგანდისტთა - იეზუიტების ხელისაგან, შეძღვო კი თავისი მომავალი ბედ-ილბალი და მართლმადიდებლობა გადასცა სრულიად რუსეთის სკიპტრას. ვისაც გული შესტკივა მართლმადიდებლურ სამეგრელოზე, იგი არ შესთავაზებს მას ქართულ ენას მეგრული თარგმანით და, შესაბამისად, თავიდან აარიდებს მას (სამეგრელოს) მწვალებლობასა და მის შედეგებს.

მოკლედ, ჩემი შეხედულება ასეთია: ღვთისმსახურების დროს ლოცვებისა და ათი მცნების მეგრულ



ენაზე გამოყენება არ მოახდენს არავითარ კეთილისმყოფელ ზეგავლენას ხალხის რელიგიურ გრძნობებზე, შესაბამისად, იგი უსარგებლო, არაპრაქტიკული და უადგილოა".

გ) კეთილმოწესე ლეკანოზის მიხეილ მეუნარგიასი: "თქვენი უწმინდესობის ამა წლის 27 ივნისის № 4297 ცირკულარულ წინადადებაზე პატივი მაქვს, მოგახსენოთ, რომ სამეგრელოს ეკლესიებში ღვთისმსახურების დროს ლოცვათა მეგრული თარგმანის გამოყენება არამცუ არ იქნიებს სასიკეთო გავლენას მეგრელ სამწყსოზე, არამედ პირიქით, ზინს მიაყენებს მის რელიგიურ კეთილდღეობას. მეგრული ენის განუვითარებლობის გამო ლოცვები ახალგაზრდათა თაობებისათვის დაცინვის საგანი გახდება, ამას კი შეუძლია საფუძველი მოურყიოს ხალხში საუკუნეობით დანერგილ მართეულ ცნებებს ქრისტიანული სწავლების საწყისთა შესახებ. შემოთავაზებული სიახლე არ არის გამართლებული არავითარი აუცილებლობით, ვინაიდან მეგრელი სამწყსოსათვის სრულიად მისაწვდომი და გასაგებია ქართული ენა. სიკეთის სანაცვლოდ სიკეთეს აღარ ეძებენ ხოლმე. ქართულ ენაზე ღვთისმსახურების ათასწლოვანი [ისტორიის] მანბილზე, სხვათა შორის, როცა [წირგა-ლოცვა] სრულიად გასაგები იყო მეგრელთათვის, ანუ იმავე ქართველთათვის, რომლებიც ლაპარაკობენ ქართული ენის დიალექტზე, მეგრული ყური მთლიანად შეეგუა საეკლესიო წიგნებს ქართულ ენაზე და ქართული ლოცვების შეცვლა მეგრულით გამოიწვევდა ყველა ნამდვილი ქრისტიანი მეგრელის ჭეშმარიტ მწუხარებასა და დრტვინვას".

დ) ბლადოჩი მღვდლისა ევგენი შენგელიასი:

„თქვენი უწმინდესობის ამა წლის 27 ივნისის № 4393 წერილობითი დავალების შესაბამისად პატივი მაქვს, განვმარტო შემდეგი: ქართული ენიდან მეგრულად გადათარგმნილი ლოცვების გამოყენება ღვთისმსახურების დროს მოახდენს მეტად მავნე ზეგავლენას ხალხზე რელიგიური თვალსაზრისით; ქრისტიანობის მიღების პირველივე დღეებიდან მეგრელი ხალხი შეჩვეულია ლოცვებისა და ყოველგვარი ღვთისმსახურების მოსმენას თავის მშობლიურ ქართულ ენაზე, იგი [ხალხი] მათ აღიქვამს როგორც თვით ღმერთის ბაგეთაგან წარმოთქმულ სიტყვებს და ამიტომ ლოცვათა ნებისმიერი ცვლილება, თუნდაც ქართულიდან მეგრულად გადათარგმნის სახით, ხალხში გამოიწვევს მათ მიმართ უნდობლობასა და მსუბუქ დამოკიდებულებას; ამასთანავე საეჭვოა ვივარაუდოთ, რომ თარგმნილ ლოცვებს შერჩენოდეთ იგივე აზრი, რაც ნაგულისხმევია დედაში, ვინაიდან მეგრული ენა ხალხური, სასაუბროა და არა სამწიგნობრო ენა. ეს ენა წარმოიშვა ქართულისაგან, რაც ყველაზე ცხადად შეიძლება დავინახოთ ყველა ქართული და მეგრული სიტყვის ძირთა მსგავსებაში, ზოგჯერ კი მათ იგივეობაში; ეს თარგმანი, ჩემი აზრით, იგივე ქართული ტექსტი იქნება, სხვაობას მხოლოდ [სიტყვათა] დაბოლოებანი წარმოგვიდგენენ, მაგრამ თუკი ვინმე მოახერხებს თარგმნოს ქართულ ტექსტთან ყოველგვარი მსგავსების გარეშე, მაშინ ასეთი თარგმანი იქნება აზრობრივად არასწორი, დამახინჯებული, რასაც შეუძლია ხალხში მწვალებლობა და განხეთქილება წარმოშვას; და ბოლოს, არ არსებობს თარგმნის არავითარი აუცილებლობა, ვინაიდან მეგრელებს, რომ არაფერი ვთქვათ მაღალი კლასის ფენაზე, თვით უბრალო ადამიანებსაც კი, ზუსტად ესმით ქართულ ენაზე აღსრულებული როგორც ყველა ლოცვის, ისე ღვთისმსახურების აზრი. ყოველ მეგრელს თანდაყოლილი აქვს იმის გრძნობა, რომ მიიჩნიოს ქართული ენა წმინდად, მშობლიურად და შეუძლებელია მათი გადარწმუნება. მაშასადამე, ამგვარი თარგმანი ხალხში ანტიპათიას გამოიწვევს და მოგვცემს მავნე შედეგებს როგორც ხალხის რელიგიურ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში".

ე) კეთილმოწესე მღვდლისა ნესტორ ალშიბაიასი:

„თქვენი უწმინდესობის ამა წლის 27 ივნისის № 4298 ცირკულარული მოწერილობის შესაბამისად, რაც ეხებოდა მეგრულ ენაზე ზოგი ყოველდღიური ლოცვისა და ათი მცნების თარგმნის შესახებ ჩემი აზრის წარმოდგენას თქვენთვის, პატივი მაქვს, გაცნობოთ შემდეგი: მეგრული ენა, რომელიც დამოუკიდებელი ენა კი არ არის, არამედ დიალექტია ძირეული ქართული ენისა, ჩემი აზრით, არ გამოდგება საღვთისმსახურო ენად შემდგომ მოსაზრებათა გამო:



ჯერ ერთი, მეგრელი ხალხი, რომელიც ძველთაგანვე შეჩვეულია იმას, რომ აღიქვას ქართული ენა, ვითარცა საღვთისმსახურო ენა, მას განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობა, ამიტომ თუნდაც ზოგიერთი ქართული ლოცვის მეგრულით შეცვლას, ჩემი აზრით, ხალხის მასა არ შეიძლება შეხვდეს თანა-გრძნობით.

მეორე, თვით მეგრულ ენას არა აქვს ის დიდებულება, რაც მოეპოვება საეკლესიო ქართულ ენას. მეგრულ ენაში არ არსებობს შესატყვისი სიტყვები ზოგი ტექნიკური საღვთისმეტყველო ტერმინისთვისაც კი და თუკი გადაითარგმნება მეგრულ ენაზე, ისინი მართლაც სასაცილონი და კურიოზულნი იქნებიან.

მესამე, ხალხი შეჩვეულია იმას, რომ მეგრული ენა მიიჩნიოს ღვთისმსახურებისათვის შეუფერებელ, საშინაო ენად; ასე [რომ], უბრალო ხალხს ერცხვინება კიდევაც უცოდინრობა ქართული ენისა, ღვთისმსახურების ენისა, რომლის მიმართაც იგი ძველთაგანვე შეჩვეულია განსაკურებული სასოებით მოპყრობას, ამასთანავე მეგრელთა უდიდეს ნაწილს თაგისუფლად შეუძლია ქართულად აზრის გამოთქმა, მაშინ როდესაც მეორე ნაწილს, თუკი არ ძალუშს ქართულად აზრის გამოთქმა, მაიც ესმის თითქმის ყველა ქართული სიტყვა; ასე რომ, ღვთისმსახურების დროს უბრალო ხალხისათვის ყველა ქართული ლოცვა იოლად გასაგებია.

ბოლოს მეოთხეც, თუკი მეგრულ ენაზე გადაითარგმნება ლოცვებში საეკლესიო ქართული სიტყვებით სათანადოდ გადმოცემული განყენებული, რელიგიური ცნებები, ისინი უბრალო ხალხს მოეჩვენება მეტად კონკრეტულად, ჩვეულებრივად და დაკარგავნ იმ წმინდა დიდებულებასა და ამაღლებულობას, რაც მათ აქვთ, ამის გამო ამაღლებული რელიგიური გრძნობები შეიძლება დამდაბლდნენ მდაბალ, ყოველდღიურ დონეზე.

ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებათა გამო მე, ჩემი მხრივ, ვფიქრობ, რომ ლოცვათა მეგრულ ენაზე თარგმნის ცდა ვერ პპოვებს შესაბამის პრაქტიკულ გამოყენებას უბრალო ხალხში, ამასთანავე ამან, შესაძლოა, არაკეთილისმყოფელი გავლენა მოახდინოს ხალხის რელიგიურ გრძნობებზე, – ხომ არ გამოიწვევს ეს (ცდა) სექტანტობასა და [მორწმუნეთა] გონების მწვალებლურად აღრევას?"

### ვ) კეთილმოწესე დეკანზის გიორგი ბერიძისა:

„თვევნი უწმინდესობის 1894 წლის 27 ივლისის № 5596 მოწერილობის საფუძველზე მე, ჩემი მხრივ, პატივი მაქვს, მოგახსენოთ, რომ არცთუ დიდი ხნის წინ იმერეთის ეპისკოპოსმა, მისმა უწმინდესობა გაბრიელმა ნოქალაქევის 40 წამებულის ეკლესიაში (ჩემს ყოფილ საბლაღოჩინოში) წარმოთქვა ქადაგება, რომელიც ითარგმნებოდა მეგრულ ენაზე (მთარგმნელი მე გახლდით) და ეკლესიაში მლოცველთა ისეთი აღშფოთება და მღელვარება წარმოიშვა, რომ პოლიციამაც კი ვერ მოახერხა მათი დაშოშმინება, ხოლო ერთმა ცნობილმა თავადის ქალმა, დადიანმა, ისეთი ხმით შეჰვირა, რომ უწმინდესი გარბიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა, უნებურად იძულებული გახდა, შეეწყვიტა თავისი ქადაგება და გამოსულიყო ეკლესიიდან. მაშასადამე, უეჭველია, რომ ჩვენს მართლმადიდებლურ სამწყსოში ამგვარი თარგმნის მეშვეობით სასოებითი აღტყინების ნაცვლად აუცილებლად გაჩნდება მკრეხელური გრძნობა, რომლის პირდაპირი შედეგი იქნება (მორწმუნეთა) გონების სახიფათო აღვზნება და მწვალებლური ცდუნება".

### ზ) კეთილმოწესე მღვდლისა არისტარე კალანდარიშვილისა:

„საქართველო კანცელარიის მიმდინარე 1894 წლის 25 ოქტომბრის № 5594 მომართვის საფუძველზე, რაც ეხებოდა ჩემ მიერ აზრის გამოთქმას საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნების მეგრულ ენაზე თარგმნის შესახებ, პატივი მაქვს, ვააუწყო ხსენებულ კანცელარიას ამ სააკითხის (განსახილველად) გამოყოფილი კომისიისათვის მოსახსენებლად, რომ, ჩემი მხრივ, ამგვარი თარგმანი მიმაჩნია არა მარტო სრულიად ზედმეტად და უსარგებლოდ, არამედ რელიგიური თვალსაზრისით მავნედაც კი უეჭველად ქართული ტომისაგან მომდინარე მეგრელებისაკთვის, რომლებიც ქრისტიანობის მიღების დღიდან აქამდე ჩვეულნი არიან, იმინონ ღვთისმსაზურება მათვის სრულიად გასაგებ და მშობლიურ ქართულ ენაზე. როგორც ცნობილია, ყოველგვარი სიახლე საეკლესიო პრაქტიკის სფეროში მუდამ იწვევდა



ყველა მეტ-ნაკლებად რელიგიურ ხალხში მწვალებლობასა და განხეთქილებას და მე ვფიქრობ, რომ თუ მოცემულ შემთხვევაში იგივე არ განმმეორდება, ყოველ შემთხვევაში ამგვარი თარგმანის შედეგი იქნება მეგრელთა შორის ღვთისმსახურებაზე დასწრების სურვილის სრული გაციფრება (ღვთისმსახურება კი), თუკი იგი შესრულდება მეგრულ ენაზე, გადავსებული იქნება მრავალი სიცილისმომგვრელი და თვით მეგრელთათვის გაუგებარი სიტყვებითა და გამოოქმებით. მთელ სამეგრელოში, განსაკუთრებით კი ჩემდამი მონძლივილ საბლალოჩინო ოლქში, მე ჯერაც არ შემხვედრია ისეთი მეგრელი, ვინც არ იქნებოდა დარწმუნებული, რომ მეგრელები იგივე ქართველვები არიან, ხოლო მეგრული ენა იგივე ქართული ენაა, რომელიც სამეგრელოს განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობისა და ზოგიერთი ისტორიული გარემოების მიზეზით ოდნავ გადაუკეთებიათ მეგრელებს".

თ) კეთილმოწესე მღვდლისა ალექსი ქვარცხავასი:

ასე რომ ძნელია, ძალიან ძნელია საქართველოში „კაი ყმის“ სახელის ტარება, მაგრამ სხვა არჩევანი არ მიუცია ღმერთს ქართველისთვის. უზენაესმა გამორჩეული ადგილი გვარგუნა ჰქომარიტი სარწმუნოებისათვის ბრძოლის ველზე და მსოფლიოს ხალხთა შორის ვაჟკაცობისა და კაი ყმის დროშის მტვირთველის როლიც დაგვაკისრა. შემწედ და წინამდობლად კი წმინდა გიორგი მოგვიჩინა, როგორც ქრისტიანობისათვის მებრძოლი უპირველესი რაინდი. სწორედ ამიტომ, მუდმივი წვრთნა, ფიზიკური ვარჯიში, ტოლ-სწორებთან ასპარეზობა ქართველი კაცის ყოველდღიური ცხოვრების წესი გამხდარა. აი ამიტომ არის ქართული ყოფა ბრძოლისადმი სრული მზადყოფნის კვალით აღბეჭდილი. „ერის ისტორიის გაგებისათვის მნიშვნელოვანია ქართული შეხვედრის და განშორების წეს-ჩვეულებები, რადგან ხალხი ერთმანეთს იმას უსურვებს, რაც მას ყველაზე მეტად სჭირდება: მშვიდობა და გამარჯვება. მთავარი მისალმება კი მაინც გამარჯვებაა, რადგან მტერი ყოველთვის მუმლივით გვეხვეოდა.“ [1]

ქართული საცხოვრებელიც ხომ ომისადმი მუდმივი მზადყოფნის დასტურია. ამაზე მეტყველებს აღმოსავლეთ საქართველოს სოფლების მჭიდრო დასახლება. კახეთში საცხოვრებელი სახლები ძველი ტრადიციის გავლენით დღესაც შემდეგნაირად შენდება. შენობები მისასვლელი გზის მხარეს ყრუ კედლითაა შექცეული, ფასადით კი რამდენიმე სახლი ერთმანეთს უყურებს, ისე, რომ ეზოებით შიდა ჩაკეტილ წრეს ქნიან. ასეთნაირად განლაგებული სახლების ერთობლიობა ციხესიმაგრეს მოგვაგონებს და ამიტომ მტრისაგან მისი დაცვა უფრო იოლია. ხევსურეთსა და ფშავში ე.წ. „ციხურა“ სახლები ციცაბო რელიეფზე ერთმანეთის მიჯრითაა წამომართული და ერთიან თავდაცვით კომპლექსს ქმნიან. აღსანიშნავია საეკლესიო და სამეურნეო დანიშნულებისა და თავდაცვითი ნაგებობების ერთ კომპლექსად გაერთიანების შემთხვევები. ასეთებია ეკლესია-ციხესიმაგრები ბაკურციხეში, გოდოგანსა და თელავში, ციხე-მარანი სოფელ ზემო ხოდაშენში და სხვ. აღარაფერს ვამბობთ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მიმოფანტულ უამრავ ციხესიმაგრეზე, რომლებიც ნათლად მეტყველებენ ჩვენი ქვეწის საომარ წარსულზე.

საუკუნეების განმავლობაში მუდმივ საომარ მდგომარეობაში ყოფნამ განაპირობა ქართული ეროვნული ტანსაცმლის ჩამოყალიბება, როგორც უაღრესად ფუნქციონალური საბრძოლო უნიფორმისა. კ. ჩოლოფაშვილი წერს: „ქართულ საჭურველსა და ჩოხა-ახალუხს შრომისა და ბრძოლის ნაკვალევი ამჩნევია. ...დაკვიწყოთ ქუდიდან. კახურ-თუშური ქუდი განკუთვნილი ყოფილა ჩაჩქნის დასახურავად, ვინაიდან ჩაჩქაზე საჭურვლის დარტყმა ნაპირებს გადაეცემა, ქართლ-კახურ ქუდს ნაპირზე ნაბადი ორპირად აქვს ჩაკეცილი — დარტყმის ამორტზაციისთვის. მუზარადს სვანურ ქუდზე, „ფაყვზე“, იხურავდნენ. ე.ი. სვანური და კახური ქუდები მთელ საქართველოში იყო გავრცელებული, რადგან უმეტესად



მხედრები ჩაჩქანს ატარებდნენ, ფეხოსნები კი მუზარადს. ა. წერეთლის და ალექსი-მესხიშვილის ცნობით ფაფანაკს შურდულად იყენებდნენ.

ჩოხა-ახალუხის მარჯვენა იღლიის ჩახსნილობა, — ვახტანგ გორგასლის ჯაჭვის პერანგის მსგავსად, მასთან ერთად, მარჯვენა მაჯის საგანგებო შეკვრის წესი საჭურველის უკეთ გამოყენებას უკავშირდებოდა. აღსანიშნავია, რომ ხევსურული კოსტუმის „ფარაგის“ (გულის პირის — გ.კ.) მარჯვნივ შეკვრის წესი გულის დასაცავი უბის ფარის სატარებლად იყო განკუთვნილი, ხოლო ახალუხის სიმოკლე, ხევსურული კოსტუმის გვერდით ჩახსნილობა ჩაქები — „სამხედრონი“ ბრძოლაში ფეხის უკეთ გამოყენებისთვის იყო განკუთვნილი.“ [1]

XIV-XV საუკუნეთა მიჯნის იტალიელი მოგზაური ჯოსაფატ ბარბარო წერდა: „(ქართველებს) ტანთ აცვიათ ძალიან გრძელი, მაგრამ ვიწრო და საჯდომამდე გახსნილი ქურთუკი, იმიტომ რომ სხვანაირად ვერ შეძლებენ ცხენზე ჯდომას. ამის გამო მე მათ ვერ გავკიცხავ, რადგან მინახავს, რომ ფრანგები ახლაც ხმარობენ მსგავს ქურთუკებს“. [3]

ზემოაღნიშნულს დაგუმატებთ, რომ ხევსურულ პერანგს, ანუ ტალავარს მარჯვენა მკლავის სახელო შიდა მხარეს მთელ სიგრძეზე აქვს გახსნილი და მისი პირები ერთმანეთთან ერთი მსხვილი ლამბითაა დაკავშირებული. ბრძოლის დროს, მოწინაღმდეგის მხრიდან ხელის ჩაჭიდების შემთხვევაში ეს ნაკერი ადვილად ირღვევა და ხელის გათავისუფლების საშუალებას იძლევა.

ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს ქართული ტანსაცმლის მუქი ფერი, რაც ასევე ბრძოლაში წარმატების მიღწევას ემსახურება. ეს დაკავშირებულია ქართველთა ჩვეულებასთან — მტრის ჭარბი ძალების წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლები ღამით ეწარმოებინათ. ღამის ბრძოლებს განსაკუთრებით მოისახლეობა მისდევდა. იოსებ სააკაძის პოემაში „დიდმოურავიანი“ აღწერილია თათარხანთან ომის წინ გამართული თათბირის სცენა, სადაც ნუგზარ არაგვის ერისთავი ასეთ რჩევას აძლევს თანამებრძოლებს: „ნუგზარ თქვა: „ღამით დავესხნეთ, მოის კაცთ ეს მიყვეს რჩევანი; მრავალჯერ გაგვმარჯვებია, ასრე გვაქვს ომის ჩვევანი!“ [4]. ჩვენი ბრძოლა, უმრავლეს შემთხვევაში, თავდაცვითი ხასიათისა იყო, საკუთარი სახლისა და მამულის დასაცავად გამართული, საომარი ტერიტორია ქართველი მეომრისთვის ხშირად კარგად ნაცნობ, შინაურ ადგილს წარმოადგენდა. რაც, განსხვავებით მომხდეურისაგან, სიბნელეში ორიენტაციასა და დაუბრკოლებულ მანევრირებას უწყობდა ხელს. ეს კი ქართველ მებრძოლს დიდ უპირატესობას ანიჭებდა მრავალრიცხოვან მტერთან შეტაკებისას. ქართველი მხედრის ტანსაცმელი სიბნელეში ბრძოლას იყო მორგებული და შავი, ლურჯი ან შინდის-ფერი ქსოვილისაგან გახლდათ შეკერილი. ხევსურული ტალავარიც კი, რომელიც მრავალფეროვანი „ნაჭრელით“ არის შემკული, დაბინდების შემდეგ სრულიად ეხამება გარემოს. ამის მიზეზი ისაა, რომ ტრადიციული ნაჯარებისთვის არასოდეს გამოიყენებოდა თეთრი ფერის ძაფი. ეს ზუსტად შეუმნევია გრიგოლ რობაქიძეს, რომელიც ხევსურული ყოფის აღწერის ერთ ადგილას წერდა: „ერთმა რამ გამაკვირვა: არსად არ ჩანდა თეთრი ლაქა, არც ტანსაცმელზე, არც უნჯზე, არც მოწყობილობაზე. გამოუთქმელი სევდა სუფევდა ყველგან.“ [5]. ცნობილია, რომ ქართველი იარაღსაც კი შავად ფერავდა, რის გამოც თურქულენოვანმა დამპყრობლებმა „ყარაყალყანები“, ანუ „შავფარიანები“ შეგვარქვეს.

ქართველი კაცი სამხედრო ვარჯიშობას ბავშვობიდან ეჩვენდა მრავალრიცხოვანი მოძრავი თამაშების წყალობით. ლახტი, ჩილიკა-ჯოხი, რიკტაფელა, მრგვალი და გრძელი ვირი, გოთაობა და სხვა მრავალი საფუძველს უყრიდა იარაღის ფლობის ტექნიკის ათვისებასა და საბრძოლო ჩვევების გამომუშავებას. უკვე მოზრდილ ასაქში სამხედრო ოსტატობის დახვეწა სავალდებულო ლაშქარ-ნადირობის პროცესში და ბურთაობის, იგივე ცხებბურთისა და ისინდის თამაშის დროს გახლდათ შესაძლებელი. „ხელმწიფეთა შვილთა ანადირებდნენ, აბურთავებდნენ და ასწავლიდნენ სახელმწიფოთა ზნეთა“ [6]. თამარ მეფის პირველ ისტორიაში, რომელსაც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ეწოდება, ასეთ სიტყვებს



ვკითხულობთ: იყო თამარის დროს „სიხარული, შვებაი, და ნადირობაი მთათა და ბართა“, ან „იყო ყოველთა დღეთა ნადირობაი და ბურთობაი“. [7]. ნადირობას ზოგჯერ ყაბახი ცვლიდა. მკვლევარი ავთანდილ ციბაძე ნადირობასა და ცხებბურთს, ან ყაბახსა და ცხებბურთს „ქართულ ორჭიდს“ უწოდებს. იგი წერს: „სპორტულ სამყაროში კარგა ხანია ცნობილია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ეწ. „ქართულ ორჭიდთან“, რომელიც შუა საუკუნეების საქართველოში ქართველთა ცხენოსნური ლაშქრის სამხედრო ფაზიკური მომზადების ერთ-ერთ მთავარ კომპლექსურ საშუალებას წარმოადგენდა, და ეს ფაზტი შესანიშნავად აისახა „ვეფხისტყაოსანში“. ცნობილი ხდება, რომ ეს ორჭიდი იწყებოდა ნადირობით და მთავრდებოდა ჩოგანბურთით, ანუ იგივე ბურთაბით (ზოგჯერ, როდესაც საამისო პირობები არ არსებოდა, ნადირობა იცვლებოდა ყაბახით). ვარჯიში ამ ორ სახეობაში ერთმანეთზე ზედწაბმულად იმართებოდა და, ფაზტიბრივად, ერთ მთლიან კომპლექსურ სახეს წარმოადგენდა.“ [8].

სამხედრო-საცხენოსნო წვრთნასა და იარაღის ხმარების ტექნიკის დახვეწასთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობოდა მომავალი მეომრის ინდივიდუალურ საბრძოლო მომზადებას, რაც უიარაღოდ ბრძოლის ჩვევების ათვისებას გულისხმობდა.

წინმდებარე ნაშრომში მიმოვინილავთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულ ჭიდაობისა და კრივის სახეობებს, რომელთა არსებობაც საუკუნეების განმავლობაში გახლდათ მყარი გარანტი ქართველი ვაჟკაცის ჭეშმარიტ მეომრად და მამულის დამცველად ჩამოყალიბების საქმისა.

## ქართული ჭიდაობა

ქართული ჭიდაობა, როგორც სულისკვეთებით, ისე ხერხებისა და ილეთების მრავალფეროვნებით ოდითგანვე მიმზიდვებულ, რანდულ სანახაობას წარმოადგენდა და თაობათა ფიზიკური და სულიერი წრობის მძლავრი საშუალება იყო.

საქართველოში ჭიდაობის ტრადიციების სიმველეზე შემდეგი ფაზტები მეტყველებს:

ალავერდის ტაძრის მთავარი შესასვლელის მარცხენა ზედა კუთხის ფრესკაზე გამოსახულია ქართულ საჭიდაო ჩოხაში გამოწყობილი ორი ფალავანის შერკინება. იგი XV საუკუნითაა დათარიღებული. საკათედრო ტაძრის ფრესკაზე ქართული ჭიდაობის სცენის გამოსახვა შესანიშნავი დასტურია მისი დიდი პოპულარობისა და აღიარებისა.

XIII საუკუნის დასაწყისის ისტორიულმა წყაროებმა შემოვინახა მეფე ლაშა გიორგის დროინდელი ქართლელი ხიზანბარელისა და კახელი ბებურიშვილის შერკინების ამბავი, ხოლო XV საუკუნის (1479 – 80 წწ.) მემატიანებმა – მზეჭაბუკ ათაბაგის შეხვედრის ცნობა თათართა ფალავან ძალანთან, რომელიც მზეჭაბუკის გამარჯვებით დასრულდა: „იყო უსკულოსა მის მთავარსა კაცი ერთი, ფალავანთა თავი, დიდი და გოლიათი,



ალავერდის ტაძრის დასასვლელ კარიბჭის ფრესკის დეტალი. XV საუკუნე

რომელსაც სახელად ძალანი ეწოდებოდა და პმატებდა ყოველთა კაცთა სიდიდითა, ვითარ წყრთა ერთი ანუ უფროსცა, და არავინ გამოჩინებულ იყო სიმრავლესა მას შინა მრკინობელ მისსა – ამან ინება ოდესე განმცდელობა მზეჭაბუკისა და ვითარცა ცნა ესე, არღარა ჰყოვნა, არამედ ვითარცა ლომმან მსწრაფლ შექმნა, აღიყვანა და უპატიოდ მიწისა ზედა დასცა.“ [9].

მკვლევართა მიერ ქართული ჭიდაობის სამშობლოდ მიჩნეულია აღმოსავლეთ საქართველო – ქართლი და კახეთი, თუმცა საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეს გააჩნია ჭიდაობის საკუთარი, ზოგ



შემთხვევაში განსხვავებული, ზოგჯერ ტრადიციულთან ახლო ძღვომი, იშვიათ შემთხვევაში კი უნიკალური მანერა თუ სტილი. (ქართული ჭიდაობის უნიკალურ სახეობებზე ქვემოთ გვექნება საუბარი.)

თბილისი, როგორც საქართველოს დედაქალაქი, ყოველთვის იყო ქართული ჭიდაობის პირველი მოთაყვანე და დიდი გულშემატკიფარი. სწორედ აქ იყრიდნენ თავს საქართველოს პროვინციებიდან ჩამოსული საუკეთესო მოჭიდავები. ჭიდაობა, კრიკითან ერთად, ძველთაგანვე თბილისელთა უსაყვარლეს სანახაობად ითვლებოდა „სოფელში, რომ კარგი მოჭიდავე გამოჩნდებოდა, ქალაქში ჩამოიყვანდნენ და აქ გამოსცდიდნენ მის ძალას და მოხერხებულობას.“[9]

ჭიდაობის ჩატარებას თავისი წესი და რიგი ჰქონდა. იგი იმართებოდა უმთავრესად უქმებდებში, რელიგიური დღესასწაულების დროს, ეკლესიებში ღვთისმსახურების დამთავრების შემდეგ. ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა ქალაქის სხვადასხვა უბანი. ჭიდაობაში თავის გამოსაცდელად და ფალავნის სახელის მოსახვეჭად ახლომახლო სოფლებიდანაც მრავლად ჩამოდიოდნენ მოხალისები. შერკინებებს წარმართავდნენ მაყურებელთა წრიდან არჩეული, ყველაზე სახელოვანი და დარბაისელი მსაჯები, რომლებიც ხალხში ურყევი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ასე, მაგალითად XX საუკუნის დასაწყისში ვერაზე – „ფიქრის გორაზე“ – ჭიდაობის ჩატარებას ძირითადად სახელგანთქმული ყარაჩოლელი გოლა (გიორგი) ლეზავა – მეტსახელად „ბაბაჭუა“ – ხელმძღვანელობდა. მიკიტანი „ბაბაჭუა“ მაღალი, ახოვანი კაცი იყო და მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც ღონიერი, პურმარილიანი, მოქეთე, კარგი მოკრივე და, საერთოდ, კაცური კაცი. როგორც ამბობენ, მისი რიდით საჭიდაო წრეში მუდამ სანიმუშო წესრიგი სუფევდა. ქართული ჭიდაობის მსაჯებად ყოფილან იმ დროისათვის ყველაზე მეტად პატივსაცემი და სანდო მოქალაქენი – არბიტრი ვანო ჩიბალოვი, პოეტი ბეჩარა, ხალხის საყვარელი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი და ცნობილი იურისტი შალვა მესხიშვილი. [10]. ასპარეზობას იწყებდნენ მოზარდები, რომლებსაც თანდათანობით ჭაბუკები ცვლიდნენ და ბოლოს კი სახელგანთქმული ფალავნები გამოდიოდნენ ნახერხით დაფარულ წრეზე.

ჭიდაობას მეტ შნოსა და ლაზათს სძენდა სისხლის ამაჩქროლებელი „საჭიდაო“, რომელსაც სპეციალურად მოწვეული მეზურნეთა „დასტა“ ასრულებდა.

ჭიდაობას მუდამ უამრავი ხალხი ესწრებოდა.

XIX საუკუნის 50-იან წლებში, კავკასიაში საგანგებო დავალებით მოგზაურობის შემდეგ, გენერალი დუბრივინი წერდა:

„Âîñâùå áîðúáà ñîmðåâéÿåðóù ñàìóþ ëó÷øóþ íîðåðó äéÿ áðóçèíú, áú íðàçä íè êàðú 1âùèðú èàæäàÿ äåðåâáiy âûñòàâéÿåðóù ñâïåâí áîéòà; ðîðæåñòåí åâñ ñîñòàâéÿåðóù ðîðæåñòåí öåééíé äåðåâáíè. Ìíàùèéè òåéæå âûäâèäåéè ñâí è õú èñêóñíûðú áîéòîâú, ñú éí òí ðûì è ácâééè íá íðàçä íè èé...“

Áú ãí ð iää âñääää áñòù áíéöù, èçâåñòðiúâ ñâi åþ ñeëiþ è eïâéï ñòiþ. Áññüâ, áu íä iåðú ðóáàøêåðú ñú çæñò÷åíüìè ðóéâåàìè, áíéöù áûñòð ià þòú fà àðåíó, iêðóæåííþ ði eïiþ ëþáíü ði úðú. Áâi åðð iâ äþæñðú ìðæ÷eíú ði äÿðú ñú iäéëàìè, îðäñíýçåâàéú, fàððøàþùèðú iïðýäîéú. Áîðöù äiïéä ëðóæàðñý äðóáú iîé ëî äðóää è, íâéïíåöù, ääéï çàäýçüâåðñý; iíè iäðåïëðòà þöñý ðóéâìè, è, iññéä ä iëæëöù óñëëié áíéåå eïâéïé åðð, ðú ååððú. Íðâàðèåù ðóéâìè iðiòèâíèâ, iíú ñæèìåðóú åäi èëè, eïâéï iññòðâåðéâ ñièíò è iäðåëéíóâ ÷åðåc iëå-î, ðâñòðyæâåðóú fà caiëå." [11]

„შერკინებაში გამარჯვებული ფალავნების დაჯილდოება ფულითა და ნივთებით წესად პქონიათ შემოღებული თავადაზნაურებს, რომლებიც ჭიდაობის შემდეგ სახელმოხვეჭილ მებრძოლებს ეტლით „გაიტაცებდნენ“ ხოლმე ან ვერის ბაღებისკენ – ცნობილი მიკიტნის ბაბაჭუას ან წვერიანი ალექსას დუქნისაკენ, ანდა ორთაჭალის ბაღებისაკენ, სახელგანთქმულ ყარაჩოხელ და ცნობილ მოკრივე ნიკალა ცაცანაშვილის ბაღ-რესტორან „ელდორადოსკენ“, სადაც მთელ ღამეს გათენებამდე ქეიფობდნენ და დილის საარის მოსმენის შემდეგ კვლავ ეტლებით ძირზეციციონებ შინისაკენ.“ [10]



თბილისში ჭიდაობის საასპარეზო მოედნები მრავალ ადგილას ყოფილა გამართული. მაგალითად მთაწმინდაზე, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს გადაუტანიათ დიდუბები, დღევანდელი აღმაშენებლის პროსპექტის ბოლოს, ე.წ. „იტალიელების ბაღში“. ასევე ეხლანდელი წინამძღვრიშვილის, ძველად კი ელისაბედის ქუჩაზე. ცხრასიან წლებში ვერაზე – ფიქრის გორაზე არსებული საჭიდაო წრე ვერელებისა და საერთოდ თბილისელების საყვარელი გასართობი ადგილი ყოფილა, რომელსაც ვარაზის ხევის მხრიდან ცნობილი ქართველი არქიტექტორისა და საზოგადო მოღვაწის – სიმონ კლდიაშვილის ციხე-კოკი ამშვენებდა.

ქართული ჭიდაობა იმ წლებში, „ფიქრის გორის“ გარდა, იმართებოდა დიდუბის ეკლესიის ზევითაც – ნებელი იპოდრომის პირდაპირ, მტკვრის მხარეს – „გრიშუას ბაღის“ მახლობლად – ციციშვილების მამულში მოწყობილ გადახურულ საჭიდაო მოედანზე, რომელსაც ხალხმა „კნიაზების კრუგი“ შეარქვა. 1910 წელს საჭიდაო მოედანი ჰქონდათ ავლაბარშიც და ნაძალადევშიც, ხუდადოვის ტყის მახლობლად, სადაც ასპარეზობაში მონაწილეობდა შემდგომ თბილისელთა საყვარელი მომღერალი ლადო კავსაძე. ჭიდაობა ხვადასხვა დროს იმართებოდა ორთაჭალაში, ელიას ზევით – მახათაზე და სხვ. [10]

ქართული ჭიდაობის ფალავნები საყვარელთაო სიყვარულითა და აღიარებით სარგებლობდნენ. ხალხის მეხსიერებამ დღემდე შემოინახა დავით ხიზამბარელის, იაკობ ეგნატაშვილის, ათოლა და კულა გლდანელების, ნესტორ ესებუას, კოსტა მაისურაძის, სანდორ კანდელაკის, მიხა ქურხულის, შამო ვერელის, ირაკლი ვაჩნაძის, ირაკლი კახელის, ვანო ქიშიყელის (იგივე კამბერუას – ივანე აბულაძის) და სხვათა სახელები, რომელთა ხსოვნა სამუდამოდ დამკიდრდა ქართული ჭიდაობის ისტორიაში. [10]

მათ შორის მაინც ყევლაზე გამორჩეული და ძლიერი, ლეგენდარული მოჭიდავე, ნოსტელი დათა ხიზამბარელი (კოპიტაშვილი) იყო. თავისი სიცოცხლის მანძილზე მას ბევრი სახელგანთქმული მოჭიდავე დაუმარცხებდა.


ხიზამბარელი ხელობით მეტივე გახლდათ. ტანად ჯმუხი, საშუალო სიმაღლისა, მოკლე ხელებით და წელში ოდნავ მოხრილი. კუნთები რკინასავით მაგარი ჰქონდა. ჭიდაობაში ძალიან მარდი და ხერხიანი, მოედანზე გააფთრებული ლომივით გამოვარდებოდა ხოლმე, რაც ძლიერ ხიბლავდა მაყურებელს. დათას მთელი საქართველო იცნობდა როგორც უძლეველ ფალავნებს და კეთილ ადამიანს. ის მუდამ ესწრებოდა დღეობებზე გამართულ ჭიდაობებს, ეჭიდებოდა, ვინც კი გამოითხოვდა და თავისებური ილეთებით მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა წრიდან, რითაც მაყურებლის დიდ მოწონებასა და სიყვარულს იმსახურებდა.

ხიზამბარელის შესახებ გიორგი ლეონიძე წერდა:

„მწარედ მთელქმდა ნიკოლა, ჲით არ გააჩნდა მუარებრი, გრძოდითდა გრძიფრი მხარეზონებრი ხიზამბარელი.“

ხიზამბარელის საყვარელი ილეთებიდან ყველაზე საინტერესო სანახავი ზეზე კისრული იყო. თუ ვინმე ჩაუვარდებოდა ხელში საკისრულებ იტყოდა ხოლმე: ახლა თუ გინდ ხარ-კამეჩიც მოუბით, ვეღარ შეიმაგრებთ, გადავიტანო. [10]

მისი პიროვნული თვისებებიდან უმთავრესი კი მაინც ღირსების დიდი გრძნობა გახლდათ. საჭიდაო მოედანზე მეტოქის სახელსაც ისევე უფრთხილდებოდა, როგორც საკუთარს. ამის დასტურად შემდეგი ამბავი გამოდგება: ერთხელ ხიზამბარელთან საჭიდაოდ წრეში პირველად ერთი ახალგაზრდა კახელი გამოსულა. ჯერ გულადად მდგარა, მაგრამ ვეფხვივით გამოვარდნილი ხიზამბარელი რომ დაუნახავს, შემინებულა, დაწოლილა და უთქვამს: არ ვეჭიდებიო. „შე ლაჩარო! ვინ ქართველი და ვინ შიშიო! ადე დამეჭიდე, თორემ მოგკლავო“, შეუგულიანებია დათას, წამოუყენებია და დაუწყიათ ჭიდაობა. კახელიც მაგარი ბიჭი გამომდგარა და კარგა ხანს გაუძლია ხიზამბარელისთვის. დათას ორჯერ უცდის



ძველი ქართველი მოჭიდავეები,  
XIX ს.

ქართულ სამოსთან და საასპარეზო კოსტიუმის მოდერნიზების ნაყოფს წარმოადგენს.

XIX საუკუნის დამლევისათვის ქართულ ჭიდაობას, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენას, უკვე ქალაქურმა პრესამაც მიაქცია ყურადღება. ჯერ კიდევ 1882 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა სტატია (№202), რომელიც სახელგანთქმული მოჭიდავის, კულა გლდანელის გამოსვლებს მიეძღვნა. კულას ძლიერების, ვაჟკაცობის, აღნაგობის, სილამაზისა და ლაზათის შესახებ გაზეთი წერდა: „მშვენიერი თვალტანადია გლდანელი, ვიწრო ჩოხა შემოწურული, სწორედ გმირსა ჰგავს, როდესაც გამოვა მოედანზე. მისი ამაყი, დარწმუნებული სიარული, მედიდური მიხვრა-მოხვრა, განიერი და ძარღვიანი გულმკერდი, მართლა სასიამოვნო სანახავია“. [12]

1888 წლის გაზეთი „ივერია“ მოგვითხრობს დათა ხიზამბარელის შერკინების ამბავს ერევნიდან ჩამოსულ მოჭიდავესთან. სომეხ მეტოქეს წრეში შესვლისთანავე მუშტი დაურტყამს დათასთვის და სარმაც გამოუკრავს, რომ მუშტით დარეტიანებული ადვილად წაექცია, მაგრამ დათა არც კი შერყულა და სულგრძელად უთქვამს მისთვის: „ბიჭო, კრივში ხომ არ გავსულვართ, რომ იცემებიო“ – თან სწრაფად მოუგდია ზურგზე, მიუტანია ქვების გროვასთან და უთქვამს: აბა ახლა უნდა დაგასრისო ამ ქვებზეო. ბოლოს გულკეთილ ვაჟკაცს განზე გადაუგდია გულშემოყრილი მეტოქე და თავისი ამხანაგი მეტივისათვის დაუძახია: გიგიტო, ერთი თავზე წყალი დაასხი, მოაბრუნეო.

იმავე 1888 წელს ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ ძველი მოჭიდავის ხელმოწერით დაიბეჭდა „სანიაზო რეცენზია“ გლდანელისა და ესებუას ჭიდაობის შესახებ. მოგვყავს ერთი ნაწყვეტი ამ წერილისა, სადაც კარგად ჩანს იმ დროს საზოგადოებაში გამეფებული სულისკვეთება:

„ . . . მეოთხედ და უკანასკნელად იქით კვირას იყო დანიშნული იმათი ჭიდაობა. ბალ ხალხით გაივსო, ტევა აღარსად იყო. გამოვიდა გატიტვლებული გლდანელი სარბიელზედ ლომივით და გაიბერ-

მისი კისრულით გადმოტანა, მაგრამ ვერ მოუხერხებია. ბოლოს დაუძახია, გაგვაშველეთო და გაუშველებიათ. დათას კახელი გადაუკოცნია და წაუჩურჩულებია: კაი ბიჭი ყოფილხარ, ცოდოა შენი გალახვაო... [10]

ცნობილ ქართველ ფალავანთა ჯგუფი; წამოწოლილები: დათა მსუქნიშვილი, გორგი დოთიაშვილი; სხედან: ლუკა დადიანიძე, მსაჯი ვანო ჩიბალოვი („შენ დაუკარ“), ალექსანდრე კახნიაშვილი (შაშო ვერელი); დგანან: მედროვე ურეხა, სანდრო კანდელაკი და მიხა ქურხული.

ეს სურათი თავისი ისტორიული ღირებულების გარდა, იმითაც არის საინტერესო, რომ მასზე აღბეჭდილია სამი სხვადასხვა ტიპის ქართული საჭიდაო ჩოხა, რომელთაგან თითოეული გარკვეული პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი. თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ მიხა ქურხულს, რომელიც დგას მესამე რიგში, მარჯვნივ, აცვია ტრადიციული გრძელმკლავებიანი ჩოხა, რომლითაც ოდითგანვე ასპარეზობდა ქართველი კაცი. ლუკა დადიანიძეს და მედროვე ურეხას (მარცხნა მხარეს მეორე და მესამე რიგში) აცვიათ მკლავებ დამოკლებული ჩოხები, რომლის სახელოები მხრებს კი ფარავს, მაგრამ ძველ ჩოხასთან მცირედი რამ თუ აკავშირებს. დანარჩენ მოჭიდავეებს აცვიათ თანამედროვე ტიპის უმკლავებო ჩოხა, რომელსაც საერთო აღარაფერი აქვს



ტყა!.. თითქოს ძარღვებმა წკრიალი დაიწყესო!.. მართლა სასიამოვნო სანახავი იყო ეს ხელოვნურად ნაკვეთი კაცი. მისი შემზედვარე იტყოდა თუ ხელოვნებით ჩამოსხმული ბერძნული სტატუა არისო. იმისი მაყურებელი ვერ წარმოიდგენდა, რომ გლდანელისათვის შეებედნა ვისმეს, ან გოლიათს ან სპილოს და ან ვეშაპს, ასე იპარავდა იმისი სიკარგე ადამიანის თვალს. ამ დროს მეორე კუთხით გაიპო ხალხი და გამოვიდა ერთი მაღალი ტანის გამზდარი ახალგაზრდა. ის იყო გლდანელის მეტოქე – ესებუა. გამოვიდა და, ფერწასული, მიემართა გლდანელს.

შემოუტია გლდანელმა ერთი ისეთ ნაირად, რომ თითქოს ტყე და ველი თან მოაქვსო, მაგრამ მეგრელმა ჰკრა გულში ხელი და უკანვე გაისროლა. რამდენჯერმე გაუმეორა ეს ფარი და ბოლოს ეცნენ ერთმნეთს. არ გაუვლია დიდხანს, რომ გლდანელი ჰაერში შეტრიალდა და პირდაღმა დაეშვა დედამიწაზე. ზევიდან მოექცა ესებუა და დააჭედა ხმელზე. იწყო ფართხალი კულამ, როგორც კაკაბმა ქორის კლანჭებში, მაგრამ ვეღარა გააწყო-რა. ისეთ ნაირად აწვებოდა ზემოდგან მეგრელი, რომ კაცს ეგონებოდა, მიწა გამხმარი რომ არ იყოს, ქვესკნელში ჩაძრელები". [13]

საინტერესოა, რომ ამ რეცეპტის ავტორი, ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლებელია აკაკი წერეთელიც ყოფილიყო, რომელიც ძველი მოჭიდავის ფსევდონიმით აწერდა ხელს. „აკაკის ლექსისა („ჭიდაობასა“) და ამ წერილს შორის ახლო მზგავსება: ორივე 1888 წლის აგვისტოში დაიწერა!"

ცნობილია, რომ „აკაკი წერეთელი დიდათ იყო გატაცებული ქართული ჭიდაობით. 1876 წლის „დროებაში“ მოთავსებულ წერილს რომ თავი გავანებოთ, აკაკიმ გლდანელსა და ესებუას ჯერ კიდევ 1886 წელს უძლვნა ვრცელი წერილი ილიას „ივერია-ში“. ამ წერილში უშუალოდ შერკინების აღწერასთან ერთად, აკაკიმ სასტიკად გაკიცხა ხალხისთვის საყვარელი რაინდული სანახაობის „სასყიდელის გაუჭირველად მოხვეჭის“ საშუალებად გადაქცევის მცდელობა. საქმე იმაში გახლავთ, რომ კულა გლდანელი – ივანე ბერის-ძე ყირიმელაშვილი – ჭიდაობას ორგანიზებას უწევდა და გამართული სანახაობის საცეკრლად მოსული მაყურებლისაგან საზღაურს იღებდა, რაც იმ დროის-ათვის გაუგონარ ამბად ითვლებოდა. აკაკის თქმით „უხსოვარ დროიდან შემოღებულ ჭიდაობას ჩვენში ყოველთვის რაინდული ხასიათი ჰქონია...“ და ის ქართველი კაცის სულიერი მოთხოვნილების გამოძახილს წარმოადგენდა: „მთელის კვირის განმავლობაში დაღალულსა და გულ-დათუთქულ მუშას, კვირაში ერთხელ, რასაკვირველია, ეჭირვება შესვენება და თავის შექცევა. მუსიკა და ოპერები მის სულიერ მოთხოვნილებას ვერ აქმაყოფილებენ და მხოლოდ ერთად ერთიღა სასიამოვნო ჭიდაობა დარჩენილა, რომელიც იმის გულს იზიდავს“ – ო ამ-ბობს აკაკი.

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ კულა გლდანელისთვის ქველ-მოქმედება ჩვეულებრივი საქმე გახლდათ. ქართულ ჭიდაობაში მუდამ აქტიური მონაწილეობის გარდა, კულა საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მას არა ერთი ცნობილი ფალაგანი ჰყავს გამოზრდილი. ამას გარდა, კულა გაჭირვებულ ადამიანებსაც ეხმარებოდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კულას ღვაწლი ჩვენი საყვარელი მწერლის ვაჟა-ფშაველას მიმართ, რაც გამოიხატებოდა ვაჟასადმი სისტემატურ ფულად დახმარებაში. მან 1883 წელს მეგობრების დახმარებით თიანეთში მოაწყო დიდი შეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში და შემოსული თანხა მთლიანად ვაჟა-ფშაველას გადასცა, რამაც პოეტს საშუალება მისცა პეტერბურგში წასულიყო სწავლის გასაგრძელებელად. მარტო ამ



ქართული ჭიდაობის ლეგენდა – კულა გლდანელი



ფაქტის გახსენებაც კი იგმარებდა კულა გლდანელის ღვაწლის შესაფასებლად.

არ არის გასაკირი, რომ კულა გლდანელისა და ნესტორ ესებუას ორთაბრძოლა, სახელოვან მგოსანს, საქმეში ღრმად ჩახდული კაცის თვალით და ამასთან მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხატოვა-ანებით აქვს აღწერილი. ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტს ხსნებული წერილიდან მკითხველს ვთავა-ზობთ სრულად:

„გამოვიდა მოედანზე პირველად კულა, ჩვეულებრივად შეიკუნტრუშა და ხალხს თვალი გადაავლო, უთუოდ მისთვის, რომ გაეგო ბევრია შემოსავალი, თუ არაო. თავის იმედი და გამბედაობა ეტყობოდა... ბოლოს გამოვიდა ახალგაზრდა მეგრელიც, კარგი თვალტანადი, ეტყობოდა, რომ შემკრთალი იყო.

ეძგერნებ ერთმანეთს... გლდანელმა დაბერტყა პირველად ესებუა, ისე ძლიერ დაატრიალა, რომ ყველას ეგონა მოსხლეტს დედამიწიდგან და ჰაერში აიტანსო, მაგრამ ბოლოს თავი შეიმაგრა ახალ-გაზრდა მოჭიდავემ და შორს გადააგდო გლდანელი, რომელიც პირდალმა და დაოთხებულად დაუცა. — წამოხტა ზეზე, მოუბრუნდა გაბრაზებული ფალავანი და წამოიკიდა ზურგზე ესებუა, გადაიტანა კიდეც, ცალი გვერდი დააკვრევინა, მაგრამ ვერ დაიმორჩილა, თუმცა ყელში უჭერდა ხელს. ადგნენ და ხელმე-ორედ შეიძნენ; კიდევ გადაიტანა გლდანელმა პირველზე უფრო მარჯვედ, მაგრამ კიდევ ვერ დაიმორჩილა და ტყუილად სცდილობდა, რომ მისთვის სახე მოეგრიხა ამით მაინც დაემორჩილებინა. კიდევ წამოდგნენ და მესამედ შეუტიეს ერთმანეთს. მაშინ კი გათამამებული მეგრელი მივარდა ვეფხვივით და ცოტა ხნის შემდეგ წაიქცა გლდანელი. გამარჯვებულმა ორივ მხრებზე ხელები დააჭირა და დაიმორჩილა. — ეს მორევა შემთხვევითი იყო, თორებ ძნელია ისეთი განთქმული ფალავანდის უძრავად დამორჩილება, როგორიც გლდანელია. როგორც დახელოვნებული, გაწვრთნილი და გათამამებული მოჭიდავე გლდანელი ბევრად უფრო მაღლა სდგას ესებუაზე, მაგრამ სიმარდე და მოხდენილობა, თითქმის რაინდული ქცევა, ახალგაზრდა ესებუას მეტი აქვს... " [14].

თუმცა ღირსება და კეთილშობილება არც კულა გლდანელს აკლდა. მის რაინდულ ხასიათზე მეტყველებს ერთი შემთხვევა, რომელიც აღწერს კულას შეხვედრას სპარსელ ფალავან ხუშტურ-ბეგთან.

„1906 წლის შემოდგომაზე, თბილისიდან ბაქოში ჩაულა ქართველ მოჭიდავეთა გუნდი: კულა გლდანელი, ნიკოლა დაბლიშვილი, გიორგი ოდიშვილი დას სხვ.

ბაქოელ მილიონერ თავიევის შვილს თბილისელ მოჭიდავეებთან შესარგინებლად მოუწვევია იმ დროს სპარსეთში დიდად სახელგანთქმული ფალავანი ხუშტურ-ბეგი, რომელიც კულაზე ზორბა ტანისა ყოფილა.

თავიევის შვილს სმენოდა კულას ძალა და ხერხიანობა და, მართალია, დიდი იმედი ჰქონია ხუშტურ-ბეგის გამარჯვებისა, მაგრამ მაინც შუაკაცის პირით შეუთვლია: 50 ოქროს მოგცემ თუ წაექცევინები ხუშტურ-ბეგსო, რაზეც კულა არ დათანხმებულა და უთქვაშს: ფული არ მინდა, მე ვეჭიდავები და ვინც წაიქცევს წააქციოსო.

ბაქოს ცირკში ამ ჭიდაობაზე დიდალი ხალხი მისულა. შეჯიბრების დაწყებისას ჯერ ხუშტურ-ბეგი გამოსულა ქედმაღლურად, მოუხდია აბრეშუმის ძვირფასი წამოსასხამი, აგრეთვე თავსაბურავიც და მისალმებია ხალხს. შემდეგ მოედანზე კულა გლდანელი გამოვარდნილა ირემივით, თექის ქუდი მოუხდია, მაღლა შეუგდია და მისალმებია მაყურებლებს.

დაწყებულა ჭიდაობა. ფალავებს ერთმანეთისთვის ჩაუკლიათ ხელები.

მუდამ გამარჯვებებით გათამამებულ სპარსელ ფალავანს ჩვეულებად ჰქონია ჭიდაობისას ხტომა. კულას ეს შეუმჩნევია მისთვის, თვითონაც აჰყოლია და ნება-ნება ხტუნვა-ხტუნვით, განზრას უკან დახევით, სპარსელი ფალავანი იმ ადგილისკენ წაუყვანია, სადაც ქალქის თავი, თბილისელი თავადი, ნაკაშიძე მჯდარა. სპარსელს ჰქონებია, ეშინია და გამირბისო და უფრო გულდაგულ დაუწყია ხტუნვა რომელიმე ილეთის გაკეთებამდე.

ნაკაშიძეც დარწმუნებულა, რომ კულა შეუშინდა სპარსელსო და განაწყენებულს ხმამაღლა შეუძა-



ხია: კულავ, საქართველოს სახელი არ შეარცხვინო. კულას ამ სიტყვაზე სპარსელის პამპულა-ხტუნაობაში ნაკაშიძისათვის ხმამაღლა უპასუხია: ნუ გეშინია, კნიაზჯან, შენთან მომყავს, ფეხბითან უნდა დაგიხეთქოო და, მართლაც, როცა მას მიახლოებია, სრულიად მოუღლოდნელად, თავისებურად, უცრივ წმოულია ახმახი კაცი კისრულზე და ორივე ბეჭით ისე დაუხეთქებია, რომ ძლივსლა ამდგარა საცო-დავი." [10]

პრესის მხრიდან ჭიდაობისათვის ყურადღების დათმობა, ეჭვსგარეშეა, ამ უკანასკნელის დიდ პოპულარობაზე უნდა მეტყველებდეს XIX საუკუნის სქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თუმცა ჭიდაობის სპორტულ დისციპლინად ჩამოყალიბება და ერთიანი საშეჯიბრო წესების შემუშავება მხოლოდ XX საუკუნის პირველ ნახევარში იწყება. საბოლოო სახით ქართული ჭიდაობის წესები ჩამოაყალიბა, დახვეწა და სისტემაში მოივანა მიხეილ ხერხეულიძემ, რომელიც სამი ათეული წლის განმავლობაში ბურჯად ედგა ქართულ ჭიდაობას. ქართული ჭიდაობის სახელმძღვანელოები შექმნეს ი. თომაშვილმა 1950 წ., და ს. მაისურაძემ 1984წ.

ქართული ჭიდაობის მდიდარი ტრადიცია და ტექნიკური არსენალი ჩვენმა სახელოვანმა ფალავნებ-მა წარმატებით გამოიყენეს ჭიდაობის საერთაშორისო შეჯიბრებებში. ქართული ჭიდაობის ილეთები ცნობილი გახდა მთელ მსოფლიოში და დღეს ისინი მრავალი საერთაშორისო სახეობის ტექნიკურ არსენალს ამდიდრებენ. ყოველივე ამ მიზეზთა გამო ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია მკითხველის ყურადღების გამახვილება ქართული ჭიდაობის ცალკეული ილეთების აღწერაზე. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ჭიდაობის იმ სახეობათა სამზეოზე გამოტანა, რომელთა არსებობაც, გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, მრავალი წლის განმავლობაში უცნობი გახლდათ საზოგადოების მნიშ-ვნელოვანი ნაწილისათვის.

ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედრაცია „ხრიდოლის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად საქართველოს სახვადასხვა კუთხეში გამოვლენილი იქნა ჭიდაობის ორი ათეული სახეობა, რომელთა-გან უმრავლესი, თუ მცირედ განსხვავებებს არ მივიღებთ შედევლობაში, ერთმანეთს ჰგავს და ზოგადქროული ანუ ქართლ-კახური ჭიდაობის ვარიანტს ენათესავება. მეგრული „რკინება“ და გურული „ჭედობა“ პრაქტიკულად ქართლ-კახური ჭიდაობის იდენტურია და განსხვავება მხოლოდ მათ კუთხურ დასახ-ელებებშია. აღსანიშნავია, რომ სამეგრელოს შემოუნახავს ჭიდაობის უძველესი ქართული სახელი – „რკინება“. სულხან-საბას განმარტებით „ჭიდება არს მხეცი და კაცი რა შეიჭიდნენ, გინა მხეცი და მხეცი ანუ პირუტყვი და პირუტყვი; ხოლო კაცი კაცსა რა ეჭიდებოდეს, რკენა ეწოდების.“[15]

მცირედ განსხვავებულ სახეობათა ჯგუფს ქმნის ისეთი ჭიდაობები, როგორებიცაა მთიულური „იღლიღორა“, იმერეთში გავრცელებული საბეჭურიდან ჭიდაობა, რაჭული „ღოჯური“ და სვანური „ლიბრგიელ“, რომლებიც ეგრეთწოდებული სარტყლით ჭიდაობის კლასს მიეკუთვნებიან. მათვის დამახასიათებელია შერკინების დაწყება წინასწარ განსაზღვრული პოზიციიდან. ამ დროს მოწინააღმ-დეგებს ერთმანეთისთვის ხელი თავიდანვე ჩავლებული აქვთ ჯვარედინად ანუ „ღოჯურად“ და ყველა საჭიდაო ფანდი სწორედ ამ ჩავლებიდან სრულდება.

ჭიდაობის ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სახეობაში, ისევე, როგორც ზოგად-ქართულში, ასპარეზობა ქართული ჩოხით მიმდინარეობს. შერკინების დროს ჩოხის სახელოები აკაპიწებულია იდაყვებს ზემოთ, ჩოხის საყელო გადაღელილია ისე, რომ მკერდი არ დაფაროს, ხოლო კალთები კი უკან არის გატანილი და სარტყელშია ჩაკეცილი.

ზემოთ აღწერილ ჭიდაობათათვის დამახასიათებელია გამართული დგომი და ილეთის შესრულებ-ის დროს გდების მაღალი ამპლიტუდა. ილეთის შემსრულებელი ყოველთვის ცდილობს მეტოქის მიწაზე დანარცხების შემდეგ ფეხზე დარჩენას. ამას თავისი ახსნა აქვს. ქართული ჭიდაობა საბრძოლო დისციპლინაა და მიმართულია ბრძოლის დროს მოწინააღმდეგის მწყობრიდან გამოვანისკნ. როგორც ცნობილია ქართველებს უმრავლეს შემთხვევაში მომხდეულთა ჭარბ რაოდენობასთან გვიწევდა გამკლავე-



ბა, ისე რომ ხშირად თითოეულ მებრძოლზე მტრის რამდენიმე მებრძოლი მოდიოდა. თუ ქართველი მეომარი მოახერხებდა ერთ-ერთი მათგანის დაბლა დაგდებას, მაგრამ თვითონაც ზედ დაპყვებოდა, დანარჩენებს გაუჩნდებოდათ მშვინიერი შესაძლებლობა მისი მოკვლისა. ამიტომ მტერი ძირის ისე უნდა დაგეგდო, რომ თვითონ ფეხზე დარჩენილიყავი და ბრძოლა გაგეგრძელებინა. აი სწორედ ეს პრინციპი იქნა ჩვენი წინაპრების მიერ ქართული ჭიდაობის საფუძველში ჩადებული.

ჭიდაობის ტრადიციული სახეებისგან განსხვავებით ცალკეა გამოსაყოფი ჭიდაობათა ჯგუფი, სადაც ორთაბრძოლა მოწინააღმდეგეთა დაცემის შემდეგ ჩოქბჯენშიც გრძელდება.

აქეე უნდა აღინიშნოს, რომ, უმრავლეს შემთხვევაში, მიწაზე ბრძოლა იმდენად მიუღებელი გახლდათ ქართული ხასიათისთვის, რომ ზოგიერთ რეგიონში ასეთ ჭიდაობას „ღორულსაც“ კი უწოდებდნენ, თუმცა ეთნოგრაფიულმა ყოფამ მაინც შემოვინახა აღნიშნული ტიპის ორთაბრძოლები. ესენია მესხეთში გავრცელებული ჭიდაობის ვარიანტი, რომელიც იმით გამოირჩევა, რომ შერკინება წელსზევით გაშიშვლებულ მეტოქების შორის მიმდინარეობს. მისთვის დამახასიათებელია ბრძოლის უხეში ფორმა, ჩავლება დასაშვებია კიდურებისა და ტორსის ცალკეული კუნთების მოჭყლეტვით, რაც ტკივილით გამოწვეული შოკის პირობებში მოწინააღმდეგის დამორჩილებასა და შემდგომ მის გდებას აადვილებს. როგორც ავლიშენეთ, ბრძოლა მიწაზე დაცემის შემდეგ, ანუ ჩოქბჯენშიც გრძელდება სადაც გამოიყენება სხვადასხვა სახის გრეხვები, მტვრევები, მოგუდვები და მოხრიობები.

მესხური ჭიდაობის მსგავსად ფიზიკურ ძალასა და ტრავმულ ილეთებზე კეთდება აქცენტი ერთ-ერთ ხევსურულ ჭიდაობაშიც. ორთაბრძოლას, რომელსაც ადგილობრივები „დამოშვით“ ან „მოშ და მოშ“ ჭიდაობას ეძახიან, ახასიათებს ილეთები, რომლის დროსაც სასურველი შედეგი მიიღწევა მოწინააღმდეგის სხეულზე მკლავების ძლიერი შემოჭერით. ასეთი შეტევები ხორციელდება ტორსზე ცრუნეკნებისა და ფილტვების არეში, კისრის უკანა მხარეს თავის ქალის ფუძის მიდამოებში. გდებები სრულდება თავისა და კისრის ორივე ხელით ამოკეტვით, თავის ილიაში ამოდებით, სახსრების უხეშად გრეხვით და ა.შ.; „დამოშვა“ ხევსურულ დიალექტზე დაბლუჯვას, დაიღლივებას ნიშნავს, რაც ზუსტად ასახავს ამ ჭიდაობის არსეს. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ამდაგვარად შესრულებული ილეთები მოწინააღმდეგეს დიდ ფიზიკურ ზიანს აყენებდა და ხშირად ერთ-ერთი მებრძოლის დაღუპვითაც მთავრდებოდა. ჩვენ გაგვიგია ამბავი თუ როგორ „გახეთქა“ წელზე ხელის შემოჭერით ერთმა ხევსურმა სამეკობროდ შემოსული „ვიღაც ქისტი“.

გარდა „მოშ და მოშ“ ჭიდაობისა, ხევსურეთში დაფიქსირდა ჭიდაობის კიდევ ერთი სახესხვაობა, რომელსაც ადგილობრივები „მუქასრისას ხელის ჩავლებით“ ეძახინ. მუქასარი ხევსურული შარვლის მოქარგულ ტოტს ჰქვია. სულხან-საბას მიხედვით „მუქასარი ნიფხვის ცალი ტოტია“. [15] ჭიდაობის დასახლებიდანვე ჩანს, რომ შერკინება შარვლის ტოტში ხელის ჩავლებასა და ამ მდგომარეობიდან გდების შესრულებას ითვალისწინებს. გდების შემდგომ ბრძოლა ჩოქბჯენშიც გრძელდება ზემოთ აღწერილი უხეში ილეთების გამოიყენებით. ხევსურეთში ძველად გავრცელებული ამ ორი ჭიდაობის შესახებ ცნობები მოგვაწოდა სოფელ ლელისვაკეში მცხოვრებმა ივანე ბურდულმა. მისივე თქმით ხევსურები „მოშ და მოშსა“ და „მუქასრისას“ ჭიდაობდნენ როგორც ცალცალკე ასევე ერთადაც. ერთადერთი ლიტერატურული წყარო, სადაც ჭიდაობის ზემოთ აღწერილი, უნიკალური სახეობებია ნახსენები, გახლავთ ვ. ელაშვილის „ქართული ჭიდაობა“.

ზემოთმოყვანილ აღწერებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს კუთხეებში გავრცელებულ ჭიდაობათა რიცხვი და მრავალფეროვნება საფუძველია ზოგადქართული ჭიდაობის მდიდარი ტექნიკური არსენალისა. დიდი ხანია აღარავისათვის აღარაა საიდუმლო, რომ ილეთების მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით ქართულ ჭიდაობას ბადალი არა ჰყავს მსოფლიოში. ეს უკვე მრავალჯერ დაამტკიცეს ჩვენმა სახელოვნება ფალავნებმა თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში, ძიუ-დღისა და სამბოში. სწორედ ქართული ილეთების ეფექტურობას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი ქვეყნის



სპორტსმენთა მრავალრიცხოვან წარმატებებს საერთაშორისო სარბიელზე. ქართული ჭიდაობის საფუძვლებზე აღიზარდნენ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში: არსენ მეკოკიშვილი, დავით ციმაკურიძე, მირიან ცალქალამანიძე, დავით გობეგიშვილი, საფრანგეთში „ჭიდაობის პროფესორად“ წოდებული ვახტანგ ბალავაძე, გურამ სალარაძე, შოთა ლომიძე, ვლადიმერ რუბაშვილი, ზარიბეგ ბერიაშვილი, გიორგი სხირტლაძე. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული და მსოფლიო სპორტის ლეგენდა, ორგზის ოლიმპიური და ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი თავიუფალ ჭიდაობაში, 1973 წლის მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობა „სამბოში“, ლევან თედიაშვილი.

ქართული ჭიდაობის ილეთებს უმაღლიან გამარჯვებას ძიუ-დოს ოლიმპიური ჩემპიონები შოთა ჩოჩიშვილი, დავით ხახალებიშვილი და ზურაბ (ავთო) ზვიადაური.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იაპონური ძიუ-დოს ტექნიკური არსენალის გამდიდრება წლების განმავლობაში სწორედ ქართული ჭიდაობის ილეთებით ხდებოდა, რისთვისაც საქართველოს ხშირად სტუმრობდნენ უახლესი გადასაღები ტექნიკით აღჭურვილი ძიუ-დოს სპეციალისტები. ჭიდაობის ქართველი ოსტატები კი უშეალოდ ამომავალი მზის ქვეყანაში აზიარებდნენ ჩვენებური ჭიდაობის საიდუმლოს იაპონელ სპორტსმენებს. აქვე ერთ საინტერესო მომენტზე უნდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება. 2009 წელს ძიუ-დოს საერთაშორისო ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება ძიუ-დოს საშეჯიბრო წესების რეორგანიზაციის შესახებ. ახალი წესების თანახმად აკრძალა დგომიდან ხელის ფეხში ჩავლებით ილეთის შესრულება, რათა ჭიდაობა გამართული დგომიდან წარმართულიყო და შესაბამისად სანახაობრივად უფრო მიმზიდველი გამზდარიყო. ერთად-ერთი შემთხვევა, როდესაც სპორტსმენს უფლება ეძლევა ილეთი ფეხში ხელის ჩავლებით შესარულოს, არის ეგრეთწოდებული „გადავლებული“ მოგვერდის საწინააღმდეგო ფანდი. „გადავლებული“ წმინდად ქართული ილეთია, რომლის წინააღმდეგ დიდი ხნის განმავლობაში ვერაფერს აწყობდნენ იაპონელი ძიუდოსტები. ამ შემთხვევაში ეუქმებური მხოლოდ ფეხში ხელის ჩავლებით შესრულებული კონტრილეთი გახლავთ და ზემოთხსენებული აკრძალვაც სწორედ ამიტომ არ შეეხო ჭიდაობის ჩვენებურ ხერხს.

ქართული ჭიდაობის ტექნიკური ილეთების კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია, მცირედი განსხვავებებით, შემუშავებული აქვთ ილია თომაშვილს, 1945-50 წლებში გამოცემულ ქართული ჭიდაობის სახელმძღვანელოში, და სიმონ მაისურაძეს, 1984 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ქართული ჭიდაობა“. ამ კლასიფიკაციის თანახმად ქართულ ჭიდაობაში ყველა ფანდი დიფერენცირებულია ზოგჯერ ექვს და, ზოგ შემთხვევაში, ცხრა ძირითად დარგად. ესენია: სარმები, კაურები, ღოჯურები, მოგვერდები, თემოები და კისრულები. ამათ ემატება ცერულები, ნაგვალები და ბრუნები. ყველა ეს დარგი წმინდად ქართულ ილეთებს აერთიანებს და ნიკო კეცხოველის თქმით „ისეთივე ეროვნულ საუნჯეს წარმოადგენს, როგორც ფოლკლორი, ქართული სიმღერები, ქართული ხუროთმოძღვრება და სხვა“.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ცალი ხელით ჩასატარებელი ფანდების ჯგუფი, სადაც ყველა ილეთი ცალი ხელის ჩავლებით სრულდება. ასეთი ტიპის ილეთები აღწერილი გვაქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. კერძოდ ახალციხეშია და აღიგენის რაიონებში ცალი ხელით ჭიდაობის ილეთები დააფიქსირა და შეისწავლა ზაზა ვარდიძემ, საგარეჯოში მსგავს ილეთებს მიაკვლია ზურაბ ოსეფაშვილმა. ცალი ხელით ჭიდაობა დასტურდება დეოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონებშიც, სადაც აღგილობრივი მოსახლეობა მას „მკლავმობმით“ ჭიდაობად მოიხსენიებს. (მთხოვნელი ნუკრი თანდაშვილი, სოფელ ანაგიდან, იხსენებს, რომ „მკლავმობმით“ ჭიდაობის დროს ხელი ჩავლებული ჰქონდათ მოწინააღმდეგის მოსახლეები და სხვა).

1995 წელს იუნესკოს სპორტის ნაციონალური სახეობების კვლევის სპეციალურმა კომისიამ „ცალხელა“ და „მაჯურა“ ჭიდაობები ორთაბრძოლების უნიკალურ სახეობათა რანგს მიაკუთვნა. („ცალხელასა“ და „მაჯურა“ ჭიდაობების შესახებ დეტალური საუბარი ქვემოთ გვექნება). მიუხედავად ამისა მკვლევართა რიგებში დიდი ხნის განმავლობაში მაინც გრძელდებოდა მსჯელობა იმის შესახებ, შეიძლე-



ბოდა თუ არა ცალხელა ჭიდაობის დამოუკიდებელ სახეობად განხილვა, თუ ეს უკანასკნელი მხოლოდ ქართული ჭიდაობის ერთ-ერთ დარგად უნდა ჩაგვეთვალა.

არსებულ ძეგლობარების გარკვევა შესაძლებელი გახდა ორი შემთხვევის შემდეგ: 2009 წლის დასაწყისში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა რუსულმა ვიდეოფილმმა, რომელიც სამბოს შექმნის ისტორიას მოგვითხრობს. ფილმი იწყება XX საუკუნის I ნახევრში გადაღებული კადრებით, სადაც ცალხელა ჭიდაობის ეპიზოდია დაფიქსირებული. ტრადიციულ საჭიდაო წრეში, რომელსაც მაყურებელთა რიგი ქმნის, ერთმანეთის პირისპირ დგას ორი, ჩოხაში გამოწყობილი, მეტოქე. ჭიდაობა, ჩვეულებრივ, — დოლისა და ზურნის აკომპანიმენტით მიმდინარეობს. შეხვედრის დასაწყისში მოჭიდვებს მარცხენა ხელი ზურგს უკან, სარტყელთან აქვთ მიღებული, ხოლო მარჯვნა ხელით ცდილობენ

მოწინააღმდეგის ჩოხის საყელოს ჩავლონ. თავიდან ერთ-ერთი მათგანი შედის ზეზელა კისრულზე, თუმცა მეორე ინიციატივას ჩამოართმევს და ჯერ ჩოქელა კისრულითა და შემდეგ შუაკაურით ცდილობს მეტოქის დაგდებას. ეკრანზე აშკარად ჩანს, რომ მოჭიდავეები ილეთებს მხოლოდ ცალი ხელის გამოყენებით ასრულებენ, მეორე ხელს კი ვარდის დროს, ტრავმის თავიდან ასაცილებლად იყენებენ. ეს ეპიზოდი 18 წამის განმავლობაში გრძელდება.

ოდნავ მოგვიანებით ცალი ხელით ჭიდაობის ფაქტი დავაფიქსირეთ ლაგოდებშიც. სხვა ფაქტებიდან განსხვავებით აქ უკვე არა მხოლოდ ილეთების კრებული იქნა გამოგლენილი, არამედ აღმოჩნდა, რომ ჭიდაობის ამ ერთობ სპეციურ სახეობაში პაექრობაც კი იმართებოდა. ეს ცნობები, შესაბამისი ილეთების აღწერასთან ერთად, მოგვაწოდა ერთ-ერთი ცალი ხელით მოჭიდავის მმისშვილმა, ჯონი ეგეტაშვილმა, რომელიც წარსულში თავადაც მოჭიდავე გახლდათ და კარგად ახსოვდა თუ როგორ ჭიდაობდა ცალი ხელით მისი ბიძა, ნიკოლოზ ეგეტაშვილი. ამის შემდეგ უკვე მოგვეცა საშუალება, რომ ცალხელა ჭიდაობა გვეღიარებინა, როგორც ჭიდაობის დამოუკიდებელი სახე.



ცალი ხელით ჭიდაობა  
— XIX საუკუნის მიწურული.

ახლა იმის შესახებ თუ რას წარმოადგენს ჭიდაობის ამ სპეციფიური სტილის ტექნიკური არსენალი. თითქმის ყველა ილეთი, მცირედი გამონაკლისის გარდა, რომელიც ქართული ჭიდაობისთვისაა დამახასიათებელი, აქაც სრულდება, ოღონდ, რა თქმა უნდა ცალი ხელით. ესენია ზეზელა და ჩოქელა კისრულები სხვადასხვა ჩავლებით, ეწ. „წისქვილი“, სარმები, კაურები, მოგვერდი — ხელის ჩავლებით ქამარში და გადავლებული და ა.შ. ამათ ემატება ქართული ჭიდაობისაგან განსხვავებული ილეთები, რომლებიც კიდურებისა და სახსრების გრეხვებსა და ტეხვებზეა აგებული და მხოლოდ ცალხელა ჭიდაობისთვისაა დამახასიათებელი. ცალი ხელით ჭიდაობა ძველ დროში, როგორც ჩანს, საბრძოლო დისციპლინას წარმოადგენდა, რომელიც უხელოდ ჭიდაობასთან ერთად, მომავალ მებრძოლს შეზღუდულ პირობებში, — ცალ ხელში დაჭრისას ან ერთი ხელის შებოჭვის დროს, ბრძოლას უაღვილებდა. ამასთან ერთად მეომარს, რომელსაც ერთ ხელში ხმალი ეჭირა, მეორე, თავისუფალი ხელით უნდა შესძლებოდა მოწინააღმდეგის წონასწორობიდან გამოვგანა, მიწაზე დაგდება და ნეიტრალიზება. თუ გავიხსენებთ, რომ საქართველოში მოქმედებდა ე.წ. „აზარის“ წესი, რომლის მიხედვითაც ყოველი ბრძოლის დროს მეომარს მხოლოდ თორმეტი კაცის მოკვლის უფლება ჰქონდა ღვთისაგან მინიჭებული, დანარჩენი კი შეეძლო მხოლოდ წყობიდან გამოეყვანა, მივწვდებით თუ რაოდენ მნიშვნელოვანი



იქნებოდა მებრძოლისათვის ცალხელა ჭიდაობის იღეთების ფლობა.

გარდა საბრძოლო დანიშნულებისა ცალი ხელით ჭიდაობას სასწავლო დანიშნულებაც აქვს. ქართული ჭიდაობის იღეთების ცალი ხელით შესრულება ტექნიკის დახვეწას უწყობს ხელს. ორი ხელით ჭიდაობის პროცესში დამწყები მოჭიდავე ძირითად აქცენტს უნდებურად მაინც ფიზიკურ ძალაზე აგეობს, რითაც იღეთის შესრულების ხარვეზებს მაღავს. ეს კი დროთა განმავლობაში ჩვევაში უჯდება და იღეთის სწორად შესრულებას უშლის ხელს. ცალი ხელით ჭიდაობისას ფიზიკურ ძალაზე აქცენტის გადატანა, გასავები მიზეზების გამო, პრაქტიკულად შეუძლებელია და სპორტსმენის მთელი ყურადღება შესრულების ტექნიკის სრულყოფას ხმარდება.

ცალი ხელით ჭიდაობასთან ერთად, ე.წ. „შეზღუდულ პირობებში ჭიდაობათა კატეგორიას განეკუთვნებიან „მაჯურა“ და უხელო ჭიდაობები.

ცალხელა ჭიდაობისგან ოდნავ განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ჭიდაობის ისეთ სპეციფიურ სახეობაში, როგორიცაა უხელოდ ჭიდაობა, რომელიც მავანთა მეურ „მკერდაობადაც“ მოიხსენიება. ამ უკანასკნელის სახელწოდება არაორაზროვნად მიგვანიშნებს, რომ საჭიდაო გდებები ხელის ჩავლების გარეშე უნდა შესრულდეს. შეტევები ძირითადად ფეხის გამოკვრით, გამოსმით, ფეხით ფეხზე ჩახვევით და მოწინააღმდეგის ფეხის სახსრების ჩატეხვით კეთდება. ამასთან მეტოქის წონასწორობიდან გამოყვანა მხრისა და მკერდის კვრითაც შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ ხელის ჩავლების გარეშე შესასრულებელი იღეთები ჩვენს მეურ მრავლად იქნა მოძიებული (ხელის გარეშე ჭიდაობის იღეთები სოფელ არაშენდაში ჩაიწერა და მოგვაწოდა შოთა იაგანაშვილმა), ასეთი სახის ჭიდაობის დამოუკიდებლად არსებობის დამადასტურებელი ლოკუმენტი მაინც არ გაგვაჩნია. აღნიშნული ტიპის იღეთები, როგორც ჩანს, ძირითადი სახეობის დამხმარე ფუნქციას ასრულებდა, თუმცა თავისთავად ყოველი იღეთი უნიკალურია და ანალოგები მსოფლიოში ნაკლებად მოეძებნება. უხელოდ ჭიდაობაც, ან უკეთ იღეთები, რომელებიც ხელის ჩავლების გარეშე კეთდება, საბრძოლო დისციპლინათა რიგს განეკუთვნება და მებრძოლს ხელებშეკრულ მდგომარეობაში ბრძოლის ჩვევას უვითარებს. მიუხედავად იმისა დადასტურდება თუ არა წარსულში ცალხელა ჭიდაობის ტრადიციის არსებობა, დღეს ეს უკანასკნელი თავისუფლად შეგვიძლია ორთაბრძოლების დამოუკიდებელ სახეობათა სიაში ჩავწეროთ.

ქართული საბრძოლო ხელოვნების თვითმყოფადობისა და უნიკალურობის განმსაზღვრელი, ზემოთ აღწერილ ორ დისციპლინასთან ერთად, გახლავთ ე.წ. „მაჯურა“ ჭიდაობაც. სახელი „მაჯურა“ არ არის ტრადიციული და ის XX საუკუნის 90-იან წლებში, „ხრიდოლის“ ფედერაციის დარბაზის მაშინდელი თავის, კახაბერ ზარნაძის ინიციატივითაა დაწერვილი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჭიდაობის ამ სახეობის აღდგენა გარკვეულწილად დაუსაბუთებელ ჰიპოთეზასთანაა დაკავშირებული. ამ საკითხისათვის ნათელის მოსაფენად მცირე გადახვევა უნდა გავაკეთოთ. საქმე ისაა, რომ სტეფანწმინდაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი იქნა მდიდარი ფაქტიური მასალა, რომელიც სპეციალისტთა წრეში „ყაზბეგის განძის“ სახელითაა ცნობილი. ძვ.წ. VI საუკუნით დათარიღებული ლითონისა და კერამიკის ნივთების კოლექციაში გამოიჩინევა ბრინჯაოს მცირე ზომის ანთროპომორფული ქანდაკებები. აღნიშნულ ფიგურებს თავზე ადგათ სხვადასხვა ფორმის რქები, სახის მაგივრად ზოგიერთ მათგანს ცხოველის თავი აქვს, ხოლო ადამიანის სახე ძლიერ უტრიორებულია. შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ყოველ მათ-



ბრინჯაოს ქანდაკება, ძვ. წ. VI ს.



განს თავზე ნიღაბი აქვს ჩამოცმული, იმის მსგავსი, როგორსაც „ყექნობის“ დროს იხურავდნენ „ბერიკები“. აშკარაა, რომ ეს მოძრავი ფიგურები რაღაც რიტუალურ ქმედებას ასრულებენ. სწორედ ამის გამო შ. ამირანაშვილმა ისინი ე.წ. „საქმისას“ ფერხულის მთავარი მოქმედი პირების გამოსახულებად მიიჩნია. [16] სარიტუალო ფერხულის პერსონაჟებს შორის აღმოჩნდა ერთი ქანდაკება, რომელმაც ჩვენი მკლევარების ყურადღება მიიქცია. იგი წარმოადგენს ორი, ერთმანეთისათვის მარჯვენახელებჩაკიდებული კაცის ფიგურას. ფიგურები წელში წინ არიან გადახრილი, და ისე დგანან ერთმანეთის პირისპირ დინამიურ პოზაში, თითქოს საჭიდაო ილეთის შესრულებას აპირებენ.

როგორც უკვე აღინიშნა ყველა ზემოთ აღწერილი ქანდაკება გარკვეული სარიტუალო ქმედების კონკრეტული ეპიზოდის ამსახველ გამოსახულებას წარმოადგენს. ამასთან ცნობილია, რომ სხვადასხვა სახის ორთაბრძოლა და მათ შორის ჭიდაობაც რელიგიური დღესასწაულების დროს სარიტუალო

ქმედების შემადგენელი ნაწილი გახლდათ. დიდი რელიგიური დღესასწაულებისა და დღეობების დროს, სადღესასწაულო წირვის დამთავრების შემდგომ, ყოველთვის იმართებოდა შევიბრი ჭიდაობაში, რომელსაც საქართველოს ბარში, ბოლო დროს, მხოლოდ სპორტული ასპარეზობის ხასიათი ჰქონდა. აღავერდობისა და ცხეობის დღესასწაული გამართული ჭიდაობა ტილოზე გადაუტანიათ დიდ შეატვრებს გიგო გაბაშვილსა და გრიგორი გაგარინს.



გრიგორი გაგარინის ნახატი „მცხეთობა“, XIX ს.  
(ჭიდაობის სცენა მარჯვენა ქვედა კუთხში)

ბარისაგან განსხვავებით ორთაბრძოლების სარიტუალო მნიშვნელობა უკეთ შეინარჩუნა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების მოსახლეობამ. ამის დასტურს აქ დღემდე შემორჩენილ საწესო ქმედებებში ვპოულობთ. ჩვენთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ვ. ბარდაველიძის მიერ 1930-იან წლებში სვანეთის ლაშეთის თემში ჩაწერილი ე.წ. „ლიმურყვამალის“ – კოშკობის რიტუალი, რომელსაც ოდნავ შემოკლებული სახით გთავაზობთ:

„ლიმურყვამალის“ დღეობა ხვდება ყოველ მიზეზს გარეშე შავ ორშაბათ დღეს. სამზადისს ყველი-ერის კვირიდან იწყებენ. ვარჯიშობენ ჭიდაობასა და გადახტომაში. შაბათს ირჩევენ ფალავნებს და მათ თანაშემწებებს. კვირას, ნასაღილევს, ხალხი თავს იყრიდა ლაშეთის თემის შუა ადგილზე, ეკლესის კარზე, ე.ი. უახუნდერის სუიფზე (სუიფი არის სოფლის ცენტრი, საკრებულო, სადაც თემის საჭირბოროტო საქმეები ირჩევა. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მას „საფიხვნო“ ერქვა. დღევანდელი გაებით ე.წ. „სოფლის ბირჟა“. გ.კ.), სადაც იმართებოდა შემდეგი სახის დღეობა უპურმარილოდ: ლაშეთი გაყოფილი იყო ორად – ზედა და ქვედა ლაშეთად – მდინარე ცხენისწყლის მიმართულების მიხედვით; ამ ორ, მამაკაცებისგან შემდგარ ჯგუფს, ეწოდებოდა „სკიმრა“. თითოეულ ჯგუფს ცალკე უფროსი ჰყავდა. პირველად თავს მოიყრიდნენ უახუნდერის სუიფზე, სადაც უზარმაზარი, მსოფლიოში უდიდესი ცაცხვის ხეა, 10-12 არშინის სიგანის დიამეტრით. თითოეულ ჯგუფს ჰყავდა არჩეული თავისი ფალავანი – მოჭიდავე ანუ „კეისარი“, რომელიც წინა კვირაში ყავდათ ვარჯიშობაში და უკვე იყო



ცნობილი ჯგუფის წევრებისათვის, როგორც კარგი მოჭიდავე. ორივე ჯგუფი გამოასვენებს ჟაზუნდერის წმინდა გიორგის საყდრიდან ორ ბაირალს, რომლებსაც სხვადასხვა ფერის თავსაფრები აქვს ჩამოკიდებული და ნახევარი კილომეტრის მანძილზე წავლენ დაბლა სოფელში მდებარე, ძლიერ პატარა, უძველესი დროის საყდარში, რომელიც უნდა იყოს ქრისტიანობის ხანაზე წინანდელი. მის ეზოში მდებარე სუიფში შექმნებოდა თითოეული ჯგუფიდან გამოყვანილი ფალავნების ჭიდაობა. ჭიდაობას კეისრობასაც ეძახდნენ. ჟაზუნდერის სუიფიდან ამ პატარა საყდრის სუიფმდე მოგზაურობისას გზაში უკრავენ დიდ „საწყვურს“ — საყვირს, რომელიც ჟაზუნდერში ინახება. ამ ორ ჯგუფს დაჰყურებს მრავალი დამსწრე ქალი და კაცი, ლაშეთის თემის მცხოვრები, ყველა საზემოდ მორთულ-მოკაზმული. ჭიდაობაში გამარჯვებულ მოჭიდავეს მისცემენ ხელში დროშას და შემდეგ დაბრუნდებიან, საღვთო სიმღერების თანხლებით — ისევ ჟაზუნდერში და აქ აიგება თოვლის კოშკი. შემდეგ შეიქმნება აქც ჭიდაობა. ჭიდაობის დროს ხალხი დაერევა ერთმანეთს, „მურყუამ“-ს ძირს უთხრიან და აქცევენ. რომელი ჯგუფის „კეისარიც“ წააგებს, იქით წააქცევენ თოვლის კოშკსაც. მოხუცების გამოკითხვით გამოირკვა, რომ გამარჯვება ჭიდაობაში იმ წლის გამარჯვებული ჯგუფის მოსავლიანობის თავდებიაო. ჭიდაობის შემდეგ სრულდება სავალდებულო წესები, რომლებიცაა შემდეგი: პირველი „კვირია“-ს სიმღერის თქმა ორივე ჯგუფისაგან ერთად, რომლის დროს ყველა მუხლმოყრით ისმენს აღნიშნულ „კვირია“-ს სიმღერას. შემდეგ ამისა იწყება რომელიმე სხვა სიმღერა ფერხულით." [16]

ზემოთ მოყვანილი ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ჭიდაობის რიტუალი დაკავშირებულია ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის რელიგიურ დღესასწაულთან, და საწესო ქმედების ძირითად ნაწილს წარმოადგენს. მის არქაულობაზე მეტყველებს როგორც რიტუალის შინაარსი და ფორმა, ასევე ძირითად მოქმედ პირთა სახელი — „კეისარი“. როგორც ჩნდს ჭიდაობა უძველეს დროშივე დამგვიდრებულა ჩვენში, როგორც უფლისადმი მსხვერპლად გაღებული ფიზიკური ღვაწლის მაგალითი. (ასეთივე ფიზიკურ ღვაწლს უნდა მიეწეროს ხევსურეთში უკანასკნელ ხანებამდე შემორჩენილი ჩვეულება დღეობის ბოლოს ხატის კარზე გამართული ფარიკაობისა. 2009 წელს ბუდე ხევსურეთის მცხოვრებლებმა ამ სტრიქონების ავტორს მიმართეს თხოვნით, რომ გუდანის ჯვარში ათენგენობაზე აღედგინა დღეს სამწუხაროდ დაგიწყებას მიცემული რიტუალი). ამასთან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ჭიდაობა მხოლოდ ფერხულთან ერთად განიხილება, როგორც რელიგიური რიტუალის ორგანული ნაწილი. (გავიხსენოთ, რომ ბრინჯაოს ქანდაკებები შ, ამირანაშვილის მიერ საქმისას ფერხულის პერსონაჟებად იქნა აღქმული).

აღნიშნულის ფონზე ახალი კუთხით წარმოგვიდგება ყაზბეგის განძის ჩვენთვის საინტერესო ბრინჯაოს ქანდაკება. სხვა დანარჩენ ქანდაკებებთან ერთად იგი რელიგიური დღესასწაულის დროს ჩასატარებელ საწესო ქმედებას ასახავს და სრულიად დასაშვებია, რომ გამოხატავდეს ამ ქმედების ერთ-ერთ ნაწილს, კერძოდ კი რიტუალურ ჭიდაობას. აი სწორედ ეს მოსაზრება დაედო საფუძვლად ჰიპოთეზას ეწ. „მაჯურა“ ჭიდაობის არსებობის შესახებ, რის შემდეგაც დაიწყო მუშაობა მისი აღდგენის მიმართულებით.

თუ კარგად დავაკვირდებით ქანდაკების ანთროპომორფულ ფიგურათა ფორმასა და მათ სპეციფიურ პირზას აუცილებლად გაგვაჩსენდება ცალხელა ჭიდაობა. თუმცა ამ უკანასკნელისგან განსხვავებით აღნიშნულ სცენაში მეტოქებები ხელიხელჩამორთმეული დგანან ერთმანეთის პირისპირ, რაც წინასწარ განსაზღვრულ საწყის დგომზე უნდა მიუთითებდეს. ეს კი, როგორც უკვე ვიცით, ბუნებრივი მდგომარეობაა ზოგიერთი სახეობის ქართული ჭიდაობისათვის. დღეისათვის უკვე აღღენილი „მაჯურა“ ჭიდაობის საწყის ფორმად შერჩეული იქნა სწორედ ზემოთ აღნიშნული დგომი, ხოლო იღეთები შემუშავდა ცალხელა ჭიდაობის იღეთებზე დაყრდნობით. უშუალოდ გამოყენებითი ანუ საბრძოლო დანიშნულება, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მაჯურა ჭიდაობას ნაკლებად აქვს, თუმცა მოწინააღმდეგესთან განუწყვეტელი კონტაქტი იდეალურია (ეს ჭიდაობა ითვალისწინებს იღეთის ჩატარებას ხელის გაუშვე-



ბლად) მეტოქის შევრძნების გამოსამუშავებლად, რაც თავის მხრივ, მისი აზრების გამოცნობას აადვილებს. ცალხელჩავლებული ჭიდაობა მებრძოლს აიძულებს ყურადღება მეტოქის ძალის გამოყენებაზე გადაიტანოს, რაც საბოლოო ყოველი საბრძოლო ხელოვნების მიზანს წარმოადგენს.

სამწუხაროდ „მაჯურა“ ჭიდაობის წარსულში არსებობის დამადასტურებელი რაიმე უტყუარი საბუთი ჩვენ ჯერ-ჯერობით არ გაგვაჩნია, თუმცა აღნიშნული საკითხი მომავალი კვლევის საგანს წარმოადგენს და იმედს ვატოვებთ, რომ ეს ფაქტი ადრე თუ გვიან მაინც დადასტურდება.

ცალხელა, „მაჯურა“ და უხელოდ ჭიდაობების აღდგენაზე მუშაობა XX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „ხრიდოლში“, დარბაზის მაშინდელი თავის, კახაბერ ზარნაძის თაოსნობით. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. კვლევაში ჩართული არიან ამ დარგში მოღვაწე სევადასხვა ჯგუფები, რაც ქართული საბრძოლო ხელოვნების განვითარების კარგ წინაპირობას წარმოადგენს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ჭიდაობა საქართველოში, კრივთან ერთად, რელიგიურ-საწესო ქმედების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, დაკავშირებული იყო სახალხო დღეობებთან და ქართველი ახალგაზრდობის მამულიშვილური აღზრდის საუკეთესო საშუალება გახლდათ.

## პლ030

ქველ საქართველოში კრივი ისეთივე ისყვარულითა და პოპულარობით სარგებლობდა, როგორც ჭიდაობა. თუმცა ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, მისი მდიდარი ტრადიციები დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა და სამწუხაროდ ჩვენს დრომდე ცოცხალი სახით არ მოუღწევია.

ქართული კრივის თაობაზე მსჯელობა მხოლოდ მწირ ლიტერატურულ ცნობებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი. ერთად-ერთი ბეჭდვითი მასალა კრივის შესახებ დავით იოსების-ძე ბებუთოვის მემუარებია, რომელიც 1867 წელს გამოქვეყნდა ალმანახ „Âîåííûnê Ñáîðíèê“-ის 6 და 7 ნომრებში. დავით ბებუთოვს აღწერილი აქვს ეწ. სალდასტის კრივი, რომელშიაც თვითონ მიუღია მონაწილეობა. სწორედ მის მიერ გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით, ოღონდ სხვადსხვა ვარიაციით, აღწერენ ქართულ კრივს დუბროვინი, პოტო და ვეიდენბაუმი. ქართულ პერიოდულ გამოცემებში ცნობები კრივის თაობაზე XIX საუკუნის შეუ ხანიდან ჩნდება. კრივს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენას, ყურადღებას უთმობენ გაზეთები „ივერია“, „Óèðöëèññéèé Èëññòîé“, „Èàâéâçñéèé Èâéâíáâðü“, „Èàâéâç“, ურნალი „ცისკარი“ და სხვ... ცნობები კრივის შესახებ შემოუნახავთ აღექსანდრე ორბელიანს, ვასილ ხახანაშვილს და ნიკო ავალიშვილს. ქალაქური კრივის დიდი მეხოტე გახლდათ პოტო და პუბლიცისტი იოსებ გრიშაშვილი, რომლის წერილები – „საიათონვა“ და „ძევლი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ ქართული კრივის შესწავლის საქმეში ჩვენი მთავარი გზამკვლევი გახდა.

კრივი ორგანული და უცვლელი ნაწილი გახლდათ ბერიკაობა-ყეენობის უძველესი დღესასწაულისა. 1893 წელს უერნალ „კვალში“ გ. წერეთელი ყეენობის შესახებ წერდა: „ამ თავის საყვარელი ჩვეულებით ყველი ქართველი წელიწადში ერთხელ მსახიობობით გამოიხატავს თვალწინ წარსულ ისტორიულს სურათს. რაში მდგომარეობდა ეს სურათი? იმაში, რომ საქართველოს ერი, ვერც ერთ უცხო რჯულის ხალხს ხანგრძლივად ვერ დაუპყრია. ხშირად შემოსულან ძევლ დროში სხვადასხვა ქვეყნის უენები, მაგრამ იმათი ბატონობა დღეგრძელი არ ყოფილა. ბოლოს მაინც, ადრე თუ გვიან, საქართველოს ერი ამდგარა, „განუხეთქია აპურნი მათნი და განუგდია უღელი მათი.“ (კვალი", 1893 წ., №6.)[17]

როგორც იოსებ გრიშაშვილი ამბობს: „ყეენობა თავისი პირვანდელი სახით ომის მისტიფიკაციას წარმოადგენდა. ...იგი აღეგორიული გამოხატულება იყო იმ საიდუმლო გულის ზრახვებისა, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლობდნენ განსაკუთრებით საქართველოს იმდროინდელ მოწინავე საზოგადოებაში.“[18] იმისათვის მოსახლეობის მუდმივი მზადყოფნა შეუძლებელი იქნებოდა რეგულარული ვარჯიშისა



და წვრთნის გარეშე. სწორედ ამ მიზნით წელიწადში რამდენიმეჯერ იმართებოდა ე.წ. „სალდასტის“ კრივი, რომელიც ერთგვარ სამხედრო მანევრებს წარმოადგენდა. საომარ მოქმედებებში ჩართული იყო პრატიკულად ქალაქის მთელი ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა. გაზეთი ივერია 1885 წელს კრივის შესახებ წერდა: „კრივს განსაკუთრებით ახალგაზრდობა მისდევდა. ეს საკვირველიც არ არის. ქართველ ქალს ერთი ათად უფრო ტურფად ეჩვენებოდა ის ვაჟი, რომელიც კრივში გაიძარჯვებდა და სახელს გაითქვამდა. მოკრივენიც, რასაკვირველია, რამოდენადაც სახელის შოგანს სცდილობდნენ, იმდენადგე სწადათ და სცდილობდნენ თავის გამოჩენას თავიანთ „ორთავ თვალის სინათლის“ სასიამოქნოთ და სასიქადულოთ. კრივს ჰქონდა თავისი ჭეშმარიტად კარგი მხარე: ქართველი კაცი პატარაობიდანვე იწვრთნებოდა სამხედრო ხერხებში, ავარჯიშებდა თავის საღ გონებას და გამჭვრეტელობას, რომელიც მას ბუნებით დაცყოლია, ვარჯიშობდა სიმარდეში, სისწრაფუში – ერთი სიტყვით, კრივში ქართველი იძნდა ყველა იმ თვისებებს, რომელნიც ძვირფასნი არიან სამხედრო საქმისათვის“. („ივერია“, 1885 წ. №1.). [18]

ჭიდაობა და კრივი საქართველოში რელიგიურ დღეობებთან იყო დაკავშირებული და საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული რიტუალის შემადგენელი ნაწილი გახლდათ. სწორედ ამის გამო სამხედრო საქმიანობასა და ფიზიკურ წვრთნას ქართველი კაცი დღესასწაულად მიიჩნევდა. მებრძოლები საასპარეზოდ განსაკუთრებულად ემზადებოდნენ და ამ დღისათვის საუკეთესო ტანსაცმელით იმოსებოდნენ. არა თუ უბრალო პაექრობისას, სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაშიც კი ქართველი განსაკუთრებულ სამოსში – ე.წ. „იალმაგში“ გამოწყობილი იბრძოდა. სულხან-საბას მიხედვით იალმაგი „არს სამოსელი საომარი ჯაჭვთა გარეგან საცმელი“. [15] ითვლებოდა, რომ ნამდვილი ვაჟკაცი ბრძოლაშიც ისევე უნდა შესულიყო, როგორც ლხინში. ჩვენებურების ეს თვისება შეუმჩნევია კავკასიაში რუსეთის ემისარს, გენერალ ნიკოლაი დუბრივინს, რომელიც წერდა:

„Í áîñêðåñáíüýíù áðóçèíù èäðàëë áú êðèâè. ... Áú íðàçäíééù áðóçèíù íäåâååðöñý ùåâñëåâåðö; èþáèòú, áú éí ììäííè è ñú óðóçåííþ ìóçûéíþ, íðíéðèñü íí áàçàðó, íñ i ìòðåðöù èëë ñà i ñí ó ó-àñòåíàðöù áú êóëà÷íù áíè áúâå þòú öåéëùè íàðòiýìè íá äåâ ñòî ðííù. ...

Ñëîâî êðèâè îçíà-àåòú ìà óó çà ííû ýçûêå äðàéô è ñðàæåíå. Èäðàåøiå ðàçäåëÿèñü ìà äåâ ïòîðííû. Èäòîì ýòî áûëú iðîñòî éóëèà-íûé áíé (íòóðèñ-êðèâè), iðîèñòî äèåøié íáïðåìåííû óëèöàðú, à çèïíþ àåñòî éóëèàëíû óiñðåáëÿèñü iðàùè è äåðåâýíû ý ñàáëè. Çèïíå ñðàæåíå ãñåäà à iðîèñòî äèëí cå ãí ð ìà ïú è íàçûâåë ïñü ñàðääñòèñü-êðèâè èëè êåñ-êðèâè.

Éðèâè èìâëî ñâïé óñðàåâû, íñâÿùáíûé íàðîäíûí ïáû÷àåì . Îòáûòðâ îðóæèå, êóøàêú, øàïèå, áðèå ñ÷èòàèèñü çâëíííþ äâáû÷åþ .

Êðèâè ïðîñõî äèëî âñåäà ïðè ïãðii í ñú ñòå÷åíèè íàðïà è ïðèåëåëæ î ì í ïæåñòåì ì ëëåæè. Âú äæçàò ãðöçèíñêé æåíøèíû, þíøà, ïðîñëåâèåøèéñÿ íà êðèâè, ïðiâðåòåëé ï ñîåäíóþ ïðåëåñòü; ðòòî ãî âñå þíøè ñiåøèëè fà êðèâè, è ñíà áûëà âñåäà ì í ñòå÷èñëåííà ÷èñëó õ÷åñòëéî âú èäðû.

Íðè äâóõñöî ðíííåìú áå, äðàéó íà÷èíàþòú ìàëü÷èêè, iïîòi ì áçðññëüå, iï íå òàé ñíûòíûå, à çà ðåì óæå èäóðú ñàìûå ïð÷àÿííûå áîéöû. Ñáèåøè ïðîðèåñèéà iïíååäèðåëü ðñí÷åðú åãí iïñàìè äî ðåðú iïðú, iïíèå åãí íå åûðó÷èðú iïðòèåñàÿ ìàðòiÿ. Ñóïðííà, iïíèåçàåøàÿ ðûëü, iðåññëåäóåñöñÿ íà çíà÷èðåëüíî ðàññòî ýíå, è áíé iðåéðàùàåðñÿ ðî ëüêî iåðåäú åå÷åðñú. Ëþáèðåëè êóëà÷íå áíé äàðýòú äåíüäè öö÷øèíú áíéöàíú.” [11]

კრივი იმართებოდა კვირაობით, ყველიერის ბოლო დღეებში, აგრეთვე ნათლიღების მეორე დღეს, რადგან, მიცვალებულთა სულის მოხსენების გამო, ამ დროს ყველა დუქანი დაკეტილი იყო. ყველაზე დიდი კრივი – ეგრეთწოდებული „ავლაბრის კრივი“ – იმართებოდა კვირაცხოვლობა დღეს, ამ სახელ-წილების უკლესის მახლობლად.



190



კრიფისათვის მზადება წინასწარ, რამდენიმე დღით ადრე იწყებოდა. „...მთელი ტფილისის ქალაქი: ავალაბარი, ნარიყალა, და ჩუღურეთი ყენობის სათამაშოდ ემზადებოდა. სეიდაბადის ხელოსნებს, ფეიქრებს, ხუროებს და მჭედლებს ბევრი სამუშაო ჰქონდათ აღებული. ისინი ამზადებდნენ ნის ხმლებს და ხანჯლებს, საცერე რგოლებს და შერდებლებს.“[17]

კრიფის დაწყებას მრავალრიცხოვან დამსწრეთა შეძახილი და ყიუინა ამცნობდა. ბრძოლა პატარა ბიჭების შეჯიბრებით იწყებოდა. შემდეგ 18-20 წლის ჭაბუები შეებრძოლებოდნენ ერთმანეთს; ჭაბუების 25-30 წლის ვაჟებაცები მოსდევდნენ; ხოლო, როცა ბრძოლა გამწვადებოდა, ორივე ბანაკიდან გაისმოდა ძაბილი: „ქომაგი! ქომაგი!“ და ეშხში შესული დარბაისელი და გამოცდილი ფალავნები უკვე ნამდვილ კრიფს იწყებდნენ (ანდაზაცაა: „კაი მოკრივე გვიან გადმოვაო“). მოკრივები უქუდოდ, მკერდ-გაღელილი, ჩოხის კალთებაკეცილი და ხშირად ფეხშიშველნიც იბრძოდნენ. მოკრივეთა რიცხვი განსაზღვრული არ იყო, თუმცა ცნობილია, რომ ზოგჯერ ბრძოლაში ერთდროულად ექვსი ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას.

კრიფში მონაწილეობდნენ უმთავრესად ხელოსნობა წრიდან გამოსული ფალავნები; ზოგჯერ მათ ვაჭრებიც ურთდებოდნენ.

ხელოსნობა „მქარი ქართველი მეფეების დროს წარმოადგენდა ქალაქის ადგილობრივ გარნიზონს, რომელიც თბილის იცავდა მტრების თავდასხმისაგან. ჯერ კიდევ 1803 წელს, განჯის ციხის აღების დროს, ქართულ ჯართან ერთად ამქრობაც იღებდა მონაწილეობას; 1826 წელს ამქრები სდარაჯობდნენ ნავთლულის ჰოსპიტალს, არა მწყობრ ჯარისკაცებთან ერთად; ხოლო 1854 წ. ოსმალეთთან ომის დროს გენ. რეადის მიერ, სხავა მოქალაქეებთან ერთად, თბილისის ამქრებიც იყვნენ გაწვეულნი და ეს ხალხი მოლად შეიარაღებული ერთსულოვნად გამოცხადდა“. (ე. ა. ერისმათევის მიერ 1866 წ.).[19]

კრიფში მონაწილე მოელი მოსახლეობა წინდაწინ იყო დაყოფილი ათეულებად, ასეულებად და ათასეულებად. თითოეულ დანაყოფს თავისი წინამდლოლი ჰყავდა. წინა დღით მეთაურები თადარიგს იჭერდნენ და თავის მებრძოლებს შემოვლითი გზებით მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ჩასასაფრებლად აგზავნიდნენ. მებრძოლთა შეიარაღებას შეადგენდა მოკლე შურდული, ნის ხმალი, ნაბდის ფარი და თითბრის ან თუჯის საცერე რგოლი, რომელიც უშუალოდ ხელჩართული ბრძოლის დროს იხმარებოდა და მოწინააღმდეგისთვის დიდი ზიანის მიყენება შეეძლო.

ქალაქის ორი მოკრივე ნაწილის საზღვრად ძველად სიონის ტაძარი ითვლებოდა. „მოკრივეთა მიჯნას წარმოადგენდა აგრეთვე შეუბაზარი ქურქების სახელოსნოებამდე. იყო შემთხვევა როცა მოკრივეთა „თაბუნს“ მტკვარი ჰყოფდა.“ [18] მებრძოლთა ერთ მხარეს წარმოადგენდნენ გარეთუბნელები: ანჩისხატელები, ხარფუქელები, მთაწმინდელები და ვერელები; მეორე მხრივ: კუკიელები, ჩუღურეთელები, ავლაბრელები, შავსოფლელები, ძაღლისუბნელები და სხვ... ორ ბანაკად გაყოფილ მოკრივეთა თითოეულ გუნდს ჩვეულებრივ წარჩინებული პირები მფარველობდნენ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს ჯარი კახეთის თავადებს – ჯორჯაძეებს, ვაჩინაძეებსა და ჭავჭავაძეებს ებარათ, მარჯვენა სანაპიროს გუნდი კი ორბელიანებისა და ბარათაშვილების საქომავო იყო. „სარდლები ცხენებზე ისხდნენ, ერთმანეთს ეკამათებოდნენ და თავიანთი რაზმის ფალავნებს აქეზებდნენ. ზოგჯერ „კარგად დამრტყმელ“ მოკრივებს ფულითაც ასჩუქრებდნენ“. უშუალოდ ხელჩართულ ბრძოლაში თავადები არასოდეს ერეოდნენ, მაგრამ გაცხარებული შეტაკებისას, სხვა დამსწრებებთან ერთად, მათაც დაუნდობლად მოხვდებოდათ ხოლმე „ანჩხატური“ მძიმე მუშტი თუ მტრის ნასროლი ქვა, ალექსანდრე ორბელიანი წერს თავის მოგონებებში: „ერთი შერდულის ქვა მეც მოშხვდა, უკან, თავის კეფაში და კარგა გამტეხა; ჩემმა ლალამ შინ რომ მომიყვანა, დედაჩემი არ გამიჯავრდა, ამისთვის, რომ ამგვარ საშიშს საქმეებსა არ გვარიდებდნენ, – კარგი ვაჟებაცი გამოვაო. ეს მოელი ქართველების ჩვეულება ასე იყო, რომ თავის შვილებს ყოველს საშიშს განსაცდელში ზდიდნენ, უშიშარი ვაჟებაცი გამოვაო...“.[18]



არის თქმულება, რომ კრივს მეფე ერეკლეც ესწრებოდა, რადგან „კრივი იყო ზნეობითი სწავლა ვაჟაცობის წვრთნისა და ვარჯიშობისა". („ცისკარი", 1869 წ., №3, გვ. 81.)[18]

სალდასტის კრივის დაუნდობელ, მაგრამ რაინდულ ხასიათზე წარმოდგენას შეგვიქმნის დავით ბებუთოვის უკვე ნახსენები აღწერილობა XIX საუკუნის თბილისში გამართული ერთი ბრძოლისა, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ: „ბრძოლა დავიწყეთ ჩვენ, – წერს დავით ბებუთოვი, – ქვემ უბნის ბავშვებმა. მე გადავხტი წინ და სხვებთან ერთად დავიწყეთ შურდულით ქვების სროლა. ქამარზედ მეკიდა ხის ხმალი და მარცხენა მხარეზედ საფრად ნაბადი მქონდა. ახლო რომ მივედით, მოწინააღმდეგენი ხმალში იწვევდნენ ერთმანეთს. ერთი გამბედავი ყმაწვილი დახტოდა ჩემს წინ და თავს იფარავდა ჩემი შურდულისაგან. უეცრათ მოვარდა ჩემთან. ჩვენ შევეტაკენით და დავუწყეთ ერთმანეთს ხმლებით ცემა. ჩემი მოქიმბე დავჭრი, მაგრამ მეც გამიპო იმან წარბი... დიდებს შორის ქვის სროლა და ხელჩართული გრძელდებოდა... მე დავრჩი როგორც მაყურებელი. დაძლევა და ჯობნა არც ერთ მხარეს არ ეცყობოდა. ჩვენებმა შეუაღმისას გაგზავნეს ერთი რაზმი ზემო მხარის გარს შემოსავლელად, თითქმის ექვს ვერსამდე. ამ რაზმს ჰქონდა ნაბრძანები, გასულიყო ორშაბათს და ასე თორმეტ საათზე გადმოშვებოდა სოლოლაკის მთას და მოსწოლოდა მტერს. ამასთანავე მთაზე, ოქროყანიდან დაწყებული, ამ რაზმს უნდა დაეყენებინა საუკეთესო მეშურდულენი, რომ მტრისთვის ზურგში დაეწყოთ სროლა... ორივე მხრიდან გამოვიდნენ მეშურდულენი ათასობით და სეტყვასავით მიაყარეს ქვები ერთმანეთს... ყველგან გაცხარებული შეტაკება იყო. მომხდეურებს როცა წააქცევდნენ, სცდილობდნენ მთიდან გადმოგდებას, მაგრამ ამხანაგები შეუშველებოდნენ და ომი ისევ გათანასწორდებოდა. ბრძოლა გაგრძელდა თითქმის ერთ საათს და ქვემოუბნელებმა მოახერხეს მაინც ნახევარი მთის დაკავება და ნაბდებით თავს იფარავდნენ შურდულის ქვებისაგან, რომელიც ზუზუნით მოდიოდა... უეცრად მოისმა საშინელი ყვირილი. განთქმულ მებრძოლთა სახელი ელვასავით მოეფინა მთელ ხალხს და მეომრებს რაღაც ელექტრონისებურმა ნაპერწკალმა გაურბინა ძარღვებში. ზურნისა და საყირების გამაყრუებელი ღრიალი მოეფინა არემარეს. ომი ცეცხლივით აენთო. ეხლა იბრძოდნენ ხის ხმლებით, ქვებს აღარ ხმარობდნენ. კრივის წესით, ხმალდახმალ შეტაკებაში, ქვის სროლა მხდალობად ითვლებოდა. ზემოუბნელები შესუსტდნენ და უკუიქცნენ. ქვემოუბნელებმა დაიჭირეს მთა და მტერი გაიქცა სოლოლაკის ხეობისკენ". [20] ასეთი თავდაუზოგავი ბრძოლა უმთავრესად მონაწილეთა ფიზიკური დასახიჩრებით მთავრდებოდა ხოლმე. მეორე დღეს მრავლად ჩანდნენ თავგახეთქილები, თვალწავარდნილები და ცხვირპირდამტკრეულები, თუმცა უნდა ითქვას, რომ ბოროტ გრძნობებს გულში არავინ იდებდა და ასე „დაშვენებულები", ნიშნად შერიგებისა, სალხინო ადგილებში მიდიოდნენ და ერთად ატარებდნენ დროს.

რასაკვირველია რუსეთის თვითმპყრობელობა უყურადღებოდ ვერ დატოვებდა სახელმწიფო გადატრიალების მზადების ასეთ აშკარა გამოვლინებას. ადგილობრივ მოხელეებს იმპერიული წყობისათვის განსაკუთრებით სახიფათოდ მოსახლეობის დარაზმულობა და მათი მუდმივი სამხედრო მზადყოფნა მიაჩნდათ. „...მთავრობას აჯანყების გათამაშება, მიუხედავად იმისა, რომ ეს აჯანყება ტაკიმასხარული ყენის წინააღმდეგ იყო მიმართული, არ მოსწონდა, და ამიტომ ომის მისტიფიკაცია აკრძალა. ამის შემდეგ ყენენობას უბრალო პროცესებისა და ცეკვა-თამაშის ხასიათი მიეცა." [18] სალდასტის კრივი აიკრძალა, როგორც მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის სახიფათო, „ბარბაროსული" ჩვეულება. მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის საბაბით კრივი, განსაკუთრებული გულმოდგინებით, რელიგიური დღესასწაულების დროს იდევნებოდა... „ივერია სწერდა: „კვირაცხოველმა ჩვეულებრივ ჩაიარა, ხალხი მეტად ბევრი დაესწრო, მხოლოდ კრივი აკლდა, რომელიც ყოველ კვირაცხოვლობას ყოფილა ხოლმე. თუმცა ბევრი მოგროვდნენ განთქმული მოკრივენი, მაგრამ ყაზახები დადიოდნენ და მათრახებითა პფანტავდნენ კრივისათვის შეჯგუფებულ ხალხს". (ივერია, 1886 წ., №46.). [18]

სალდასტის კრივი ჯერ მთავარმართებელ ერმოლოვისა და მერე ბარიატინსკის დროს სამუდამოდ აიკრძალა. ნებადართული დარჩა მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივი მუშტის კრივის გამართვა, ოღონდ



ქალაქარეთ და ისიც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. ამ მიზნისათვის მთავრობის განკარგულებით

გამოყოფილი იქნა მაშინ ქალაქის გარეუბნებში მდებარე ადგილები „ზარაფხანისა“ და „ბაყალხანის“ ახლოს – მეტეხის ციხის ქვემო ნაწილში და ჩუღურეთში, ე.წ. „ჭირიანთ ხევთან“. მთუხედავად ასეთი შეზღუდვისა, კრივი დიდი ხნის განმავლობაში მაინც ინარჩუნებდა მოქალაქის ფიზიკური და სულიერი აღზრდის ძირითადი საშუალების როლს, თუმცა ნელნელა მან დაკარგა საწესო-სარიტუალო მნიშვნელობა და მხოლოდ უბრალო გასართობისა და ფიზიკური ვარჯიშის სახითდა შემოგვრჩა.

მუშტი-კრივი, როგორც ფიზიკური ვარჯიში, ძველი ყარაჩოლელის ერთფეროვანი ცხოვრების გასახალისებლად საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა. ქალაქური კრივისათვის დამახასიათებელი განუმეორებელი კოლორიტი და მოასპარეზეთა ზნე-ჩვეულებები ზედმიწვნითი სიზუსტით აქვს აღწერილი ძველი თბილისის მეხოტბეს იოსებ გრიშაშვილს:

„...მრავალ ჯანსაღ გასართობათა საშუალებით –წერს იგი – მაგ., კრივით, ართურმით, მიჭყამალაყით, შურდულით, განჯაფით, ბურთაობით, წრე-ლახტით და სხვა ამგვარ ფიზიკურ ვარჯიშობით ძველი თბილელის სხეული იწრობოდა, იქნებოდა და ფოლადდებოდა. მაგრამ ამათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მუშტი-კრივი იყო.

ჩვენი მუშტი-კრივი ოდნავ წააგავს ინგლისელთა ბოქსს. თბილისელებიც ორივე ხელით იძრმოდნენ: დოგადოგა მიდიოდნენ ერთმანეთზე – ჯერ ერთი მოკრივე შემოჰკრავდა ერთის ხელით მუშტს, ხოლო თუ მოპირდაპირე ისეთი სუსტი აღმოჩნდებოდა, რომ ამ ერთ მოქნეულ მუშტით წაბარაბაცდებოდა, მაშინ მეორე მხრიდან მეორე მუშტსაც მიარტყამდა მისაშველებლად, რომ ზეზე დამდგარიყო, სწორად; მერე დაიჭერდა ორივე ხელით, – შეაჯანჭყარებდა, შეასწორებდა და კვლავ იწყებოდა ახალი გამოცდა ბრძოლისა.

რასაკვირველია კრივსაც ჰქონდა თავისი წესები. ზოგჯერ, თუ მოპირდაპირე შეატყობდა თავის თავს, რომ მარცხდებოდა, მაშინ ის, გაბრაზებული, არასასიამოვნო საშუალებას მიმართავდა: ქვეშიდან თავს აჰკრავდა – დაარეტიანებდა, რომ ამასობაში დაეჯანა და გაემარჯვა. ანდა გაიკეთებდნენ „საცერულს“ (ცერზე ჩამოსაცელ თითბრის ან თუჯის რგოლს) და ეს თოქმა ბეჭედი პიდაპირ ძვლებს ეტანებოდა ხოლმე დასამსხრევე-დასაღეწად. მაგრამ ყველა ეს საშუალება, როგორც არაკანონიერი, დაგმობილი იყო ჰაკარაკან კრივში და ასეთი მოკრივე სასტიკადაც ისჯებოდა, ამხანაგთა შორის, როგორც ჯაბანი და ნამარდი. ზოგიერთ მოკრივეს საშინელი მაგარი ცაცია ჰქონდა, ვისაც შემოჰკრავდა – მორჩა ცოცხალი ვეღარ ადგებოდა. აი ამისთანა მოკრივეს სიტყვა ჰქონდა მიცემული, ან, როგორც ამბობენ, „ხელი ჰქონდა მოწერილი“, რომ იგი აღარ იკრივებდა... მაგრამ, როგორც ყოველგვარ დადგენილებას, რასაკვირველია, ამასაც გვერდს უხვევდნენ, „ხელისმოწერა“ – ხელისმოწერად რჩებოდა და ამ მუშტის კრივსაც მოჰყვებოდა ხოლმე თავისი მსხვერპლი, თუმცა არა იმდენი, რამდენიც სალდასტის კრივს.

ზოგიერთი ძველი ყარაჩოლელი, თავის სიყოჩადის გამოსაჩენად, მუშტით არც კი კადრულობდა კრივს, – ჰკრივობდა ჩოხის კალთით! ერთი მოკრივე თუ მუშტით იძრმოდა, მეორე ხელში აჰკრებდა ჩოხის ცალ კალთას და ისე იგერიებდა მოპირდაპირეს. ეს კია, რომ ასეთი კრივი უფრო დროს გასატარებელი იყო: საიშვილბაზო და სამაზალო.



განო ხოჯაბეგოვის ნახატი „კრივი“,  
XIX ს.



არსებობდა აგრეთვე კრივი ცალის ხელით! მხოლოდ ამას უფრო შეჯიბრების ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, თუ ორ თბილელთა შორის მოხდებოდა რაიმე უსიამოვნება, როგორც ამ შემთხვევაში ევროპიელთავის არსებობდა „დუელი”, ისე ჩვენებურ ყარაჩოლელისათვისაც იყო ამგვარი საშუალება შეურაცყოფის ასანაზღაურებლად, — რომელსაც „ხრიდოლი” ეწოდებოდა (კრივი ცალი ხელით). ამ წაკიდება-ჩხების დროს, ხელთათმანის გადაგდების ნაცვლად — ყარაჩოლელი თვითონ გახტებოდა განზედ და მიუბრუნდებოდა თავის რაყიფს: „მე ერთი ხელით, შენ კი ორი ხელით!” და მართლაც, ერთ ხელს (უფრო მარჯვენას) ჩაიყოფდა ქამარში და მეორე ხელს კი (ცაციას) კუმშავდა საბრძოლველად.” [18]

„ხრიდოლი” კრივი თავისი არსით წარმოადგენდა „მუშტი-კრივის” ერთგვარ ალტერნატივას. მუშტი-კრივში ყოველგვარი ცრუმოძრაობა და მოქნეული მუშტისათვის თავის არიდება საძრახის საქმედ ითვლებოდა. გამარჯვება მოკრივის ფიზიკურ ძალასა და გამძლეობაზე იყო დამოკიდებული. ცალი ხელით კრივის დროს კი, მით უმეტეს თუ მოწინააღმდეგებე ორივე ხელით იბრძვის, ფიზიკურ ძალაზე აქცენტის გაცემება სრულიად უიმედო საქმეა. ამიტომ „ხრიდოლში” წარმატების მიღწევა მებრძოლის-აგან დიდ მოქნილობასა და სისხარტეს მოითხოვდა. თუ მუშტი-კრივში მოწინააღმდეგები ერთმანეთზე ჯიქურ მიიწვევდნენ და „ცხვრის თავის” ოდენა მუშტებით ერთმანეთს რიგრიგობით უმასპინძლდებოდნენ, ხრიდოლში გამომწვევი მოხერხებისა და საბრძოლო ოსტატობის ხარჯზე იცავდა საკუთარ ღირსებას.

საიტერუსო თავად სიტყვა — „ხრიდოლი”-ს ეტიმოლოგია. ტერმინი „ხრიდოლი” ლიტერატურულ წყაროებში არ ფიქსირდება, სამაგიეროდ სიტყვა „ხრიდული” — როგორც მოხერხებულის სინომინი — ნახსენებია XVIII საუკუნის ქართველი პოეტის, ბესიკის პოემაში „რძალ დედამთილიანი”. აი ეს სტროფიც:

„მისგან ნაბნედი ბებერი ეგრე გაუშვა კიდული,  
თვით გარდიხვეწა სწრაფითა, საქმე ქმნა დია ფლიდული,  
მიიმღერს ბებრის სიკვდილსა ვით ბეზირგანი ხრიდული,  
მი და მო თვალსა აშეთებს კეტის ხელმონაკიდული.” [22]

პოემის სიუჟეტის მიხედვით დედამთილის შეურაცხყოფისათვის ქმრის მიერ ნაგვემი ქალი მეუღლეს მოტყუებით თავს შეაცოდებს და, თითქოს მომაკვდავი, სახლიდან მღვდლის მოსაყვანად გაუშვებს. მარტოდ დარჩენილი სამულებელ დედამთილს შეკრავს და კეტის ცემით ამოხდის სულს. ჩადენილი დანაშაულის გამუღავნების შიშს საკუთარი მოხერხებულობით აღტაცება ფარავს. სანუკვარი მიზნის ასრულებით კამყოფილი და გახარებული ქალი ღიღინით მიემართება მშობლიური სახლისკენ. აი ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქალს ადარებს პოეტი „ბეზირგანს ხრიდულს”.

ბეზირგანი, სპარსულ ენაზე, დიდვაჭარს ნიშნავს. „ხრიდული” კი ერთ ერთ სქოლიოში განმარტებულია, როგორც — გონიერი. „ბეზირგანი ხრიდული” — მოხერხებულ, გაქნილ დიდვაჭარს უნდა ნიშნავდეს, რომელიც თავისი გონიერებისა და ეშმაკობის წყალობით საქმეს სარფიანად უძღვება. პოემის პერსონაჟი ქალიც სწორედ რომ დიდვაჭარივით ეშმაკურად და მოხერხებულად მოქმედებს. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ „ხრიდული” — მოხერხებულის, გაქნილის, გონივრულად მოქმედის სინონიმი უნდა იყოს. ეს ტერმინი ზედმიწევნით გამოხატავს ცალხელა კრივის ხასიათს, რადგან ერთი ხელით კრივი მართლაც დიდ მოხერხებულობასა და მოქნილობას მოითხოვს და ფაქტიურად გამორიცხავს სწორხაზოვანს, ძალისმიერ მოქმედებებს.

თვითონ „ხრიდული” სიტყვა „ხრიკი”-საგან უნდა იყოს ნაწარმოები. სულხა-საბა ხრიკს როგორც — „მორკინალთ ხელოვნებას” განმარტავს. ამ რიგისა ჩანს ტერმინი „ხარდიორდაც”, რომელიც სულხა-საბას მიხედვით „მოგვერდით ფუნდრუკს” [15], ანუ შერკინებისას მოგვერდის გამოყენებას აღნიშნავს. მოგვერდი კი, როგორც ცნობილია, საჭიდაო ილეთია, ანუ ჭიდაობის დროს გამოსაყენებელი ხერხია. ხრიკი — ხრიდი — ხარდიორდა და ხრიდული ერთი წარმოშობისა სჩანან. თუ „ხრიდი” — ხერხის,



ფანდის აღმნიშვნელი სიტყვაა, მაშინ ცალი ხელით კრივის თავდაპირველი სახელი, არა „ხრიდოლი”, არამედ უთუოდ „ხრიდული”, იქნებოდა და მხოლოდ შემდეგ, დროთა განმავლობაში, უ ბგერის ო ბგერით ჩანაცვლების წყალობით მოხდებოდა მისი ტრანსფორმირება „ხრიდოლად”. გამოდის, რომ „ხრიდოლი”, ანუ „ხრიდული”, – არის კრივის სახეობა, რომლის დროსაც მებრძოლები ცალი ხელითა და ტექნიკური ილეთების, ფანდების ანუ ხერხის გამოყენებით იბრძვიან.

ქართული კრივის ტექნიკური არსენალი მეტად მრავალფეროვანია. დარტყმები სრულდება ოთხივე კიდურითა და თავით, თუმცა ქალაქელი უპირატესობას მაინც მუშტით ბრძოლას ანიჭებს. „კრივი ჩვენებური, თბილისური ჩვეულებაა. – ამბობს იოსებ გრიშაშვილი – საგულისხმოა, რომ სხვა ერს (ინგლისური ბოქსის გამოკლებით) მუშტი არ უყვარს, მაგ., რუსს სილა უფრო ემარჯვება. ყარაბოლელ-საც უყვარს სილა, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგ., ამქრის დღესასწაულზე. ისე კი ყარაბოლელი ჭკუის სასწავლებლად მხოლოდ ბრმა სილას ხმარობს (სილა ხელის ზურვის გარტყმით).” კრივის დროს კი ნამდვილი „მუშტის ქუხილი” გაჩაღდებოდა ხოლმე. ლექსიც არის:

„რას გაჩუმდით, ჩამოუშვით ყიყვები,  
გაიცინეთ, ნუ ხართ-მეთქი ბრიყვები,  
რას მიქვიან ტირილი და წუხილი,  
გავაჩაღოთ მმებო, მუშტის ქუხილი”. [18]

დარტყმებთან ერთად, ახლო ბრძოლის დროს, მოკრივები ჭიდაობასაც მიჰყოფდნენ ხოლმე ხელს. ხალხის საყვარელი მოკრივე-ფალავნები თანაბრად ფლობდნენ როგორც ჭიდაობის ფანდებსა და ილეთებს, ასევე მუშტითა და სხვადასხვა იარაღით ბრძოლის საიდუმლოებას. თბილისისა და სხვა დიდი ქალაქის მცხოვრები ყოველ კვირა დღეს, წირვის შემდგომ გამართულ მუშტი-კრივა და საჭიდაო წრეში სცდიდნენ ერთმანეთის სიმარჯვესა და სიჩაუქეს და ხვეწდნენ საბრძოლო ოსტატობას. საუკუნეთა განმავლობაში ხალხური სიტყვიერების წიაღში ჩამოყალიბდა ხელით ოუ ფეხით დარტყმების მკვიდრი ქართული დასახელებები, რაც უძველესი დროიდან საქართველოში კრივის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს. დარტყმებისა და შეტევების დასახელებებს, რომლებიც აღდგენილი გვაქვს სულხან-საბას ლექსიკონისა და ეთნოგრაფიული კვლევის შედეგების მიხედვით, გთავაზობთ ქვემოთ:

„მუჭი ეწოდების რა ხელთა თითნი შეიკუმშო მაგრიად და უკეთუ კაცსა სცე ცერის კერძო მუჭითა, ეწოდების მუშტი და არღარა მუჭი; უკეთუ ნეკის მხარე დაკკრა, ეწოდების მჯიდი; უკეთუ ცერი თითებთა ქვეშე დაიპყრა და ეგრე მომუჭულნი შემოჰკრნე, ეწოდების ბლიკვი; უკეთუ თითებითა გოჯის კერძო წაჲკრა ეწოდების ქიშტი, რომელ არს ქურჯვა; უკეთუ იდაყვითა უკულმა უკუჲკრა, მუჯლუგანი ეწოდების. ხურთი არს მჯიდი შეკონვილი, რომელ არს ქურჯვა; ხურთით ცემა არს მჯიდი მიმოქცევითა თითთათა ძლიერად ტკივნებად შემძლებელი, რომელსა მსოფლიონი ბლიკვსა უწოდენ. ხელით დარტყმებს განეკუთვნება ასევე სილა, ბრმა სილა, ქიმუჯვი, მაჯაგანი, კიწანის, ნეფისა და ბაჯის კვრა,. ხელით მსუბუქად ცემას წერება ეწოდება (წერება ხელით ცემა; მცირედ ცემა). ფეხის დარტყმებია – წიხლი, ანუ ფერხის კრვა; წიხლი არს ცალის ფერხის კრვა, გინა დაცემა (ზევიდან ქვევით); ტლინები – ორთავე ფერხთა ერთბამად უკან განქნევა წყენისათვის. პაღური – უკან მუხლის ამოკვრა. ასევე ფეხით დარტყმებია ბასმა, ხომურა, ახმი, პიწკი, ჭიტლაყი, ტაბუხის კვრა და ა.შ. [15]

ქართული კრივის ასე ვთქვათ სავიზიტო ბარათს თავური დარტყმა წარმოადგენდა. ამის დასტურად ერთი ისტორია უნდა გავიხსენოთ, რომელიც ნ. ბერძენიშვილს აქვს გამოქვეყნებული თავის მოგონებებში (სამწუხაროდ ვერ ვიხსენებ რომელ ნაშრომში). XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში (დღევანდელი „Tbilisi mariot“-ი) განლაგებული იყო საქართველოს მოკავშირე ბრიტანეთის საზღვაო ძალების შოტლანდიელთა პოლკი. ერთ დღეს უსაქმობით შეწუხებულმა შოტლანდიელებმა, ალკოჰოლის საგრძნობი დოზის მიღების შემდეგ, ასეთი გასართობი მოი-



გონეს. სასტუმროს წინ, რუსთაველის გამზირზე დადგნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გამვლელ გამომვლელის თითო დარტყმით „დანოკაუტებაში“. რაც მთავარია ისინი არც მანდილოსნებს ერიდებოდნენ და მამაკაცთა დარად მუშტით უმასპინძლდებოდნენ.

გარკვეული ხნის ვარჯიშობის შემდეგ შეწუხებული მოქალაქეების ჩივილმა თბილისელი „დამრტყმელების“ ყურამდეც მიაღწია და შელახული ღირსების დამცველთა ჯგუფიც დაირაზმა.

ხუთი ფალავანი, ვერელი „პურკას“ მეთაურობით რუსთაველისკენ გაემართა, თანაც ერთმანეთი გააფრთხილეს, რომ მუშტი არ ეხმარათ, რაც არ უნდა იყოს „ჩვენი ქვეყნის სტუმრები და მოკავშირეები არიანონ“. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ ექვსმა ვერელმა „ყოჩამა“ ოცდახუთი შოტლანდიელი მეზღვაური მხოლოდ თავური დარტყმების გამოყენებით ისე სცემა, რომ ორი მათგანი გარდაიცვალა, დანარჩენები კი უკლებლივ ლაზარეთში მოხვდნენ. საჩივარში, რომელიც შემდგომ გალაზულმა შოტლანდიელებმა მთავარ პოლიცმაისტერს მიართვეს, ასეთი ფრაზა იყო: „მათ ჩვენს წინააღმდეგ არაჯენტლმენური ილეთები იხმარეს, თავები და იდაყვები გამოიყენესო.“

ქალაქური კრივის ტრადიცია ფრაგმენტული გადმონაშთის სახით XX საუკუნის 60-70-იან წლებამდე შემორჩა და მას წინასწარ დათქმული გუნდური შეტაკებების ფორმა ჰქონდა. ამ სტრიქონების ავტორს რამდენიმეჯერ თავად მიუღია მონაწილეობა ქ. თელავში 1970-71 წ გამართულ გუნდურ ჩხუბში, რომელიც, წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე, იმართებოდა „ნადიკვარის“ ტერიტორიაზე (ქ. თელავის პარკი). ერთმანეთს უპირისპირდებოდა „ზემო“ და „ქვემო“ უბანი, ანუ ღვთაების ტაძრის გარშემო არსებული დასახლება და რომელიმე საცხოვრებელი კვარტალი. ასეთი დაპირისპირების მიზეზი არასოდეს გამხდარა რაიმე კერძო შემთხვევა. ბრძოლას ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ შეჯიბრის სახე ჰქონდა და ძლიერი უბნის გამოსავლენად ეწყობოდა. როგორც ჩანს ძელი წესების გავლენით ჩხუბს ყოველთვის გვაწყებინებდნენ ჩვენ, 8-10 წლის ბიჭებს და მხოლოდ შემდეგ ჩაებმებოდნენ ხოლმე ბრძოლაში მოზრდილები. თუმცა არ მახსოვს შემთხვევა, რომ ბრძოლაში მონაწილეობა 18 წელზე უფროსი ასაკის ახალგაზრდებს მიეღოთ.

ცხადია, რომ ძველი დროის ქალაქურ კრივობათა ტრადიციების სრულ დაცვაზე ლაპარაკი ამ შემთხვევაში სრულიად ზედმეტია. მაღლობა იმაზეც გვეთქმის, რომ ჩვენამდე კრივის საშეჯიბრო ნაწილს მაინც მოუღებელია მეტ-ნაკლები სისრულით.

როგორც ვნახეთ საქართველოში გავრცელებული მუშტით ბრძოლა ანუ კრივი მრავალგვარი იყო: მუშტის-კრივი, „ხრიდოლი“ (კრივი ცალი ხელით), კრივი ჩოხის კალთააკეცილი, სალდასტის კრივი. თუმცა ამავე დროს კრივი შერდულით ქვის ტყორცნას, უფრო ზუსტად შერდულით ბრძოლასა და ჩის ხმლით ბრძოლასაც ერქვა. ჩანს, რომ ქართულ ენაში „კრივი“ საერთოდ დაპირისპირების აღმნიშვნელი სიტყვაა. ეს ტერმინი სომხურ ენაშიც გვხვდება, ოღონდ იგი აქ მხოლოდ კამათის მნიშვნელობას ატარებს და ფიზიკურ ბრძოლასთან კავშირი არა აქვს.

როდესაც ჩვენებური კრივის შესახებ ვსაუბრობთ, იძულებული ვხდებით სიტყვა „კრივს“ წინ ყოველთვის წავუმდლგაროთ ეპითეტი „ქართული“. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ დღეს კრივი ასცირდება ინგლისურ ბოქსთან. ამ უკანასკნელის საქართველოში გავრცელების მომენტისთვის კრივის ტრადიციები, წარსულში მრავალმხრივი შევიწროების გამო, ძირითადად უკვე მივიწყებული გახლდათ. ბოქსის დიდმა მსგავსებამ მუშტი-კრივთან განაპირობა ადგილობრივი სახეობის ახალი სახეობით უმტკივნეულოდ ჩანაცვლება. საბოლოოდ კი „კრივი“ ინგლისური ბოქსის აღმნიშვნელ ტერმინად დამკვიდრდა. დღეს, ქართული საბრძოლო ხელოვნების აღორძინების პირობებში, აღბათ მიზანშეწონილი იქნება „ქართულ“ კრივს დავუბრუნოთ ძველი სახელი – „კრივი“ და საერთაშორისო არენაზე სწორედ ამ სახელით გავიტანოთ, მუშტით ბრძოლის ინგლისურ სახეობას კი მისი საყოველთაოდ დამკვიდრებული სახელი – „ბოქსი“ აღვუდგინოთ.



196



## ბამოყვანებული ლიტერატურა

1. კ. ჩოლოფაშვილი, „ქართული საჭურველი და ომების ნაკვალევი ჩვენს ყოფაში”, საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 25 – 27 მაისი 1997 წ.
2. ქართული ხალხური პოეზია, ტ. IV, თბილისი, 1975 წ.
3. დ. ბერძენიშვილი, უცხოელების თვალით დანახული საქართველო, საქართველოს ისტორიის საგანძურო, თბილისი 2010 წ.
4. იოსებ სააკაძე, „დიდმოურავიანი”, ქართული პოეზია, ტ. V, თბილისი, 1976 წ
5. გრ. რობაქიძე, „ენგადი”, ათი საუკეთესო მოთხრობა, თბილისი 1982 წ.
6. „რუსულანიანი”, ქართული პროზა, წიგნი IV, თბილისი, 1983 წ.
7. „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი”, ქართული პროზა, წიგნი III, თბილისი 1982 წ.
8. ა. ციბაძე, „ქართული ორჭილი, როგორც ქართველ მხედართა სამხედრო-ფიზიკური მომზადების ქვაკუთხედი”, საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 25 – 27 მაისი 1997 წ.
9. ს. მაისურაძე, „ქართული ჭიდაობა”, თბილისი 1984 წ.
10. ალექსი ბარნოვი, ჭიდაობა ძველ თბილისში, თბილისი, 1967 წ.
11. Äröáðîâèí, „Èñòîñîdiý Äîéíû è Äëàäâû÷åñòðåà Ðóññêèð íà Äàâèàçå” – 1870 ა.
12. გაზეთი „დროება”, 1882 წ., №202
13. „ივერია”, 1888 წ., №169, 12 აგვისტო
14. „ივერია”, 1886 წ., №192, 6 სექტ.
15. სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული”, თბილისი, 1991 წ.
16. ჯ. რუხაძე, ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, თბილისი, 1999 წ.
17. გ. წერეთელი, უურნალი „კვალი”, 1893 წ., №6
18. ი. გრიშაშვილი, თხზულებანი 5 ტომად, ტ. I თბილისი, 1985 წ.
19. È. Ä. Èåðññàëèíñêèé, Pâåëèð èíäåéñëî ãî öàðý. Îâàíåñ Äää, èëè èþáîâü îòöà ê ñûíó è íà î áî ð îò, Öè ôëëñ, 1866 ა.
20. დავით ბებუთოვი, I àìóàðû, «Äîåííûé ñáîðíèê» <sup>1</sup> 6-7
21. „Äàâèàçñêèé Náîðíèê”, 1902 წ., ტ. XXIII, გვ.14.
22. ბესიკი, „რძალ-დედამთილიანი”, ქართული პოეზია თხუთმეტ ტომად, ტ. V, თბილისი 1976 წ.



## გიორგი ქოქოშვილი

ვახუშტი გარემონტიონის ნაწყლობრივი, ,  
ქრისტიანული სამეცნიერო საქართველოს,  
ქადაგის და მთავრობის გარემონტიონის გარემონტი.

ვახუშტი ბატონიშვილის ნაწარმოებში, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა”, არის თავი „კაცთათვის”, სადაც მეცნიერი აღწერს ქართლის მცხოვრებთა გარემონბას, ზნე-ჩევეულებებს და ცხოვრების წესს. ჩვენი ყურადღება მიიპყრო აღნიშნული თავის შემდეგმა ადგილმა: „მხნენი მუშავი, ჭირთა მომომენი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი (რამეთუ ვიეთნი ლგ ეჯს იდ უამს გაირბენს), სალაშკროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყვარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მეძიებელნი ...” და ა.შ. (ქართული პროზა, წიგნი V, „საბჭოთა საქართველო”, თბილისი 1983, გვ. 410) რაღაც თანამედროვე ქართულით ჩვენთვის საინტერესო ფრაზა ასე უღერს – ზოგიერთ მათგანს ლგ ეჯის გარბენა იდ უამის განმავლობაში შეუძლია, თავისთავად ჩნდება კითხვა: რა მანძილსა და რა დროზეა აქ საუბარი?

ცნობილია, რომ ქართული ანბანის ყოველ ასოს აქვს თავისი რიგითი ნომერი და შეესაბამება გარკვეული რიცხვითი მნიშვნელობა. ანბანის პირველ ცხრა ასონიშანს, ანუ ანი-დან თან-ის ჩათვლით, რიგითი ნომრების შესაბამისად, 1-დან 9-დე ერთეული რიცხვითი მნიშვნელობა შეესაბამება, ინ-იდან უანის ჩათვლით ყოველი ასონიშანი ათეულობითი რიცხვითი მნიშვნელობის მატარებელია, შემდეგი ცხრა ასონიშანი ითვლის ასეულებს, მათი მომდევნო ცხრა ასო – ათასეულებს და ა.შ. ქართული ტრადიციით ყოველი რიცხვი გამოისახება ქართული ასონიშნების მეშვეობით იმის მიხედვით თუ რამდენ ათასეულს, ასეულს, ათეულს და ერთეულს შეიცავს ის. მაგალითად 1121 გამოისახება შემდეგნაირად – ჩრბა, ანუ ჩ – 1000, რ – 100, ბ – 2, ა – 1. შესაბამისად, მნელი აღარ არის გამოვითვალოთ, რომ ვახუშტი ბავრატიონის თხზულებაში დასახელებული რიცხვი, ლგ, გულისხმობს  $\text{ლ} + \text{გ} = 30 + 3 = 33$ , ხოლო რიცხვი იდ – ი + დ =  $10 + 4 = 14$ . ამის შემდეგ ჩვენთვის საინტერესო ადგილი ასეთნაირად უღერს: ზოგიერთ მათგანს 33 ეჯის გარბენა 14 უამის განმავლობაში შეუძლია.

ახლა ისლა დაგვრჩენია გაგარკვიოთ თუ მანძილის რა ერთეულია ეჯი და დროის რა მონაკვეთია უამი.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი ქართული გვაძლევს უამის შემდეგ განმარტებას: „უამი – ერთი დღე და ერთი ღამე არს ღამი და ერთი უამი როთხი წენტილია არს; ერთი წენტილია ათხუთმეტი წამი არს; ერთი წამი სამეოცი წუთი არს; ერთი უამი სამეოცი წამი იქ(მ)ნების და შვიდიათას ორასი წუთი.“ (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, „მერანი“, 1991) რაღაც სულხან-საბას მიხედვით დღე-ღამე 24 უამისგან შედგება, უნდა ჩავთვალოთ, რომ ერთი უამი ერთ თანამედროვე საათს შეესაბამება. ამ მოსაზრებას ამყარებს უამის, ანუ საათის, დაყოფის სულხან-საბასეული მეთოდი – უამი როთხი წენტილიასაგან ანუ თხზუთმეტი წამისაგან შედგება, ხოლო თითოეული წამი სამოცი წუთისაგან. რა თქმა უნდა მნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ სულხან-საბა, აღბათ ძველი ქართული ტრადიციის მიხედვით, „წამის“ ქვეშ თანამედროვე წუთს უნდა გულისხმობდეს, ხოლო ეხლანდელი წამი კი ძველ „წუთს“ უნდა შეესაბამებოდეს. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ერთი უზუსტობა დიდ მეცნიერსაც გაეპარა, როდესაც ერთ უამში, ანუ საათში სამიათასექვასის მაგივრად შვიდიათასორასი წამი („წუთი“) იანგარიშა, რაც ეჭვგარეშეა შემთხვევითო-



ბას ანდა უფრადღებობას უნდა მივაწეროთ. ყოველ შემთხვევაში ამ ფაქტს ჩვენი კვლევისთვის გადამწყეტი მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ: ვახუშტი ბაგრატიონის „იდ უამი“ თოთხმეტ საათს აღნიშნავს.

მანძილის რა ერთეულს აღნიშნავს სიტყვა ეჯი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ისევ სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულს“ უნდა მივმართოთ, სადაც ეჯი შემდეგნაირადაა განმარტებული: „სამი მილი ერთი ეჯი არს. სამი ათასი ბიჯი. ერთი ეჯი არს სამი ათასი ბიჯი, რომელსა ფრანგნი ლედას უწოდენ. ერთი ეჯი არს ექვსი ათასი (ნა)ბიჯი. ერთი ეჯი თორმეტი ათასი ადლია.“ ბიჯისა და ნაბიჯის განსაზღვრა კი ქართველ მეცნიერს ასე ჩაუწერა: „ბიჯი და ნაბიჯი განიყოფებიან: ნაბიჯი არს ერთის(ა) ფერხის(ა) გარდადგმა, ხოლო ბიჯი მეორის(ა) გარდანაცვლება, რომელი ზომით იქმნების ზუთი ტერფი.“ საბედნიეროდ ეჯის ზომის განსამარტავ მანძილის საზომ ერთეულებად სულხან-საბას გამოიყენებია როგორც მიახლოებით, სუბიექტური ერთეულები ადლი, ბიჯი და ნაბიჯი, ასევე იმ დროის ევროპაში მიღებული მანძილის საზომი, შედარებით ზუსტი ეტალონები – „ლედა“, ანუ ლიგა (ფრანგული ლიკ) და მილი. ევროპული სტანდარტებით ერთი „ლიგა“, ანუ ფრანგულად „ლიკ“, სამი მილის ტოლია და სხვადსხვა ისტორიულ პერიოდში სხვადასხვა მანძილს გულისხმობდა – 3,25 კილომეტრიდან 5,849 კილომეტრამდე. სავარაუდოა, რომ სულხან-საბა მანძილის საზომ ეტალონად გამოიყენებდა სწორედ მისთვის კარგად ნაცნობ ფრანგულ ერთეულს – ლიკს, რომელსაც ევროპაში მოგზაურობის დროს უნდა გაცნობოდა. ზომის ფრანგული სისტემა საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, ანუ 1795 წლიდან, უფრო დაკონკრეტდა და ზუსტი გახდა, სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის პერიოდისათვის კი ერთი ლიკს ზომები, ადგილმდებარეობის მიხედვით, საკმაოდ დიდ ფარგლებში 3,25 კმ.-დან 4,68 კმ.-მდე მეტყობენდა. ამასთან ერთი სახმელეთო მილი შეადგინ 5280 ფუტს, ან 1609,34 მეტრს. რადგან ერთი ლიკ ანუ „ლედა“ სამი მილის ტოლია, ის 4828 მეტრს უნდა შეადგენდეს, რაც მცირედ აღემატება ჩვენს მიერ ნავარაუდევ მანძილს. თუ ამ მონაცემების საშუალო არითმეტიკულს ავიღებთ ჩვენთვის საინტერესო მანძილის გასაზომად, გამოვა, რომ ერთი ეჯი 4054 მეტრია, რაც ზუსტად ჯდება XVIII საუკუნის საფრანგეთში გავრცელებული მანძილის საზომი ერთეულების დიაპაზონში.

აცუთე განსხვავებულ მდგომარეობას მივიღებთ, თუ ეჯს, ასე კოქვათ, ქართული საზომით გავზომავთ. როგორც გვახსოვს ეჯი სამი ათასი ბიჯია, ან თორმეტი ათასი ადლი. თავის მხრივ ბიჯი ზუთ ტერფს უტოლდება ანუ 1,3 – 1,4 მეტრს. ცნობილია, რომ სიარულის დროს ადამიანის ერთი ნაბიჯის საშუალო სიგრძე 65 – 67 სმ.-ია, შესაბამისად ერთი ბიჯი ორი ნაბიჯის ანუ 130 – 135 სმ.-ის ტოლი უნდა იყოს. ამ გაზომვების მიხედვით ერთი ეჯის სიგრძე დაახლოებით 4050 მეტრი ანუ ოთხ კილო-მეტრზე ოდნავ მეტი გამოდის. ამას ადასტურებს მილის სულხან-საბასეული განმარტება: „მილი ფრანგულად ათასი ბიჯი“, ანუ 1350 მეტრი, სამი მილი კი – 4050 მეტრია. ადლი არის სიგრძის ერთეული, რომელიც იზომება იდაყვიდან მუშტად შეკრული მტევნის ბოლომდე და დაახლოებით 35 სანტიმეტრის ტოლია. თორმეტი ათასი ადლი შეადგინ 0,35X12000=4200 მეტრს. ამ გამოთვლების განზოგადების შემდეგ ალბათ არ შევცდებით თუ ვივარაუდებთ, რომ სულხან-საბას მიერ დასახელებული მანძილის საზომი ერთეული ეჯი, საშუალოდ 4100 მეტრის ტოლი უნდა იყოს.

ახლა დავუბრუნდეთ ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთს. მეტრულ სისტემაზე გადაყვანის შემდეგ, დავინახავთ, რომ ლგ, ანუ 33, ეჯი 33X4100=135300 მეტრს ან 135 კილომეტრსა და 300 მეტრს შეადგინს. ვახუშტი ბაგრატიონის რწმუნებით ამ მანძილის დაფარვა ზოგიერთ ქართველს ხელეწიფება 14 საათის განმავლობაში.

გრძელ დისტანციაზე მორბენალი სპორტსმენები სირბილის ტემპს ზომავენ დროის მონაკვეთით, რომელის განმავლობაშიც ისინი ერთი კილომეტრის ზომის მანძილს ფარავენ. მაგალითად თუ მორბენალი დისტანციის თითოეულ კილომეტრს საშუალოდ ოთხი წუთის განმავლობაში გარბის, ტემპი ოთხ-წუთიანია, თუ ხუთ წუთში – ხუთწუთიანი და ა.შ. პლანეტის უძლიერესი მორბენლები მარათონულ

დღასტანციას, ანუ 42 კილომეტრსა და 195 მეტრს 2 საათსა და 6 წუთში დარბიან. ამ დროს მათი ტემპის გრაფიკი თითოეული კილომეტრის დაახლოებით 3 წუთში დაფარვას გულისხმობს. შეჯიბრი შედარებით უფრო გრძელ დისტანციებზე სირბილში იშვიათად იმართება. XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს რუსეთში დაიწყეს შეჯიბრების ჩატარება 100 კმ.-ან დისტანციასა და ეგრეთწოდებულ სა-დღედამისო რბენაში. სადღედამისო რბენის ანუ 24 საათიანი სირბილის დროს გამარჯვებულის მიერ დაფარული დისტანცია შეადგენდა 272 კილომეტრს, რაც ნიშნავს, რომ თოთოეული კილომეტრის დაფარვას სპორტსმენმა საშუალოდ ხუთწუთნახევარი მოანდომა. ასეთი შედეგი მხოლოდ ერთეული რჩეულების ხევდრია და მისი მიღწევა მხოლოდ მრავალი წლის მიზანმიმართული ვარჯიშით, უახლესი სამედიცინო პრეპარატების გამოყენებით და დისტანციაზე თავაგანწირვის შედეგად არის შესაძლებელი.

ახლა დროა გამოვთვალოთ სირბილის ტემპი, რომლითაც ჩვენი წინაპრებიდან „ვიეთნი“ 33 ეჯს, ანუ 135 – 145 კილომეტრს ფარავდნენ. მარტივი არითმეტიკული მოქმედების ჩატარების შემდეგ ნათელი ხდება, რომ შეა საუკუნეების საქართველოს ზოგიერთ მცხოვრებს აღნიშნული დისტანციის ერთი კილომეტრის გარეშენა დაახლოებით 5 წუთსა და 50 წამიდან 6 წუთსა და 10 წამამდე დროში შეეძლო, ანუ მათი სირბილის ტემპი გახლდათ „ექვსწუთიანი“. ასეთი ტემპი სირბილის მოყვარულთა სამყაროში შედარებით მშვიდ ტემპად ითვლება, თუმცა ეს შეეხება გაცილებით უფრო მცირე დისტანციებს (5 – 42 კმ.). სირბილის ტემპის გაზომვის მონაცემები აპსოლუტურად რეალური ჩანს, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკრათ, რომ ვახუშტის მიერ მოყვანილი ცნობები სინამდვილეს შეესაბამება.

ამ მონაცემთა განაზრების შემდეგ შეუძლებელია აღტაცება არ გამოიწვიოს წარსული საუკუნების ქართველთა ზოგადფუზიკური მომზადების დონემ. ალბათ დამერწმუნებით, რომ 140 კილომეტრამდე მანძილის გარბენა თავისთვად უკვე მრავლისმთქმელი ფაქტია. შედარებისათვის ვიზუალური, რომ საბჭოთა პერიოდის დროს, მესამე სპორტული თანრიგის მოსაპოვებლად მორბენლისთვის საკმარისი გახლდათ მარათონული დისტანციის, ანუ 42 კილომეტრისა და 195 მეტრის მანძილის, დაფარვა ნებისმიერ დროში. თანაც შევდევლობაში უნდა მივიღოთ სტაირების (გრძელ დისტანციაზე მორბენლების) უახლესი ტექნიკუროგიებით დამზადებული ეკიპირება, რასაც რა თქმა უნდა მოკლებული იქნებოდნენ ვახუშტი ბაგრა-ტიონის თანამედროვენი.

„აღწერა სამეფოსა საქართველოსას” ტექსტის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ „ლგ ეჯის”, ანუ დაახლოებით 140 კმ.-ის გარბენა მხოლოდ ერთეულების სკელი არ გახლდათ. დარბოლინი, უბრალოდ „ვიეთნი” ანუ ზოგიერთიები სხვებთან შედარებით უფრო „მსწრაფლინი” – სწრაფები იყენებ. აღნიშნული დისტანციის დაფარვა, როგორც ჩანს, ქართველი მეომრის საბრძოლო მომზადების შემოწმების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა და მსგავს გამოცდაში მონაწილეობა სავალდებულო იქნებოდა ყოველი ახალგაზრდა მამაკაცისთვის. შეგვიძლია ვივარაულოთ, რომ შუა საუკუნეების საქართველოში მეომრის სამსედრო-ფიზიკური მომზადების კომპლექსში, შედიოდა განსაკუთრებულად გრძელ დისტანციებზე სირბილი (100 კმ.-ზე მეტი). ასეთი შედეგის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა რეგულარული ფიზიკური წვრთნის გარეშე. აქცნტირებული ფიზიკური ვარჯიში ხელს შეუწყობდა ისეთი თვისებების გამომუშავებას, რომელიც აუცილებელია ორგანიზმისთვის ანაერობულ (ორგანიზმის არასრული მომარაგება უანგბადით) მდგომარეობაში მაქსიმალური დატვირთვების გასაძლებად.

გრძელ დისტანციაზე ასპარეზობაში გამარჯვებული კი თანამემამულეთა პატივისცემასა და კარგი ვაჟების სახელს დაიმსახურებდნენ. აკი აღნიშნავს კიდეც ვახუშტი ბაგრატიონი, რომ სახელის მოხვეჭის გულისთვის ქართველები არაფერს ზოგავრნ: „ესრეთ რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქვეყანასა და მეფესა თვისსა." ძლიერი მუხლის პატრონი ვახუშტის სამშობლოს დამცველთა შორის სამაგალითოდ ესახება და ამიტომ ხაზს უსვამს მათ ღვაწლს: „რამეთუ ვიეთნი ლგ ეჯს იდ უამს გაირბენს."



## გამოსაცემი მასალის გაფორმების ღისი

სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი „სვეტიცხოველი“ არის რეფერირებადი პერიოდული გამოცემა, რომელიც გამოვა წელიწადში ოთხჯერ. ჟურნალის დანიშნულებაა საისტორიო და ასევე მეცნიერების სხვადასხვა დარგების (საქართველოს ეკლესიის, ისტორიის, ეთნოლოგიის, კულტურული მემკვიდრეობის, ენათმეცნიერების, მართვის პრობლემების, რწმენისა და მეცნიერების ურთიერთმიშართების) განვითარების ხელშეწყობა, სწავლულთა მიერ მოპოვებული აზალი მიღწევებისა და უმნიშვნელოვანეს გამოკვლევათა მასალების საზოგადოებისათვის გაცნობა.

სტატიების მიღება შესაძლებელია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, ნაშრომი გამოქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გამოქვეყნება უფასოა.

სამეცნიერო ნაშრომის გაფორმების წესი:

1. ნაშრომის სრულდება A4 ფორმატის ქაღალდის 1,5 ინტერვალით ნაბეჭდი ტექსტით (მინდვრები 2 სმ.), რუკების ნახატების, გრაფიკების, ცხრილების და ლიტერატურის ჩამონათვალით;
2. სტატია შესრულებული უნდა იყოს DOC ფაილის სახით (MS -Word) ჩაწერილი ნებისმიერ მაგნიტურ მატარებელზე;
3. ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ Acadnusx შრიფტი, ზომა 11;
4. ინგლისური და რუსული ტექსტის შრიფტი კი უნდა იყოს: Times New Roman, ზომა 11;
5. სტატია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: uak-ს (UDC); ავტორის/ავტორების სახელს, მამის სახელს, გვარს;
6. ფოტოების და სხვა გრაფიკული გამოსახულების კომპიუტერული ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს JPG ფორმატში;
7. სტატიის შინაარსსა და ხარისხზე პასუხისმგებელია ავტორი.



უფალმა წარმატების ქოდზე კუთილი საქმე ეუნიალ  
“სერიუსოვის” გმთვემის ერთგულ თანამდებომს,  
სააკციო სახოფდოება,  
კომპანია “მედინსერვის” კოლექტივს